ხევსურეთის ხალხური ისტორია

ხუთ წიგნად

წიგნი პირველი

ზოთა არაბული

ისტორიული თავგადასავალი ხევსურთა

თბილისი
2006

ასი წლის წინ ხევსურეთზე წერდნენ: კავკასიის მთებში მომაკვდავი ტომი ცხოვრობსო. ეს არ იყო შემთხვევით ნათქვამი სიტყვები. იმ დროს ხევსურეთში ცხოვრება დულდა, მისი მომავალი კი იმთავითვე გათვლილი ყოფილა.

უსინათლო ქურუმს თარხანათ გაგას უთქვამს: „ჭადუს ბანზე ნადირნი გამოვლენო.“ მაშინ სოფელი ჭადუ ხევსურეთის ერთ-ერთი ყველაზე დიდი და რიცხვმრავალი სოფელი იყო, დღეს კი ნადირთა საბუდრად ქცეულა...

მე ვეძებ და ვწერ ძველ დროზე, ძველ ხევსურეთსა და ხევსურებზე, ვწერ ლეგენდებსა და ლეგენდებად ქცეულ სინამდვილეს.

ვკითხულობ და ვწერ, თუ „რანი ვიყავით გუშინ“.

ნაწერები გამოდის ხუთ წიგნად. მეორე წიგნი — „სისხლის წკიმები, ანუ ერისთობა ხევსურეთში“ არაგვის ერისთავების ხევსურეთში ბრძოლებს ეხება. მესამე წიგნი — „ნარჩევი ხევსურები“, რომელიც უკვე გამოვიდა, ეროვნულ გმირებზე მოგვითხრობს. მეოთხე წიგნი — „სოფლები, გვარები, ჯვრები“ ხევსური სოფლების, გვარებისა და ჯვრების ანდრეზულ წარმოშობაზე მოგვითხრობს. მეხუთე წიგნში — „მითოლოგია, დღეობები, რჯული“, ხევსურეთის შესახებ სხვადასხვა ანდრეზები და წერილები შედის.

ავტორი წიგნის გამოცემაში თანადგომისათვის მადლობას უხდის სანდრო შანიძეს

ISBN 99940-67-18-4

წინათქმა

„აქ ცხოვრობენ ნაშიერნი ჰომერისა.“
(გრ. რობაქიძე)

„როგორც ლადოგის ტბის ფსკერზე დევს
ისტორიამდელი ხანის ყინული, ისე შემორ-
ჩენილან კავკასიის მთებში ხევსურები.“
(ვ. შკლოვსკი)

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, ჩრდილოეთის საზღვარზე, უძველესი დროიდან დგანან იბერიელთა ძირ-ძველი ტომი — ხევსურები, რომელთა „ქვეყანას“ წინათ „ფხოვი“, მოგვიანებით კი „ხევსურეთი“ ეწოდა.

„ფხოველთა ქვეყნის“ სოციალური ყოფა, რელიგია, კულტურა, ისტორიულ-ეთნიკური საზღვრები და როლი, როგორც იბერია-ქართლის მთიანეთისა და ქართველ მეფეთა გავლენის ქვეშ მყოფი ჩრდილოეთ კავკასიის ტომების მაკონტროლებელი რეგიონისა, შესწავლილი არ არის.

„ქართლის ცხოვრების“ ძველი ჟამთააღმწერელნი არას ამბობენ „ფხოველთა ისტორიაზე“. ფხოველთ მხოლოდ რამღენიმეჯერ მოიხსენიებენ და მაშინაც, როგორც მოურჯულებელთ და მეამბოხეთ. სიამაყით აღნიშნავენ, თუ როგორ მოსრნეს და მოსდრიკნეს წარმართი, ურჩი ფხოველნი — „კაცნი იგი მჴეცისა ბუნებისანი“. ფხოველთ კი სამშობლოსა და მამულის ერთგულებაში თავი არასოდეს დაუზოგავთ და არც არასოდეს გამდგარან განზე, უხსოვარი დროიდან პირნათლად იხდიდნენ იბერიის მეფეთა მიერ დაკისრებულ ვალს — ჩრდილოეთ საზღვრის დაცვას და ბრძოლის ველზე მოლაშქრეთა დაუყოვნებლივ გაყვანას.

ფხოველნი თავის საქმეს უხმაუროდ აკეთებდნენ, იცავდნენ საზღვრებს და გადიოდნენ მეფის ლაშქარში. მემატიანენიც, რომელნიც ძირითადად ზედაფენების როლს წარმოაჩენდნენ და წვრილი ერის ცხოვრების ასახვას არ აწარმოებდნენ, დუმდნენ, რადგან მეფეთ ამ მხრივ საზრუნავი არ ჰქონდათ. მაგრამ ფხოველნი, რაღაცაზედ გამწყრალნი, თუ ამბოხდებოდნენ, მემატიანესაც უჩნდებოდა საწერელი, ისიც მეფე-ერისთავთა სასარგებლოდ და განსადიდებლად და არა მომხდარის განსასჯელად. ამას გარდა, მთიელთა ყოფა-ტრადიციები, თქმულებანი, სიმღერენი და ისტორია დაწერის ღირსად არც ითვლებოდა, რადგან „არიან ზღაპარი და ცუდ, ამისთვის უჯერო არს“ მათი აღწერაო. წარმართი ფხოველის არწარმოჩენაში დიდ როლს თამაშობდა ქრისტიანული იდეოლოგიაც.

ყოველივე ეს — ამბოხიცა და სამშობლოს ერთგულებაც, სიმღერენიც და ანდრეზნიც — თითოეული ხევსურის მიერ ხმლითა და სისხლით ნაწერი ზეპირი ისტორიაა მხოლოდ.

ხევსურთ წარმომავლობა, მათი ცხოვრება და ბრძოლა, საქართველოს ისტორიის ფურცელია — ჯერ დაუწერელი, რამეთუ „ბნელ და უჩინო არს ცხოვრება და ძნიად გამოსარკეველი", — როგორც ვახუშტი იტყოდა.

„ხევსურთა ისტორიის" ზეპირ მემატიანე-მეანდრეზეთა ხსოვნაც დაბერდა და თანდათან გაქრა.

„მთაში გამოკეტილმა" ფხოველებმა, ჯერ კიდევ ქრისტიანობამდელი დროიდან, სიმღერე-ანდრეზებად (ნაქადაგრები, ხმით ნატირლები, მთიბლურები, ფერხისულები, თასურები) შეთხზეს და ჩვენ დრომდე ფრაგმენტულად შემოინახეს მითოლოგიურ-ისტორიული გადმოცემანი, რომლებშიც „დამარხულ არს" თვით საყმოს ისტორია. საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა ფხოველთა ზეპირი ისტორია და გადაეცემოდა თაობებს ხთიშვილთა თუ ხორციელ გმირთა სადიდებლად, „ხთიშვილთა გასართობად, სასიამოვნებლად და გულის მოსაგებლად" (ვ. ბარდაველიძე), რომელიც, ამავე დროს, „ხალხისათვის წარსულის შესასწავლი და აწმყოს ხსოვნის გასამტკიცებელი საშუალება იყო. " (ქს. სიხარულიძე).

„აქ ყველანი და ყოველივე ზღაპრისა და ლეგენდის ბადით შეხავსულა: დიდი ბუჩქის ძირში ბუნდოვანი მითი ჰფუსფუსებს, პიტალო კლდეზე რაინდული არაკია გაკრული, ხოლო გარინდულ ხეებსა და გალიპულ ქვებზე ჟანგიანი ლურსმნით გალექსილი ეპოსია ამოჭრილი," — წერდა მ. ჯავახიშვილი ხევსურეთზე.

ფხოველთა ტროასსადარი მიწა, სადაც ჩამარხული და ჩაფერფლილია უძველესი ქართველური ტომების — „წინა კაცთა", „ხთიშვილთა" თუ „დევკერპთა." ყოფა-ბრძოლის ისტორია, უცნობია და საკვლევი.

ჯერ კიდევ ამოუცნობია არაგვისა თუ პანკისი-კვეტერისა და წუქეთ-ხუნძახის საერისთაოში შემავალი კართანა-წინკარის, ჭმალა-შურისციხის, შატილ-ანატორის, მუცოს, არდოტის, არხოტისა და სხვა კართა თუ სიმაგრეთა სახელმწიფო-სტრატეგიული დანიშნულება, რომელთაც მეფეთა მიერ საგანგებოდ ჩაყენებული გვარები მორიგეობით იცავდნენ.

ჯერ კიდევ საკვლევია ფხოველთა უძველესი მსოფლმხედველობა და ღვთაებათა (ხთიშვილთა) პანთეონი, რომელიც, მეტი თუ არა, ნაკლები არ არის შუამდინარეთისა თუ ბერძნულ-რომაულ ღვთაებათა პანთეონისა. ხევსურული ქადაგობის ინსტიტუტი ხომ ანალოგიაა დელფოს სამისნოსი, ხოლო „სულთანობას" — მიცვალებულის სათქმელის პირველი პირით გადმოცემის ტრადიციას — შუმერულ-ბაბილონურ კულტურასთან აქვს კავშირი.

საკვლევია ისტორია ფხოვის ტერიტორიაზე მდგარ „დევ-კერპთა“, რომელნიც ფლობდნენ ლითონის ჭედვის საიდუმლოს და მეგალითური ტიპის სადგომებში „ციხეგორებზე“ სამჭედლოები ჰქონდათ გამართული.

დღეს შეიძლება მხოლოდ კითხვები დავსვათ: რას ნიშნავს აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობში მაცხოვრებლებზე უფრო რიცხვმრავალი, „მეამბოხე ბუნების“ იბერიის მთიელების „ნათესაობა“ სკვითებთან და სარმატებთან და „მათ ყაიდაზე“ ცხოვრება, თუმცა, მათგან განსხვავებით, მიწათმოქმედებასაც რომ მისდევდნენ და „შფოთის დროს მრავალი ათასი“ მებრძოლი გამოჰყავდათ? მაგრამ, როგორც ხევსური მეანდრეზე იტყვის: „სუყველა ვადით ას“. (ასეთივე წარწერა იყო დელფოს ტაძრის კედელზეც.)

ჯერ არაბებისა და შემდეგ თურქ-მონღოლების კავკასიაში ბატონობისა და რელიგიათა შეჯახების შედეგად „ფხოვის ქვეყანა“ ეცემა. იშლება სტრატეგიული დანიშნულების რეზიდენციები ფხოვში. წარმოებს მოსახლეობის მიგრაცია.

შუა საუკუნეებიდან „წინა კაცთა“ ნადგომზე, ანუ, როგორც ზ. კიკნაძე იტყვის, „ნადევარ ტერიტორიებზე“ დაწინაურდებიან ხევსურნი (ფხიები) და ფშაველნი (შუები), რომელნიც ძველი ფხოვის დროს მცირედ განსხვავებული თემები უნდა ყოფილიყო.

ეს ნააზრევი და ნაწერები მხოლოდ მცირედია, კომენტარები, ფრაგმენტები და ქრონიკებია ხევსურთა ყოფისა. იგი ერთგვარი შესავალია ხევსურთა ხალხური ისტორიისა, რომელიც მომდევნო წიგნებში იქნება მოთხრობილი.

1991–1997 წ.წ.
კორშა-ჩირდილი

რა ვიცით ფხოველთა შესახებ

ხევსურთა ხსოვნაში ისტორიული „ფხოვის“ არსებობა წაშლილია, მხოლოდ რამდენიმე სახელწოდებაღა („ფსიტუ“, „დინიფხო“, „ფხიჭოუ“, „შუაფხო“, „აფხუშო“, „ფხოველი“, „აფხავი“, „ფხვენისი“, „ფხოწეხი“) შემორჩა მისი არსებობისა როგორც მთაში, ასევე ბარში. მართალია, ანდრეზები შორეული წარსულიდან ცოცხლობენ და გადაეცემა შთამომავლობას, მაგრამ ისინი არა „ფხოველებზეა“, არამედ „ხევსურებზე“, რაც მიანიშნებს, რომ ფხოვის შემადგენლობაში ძველი დროიდანვე ერთ-ერთ ძლიერ თემსა თუ ტომს ხევსურნი შეადგენდნენ.

ხევსურული ანდრეზი, რომელიც „მართალ ას“, რომელიღაც ეპოქაში ნამდვილად მომხდარ მნიშვნელოვან ისტორიულ, მითოლოგიურ ამბავს, შემთხვევას ასახავს, მაგრამ კონკრეტულად რომელ ისტორიულ ხანას ეხება, ხშირად ძნელი დასადგენია. ძნელია ამოვიცნოთ, სად მთავრდება ნამდვილი ისტორია და საიდან იწყება მითი, ან პირიქით.

პრაქტიკაში ხევსურნი ნამდვილი ისტორიული ფაქტებით ხელმძღვანელობდნენ, გარდასული და მიმდინარე ამბების მოყოლისას კი სხვადასხვა მთქმელი სხვადასხვანაირად თხზავდა, უფრო — სიმღერედ და ზოგ რამეს თავადაც ამატებდა. ხევსურნიც უსმენდნენ, იმახსოვრებდნენ, გადასცემდნენ თაობებს და მოდიოდა ასე დასაბამიდან.

დღესაც ხევსური თავისი ყოფის, სარწმუნოების ნორმებს შორეული საუკუნეების არშინით ზომავს და მტკიცედ იცავს ძველ შეხედულებებს. საუკუნეთა მანძილზე უცვლელად მეორდება სოციალური, კულტურული, რელიგიური ყოფის ერთი და იგივე ფორმები. „ეს ასე იყო. ეს ასე უნდა იყოს. ეს ასე იქნება,“ — ამბობდნენ მოკლედ ლაკონიელები და სპარტელები, რომელნიც ოდითგანვე დადგენილ ლიკურგეს მკაცრ კანონებს მტკიცედ იცავდნენ. ასეთივე პრინციპით ცხოვრობდნენ ხევსურნიც.

ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ნ. ხიზანიშვილი (ურბნელი) წერდა: „ფშავ-ხევსურნი... ერთიც და მეორეც სცხოვრობს წარსულით, გარდმოცემით. ქართველისათვის გარდმოცემამ დიდი ხანია დაჰკარგა თავისი მნიშვნელობა, თავისი აღმზრდელი ძალა. ფშავ-ხევსურეთისათვის კი ეს გარდმოცემა აქამომდე ღვთიური მადლია, რომელიც ასულდგმულებს, აცხოველებს ამ მუჭისოდენა ხალხს.“ მკვლევარი ძველ გადმოცემას — ანდრეზს „წარსულის ფოტოგრაფიულ სურათს“ უწოდებს და დასძენს: „ამ სურათს მხოლოდ აქ, ფშავ-ხევსურეთში ჰპოვებთ“-ო. ამის გამო არის, რომ ყველაზე მეტად ხევსურეთში იქნა შენარჩუნებული პირველყოფილი ცხოვრების ძლიერი გადმონაშთები როგორც ყოფაში, ისე მსოფლმხედველობაში.

რამდენადაც ხევსურეთის ტერიტორიაზე სერიოზული არქეოლოგიური კვლევა არავის უწარმოებია, ნივთიერი კულტურული ძეგლები ნაკლებად გვაქვს, მაგრამ ის ფაქტები, რომ ჯერ კიდევ გასული საუკუნიდან დღემდე ხევსურეთში შემთხვევით პოულობენ ბრინჯაოსა თუ რკინის ხანის ძეგლებს, გვაფიქრებინებს, რომ აქ კულტურული ტომები ძველი დროიდანვე იდგნენ.

ფხოვი, რომელიც მდებარეობდა კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთ და სამხრეთ კალთებზე, მდინარეების — ასას, არღუნისა და არაგვის ხეობებში, პარალელურად განიცდიდა როგორც ჩრდილოური, ასევე სამხრეთული კულტურის გავლენას, უფრო კი სამხრეთულისას, რომელიც არა მარტო ფხოველებზე, არამედ მათ ჩრდილოელ მეზობლებზე — ძურძუკებსა და დიდოელებზადაც ვრცელდებოდა ფხოვის გზით. ისინი კი ძველთაგანვე ქართლოსიანთა ნათესავად ითვლებოდნენ.

აღსანიშნავია ისიც, რომ კულტურას საფუძველი თავად გორებსა და ხეობებში ჩაეყარა, საიდანაც იგი გავიდა ბარის რაიონებში. ნ. კეცხოველი წერს: „კულტურა სწორედ ხეობებში წარმოიშვა და იქიდან გამოვიდა ველზედ, ვაკეზედ.“

გ. მელიქიშვილის მიხედვით, საქართველოს მთიანეთში ქართველური ტომები ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის დროს სახლობდნენ. ფხოვის წარმომავლობა, ზოგი მკვლევრის აზრით, უკავშირდება ძვ. წ. XIV ს-ის ხეთურ წყაროებში მოხსენიებულ „ფახუვას ქვეყანას“.

ხევსურეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილ იქნა ბრინჯაოს ნივთები, მცირე ზომის ითიფალური ქანდაკებანი, რომლებიც გამოფენილი იყო „კავკასიის“ მუზეუმის ექსპოზიციებში, რაც უტყუარი საბუთია ფხოვში კულტურული ტომების დგომისა ბრინჯაო-რკინის ხანაში.

ფშავ-ხევსურეთი „ასე თუ ისე, საუკუნეთა განმავლობაში, თავისი განკერძოებული გეოგრაფიული მდებარეობის მიუხედავად, მაინც განიცდიდა ან უშუალოდ ბარის საქართველოდან, ან ბარის საქართველოს გზით მომავალ მძლავრ კულტურულ მიმდინარეობათა ზეგავლენას: ბერძნულ-რომაული კულტურისა, მაზდეანური ირანისა, ქრისტიანობისა, მაჰმადიანობისა, რუსეთის ბიუროკრატიული იმპერიისა, ბოლოს ყველაზე ხანგრძლივად თვით ქართული ფეოდალიზმისა, ამიტომ, ცხადია, ფშაკ- ხევსურეთის გვაროვნულ წეს-წყობილებას თავისი დამახასიათებელი ატრიბუტებით — თემური მიწათმფლობელობით, საზოგადოებრივი დიფერენციაციის უქონლობით, საადათო სამართლითა და ანიმიზმით ჩვენამდე არ მოულწევა შეურყვნელად, მაგრამ ანალიზის შემწეობით ყოველთვის შეიძლება, დაახლოებით მაინც შეიძლება გავარჩიოთ ეს ელემენტები, რომელნიც ხალხის შემოქმედებითი ძა-

ლის ნაყოფს წარმოადგენენ და ის ელემენტები, რომლებიც გარედან უნდა იყოს შემოტანილი.“ (გ. ქიქოძე)

როგორიც ჩანს, ფხოვი ძველ დროს წარმოადგენდა საკმაოდ ძლიერ ხევთა გაერთიანებას, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ სხვადასხვა გვარები, რომლებიც დროდადრო შემოიჭრებოდნენ ხოლმე საქართველოს ბარიდან თუ ჩრდილოეთ კავკასიიდან და სამუდამოდ მკვიდრდებოდნენ აქ და რომელთა შორის კავშირურთიერთობასთან ერთად მტრული დამოკიდებულებაც იყო.

ფხოველთა სოციალური წყობა. ფხოველნი ძველი დროიდანვე თანასწორნი იყვნენ როგორც ქონებრივად, ისე უფლებრივად. სოციალური დიფერენცირება აქ არასოდეს ყოფილა. კავკასიის პირველი სახელმწიფოები მთისა და ბარის მეურნეობების ჩამოყალიბებისა და შერწყმის შედეგად წარმოიქმნა, მაგრამ მთაში ბარული ფეოდალიზმის ინსტიტუტმა და მოსახლეობის სოციალურმა, კლასობრივმა დიფერენცირებამ ფეხი ვერ მოიკიდა, რის გამოც მთა სუსტად განვითარებული დარჩა. ხევსურნი დღემდე ამაყობენ, რომ არასოდეს არავის ყმები არ ყოფილან, გარდა მეფისა და „დიდი ბატონისა“ — ღვრისა. ფხოველთა სოციალური წყობა სამხედრო-რელიგიური დემოკრატიის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. რელიგიური, თეოკრატიული ხელისუფლება წყვეტდა მთიელთა ყოფასა და ერთმანეთზე უფლებრივ დამოკიდებულებას.

„ხევსურეთის გეოგრაფიული მდებარეობისა და გარკვეული ისტორიული პირობების გამო ქართლისა და კახეთის მეფეებს ან, უფრო გვიან რუსეთის ხელისუფლებას, არ შეეძლოთ ხევსურეთის მოსახლეობის ეკონომიური საჭიროების დაკმაყოფილება, არც ისეთი მმართველობის ორგანოს შექმნა, რომელიც მას მეზობელი ტომების თავდასხმებისაგან დაიცავდა და მშვიდობიან ცხოვრებას უზრუნველყოფდა. ადგილობრივი მოსახლეობა იძულებული იყო საკუთარი ძალით გადაეწყვიტა ყველა საჭირბოროტო საკითხი, ამათგან კი მთავარი იყო საარსებო საშუალებათა მოპოვება და შემდეგ მათი დაცვა... ყოველი გვარი ცდილობდა ერთიანობისა და სიმტკიცის შენარჩუნებას თავის შიგნით, რომ არ დაჩაგრულიყო... თემობრივი საზოგადოების ყოველი წევრის უპირველეს მოვალეობად ითვლებოდა საერთო საქმისათვის თავდადება... პიროვნებას არ შეეძლო თემის გარეშე, მისგან დამოუკიდებლად ცხოვრება, ვინაიდან მას არც ადგილ-მამული ექნებოდა და არც თავდაცვის საშუალება.“ (გ. არაბული)

ᲐᲮᲚ ᲛᲐᲠᲗᲐᲕᲓᲐ ᲤᲮᲝᲕᲡ. გეოგრაფიული მდებარეობის მიუხედავად, ფხოვი საქართველოს მეფეთა მუდმივი ყურადღების ქვეშ იმყოფებოდა და განაგებდა მეფის მიერ დანიშნული ერისთავი, რომელსაც რეზიდენციები ფხოვის

სტრატეგიული მნიშვნელობის ადგილებში ჰქონდა და მისი მოხელენი იქიდან აკონტროლებდენ მთიანეთს. მეფის მიერ დანიშნული ერისთავ-გამგებელნი არ ერეოდნენ ფხოველთა შინაურ საქმეებში. ამას თავად თემი და თემთემის უფროსი კაცნი (ხევისბერნი) განაგებდენენ. (ძველი ფხოვის დროს მის მმართველად მოიხსენიებიან ძენი ბაკურისნი და ძაგანის ძენი). ფხოვის დაშლის შემდეგ თუშ-ფშავ-ხევსურეთს განაგებენ ჩოლოყაშვილები. ერთ ხანს თუშ-ფშავ-ხევსურეთის მოურავებად იხსენიებიან ჭავჭავაძენიც.

მთის როლი სახელმწიფოსთვის. მთა, რომელიც „სახასო იყო... იმთავითვე იქცა სამხედრო სტრატეგიის ერთ-ერთ აუცილებელ კომპონენტად. ეს მნიშვნელობა მას ყოველთვის ჰქონდა. სხვანაირად არც შეიძლებოდა. საქართველოს პოლიტიკური ისტორიის დიდი ნაწილი მთებში იქმნებოდა.“ (ჯ. სტეფნაძე)

„მთა იყო მოწინავე, მიუდგომელი ციხე სახელმწიფოსი და ამ ციხეში იწვრთნებოდა საუკეთესო ვაჟკაცობა ძველი საქართველოსი.“ (ნ. ხიზანიშვილი)

„მთიელებს... სამამაცო საქმეებსა და ომიანობაზე ეჭირათ თვალი... ოღონდ კი ომიანობის ხმისთვის ყური მოეკრათ და ფიცხლავ მიწას თავს მიანებებდნენ და იარაღს აიღებდნენ ხელში.“ (ივ. ჯავახიშვილი)

ზოგჯერ ხდებოდა, რომ მთა ფუნქციას იცვლიდა: „...საქართველოს ძლიერ მონარქიად ჩამოყალიბებამდე იგი საფრის როლს ასრულებდა. ერთიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბების შემდეგ კი ზურგის ფუნქცია მიიღო. სანამ საქართველო ძლიერი იყო, მთა ზურგში ჰქონდა მოქცეული, მაგრამ განცდილმა მარცხმა (ხვარაზმელებთან, მონღოლებთან) კვლავ მშობლიური სტიქიისკენ აბრუნებიათ პირი. დაიწყო თუ არა საქართველოს პოლიტიკური წარუმატებლობა, მაშინვე აშკარად გამოიკვეთა მთის თავდაცვითი ფუნქცია.“ (ჯ. სტეფნაძე)

ძველი ცნობები იბერიის მთიელების შესახებ. ბერძნულ წყაროებში გვხვდება ცნობები აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა შესახებ. მათში ფხოველნიც უნდა ვიგულისხმოთ. სტრაბონის მიხედვით, იბერიის მთიანეთი ხალხმრავლი და მჭიდროდ დასახლებული ყოფილა: „დაბლობზე ცხოვრობენ იბერთაგან უფრო მეტად მიწათმოქმედნი. ესენი მშვიდობიანად არიან განწყობილნი, არმენიელთა და მიდიელთა მსგავსად ეწყობიან (იმოსებიან, იჭურვებიან). უფრო დიდი ნაწილს, რომელიც მებრძოლი ბუნების არის, უჭირავს მთიანი მხარე და ცხოვრობს სკვითებისა და სარმატების ყაიდაზე, რომელთა მეზობლებიც და ნათესავებიც არიან, თუმცა ესწრაფვიან მიწათმოქმედებასაც და როდესაც ჩამოვარდება შფოთი, თავისი და მათი (ე.ი. სკვითებისა და სარმატებისა) სახსრებით გამოხყავთ მრავალი ათასი (მებრძოლი).“

სკვითურ-სარმატულ ტომებში იგულისხმებიან ადიღურ-ჩეჩნურ-ლეზგური ტომები. შ. ძიძიგურის მიხედვით, სარმატები (სინდ-ღლიღვა-ლეგ-ალბანელები) და ქართველთა წინაპრები მონათესავენი ყოფილან, რაც მტკიცდება ენობრივი ანალიზითა და უძველესი ისტორიულ-გეოგრაფიული და ეთნოლოგიური მონაცემებით. თავდაპირველად მათ ერთი ენაც უნდა ჰქონოდათ და გარკვეულ ხანამდე კულტურაც საერთო ჰქონდათ.

1920-იან წლებში წიწამურში აღმოჩენილი იქნა სამარხი. სამარხში დაფლული იყო მეომარი, რომლის საომარ იარაღებს შორის სკვითური ისრის წვერები იპოვებოდა. ამასთან ერთად, მიცვალებულის გვერდით ცხენის ჩონჩხი აღმოჩნდა. სამარხი მიჩნეულ იქნა სკვითურ სამარხად. ხევსურეთში დღემდეა შემორჩენილი მიცვალებულისთვის „ცხენის დალოცვის" ტრადიცია. ძველი დროიდან მომდინარე „სულის ცხენი" გარდაცვლილი მხედრისთვის დღეს უკვე ცხენის სიმბოლურ შეწირვად ქცეულა.

ვინ იყვნენ ფხოველნი. ს. ჯანაშია წერდა: „ფხოველები დღევანდელი ფშავლები და განსაკუთრებით ხევსურებია"-ო. მაგრამ რომელიმე მხარის ფხოველად მიჩნევა არ იქნება სწორი. რამდენადაც „ფხოველთა ქვეყანა" ვრცელი და ხალხმრავალი იყო, ამიტომ „ფხოველი" (ისევე, როგორც „ქართველი") უფრო კრებითი სახელწოდება უნდა ყოფილიყო სხვადასხვა გვარტომის ხალხისა, რომელთა შორის იქნებოდნენ ფშაველნიც და ხევსურნიც. ფხოვის დაშლის შემდეგ გამოიკვეთება ორი ძლიერი ხევი, რომლებიც ცალკე ეთნიკურ კუთხეებად ჩამოყალიბდებიან. „აწ უწოდებენ ფშავ-ხევსურეთსა, რომელთა პირველ ეწოდათ ფხოელნი."

ფხოველთა მეზობელი ქისტები ხევსურებს გვიანობამდე „ფხიებს" ეძახოდნენ, ხოლო ფშაველებს „შუებს" [1](ფშაველების სოფელი „შუაფხო" უნდა წარმოსდგებოდეს შუების, ე.ი. ფშაველების, ფხოვიდან).

ფხოვთან დაკავშირებული ტოპონიმები გვხვდება ქისტეთშიც: „ფხიჭოუ" — ფხოველთა ჭალა, ნასოფლარი „ფხოწეხი" — მითხოს ხეობაში (სოფელი „წიეხი" გვხვდება შუაგულ ხევსურეთშიც).

საიდან წარმოდგება სახელწოდება „ფხოვი", უცნობია. ძირი „ფხ", „ფხუ" თბილს, ცხელს ნიშნავს. თუ გავითვალისწინებთ ძველ ანდრეზს იმის შესახებ, რომ „წინავ ჰევსურეთ თოლ არ მამდინარ, სრუ ზაფხულ ყოფილ", შეიძლება ვთქვათ, რომ ფხოვის სახელწოდება თბილიდან, ზაფხულიდან მოდის.

ფხოვის საზღვრები. ძველი ფხოვი, სავარაუდოა, რომ დღევანდელთან (ფშავ-ხევსურეთი) შედარებით უფრო ვრცელ ტერიტორიებს მოიცავდა. მის შემადგენლობაში უნდა ყოფილიყო მოსაზღვრე ცალკეული თემებიც. ისტორიკოსთა ცნობით, გუდამაყრის ხეობის აღმოსავლეთით, ფხოველთა მთებზე იყო ფსოეთი, რომელსაც აღმოსავლეთით დიდოეთი, ხოლო სამხრეთ-აღ-

მოსავლეთით თოშეთი საზღვრავდა. დღეს დიდოეთი ხევსურეთს უკვე აღარ ესაზღვრება.

„მოქცევაი ქართლისაი“ გვამცნობს, რომ ალექსანდრე მაკედონელმა დასვა მცხეთის მეფედ არიან-ქართლის შვილი აზო და დაუდო საზღვრებად „ჰერეთი, ეგრისწყალი, სომხითი და ცროლის მთა.“ ცროლის მთა ფხოვს შუაზე ჰყოფს. ცროლის მთის იქითა ფხოველნი ფარნავაზს უნდა მოეყვანა მორჩილებაში.

ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, საქართველოს ჩრდილოეთი საზღვარი „...ჯარიახის ხეობამდე, ცოტა უფრო სამხრეთით ვრცელდებოდა... თუმცა ეს საზღვარი XI-XII ს-ში, საქართველოს ძლიერების ხანაში, ტომობრივი მოსახლეობის საზღვრებს არა ერთხელ გასცილებია.“

სამხრეთით ფხოვის საზღვარი ჟინვალამდე უნდა გაგრძელებულიყო.

ხევსურთა ნათესავ-ფინაპარნი. ხევსურთა ჩაცმულობა, საბრძოლო აღჭურვილობა, დიალექტი, რელიგიისა და ყოფის სხვადასხვა დეტალები მოწმობენ, რომ ისინი ჩამომავლები არიან წინა აზიისა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მკვიდრი უძველესი იბერიული ტომებისა. ქსენოფონტეს მასალებით, იბერია-კოლხეთის მკვიდრნი კვართს ხმარობდნენ და პაჭიჭები ეცვათ. ხევსურული „პერანგი“ თავისი აჭრილობით კვართიდან მოდის. მოსინიკებს კი ტანზე ნაქსოვი პერანგები ემოსათ, რომლებიც მუხლებამდე სწვდებოდათ: „ყველაზე უკეთესად მოსინიკები იყენენ შეიარაღებულნი; თითვეულს ტყავგადაკრული დაწნული ფარი ჰქონოდა გაკეთებული, მერე შუბი... ხოლო თავზე ტყავის ჩაფხუტები ეხურათ.“ ქსენოფონტე განსაკუთრებით აღნიშნავს ტაოხების მშვენიერ ტალავარ-აღჭურვილობასა და მამაცობას. იგი წერს, თუ როგორ დახარბდა ერთი ბერძენი მეომარი ტაოხის ლამაზ ტანისამოსს ღა მისი ხელში ჩაგდება განიზრახა, მაგრამ ტაოხი გაექცა, უფსკრულში გადაეშვა და ბერძენიც თან გადაიყოლა. (ტოპონიმი „ტაოხი“ გვხვდება ხევსურეთშიც).

ზემოთ ნახსენები „ტყავგადაკრული დაწნული ფარი“, ანუ რკინის გირგვლიანი ტყავგადაკრული მრგვალი, შავი ფარი, რომელიც დღესაც აოცებს მკვლევრებს თავისი არქაულობით, უცვლელად შემოინახეს ხევსურებმა. დღემდეა ჯვრებში დაცული ფორმა უძველესი საომარი შუბებისა — ჯვრის შუბ-დროშათა სახით, რომელთაც თავზე ჯერ ვაშლი, შემდეგ ბუნი ან ჯვარი აქვს გაკეთებული. ხოლო ტაოხის ლამაზი ტალავარი დღევანდელი ხევსურის ტალავრის წინასახე უნდა იყვეს, დღესაც რომ აოცებს მნახველს თავისი მშვენიერებით და გამოფენილია უცხოეთის მუზეუმებსა თუ კერძო კოლექციებში.

ვ. შკლოვსკი წერს რა ქართველ მთიელებზე, აღნიშნავს: ხევსურები „ბრტყელ ჩაჩქნებს იხურავდნენ, რომელსაც ჩვენთან, რუსეთში, უძველეს

დროიდან იერიხონებს ეძახდნენ — საქართველოს უძველესი სახელწოდებიდან — ივერიიდან მომდინარე სიტყვას."

ხევსურთა უახლოეს წინაპრად უნდა მივიჩნიოთ იბერიული და მესხური ტომები.

ხევსურებმა დღემდე შეინარჩუნეს ხანმეტი და ჴარმეტი კილო, რაც იბერთათვის ყოფილა დამახასიათებელი, ქართთა ჰაემეტობისაგან განსხვავებით. ხანმეტი წინ უსწრებდა ჰაემეტს. ხანმეტი კილო იდევნება VIII-IX ს-დან, მას შემდეგ, რაც დაეცა „იბერთა ბატონობა" და უპირატესობა ქართებმა მოიპოვეს.

„ნინოს ცხოვრების" ავტორი მიანიშნებს აღმოსავლეთ კავკასიელ მთიელთა და ტაო-კლარჯეთის მკვიდრთა ურთიერთობაზე. იგი წერს, რომ ჯავახეთში არაგველი მწყემსები იდგნენ.

ისტორიიდან ცნობილია, რომ ძნელბედობის ჟამს ჰერ-კახთა, მესხთა, ტაოელთა, თორელ-არტან-კოლაელთა სახიზარსა და თავშესაფარს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი წარმოადგენდა.

ხევსურთა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მკვიდრთა ნათესაობაზე მიუთითებს ი. გოგებაშვილიც: „შავშელები ლაპარაკობენ წმინდა ქართულ ენაზედ და გამოთქმით ძლიერ ემსგავსებიან ხევსურებს."

თუშებს, მოხევეებსა და ხევსურებს ერთი წინაპარი უნდა ჰყოლოდათ.

ხთიშვილნი და დევ-კერპნი. ძველი ანდრეზებით ფშავ-ხევსურეთის დღევანდელ მოსახლეობას საარსებო მიწა ხთიშვილებმა (ნახორცივლარმა გმირებმა) მოუპოვეს დევ-კერპთა წინააღმდეგ ბრძოლაში. აქ უნდა იგულისხმებოდეს ორი განსხვავებული ტრადიციისა და სარწმუნოების მატარებელ მოსახლეობას შორის ბრძოლა. სხვადასხვა ღვთაებათა საყმონი ერთმანეთს ებრძვიან. მთქმელებმა დროთა განმავლობაში ეს ბრძოლები კეთილ და ბოროტ ძალთა, ხთიშვილთა და დევ-კერპთა შორის ბრძოლებად ასახეს, თუმცა თავად ხთიშვილნიც დევური ნიშნების მატარებელნი არიან.

დევ-კერპნი — მჭედლობის მესაიდუმლე გვარები (კერპებისა და რკინის საომარი თუ სამეურნეო იარაღის მჭედელნი, რომელნიც თავად ამ იარაღით ნაკლებ სარგებლობენ), მარცხდებიან და იდევნებიან ფხოვიდან. (ჩანს, მათ განდევნაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქრისტიანულმა იდეოლოგიამაც).

გამარჯვებული ხთიშვილნი თანდათან ძლიერდებიან და ითვისებენ დამარცხებულის მამულებსა და ყმებს.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში საურმაგის მიერ ჩამოსახლებულ კავკასიანებსა და ადგილობრივ მკვიდრთა შორის შინაომები იმთავითვე უნდა დაწყებულიყო. (ბრძოლები იქნებოდა საქართველოს ბარიდან მთებში შემოხიზნულთა და ადგილობრივ მკვიდრთა შორისაც.) თ. ოჩიაურის აზრით,

„ხთიშვილთა“ და „დევ-კერპთა“ ბრძოლა-ურთიერთობაში, როდესაც ეს უკანასკნელნი ფშავ-ხევსურეთის მიწა-წყლიდან იდევნებიან ან მათი ასიმილაცია ხდება, უნდა იგულისხმებოდეს ბრძოლები ჩამოსახლებულ კავკასიანებსა (ბაცურ-ნახური ტომები) და ადგილობრივ მკვიდრებს შორის. „დევ-კერპთა სახელს ამოფარებული უნდა იყვნენ სწორედ ის ჩრდილო-კავკასიელთა ტომები, რომელნიც დროის გარკვეულ მონაკვეთში ცხოვრობდნენ ჩვენს მხარეში ქართველ მთიელებთან ერთად.“ (თ. ოჩიაური)

ხევსურეთის აღმოჩენა XIX საუკუნეში

XIX საუკუნის პირველივე წლებიდანვე, რაც ბაგრატიონთა მეფობა გაუქმდა და საქართველომ სახელმწიფოებრიობა დაკარგა, ხევსურეთი დავიწყებულ-მიტოვებული იქნა და იზოლაცაში მოექცა. ამ დროს ხევსურეთში შემთხვევით თუ საგანგებოდ მოხვედრილი უცხოელი თვითმხილველნი, რომელთაც არ იცოდნენ ფხოველთა წარსული, გაოცებულნი რჩებოდნენ ხევსურთა ყოფით, მათი „სარწმუნოებით“, ტრადიციებით და წარმოსახავდნენ მათ ველურ, წარმართ ტომად, რომლისათვისაც უცხო იყო ყოველივე ამქვეყნიური და მთის მეტი არაფერი ენახათ, რომელშიც უცვლელად შემორჩენილიყო უძველეს ხალხთა ყოფის ნაშთები. ამ ცნობებმა დიდი ინტერესი გამოიწვია არა მხოლოდ უცხოელთა, არამედ თვით ქართული საზოგადოებისაც და დაიძრნენ ხევსურეთისკენ პოლიციის რაზმების თანხლებით. რუსეთის სხვადასხვა გამოცემებში ჩნდება ტყუილ-მართალი მასალები ხევსურეთის შესახებ. თავად ხევსურნი ფრთხილობენ, ეჭვით უყურებენ მათ სამყოფელში მოსულ მოხელეებს და სდუმან მათ შეკითხვებზე. მოსულები ცდილობენ საკულტო სამლოცველოებში შელწევას და გაედინება ხევსურეთიდან თასგანძი და ჯაჭვ-იარაღი.

ა. ზისერმანი, გაკვირვებული ხევსურთა ჯვრიანი ტალავარ-აღჭურვილობითა და რაინდული ტრადიციებით, ცდილობს ხევსურები ევროპელ ჯვაროსნებს დაუკავშიროს. იგივეს გამოთქვამს ალ. დიუმაც ხევსურული ფარის დანახვისას.

მეორე გერმანელი მკვლევარი მ. ტილკე, ხევსურულ ტალავარზე დაკვირვებით, ხევსურთა ინდო-ევროპელებთან კავშირს მიიჩნევს.

ა. გრენი იტყვის: „დუშეთის მაზრის მთიან ნაწილში ბედის განჩინებით შემოინახა იბერიული ტომების ყველაზე წმინდა ნაშთი.“

მოგვიანებით, ხევსურთა სულში ღრმად ჩახედული, ხევსურთა ყოფითა და შორეული საუკუნეებიდან მომდინარე მათი განსწავლულობით გაოგნებული

გრ. რობაქიძე იტყვის: „...საითგან? ვეკითხებოდი ჩემს თავს. ჩემი რწმენა, რომ ხევსურები დანაშთია რომელიღაც კულტურისანი ხალხისა, აქ თვალნათლივ მტკიცდება, სხვა ახსნა შეუძლებელი იყო.“

ხევსური — „ხევის ურია“. ზოგნი ხევსურებს ქართლში ებრაელთა შემოსვლის დროს, მათ ერთ-ერთ მთაში დასახლებულ შტოდაც კი თვლიდნენ. იაკობ მანსვეტაშვილი წერს, რომ ხევსურთა „ებრაელობა“ ვაჟა-ფშაველას მამის, ხევსურეთში მოღვაწე პავლე ძღვდლის შეთხზული ანდრეზი ყოფილა.

ანდრეზი ხევსურეთის დაარსების შესახებ. „**გუდანი** „წარსულ საუკუნეთა ბურუსში, როცა მხოლოდ ლეგენდებსა და ნაკლებ სანდო ადამიანურ მეხსიერებას თუ შემოუნახავს გარდასული საქმენი და მოვლენები, ძნელია მიაკვლიო მიდიელ მეფეთა მოდგმის დასაბამს.“ (ჰეროდოტე)

ძველი ანდრეზებით, „ხევსურეთის“ დასახლების უპირველეს კერად სოფელი გუდანი მიიჩნევა. „თავდაპირველ ხევსურულ გვარებს ჯინჭარაული, არაბული და გოგოჭური წარმოადგენდა“, დანარჩენი გვარები კი შედგებიან სხვადასხვა წარმოშობის მთიელებისაგანო.

შეუძლებელია, რომ გუდანის დაარსების დროს ან იმაზე უწინ, ფხოვის ტერიტორიაზე სხვა გვარები არ მდგარიყვნენ. შესაძლოა, რომ ფხოვში რომელიღაც სხვა გვარების მომძლავრებისას შევიწროვებული რამდენიმე გვარი გუდანში ერთად იყრის თავს და ძმად შეყრის გზით ერთიანდება გუდანის ჯვარში ან ფხოვის დასუსტების პროცესში, ძლიერდება რა მისი ერთ-ერთი თემი „ხევსურეთი“, ითხზვება ანდრეზი ხევსურეთისა და სამი ძმის შესახებ. (ზოგი ანდრეზით გოგოჭა არაბასა და ჯინჭარას ბიძაა ან საერთოდ არ იხსენიება).

არაბას, ჯინჭარას და გოგოჭას გუდანში დასახლებისას მათი კიდევ ერთი „ძმა“, აფშოელი გელდაური, ლიქოკის ხეობაში სახლდება. დაახლოებით XVII ს-მდე ლიქოკის ხეობაში დგანან მაგანძურის მოძმე გვარები. დღევანდელი ლიქოკის ხეობის მკვიდრნი, ბასხაჯაურისა და ვაჩიაურის გარდა, აქ მოგვიანებით დასახლებულან, ნაწილი — „გელდიაურის საქალოზე“ (ზედსიძედ). „ჰევსურებ პირველში ვყოფილორთ ლიქოკშია და გუდან, მემრ ზეისტეჩოში გადასულან“. (სანათისძეთ ბაჭყურას ანდრეზი, ჩაუწერია თ. ოჩიაურს).

ლიქოკის, გუდანის და შემდეგ გორშელმის ხეობის მკვიდრნი საფუძველს უყრიან „ხევსურეთის“ ჩამოყალიბებას. აქ იხვეწება და იქმნება დღევანდელი ხევსურეთის ყოფისა და ტრადიციების მახასიათებელი ნიშნები, როგორიცაა ტალავარ-ჩაცმულობა, ნაჭრელა, აღჭურვილობა, სახუცო ტექსტები, კაცის კაცობის მუხლები, ადათობრივი სამართალი, უქმეები და დღეობები.

სახელწოდება „ხევსურეთი“. ეს სახელწოდება ხევთან არის დაკავშირებული. ხევები გორთა გაერთიანების შედეგად იქცნენ მთლიან ხევად, ისტორიულ-გეოგრაფიულ ერთულად.

ქართული ბოლოსართი „ური“ თვისებას, წარმომავლობას აღნიშნავს და პირველად XI-XIII ს-ის დოკუმენტებში გვხვდება. მაგრამ „ხევსური“ და „ური“ მანამდე უკვე იყო; „საური“? „ხევის საური“? „ერი“ (თავისუფალი ხალხი) — „ხევის ერი“?

რატომ არ მოიხსენიება „ხევსურეთი“ ძველ წყაროებში. თუ რატომ არ მოიხსენიებიან ხევსურები და, არა მარტო ხევსურები, ფხოვის სხვა თემებიც, ამჟამინდელი სახელწოდებით ძველ წყაროებში, ფხოვის შემადგენლობაში თვით „ხევსურთა“ უმნიშვნელო რაოდენობითა და მათი მიწა-წყლის სიმცირით უნდა აიხსნას. „ჩევსურებ პირველში ეყოფილორთ ლიქოკშია და გუდან, მემრ ზეისტეჩოში გადასულან.“ (იმ დროის ლიქოკში მდგარი მოსახლეობიდან „ხევსურებად“ არ იგულისხმებიან ბასსავჯურები და სხვა ნახურ-ბაცბური გვარები).

ჩანს, რომ „ხევსურები“ არ წარმოადგენდნენ ცალკე ტერიტორიულად გამიჯნულ თემს, ისინი შიგადაშიგ სხვადასხვა წარმომავლობის გვარებთან ერთად მდგარან და ხშირად სამოსახლო ადგილებსაც იცვლიდნენ გუდანის ჯვრის გაძლიერებასთან ერთად.

ხევსურეთი და ხევსურები. „ვიწრო გაგებით ხევსურეთი არის მხოლოდ ის სოფლები და მიწა-წყალი, რომელიც მდებარეობს კავკასიონის მთავარი ქედის გადმოლმა ხევსურეთის არაგვის აუზში, რომელიც ერთვის არაგვს ორწყალში.“ (აკ. შანიძე)

„ხევსურები მხოლოდ პირაქეთ ნაწილს, არაგვის ხეობაში მოქცეულ მთებს (ბაცალიგო, ბარისახო) უწოდებენ ხევსურეთს.“ (ს. მაკალათია)

„პირაქეთელი ხევსურები თავიანთ თავს თვლიან ნამდვილ ხევსურებად და მიწა-წყალსაც ბუდე ხევსურეთს უწოდებენ.“ (ბ. ჯორბენაძე)

დღევანდელი ხევსურეთისა და ხევსურების ამგვარად წარმოსახვა არ არის სწორი და იგი ჯერ კიდევ ძველი ფხოვის არსებობის დროიდან უნდა მოდიოდეს. ხევსურეთი აერთიანებს კავკასიონის სხვადასხვა კალთებზე მდებარე ორ ძირითად თემს — პირაქეთს და პირიქითს. პირიქითა ხევსურეთი გეოგრაფიული მდებარეობის გამო კიდევ ორ თემად იყოფა. ესენია არხოტი და მთასიქით-მიღმახევი.

საფაბანძურის ხევსურნი. „ხევსურეთისა“ და ცენტრალური გუდანის ჯვრის — „სახმთოს“ ძლიერების გარანტს წარმოადგენდა სამი რიცხვმრავალი გვარი: ჯინჭარაული, არაბული და გოგოჭური, რომელთაც მეორენაირად „გუდანის ჯვრის მაგანძურნი“ („სამაგანძურო“) ეწოდებოდა. ძველად სამაგანძურო უფრო რიცხვმრავალი გვარებისაგან შედგებოდა და ერთიანად მათ „საათაბაკურო“ ეწოდებოდა. რომელიღაც პერიოდში ხევსურულ გვარებს

შორის მტრობა ჩამოვარდნილა და არაბასა და ჯინჭარას შთამომავლებს გუ-
დანის ჯვრის ძალით დაუმარცხებიათ მოწინააღმდეგენი.

სამაგანძუროში შედიოდნენ ფიცხელაური, ლაშქარაული, ყურაული, მა-
რიემული, ქიჩბარაული. გელდიაური, პოხილაური, გორელაური, ბაბკიაური,
ხიმშირაული, ციხელაური, ვეშაგური, წივილაური... შესაძლოა კოვკოზა-
ურიც, რომელიც ყველაზე დიდ წინააღმდეგობას უწევს გუდანის ჯვარს.

სამაგანძუროს ძმად შეყრილი გვარები იყვნენ ბისოელ-ხახმატელი ქე-
თელაურები და ალუდაურები (საგოგოჭურო), ღულელი ქისტაურები (საჯინ-
ჭარაულო), მუცოელი დაიაურები (საჯინჭარაულო), არდოტელი მურღუჯები
(საჯინჭარაულო), ხახაბოელი ხოსიაურები, ხახიაურები და შინდიკაურები
(საგოგოჭურო).

საათაბაკური. გადმოცემით გუდანის ჯვრის ყმა მაგანძურებს უძველეს
დროს საათაბაკურო (საათაბაგურო) ეწოდებოდა. ზოგი ანდრეზით ათაბაკური
არაბას, ჯინჭარას და გოგოჭას მამა იყო, ზოგი გადმოცემით კი იგი მომდინა-
რეობს ბაკურიდან ან ათაბაგიდან. ფარნავაზიანთა სამეფო სახლში და შემდ-
გომ ხშირია მეფეთა სახელი „ბაკურ". ცნობილია ისიც, რომ მთიანეთს ერთ-
ხანს განაგებდნენ „შვილნი ბაკურისნი". რომელიმე ბაკური ან ათაბაგი
ხევსურთა მართვისას უნდა დაყრდნობოდა გუდანის ჯვარს და მის ყმებს, რის
გამოც მოხდა გუდანის ჯვრის შემდგომი აღზევება და მის მიერ ფხოვში
სხვადასხვა მეამბოხე გვარების (მაგ., კოვკოზაურებისა და ბადრიაულების)
ძლიერების შესუსტება, შემდგომ კი მათი სრული ასიმილაცია თუ აყრა.

მაგანძურთა მოძმე გვარები. ხევსურეთის სხვადასხვა თემში სხვადასხვა
ჯვრის ყმა გვარებთან ერთად იდგნენ მაგანძურთა მოძმე გვარები, უმთავრესად
კი ლიქოკის ხეობაში, რომელთა გვარები ნაკლებად ახსოვთ და საცხოვრებელი
ადგილის მიხედვით მოიხსენიებენ (ბაციონი, კვათიონი, ჭეტკოელი,
ბორტვიონი...). ამათ შორის იყვნენ ფიცხელაური, გელდიაური, მარიემული,
პოხილაური... მაგრამ აქ მოგვიანებით (XVI-XVII სს), დასახლდნენ რა
სამაგანძუროს ხევსურთა მიერ ბარისახოდან აყრილი ჭმალას ჯვრის ყმა
სისვაურები, რომელთაც კავშირი შეკრეს კარატის ჯვრის ყმა რიცხვმრავალ
ბახიჯაურებთან, შეავიწროვეს ლიქოკში მდგარი მაგანძურები და აჰყარეს —
„კარატის ჯვარმა გაათავა." ნაწილი კარატის ჯვრის ყმებს ძმად შეეყარა.

სამაგანძუროს ძმად შეყრილნი იყვნენ ღულელი ქისტაურები, რომელნიც
მაგანძურებს ოსერსეველი ბადრიაულების დამარცხებაში დაეხმარნენ. ღუ-
ლელნი საჯინჭარაულოში შედიან და მათი ადგილები აქვთ დაკავებული. ისინი
აქ ამოწყვეტილი ან გადახვეწილი მოსახლეობის ადგილზე უნდა დამკ-
ვიდრებულიყვნენ. ძველად ღულიდან თუშეთში გადასული მოსახლეობა თა-
ვიანთ წინაპრებად ჯინჭარაულებს მიიჩნევს.

გუდანის ჯვრის სამაგანძუროსთან ძმად შეყრილი გვარები იყვნენ მიღმახევის მკვიდრნიც, რომელნიც XX ს-ის დამდეგამდე ჯინჭარაულისა და გოგოჭურის გვარს ატარებდნენ, მაგრამ შემდეგ კვლავ აღუდგენიათ თავიანთ თავდაპირველი გვარები.

ხევსურული გვარები. ხევსურეთის სოფლები და მოსახლეობა იყოფა ამა თუ იმ ჯვრის საყმოებად. ჯვრის საყმოები იყოფა თემებად, თემები — გვარებად, გვარები — მამიშვილობებად (უფრო დაზუსტებით, გვარები იყოფოდა „ძირად", „საძმოდ" და „მამად"). არიან რიცხვმრავალი (ძლიერი) და მცირე გვარები. ძლიერი გვარის სიმრავლის მიზეზი ხშირ შემთხვევაში არის არა მათი საერთო წარმომავლობა, არამედ ის, რომ დროთა განმავლობაში ერთ, რომელიმე სხვებთან შედარებით, ძლიერ გვარს ძმად შეჰყრიან სხვა მცირე გვარები. ერთ გვარში შეიძლება შედიოდეს სხვადასხვა წარმომავლობის მამიშვილობანი, რომელთაც ერთმანეთთან დღევანდელი გვარისა და ჯვრის გარდა არავითარი ნათესაობა არ აკავშირებდეს. მაგ., ერთი სოფლის არცთუ ისე დიდი გვარი ალუდური აერთიანებს სხვადასხვა წარმომავლობის მამიშვილობებს: მშაველანი — წარმოშობით „ფშავლები", ბაჩიქვაურნი — წარმოშობით „თუშები", გამღივარაულნი, რომელთა ძველი გვარი „გილაური" ყოფილა და ა.შ. ასე, რომ ერთ გვარად გაერთიანებული ზოგიერთი მამიშვილობა ძველად დამოუკიდებელი გვარი იყო და მხოლოდ შემდეგ მოხდა მათ მიერ საერთო გვარის მიღება. მაგ., დღეს წიკლაურის გვარს ატარებენ სხვადასხვა წარმომავლობის თურმანაულნი, ჭოლიკაურნი, ბაჭალაურნი, ლომნიურისძენი და ა.შ.

მონათესავე გვარები და მამიშვილობანი განსახლებულნი იყვნენ ერთ, ზოგჯერ მეზობელ და ტერიტორიულად ერთმანეთთან ძლიერ დაშორებულ სოფლებშიც. მაგ., მარაისძეთა მამიშვილობა (არაბულები) ცხოვრობდნენ სოფ. ზეისტეჩოს, სოფ. დათვისსა და სოფ. ჯუთაში.

ხევსურების ერთმანეთთან სისხლით ნათესაურ ურთიერთობას განაპირობებს მხოლოდ მამიშვილობა, რომელიც წარმოადგენს საეროო წარმომავლობის გენეალოგიურ გვარს. მამიშვილობათა გაყრა-განცალკევება დამოუკიდებელ მამიშვილობად შეიძლება მოხდეს სისხლის აღრევის, მტერთან ურთიერთდგომის, სისხლით ნათესაობის ძლიერ დაშორების, მოკვეთის და ა.შ. შემთხვევაში. შვიდ მამამდე (თაობამდე) სავალდებულოა მათი ერთად დგომა. „შვიდ მამიდგე გვარ გაიყრების."

ჯიშიანი და უჯიშო გვარები. ხევსურები სოციალურად თანასწორნი იყვნენ. მათ შორის არსებობდა მხოლოდ პირობითი დაყოფა ჯიშიან და უჯიშო გვარებად (მამიშვილობებად). ჯიშიან გვარს (მამიშვილობას) წარმოად-

გენდა ის მხარე, რომელთა წარმომადგენელნიც, როგორც კაცნი, ასევე ქალნი, ძველი დროიდანვე გამოირჩეოდნენ ფიზიკური სიჯანსაღით, სახელიანობით, სიტყვა-პასუხით, სიდარბაისლითა და ტრადიციების შენახვით. („ჩამომავლობა (ჯიში) ძალიან ას. გინდ ბეჩავ კაც იყვას, მაინც მახჭელავს თავის ჩამომავლობის სიტყვას.“).

უჯიშო გვარებად (მამიშვილობებად) ითვლებოდნენ ისინი, რომელთაც შთამომავლობით მოსდევდა ტან-გვამის რამე დაავადება, იყვნენ მემთვრალენი, უპატიურნი როგორც საქმით, ასე სიტყვა-პასუხითა და ქცევით. თუმცა ამ მამიშვილობაშიც შეიძლება ყოფილიყო სახელიანი და წარმოსაჩენი წარმომადგენელი, მაგრამ, როგორც ხევსურნი იტყოდნენ, ბოლოს მას მაინც „ჯიში მოხრავდა“.

არიან გვარები, რომელთაც „ქალის ჯიში მოუდის“. ე.ი.კარგი, მეოჯახე ქალები ჰყავს. ამ გვარის წარმომადგენელი კაცები კი უსახელოები არიან.

ჯიშიანი გვარები ჯიშიან გვარებს უმოყვრდებოდნენ. თავის მხრივ უჯიშო გვარიც ცდილობდა ჯიშიანი გვარის ქალი მოეყვანა, რათა შთამომავალი დედულებს დაჰფერებოდა და ჯიში რამდენადმე შეეცვალა. ასეთ შემთხვევაში ქალის წამყვანისაგან მის ცოლეულებს ეძლეოდა „საგვარმეტო“ საკლავი.

ხევსურთა თქმით, ჯიში და უჯიშობა მოდიოდა წინაპრებიდან და ჯვარიდან: „უჯიშოობა მაუდიოდ გვარ-ძვალითა და ჯვარით.“

როგორ გაძლიერდა გუდანის ჯვარი. ფხოვის რამდენიმე გვარი ერთიანდება გუდანის ჯვრის დროშის ქვეშ. ითხზვება ლეგენდა სამი დიდი გვარის (არაბული, ჯინჭარაული, გოგოჭური) ძმობის შესახებ, რომელთაც ძმად შეეყრებიან სხვადასხვა წარმომავლობის მცირე გვარებიც და წინ აღუდგებიან განსხვავებული ჩვეულებების მატარებელ მეზობლებს (კივკოზაურებს, ბადრიაულებს, ქიჩბარაულებს...), ნელ-ნელა ავიწროვებენ მათ და იკავებენ მათ ადგილებს.

გუდანის ჯვრის გაძლიერებას ხელი შეუწყო ფხოვში ქრისტიანობის გავრცელებამ და ფხოველთა დიდი ნაწილის ადგილიდან აყრამ. ცნობილია, რომ მარტო თუშეთში ხახმატისა და კარატის ჯვრების უამრავი საყმო გადავიდა. ეს გვარები კი გუდანის ჯვრის სამაგანძუროში არ შედიოდნენ.

გუდანის ჯვრის გაძლიერებას ხელი შეუწყო სამეფო ხელისუფლებამაც. „გუდანის ჯვარის მოძმე“ ბაგრატიონებს ერთი ჯვრის დროშის ქვეშ გაერთიანებული ხევსურები (რაც ადრე ჯერ კიდევ იბერიის მეფეებმა გააკეთეს) უფრო სჭირდებოდა, ვიდრე ცალკეულ საღროშოებად დაშლილი ერთმანეთის მოქიშპე თემები.

ხევსურეთის თემები. ხევსურეთი ხეობების, გვარებისა და სოფლების მიხედვით დაყოფილია თემებად. თითოეულ თემს, შემდეგ სოფელს და გვარს

ჰყავს თავისი სათემო, სასოფლო და საგვარეულო ჯვრები. თითოეულ თემს, სოფელს, კომლს და საკუთრივ ჯვარს აქვს ოდითგანვე თავისი სამან-სამძღვრით დადგენილი მთა, ბარი, ტყე, გზა და წყალ-ჭალა.

თემსა თუ სოფელს ერთპიროვნული მმართველი არასოდეს ჰყოლია. ურთიერთშორის ყველა სადავო საკითხი წყდებოდა კოლექტიური თავშეყრის დროს (უფრო ჯვარში) და გადამწყვეტი სიტყვა ეძლეოდა იმ დროისათვის თემში სხვებისაგან თავისი ცოდნითა და გამოცდილებით გამორჩეულ კაცებს, რომელთაც თავად მოდავე მხარეები ამოირჩევდნენ როგორც თავისი თემიდან, ასევე მოიწვევდნენ სხვა თემებიდანაც.

მხოლოდ გვარს, მამიშვილობას შინაური საქმეების მოსაგვარებლად, მრჩევლად და მტერ-მოყვარესთან ურთიერთობის დასარეგულირებლად ჰყავდა უფროსი. ძველ დროს ასეთ პიროვნებას ბავშვობიდანვე საგანგებოდ ამზადებდნენ და უფრთხილდებოდნენ.

ხევსურეთის ერთ-ერთი ყველაზე დიდი გვარი არაბული შიგნით კიდეკ ოთხ დამოუკიდებელ თემად (ძირად) არის დაყოფილი (რკინაული, ველგუჯაური, ბიჩინაგური, ჩუჩაყეური), რაც სხვა გვარებში არ გვხვდება. ეს დაყოფა არის არა ტერიტორიული ნიშნით, არამედ ჯვარმსახურებისა და წარმომავლობის ნიშნით.

ერთპიროვნული მსახური ჰყავს მხოლოდ ჯვარს და ასეთი პიროვნება ერთდროულად შეიძლება რამდენიმე კაციც იყოს. ჯვრის სამსახურში ჩადგომა (ხევისბერ-დეკანოზობა, ქადაგობა) ჯვრის ნებით ხდება და არა არჩევით, ზოგჯერ შთამომავლობითაც გადადის.

ხევსურეთის თემები და მათი მკვიდრნი ერთმანეთისაგან რამდენადმე განსხვავდებიან ბუნებრივი პირობებით, შინაგანი ხასიათით, ჯვარ-ხთიშვილთა ბუნებით, სახუცო ტექსტებით, ჩვეულებებით, აღჭურვილობითა და ნაჭრელა-ორნამენტით.

გორშელმა. გორშელმის ხეობა მდინარე არაგვის სათავეში მდებარეობს და უმთავრესად წარმოადგენს ბუდე ხევსურეთს, საიდანაც მოხდა ხევსურთა შემდგომი განსახლებანი. გადმოცემით, გორშელმის ხეობის სოფლებში გუდანიდან გაყრის შემდეგ დასახლებულან არაბულები და გოგოჭურების ნაწილი, რომელთაც დროთა განმავლობაში ადგილიდან აუყრიათ აქ მდგარი გვარები (კიკაზურები, წივილაურები, ვეშაგურები, გურგენაულები, გირაულები...), ნაწილი გვარებისა კი არაბულებს ძმად შეჰყრია (ციხელაური, გორელაური, როსტომაული, ხოშურაული...). გორშელმის ხეობის სათავეში მდგარა ქერაულთა და ზაიელთა ძლიერი გვარები, რომელთაც ჰყავდა მენადირე-მეკოპრეთა მფარველი და წულის მიმცემი ღვთაება — „სანება ცროლის წვერისა" (სოფ. ჯადუ).

გორშელმის ხეობის ცენტრალური სოფლები იყო ზეისტეჩო (არაბულთა თავდაპირველი საცხოვრისი, აერთიანებდა ხუთ სოფელს) და ბაცალიგო. სოფ. ზეისტეჩოში მდებარეობს გუდანის ჯვრის მოძმე „სახმთოს“ ჯვარი. სოფ. ბაცალიგოში მდებარეობს ფხოველთა ერთ-ერთი უმთავრესი სალოცავი, მჭედლობის ღვთაება „პირქუში“, რომელიც დღეს ველგუჯაურთა საოჯახო სალოცავს წარმოადგენს. სოფ. ატაბეში მდებარეობს ღვთაება „კვირაეს“ (კვირიას) უმთავრესი სალოცავი. სოფ. აყრელში, „მუხათკარს“, არის გუდანის ჯვრის თავდაპირველი საბრძანისი.

გორშელმის ხეობაში შევდივართ ჭარჭოს, ბეგენგორისა და სანეს უღელტეხილის ბილიკებით. გორშელმიდან კავკასიონის მთავარ ქედზე გადადის ბილიკები არხოტსა და მთასიქითში.

საარაგვო. „საარაგვოს“ უწოდებენ ხევსურეთის არაგვის აუზის ტერიტორიებს ორწყლიდან ოხერხევამდე და მასში მოიაზრებენ ცალკეულ დამოუკიდებელ თემებს: „საგალმოს“ (მოწმაო, გველეთი, დათვისი), ლიქოკს და ბარისახოს, ჩირდილ-ბუჩუკურთა-უკანახოსა და ოხერხევს. ამათგან ლიქოკი უფრო ცალკე დგას.

საარაგვოზე ძველად სხვა გვარები მდგარან (ცაბაურ-გოგოჭურნი, ბუჩუკურნი, ხიმშირაულნი, გიგაურნი, სისვაურნი, წიკლაურ-ბექაურნი, ბადრიაულნი...), რომელნიც ჯერ ზურაბ არაგვის ერისთავს, შემდეგ კი სამაგანძუროს ხევსურებს აუყრიათ ადგილიდან და მათი სოფლები გუდან-გორშელმის ხეობიდან წამოსულ ჯინჭარაულებს, არაბულებს და გოგოჭურებს დაუკავებიათ.

სოფელ ბარისახოს ბოლოში, გუდელას, მდგარა არაგველთა უძველესი სალოცავი „ჭმალა“ და ხეობის ჩამკეტი ციხე-კოშკები, რომელთა ძლიერებაც არაგვის ერისთავების შემოსეკებისა და ძველი გვარების აყრისას დაცემულა.

სოფელ უკანახოში მდებარეობს ფხოველთა უძველესი სალოცავი „ფუძის ანგელოზი“, ხოლო სოფელ ჩირდილის მთაში, საჩალის წვერზე არის მითრას კულტის სალოცავი — „პირიმზე“, ანუ გიორგი ოქროსმშვილდიანი, რომელსაც ძველად თურმე „კოჭუკულმართი“ ყმანი ცხენებს სწირავდნენ მსხვერპლად.

ლიქოკი. ლიქოკის თემი ლიქოკის წყლის ხეობაში მდებარეობს, რომელიც ბარისახოსთან უერთდება არაგვს. ლიქოკის ხეობა იწყება შურისციხის ახალაღმოჩენილი ძველი სამაროვნითა — და ლიქოკის ჭალით, რომელსაც ძველად „სალაშქრო ჭალა“ რქმევია.

ლიქოკის ხეობაში ძველ დროს „მაგანძურთა მოძმე“ გვარები, „თათარი“ ბასხაჯაურები და ბაცბური გვარები მდგარან, რომელთა დიდი ნაწილი ქრისტიანობის გავრცელების ხანებში თუშეთს გადასულან, ნაწილი კი ადგილიდან აყრილა ან მეზობლებს ამოუხოცავთ („ჯვარს გაუთავებიან“). დღე-

ვანდელი ლიქოკის მკვიდრი „ქისტაური წარმოშობის“ სისვაურები (სისაურები) ერთხანს ბარისახოში მდგარან და ხმალას ჯვარს ეყმობოდნენ. ბარისახოში მაგანძურთაგან შეკვიწროვებული სისვაურების ერთი შტო ძმობილ ბასხაჯაურთან გადადის ლიქოკში და კარატის ჯვრის ყმა ხდება. სისვაურებმა და ბასხაჯაურებმა თავის მხრივ ლიქოკიდან აჰყარეს მაგანძურები და სხვა გვარები, მათი ადგილები კი თავად დაიკავეს.

ლიქოკის თემში მდებარეობს ფხოველთა ერთ-ერთი უმთავრესი სალოცავი, დევ-კერპთა მმუსვრელი, კოპალა -კარატის ჯვარი, სადაც აკუშელნი და უძილაურთელი ფშავლები ერთობლივ დღეობას — „ციხეგორობას“ მართავენ.

ლიქოკშივე მდებარეობს წყალ-ჭალის ყარაული შუბნურის ჯვარი, რომელიც გველეშაპის სახით გვევლინება. იგი იმ დროიდან უნდა მოდიოდეს, როდესაც გველეშაპი წყლის ღვთაება იყო. მოგვიანებით იგი დევმა შეცვალა, ბოლოს კი ორივენი ბოროტ ძალებად იქცნენ.

ლიქოკის თემში შედის მეზობელ ხეობაში მდებარე სოფელი აკუშო, სადაც ადრე სამხარაულები და სერაულები მდგარან. უფრო ძველად კი აკუშოს „ციხეგორი“ დევ-კერპთა საბრძანებელი ყოფილა. აკუშოს მთაზე, ქუდნისლაზე, შემორჩენილია თხრილიანი საგუშაგო კოშკები, რომლებიც სამხარაულებს ეკუთვნოდა. ქუდნისლადან მოჩანს პირაქეთ ხევსურეთის სტრატეგიული დანიშნულების ყველა გორი და ციხე.

ლიქოკის თემის მკვიდრი, სხვადასხვა წარმოშობის გვარები დღეს ერთ გვარს — „ლიქოკელს“ ატარებს.

ლიქოკის სოფელ აჭედან არის გადასასვლელი სოფელ ხახმატში.

ღულელნი. სოფელი ღული ხევსურეთის ცენტრსა და გზასაყარს წარმოადგენს. იგი საცხოვრებლად ყველაზე ხელსაყრელი ადგილია მთელ ხევსურეთში და საკმაოდ ვრცელი ტერიტორიაც უკავია: ღულის მთა, არაგვის ხეობა და ოხერხევის ნაწილი. გადმოცემით, „ქისტაური წარმომავლობის“ ღულელნი (ქისტაურები) ამანათად მოსულან ქისტეთიდან და დაუკავებიათ ცენტრალური ადგილები სევსურეთსა და ფშავში (სოფ. შუაფხო), რაც, ამანათობის თვალსაზრისით, შეუძლებელია.

ქისტაურნი არიან ფხოველთა ერთ-ერთი უმთავრესი სალოცავის, დევ-კერპთა მმუსვრელის — „იახსრის“ ყმანი. ღულელნი სამაგანძუროს ძმად შეყრილ გვარად ითვლებიან.

წყალსიქითი. წყალსიქითის თემი როშკის წყლის ხეობაში მდებარეობს და სხვადასხვა გვარებით დასახლებულ რამდენიმე სოფელს აერთიანებს. უმთავრესი სოფლებია ქმოსტი, როშკა და ბლო, რომლებიც კიდევ ცალკეული სოფელ-უბნებისგან შედგება.

როშკის გორზე ძველ დროს „დევებს“ სამჭედლოები ჰქონიათ გამარ-თული. როდესაც მაშარიდან მოსულმა ლომნიურისძემ როშკა საკარგყმოში აიღო, იგი უკვე გაუკაცრიელებული და ტყით დაფარული იყო.

„ხევიდან მოსულ“ თურმანაულს დაუარსებია ქმოსტელ-როშკიონთა სა-თემო სალოცავი — დიდგორის ჯვარი.

ძველ დროში როშკაში მდგარან ჩურთაულები, კალაურები, სინდაურ-ები... სხვადასხვა დროს როშკასა და ქმოსტ-ღელისვაკეს მდგარ სხვადასხვა წარმოშობის გვარებს ერთი გვარი მიუღიათ — წიკლაური (როშკივნებს) და ბურდული (ბურდვიაული) ან ველთაური (ქმოსტელ-ღელისვაკივნებს).

სოფელ ღელისვაკესთან ძველ დროს მდებარეობდა ფხოველთა უმთავ-რესი სალოცავი — „ხთისკარი“.

წყალსიქითის თემში შედის მეზობელ სეობაში მდებარე სოფლები — ბლო და ხორნაულთა, რომლებსაც ცალკე სალოცავები აქვს. სოფ. ბლოს უძველესი გვარებიც, რომელნიც „ოთხრქა, ოთხყურა ცხვარს“ სწირავენ მსხვერპლად, რათა აბუდელაურის ტბიდან დატყვევებული იახსარი გამოიხსნან, ადგილიდან აყრილან (წითელაურნი, მაშვნიანნი, ციხელაურნი, კოკიტურისძენი...).

წყალსიქითის ხეობის სათავეში აღმართულა „სინდაურისძის მაღალი“(ჭა-უხების მასივი), რომლის ძირშიც მდებარეობს აბუდელაურის მშვენიერი ტბა.

წყალსიქითის თემის ნაწილი, ოხერხევის ჩათვლით, გუდანის ჯვრის საბეგრო იყო.

ბისოელ-ხახმატელნი და ჭორმეშიონნი. ბისო, ხახმატი და ჭორმეშავი ცალკე თემებს არ წარმოადგენს, მაგრამ განცალკევებული სოფლებია. ძველ დროს ბისო-ხახმატში მდგარან ბუნოელანი, ფილაურნი, ძაღლაურნი, ჭეთე-შაურნი, მჭედლურნი, ბეგთაურნი და ჭავჭავაძენი. ბისო-ხახმატის დღვან-დელ სხვადასხვა წარმომავლობის გვარებს ერთი გვარი — „ქეთელაური“ და „ალუდაური“ მიუღიათ.

ბისოსა და ხახმატს შორის მდებარეობს ფხოველთა უმთავრესი სა-ლოცავი — „გიორგი ნაღვრისპირისა“, ანუ „ნალვარმშვენიერი“, დედათა, მე-საქონლეობის, მიწათმოქმედების ღვთაება, რომელიც ამავე დროს არის „ქა-ჯავეთის გამტეხი“, „დიდი დიდოეთის გამბეგრავი“ და „რჯულიან-ურჯუ-ლოთა სალოცავი“. ხახმატში მდგარა „თამარ შეფის მიერ აგებული“ ეკლესია.

ბისოელ-ხახმატელნი საგოგოჭუროში შედიან და მათ მოძმეებად ითვ-ლებიან ჭორმეშიონნი, რომელთა ბიძაშვილები სოფელ ბუჩუკურთასაც დგანან.

ხახმატიდან დათვის ჯვრის უღელტეხილით სამანქანო გ'ხა მთასიქითის ხეობაში შედის.

მთასიქითი. მთასიქითის ხეობა საკმაოდ დიდია და დათვის ჯვრიდან ან-ატორამდე გრძელდება. მასში შედიან ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი

სოფლები — კისტან-ლებაისკარი, გურო-გიორწმინდა და შატილ-ანატორი. ამ სოფლებში უმთავრესად პირაქეთა ხევსურეთიდან გადასული ჯინჭარაულები და გოგოჭურები ცხოვრობენ. ჯინჭარაულებს სოფელ გუდანიდან კისტანში გადაუტანიათ საგვარეულო სალოცავის „ნაჭარელა“ — ხთიშობლის ჯვრის ნიში. სოფელ შატილის საფეხვნოში კი ამ ჯვრის დასტურს საპატიო სკამი უდგას („კისტან-დასტურის სკამი“).

მთასიქითის სოფლებში შემორჩენილია სიპერდიანი და ქვიანი ციხე-კოშკები.

ციხე-ქალაქ შატილში ჯინჭარაულების მოსვლამდე მდგარან ჯალაბაურები და სისვაურები. ჯალაბაურები შემდეგ ჯინჭარაულებს შეჰყრიან ძმად, სისვაურები კი ჟამიანობის დროს ამომწყდარან. ვინც გადარჩა, ბარში ჩასახლებულან.

შატილი და ანატორი დიდი მნიშვნელობის სტრატეგიული ცენტრი იყო და საქართველოს ჩრდილოეთ საზღვრის კარებს კეტავდა.

შატილთან ახლოს, შვეულ კლდეზე, ქაჯეთის ციხესავით აღმართულან ქაჩუს ციხე-კოშკები. იქ, სადაც შატილისა და მიღმახევის წყლები ერთდება, „მკვდართა ქალაქი“ — აკლდამებია, რომელთა ისტორიაც ჟამიანობას უკავშირდება.

ანატორიდან არღუნის ხეობით შევდივართ ჩეჩნეთში.

მიღმახევი. მიღმახევი მთასიქითის მეზობლად, მდინარე არღუნის (მიღმახევის წყლის) ხეობაში მდებარეობს. მიღმახევის სოფლებს არ ახასიათებს პირაქეთისთვის დამახასიათებელი ტერასულ-კალოიანი არქიტექტურა. ისინი უმეტესად კლდოვან-კოშკოვანია. ამათგან გამოირჩევა ციხე-ქალაქები — მუცო და არდოტი, რომელთა გაშენებასა და გამაგრებას თორღვა ძაგანისძეს მიაწერენ. მასვე ჩაუსახლებია აქ დიდოური და ნახური გვარები — მურღუვები, დაიაურები.

ანდაქ-არჭილოელი ზვიადაურები გიგაურთა გვარის განაყრებად ითვლებიან და აქ დათვის-გველეთიდან მოსულან.

ხახაბოელნი საგოგოჭუროში შედიოდნენ და ფშაველ გოგოჭურებთან ერთად ლაშარის ჯვრის ყმანი იყვნენ.

სოფელ არდოტის თავზე შემორჩენილია მცირე ზომის გუმბათოვანი ეკლესიის ნაშთი.

არდოტის და ანდაქ-არჭილოს ტერიტორიების ნაწილი გუდანის ჯვრის საბეგრო იყო.

ძველად მიღმახევის მოსახლეობის ნაწილი, რომელნიც გუდანის ჯვრის სამაგანძუროში იყვნენ ძმად შეყრილნი, ატარებდა გვარს — ჯინჭარაულს. თუმცა, მოგვიანებით, კვლავ თავდაპირველი გვარები აღუდგენიათ.

მიღმახევიდან არის გადასასვლელები ჩეჩნეთში, თუშეთსა და ფშავში.

არხოტი. არხოტი კავკასიონის ჩრდილოეთით, მდინარე ასას ხეობაში მდებარეობს და ჩრდილოეთ საზღვრის ერთ-ერთ კარს კეტავს, საიდანაც მას ინგუშეთი ესაზღვრება.

არხოტის თემის უმთავრესი სალოცავია სოფ. ახიელის მიქიელ მთავარანგელოზის ჯვარი.

არხოტი პირაქეთ საქართველოს მხოლოდ უღელტეხილებზე არსებული საცალფეხო ბილიკებით უკავშირდება და დედასამშობლოს მოწყვეტილი არის.

დღეს არხოტში სამი სოფელია შემორჩენილი. დანარჩენი სოფლები ადრევე აყრილა და გაუკაცრიელებულა. არხოტის უძველესი გვარებიდან „თათარი" ჯაბუშანურები და ჭოლიკაურები შემორჩენილან. ოჩიაურებისა და ცისკარაულების წინაპარი ჯურჯიაული „ხევიდან მოსულა". დანარჩენი გვარები (წიკლაური, თეთრაული, ბალიაური, გიგაური) კი პირაქეთ ხევსურეთიდან გადასულან.

არხოტში შემორჩენილა ნაშთი უძველესი ციხე-სოფლის — ორბეულთის, რომელიც სტრატეგიული ცენტრი უნდა ყოფილიყო და იქ მდგარი ორბელთ გვარის წარმომადგენლები აკონტროლებდნენ არხოტის მხარეს.

ბაკურხევი. ფხიტუს უღელტეხილის იქით, გუდამაყარში, ბაკურხევის ხეობის სათავეში, მდებარეობს ორი ხევსურული სოფელი — გორული და საკერპო. ძველად ბაკურხევის ამ სოფლებში „კერპების მჭედელი" დევები მდგარან, რომელნიც უკანახოს ფუძის ანგელოზის ჯვარს ამოუხოცავს: „ეგენი ჩემს ყმებს გზას არ აძლევენო." შემდეგ ეს ადგილი დაუკავებიათ „ოსებს", რომლებიც ბაცალიგოდან გადასულ ფიცხელაურებს გაუყრიათ და თავად დამდგარან.

ბაკურხევიდან არის გადასასვლელი ხევში.

ჯუთა და ართხმო. როშკიდან საძელის უღელტეხილით ისტორიულ ხევში გადავდივართ. აქ, სნოს ხეობაში, ყოფილი სამთრეხლოს ტერიტორიაზე ორი ხევსურული სოფელი — ჯუთა და ართხმო მდებარეობს. (ერთხანს კარკუჩაშიც ხევსურები მდგარან, მაგრამ ღუდუშაურებს აუყრიათ). ეს ადგილები ძველად მთრეხლებისა და დიმიაურების ყოფილა. მთრეხელებს დიმიაურები გაუძევებიათ, მთრეხელები — ღუდუშაურებს. შემდეგ ეს ადგილები არაგვის ერისთავის შემწეობით დაუკავებიათ ზეისტეჩოელ არაბულებს (ბიჩინაგურებს), მოგვიანებით გადასულან წიკლაურებიც.

შრამიერსდამოკიდებულება ხევსურეთის ციხეებს შორის. ხევსურეთის პირაქეთისა და პირიქითის თემთა მკვიდრნი ცხოვრების წესით და ხასიათით რამდენადმე განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან, რასაც საქართველოს ბართან და ჩრდილოეთის ტომებთან მათი მეზობლობა და ურთიერ-

თობა განაპირობებდა. პირიქითის ხევსურებს, როგორც საზღვრის უშუალო მცველებსა და შედარებით პირქუში ბუნების შვილებს, უფრო თავისუფლად და ამაყად მოჰქონდათ თავი. პირაქეთა „ბუდის ხევსურების“ სიდინჯეს დასცინოდნენ კიდეც.

ზამთრის პერიოდში, რომელიც თითქმის ხუთი-ექვსი თვე გრძელდება, არხოტი, მთასიქითი და მილმახევი მთლიანად მოწყვეტილია პირაქეთსა და საქართველოს. ამა თუ იმ თემში რაიმე უბედურება რომ მოხდეს, მხოლოდ გაზაფხულზე, მთები რომ გაიხსნება, მაშინ შეიტყობენ ხევსურნი. „არხვატს ხარის რქაში სძინავს, კარზე არაფერი მოგვადგება — არც სახელმწიფოს ბეგარი, არც თავად-აზნაური, არც ჭირიო,“ — იცოდნენ თურმე არხოტივნებმა თქმა. (ნ. ბალიაური)

„ბუდე ხევსურეთში“ გადმოსული პირიქითელნი მასპინძლებს ქისტებთან ბრძოლა-ურთიერთობებსა და ჯიხვებზე ნადირობის ამბებს უყვებოდნენ. პირაქეთა ხევსურები კი უამბობდნენ ქალაქის, მეფეების, ომების ამბებს. პირიქითელებს აინტერესებდათ აგრეთვე, თუ „ვინ როგორ იშუღლა და ჭრა ერთიმერე, ან როგორ შერიგდნენ. ქადაგი თუ დასვეს რომელიმე ჯვარში და რა ბრძანება გამოვიდა ხთიშვილისაგან.“ ერთმანეთს უამბობდნენ აგრეთვე ცხენმხედრის, ქალის მოტაცება-გარიგების, ლექსობის ამბებს. (ალ. ოჩიაური).

ამ ხევსურთაგან ყველაზე უფრო განსხვავებული ყოფა ჰქონდათ მილმახეველებს და მათი რჯულ-ტრადიციებიც თავისებური იყო, რის გამოც „...სამძახი არ აქვთ. ე.ი. ქალს ვერ თხოულობენ სხვა ხევსურებისაგან, თუ თავისავე ხეობიდან არ შეირთეს. ვინიცობაა მილმახეველებმა ქალი ითხოვეს სხვა ძხარისა, მაშინ ხარი უნდა დაუკლან ქალის პატრონს — „საგვარმეტო“. (ნ. ბალიაური)

ეს განსხვავებანი დღეისთვის უკვე წაშლილია.

როგორ ყალიბდებოდა ხევსურეთი და ფშავი

ისტორიული ფხოვი რომ აერთიანებდა და საერთო სახელწოდება იყო ერთმანეთისაგან განსხვავებული ხევებისა თუ თემებისა, იქიდანაც ჩანს, თუ დავაკვირდებით თამარ მეფის დროს ფხოველთა აჯანყების ჩახშობის შედეგებს, რომლებიც სხვადასხვაგვარად აისახა ფშაველთა და ხევსურთა ყოფასა და გადმოცემებში. სწორედ ეს ამბოხება უნდა ყოფილიყო ძირითადი მიზეზი ფშაველთა და ხევსურთა ერთმანეთისაგან საბოლოო გამიჯვნისა.

ფხოვში ქრისტიანობის გავრცელების ხანიდან, რომლის დროსაც ხდება მოსახლეობის გადაადგილება, ფხოველთა უმთავრესი ღვთაება — ხახმატის ჯვარი სუსტდება და, შესაბამისად, ძლიერდებიან გუდანისა და ლაშარის ჯვრები. ძლიერდებიან და დამოუკიდებელნი ხდებიან მათი საკრებულო-საყმოებიც.

ამავე ხანებიდან იწყება დღევანდელი წინაფშავისა და საარაგვოს მოსახლეობის დაქსაქსვა როგორც კახეთის ბარისაკენ, ასევე ფხოვის მთიანეთისკენ. მათ ადგილს კი იკავებენ უკანაფშავიდან ჩასული გვარები. ასევე წარმოებს გორშელმის ხეობიდან საარაგვოზე ჩასახლებანი.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ დღევანდელი საარაგვოს თემის ნაწილი, რომელიც შემდეგ მაგანძურებმა დაიკავეს, „ფშავლების" ან „გუდამაყრელების" იყო, ხოლო უკანაფშავლების მიერ დაკავებული ჩარგალი, აფშო, კაწალხევი და მაშარა-უბისთავი ფხოვის მთიანეთისკენ წასული „ხევსურების".

ხევსურებსა და ფშავლებს შორის თანდათანობით იცვლება საზოგადოებრივი და ოჯახური ურთიერთობანი, რაც იწვევდა მოსახლეობის თვალსაზრისისა და სულიერი სამყაროს ცვლილებას, რომელიც დაეტყო ადათობრივ წეს-ჩვეულებებს, კილოს, ტალავარს, აღჭურვილობას და ა.შ. ამ შემთხვევაში ხევსურები უფრო ინარჩუნებდნენ ძველს, ახალი კი ბართან დაახლოებული ფშავის გზით შედიოდა. მაგ., „მშაურად მღერა", „მშაური ტალავარი", რომელსაც უკვე ბარული ელფერი დაჰკრავდა.

ფხოველნი ჯვარის მსახურნი. შუა საუკუნეების მატიანეში თითქმის საპირისპირო ცნობებია მოცემული. ერთგან წერია: „ფხოველნი ჯვარის მსახურნი არიან და ქრისტიანობას იჩემებენ"-ო. მეორეგან ნათქვამია, რომ სამეფო კარმა ფხოველნი„მეჯორედ ყენა", ე.ი. ქრისტიანობა მიაღებინაო, ანუ ჯვარის სამსახური ქრისტიანობადაა მიჩნეული.

ჯვარი, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული მთიელებში, ქრისტიანობამდელი ღვთაება-სიმბოლოა და ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ განსაკუთრებული დანიშნულება მიეცა. ფხოვის ვრცელ ტერიტორიაზე „ჯვარი" წმენდს ადგილს დევ-კერპთაგან, "ჯვარი" ადგილიდან ჰყრის „ურწმუნო" გვარებს, ნისლისფერ „ბედის ბედაურზე" ამხედრებული გუდანის ჯვარი წინ მიუძღვება ხევსურთა ლაშქარს და ამარცხებს მტერს. ქართველი მეფენიც წინ წარიმძღვარებდნენ ჯვარს — „ჯვრითა მტრისა მძლეველი მე დავით ვარ უძლეველი", — ამოკვეთილია მეფის ბეჭედზე.

ქრისტიანობის გავრცელების ჟამს ფხოველნი „თემურ-გვაროვნულ ყოფას განიცდიან, ასეთ სოციალურ გარემოში ქრისტიანობა, როგორც ფეოდალური რელიგია, ცხადია, მკვიდრად ფეხს ვერ მოიდგამდა. იძულებით შეტანილსაც, გასაგებია, აქ სათანადოდ უნდა გამოეცვალა ბუნება და ფუნქცია. სწორედ ამიტომ ამბობს ფეოდალური ისტორიკოსი, ქრისტიანობას იჩემებენო, ე.ი. მათ ნამდვილ ქრისტიანებად არ თვლის და [ისიც], თუ როგორი გავრცელება ჰქონდა XX ს. დამდეგსაც ჯვარის ემბლემას ხევსურებს შორის, დავრწმუნდებით, რომ მემატიანის ცნობა მართალია, რომ ჯვარის სამ-

სახური ჯერ კიდევ ქრისტიანობას არ ნიშნავს, რომ აქ მოხდა თავისებური და სასურველი მოცემული საზოგადოებრივი წრის ინტერესებისათვის გამოყენება ამ ემბლემისა... ჯვარი არის სიმბოლო, რომლის საშუალებით ქრისტიანობა ეგუება წინათვე არსებულ რწმენებს, განწყობილებასა და წარმოდგენებს." (ს. ჯანაშია)

ხევსურების ჯვარი და ფშაველების ხატი. ხევსურები თავიანთ სალოცავს „ჯვარს" ეძახიან („ჯვარნი" — ყოველთვის მრავლობით რიცხვში მოიხსენიებიან), ფშაველები კი — „ხატს". მემატიანე ფხოველებზე წერს, „ჯვარის მსახურნი არიან"-ო. მართალია, „ჯვარი" და „ხატი" სინონიმებია, მაგრამ ამ შემთხვევაში „ხატი" უფრო გვიანდელი უნდა იყოს. ხევსურეთში „ჯვარი" წმინდა რელიგიური ტერმინია, ხოლო „ხატი", ანუ „ნახატი" (დახატული), „ხატანი", „ხატულანი", „სამხატა", „ხატის ხატა"... ყოფითია, რომელიც ორნამენტის სახით გვხვდება ტალავარზე, ავეჯზე, ჯამ-ბუნაგზე.

ფხოველთა ზმთაერული სალოცავი. ფხოველებს (საერთოდ კავკასიელ მთიელებს) ჰყავდათ საერთო ღვთაებანი — კოპალა, იახსარი, პირქუში, ჭმალა, პირიმზე, თერგვაული, ბერი ბაადური — რომელნიც შემდგომ სათემო სალოცავებად იქცნენ და ხშირ შემთხვევაში წმიდა გიორგიდ იწოღებიან. ამ ღვთაებებმა (ხთიშვლებმა) გაწმინდეს ფშავ-ხევსურეთის მიწა-წყალი დევკერპებისაგან. გადმოცემით, ეს ღვთაებანი „ნახორციელარი" გმირებია, რომელნიც შემდეგ „გახთიშვილებულან". (ევჰემერისტული შეხედულება, რომ ღვთაებანი რეალური პიროვნებანი იყვნენ).

ძირითადი და ცენტრალური სალოცავი ერთიანი ფხოვისათვის ხახმატის ჯვარი — გიორგი ნაღვრისპირისა (ნაღვარმშვენიერი) იყო, რომელიც არის „ქაჯეთის გამტეხი", „დიდი დიდოეთის გაშბეგრავი", „ჟამ-უჟამოთა მოარული", „ჩდილ-ვაკეთ დამთოკავი",„რჯულიან-ურჯულოთ სალოცავი".

ხახმატის ჯვრის ნიშები გაბნეულია თუშეთში, ფშავში, გუდამაყარში, კახეთში. ხახმატის ჯვრის ნიშები ყოფილა ჩრდილოეთ კავკასიის ტომებში. ძურძუკებისა და დიდოელების შთამომავლები გვიანობამდე დადიოდნენ ამ ჯვარში. ხახმატურის ჯვარიონნი კი ჩრდილოეთ კავკასიაში გადადიოდნენ და დიდი ძალა ჰქონდათ.

გადმოცემით ხახმატში „სამნი ძმანი ესკაისძენი" მდგარან: გიორგი ნაღვრისპირისა, გიორგი ფიცრულისა და გიორგი ბოსლოვანისა. მათ გაუჩენიათ საარსო, საყმო და გაძლიერებულან.

ხახმატის ჯვარი — გიორგი ნაღვრისპირისა (ნაღვარმშვენიერი), რომელიც არის მიწათმოქმედების, მესაქონლეობის, ნაყოფიერების და, ამავე დროს, მოლაშქრე ღვთაება, აერთიანებს მატრიარქატულ, ტოტემურ, ფალოსის, მნათობთა და ა.შ. უძველეს კულტებს (ხელი სამძიმარი, მწევრის საფლავი,

თამარის კოშკი, დობილნი, ციხიანი...). იგი ვრცელი, რელიგიურ-არქიტექტურული კომპლექსია, რომელთა ნაშთებმა მცირედღა მოაღწია. ხახმატურის დობილი „ხელი სამძიმარი" ჩვეულებრივი ჯვარია, რაც ერთადერთი შემთხვევაა ხევსურეთში.

თუ ფხოველნი თავისი ერთიანობისა და ძლიერების ხანაში ლაშქრობებს ხახმატის ჯვრის დროშით აწარმოებენ, ფხოვის დაშლის შემდეგ ლაშქარში გუდანისა და ლაშარის ჯვრის დროშით გადიან.

ხთისკარი. დიდ ხნის წინ სოფელ ღელისვაკესთან მდებარეობდა ფხოველთა კიდევ ერთი უმთავრესი სალოცავი „ხთისკარი", რომელიც თავისი ხასიათითა და დღეობათა ნაირსახეობით სრულიად განსხვავდებოდა ხევსურთა სხვა სალოცავებისაგან. აქ ზაფხულის ერთ-ერთ დღეს თავს იყრიდნენ როგორც ფხოვის ყველა ღვთაებათა საყმო, ისევე თუშები, ქისტები, მოხევეები და მთიულ-გუდამაყრელები დედა-წულიანად თავიანთი ჯვარ-დროშებით. იგი წარმოადგენდა ერთგვარ ოლიმპიურ დღესასწაულს, სადაც ხთიშვილნი და მათი ყმანი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ რელიგიური რიტუალების (ხუცობა-კურთხევანი, ქადაგობა) შესრულებაში (ეს რიტუალი დღემდე შემოინახა ხევსურთა „ღამისთევამ"). სრულდებოდა „ბელღისკრული", „კარატული", „ქორბელელა", „გერგეტულა". იმართებოდა სპორტული შეჯიბრებანი. „ხთისკარზე შავიყარენით ანგელოზები თავნია, გადმოდგეს სასწორ-ჩარექი, კვირავ დაუგი თვალია, ეზიდებიან იმასა, ვინაც რო ძალიანია..." გადმოცემით, ხევსურებს, დევებსა და ქაჯავეთლებს „ხთისკროვა ერთად სცოდნივ". ფხოველთა უძველესი ღვთაებანი გვიანობამდე იმუქრებიან ან თავიანთი ძლიერების დაკარგვას ჩივიან: „მაშინ მქონდა ძალი და შაძლება, როცა კოჭუკულმართნი მემსახურებოდნენ, ახლა სადღა მაქვს ის ძალა, მკლავი მკლავს გამისწორეთ და კისერი — კისერს..." ფხოველთა უძველესი სალოცავის — საჩალეს „პირიმზეს" ყმები ყოფილან „კოჭუკულმართნი", ე.ი. დევ-კერპნი და ქაჯავეთელნი, ანუ წარმართნი, რომელნიც თავიანთ ღვთაებას ცხენებსა და კვიცებს სწირავდნენ მსხვერპლად. კოჭუკულმართთ და გაქრისტიანების გზაზე შემდგარ ფხოველთ უკვე განაცალკევეს თავიანთი სალოცავები. „ხთისკარი" — ეს ერთადერთი ბოლო სალოცავია, სადაც ჯერ კიდევ ერთად იყრიან თავს სხვადასხვა ღვთაებათა საყმონი, როგორც ფხოველნი, ასევე მათი ამიერ და იმიერ მეზობელნიც. სწორედ აქ ხდება ხთიშვილთა და დევებს შორის შეჯიბრი სიმძიმეების აწევაში — ძალოსნობაში, მშვილდოსნობაში, ფარიკაობაში, ცხენთა რბოლაში, ცეკვა-თამაშში, ლექსობა-სიმღერეში, ტალავარ-ჩაცმულობაში, ცოდნიათ საუკეთესო წყვილი ქალ-ვაჟის გამორჩევა, გამარჯვებულთა დაჯილდოება და ა.შ., როგორც მემატიანე წარმართ ქართველებზე იტყვის, ზუსტად იმგვარად: „...სიმღერენი, სახიობანი და როკვანი...და

განცხრომანი"; „ღამისთევა და როკვა ფერჩისისად"; „ნადიმნი და განცხ-
რომანი დიდითა ჭამითა და...სმითა სამს დღეს."

დაახლოებით XVI ს-დან „ხთისკრობა" თანდათან მოიშლება და იგი შეცვლილი სახით გადაინაცვლებს გუდანში — სანეს მთაზე და „ბეღლის-
კარს" (სახმთოს ჯვარში), რომლის გაძლიერებაც დაკავშირებულია სამეფო ხელისუფლებასთან და შედარებით მოქრისტიანებულია. (სწორედ ამის გამო
გუდანის ჯვრის რაღაც ფრთა უკვე „აღარ იჭდენს" ცხენთა რბოლასა და ქა-
ლებთან წოლას და ზეისტეჩოს გადადის, ხოლო პირქუში სახეს იმახინჯებს,
რათა მას მიჯნურმა ქალებმა თავი გაანებონ).

ტერმინი „ხთისკარი" („ღვთისკარი") ტაძარ-სამლოცველოს მნიშვნე-
ლობით მოხსენიებული ყოფილა ურარტუს ეპიგრაფიულ ძეგლებში. ვანის
გათხრების დროს აღმოჩენილ III-I ს-ის სამლოცველო კომპლექსს, რომე-
ლიც ანალოგიურია ხევსურული ჯვრის არქიტექტურული კომპლექსისა,
მკვლევრებმა სწორედ „ხატის კარი" უწოდეს.

მორიგბ. ხევსურთა წარმოდგენით, უზენაესი ღვთაებაა მორიგე, რომე-
ლიც განაგებს და წესრიგს ამყარებს ქვეყანაზე. თავისი ნების ამსრულებ-
ლად მას „დასახული" ჰყავს დიდი და მცირე ძალისა და შეძლების ხთიშვი-
ლები (არა ფიზიკური შვილები), რომელთაც სხვადასხვა საქმე აკისრიათ.
ხთიშვილებს თავის მხრივ ჰყვანან დამხმარე ძალები: დობილნი, ლაშქარ-იასა-
ულნი, მწევარნი... რომელთაგან ზოგი კეთილის მქნელია, ზოგი ბოროტისა.

მორიგე თავად არ ჩანს. მის სახელზე სამლოცველო აღარ შემორჩა. იგი
გუდანის „სახმთოში" (ბერი ბაადური — წმ. გიორგი) არის გაცხადებული,
რომელიც ამბობს: „ჯერ მე დამსახა მორიგემ, ბერი ბუქრაი ბაადური..." თვით
მორიგეს, ხთიშვილებსა და საყმოს შორის შუამავლის როლს ასრულებს
„ღვთის მოკარვე", „ჭმელთ მოურავი" კვირაე.

ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, მორიგე ძველი ქართულით „შაბათი" არის.
ხევსურეთში შვიდი საკრალური რიცხვია. დიდია შაბათის ძალა. შვიდი თა-
ობის შემდეგ გვარი იყრება. საინტერესოა „მეშაბათეობის" ტრადიცია, „შა-
ბათის რიგი" და ა.შ.

ᲙᲕᲘᲠᲐᲔ. მორიგეს შემდეგ ძლიერებით მეორე ადგილზე დგას „კვირაე"
(კვირა), რომელსაც „მორიგეს გვერდით უდგას კარავი". იგი არის შუამავალი
და შემწე ხთიშვილებსა და უზენაეს ღმერთს შორის. ხთიშვილთა და დევ-
კერპთა ბრძოლა-პაექრობის დროს კვირაეს ხთიშვილთა მხარე უჭირავს და
ფარულად ეხმარება, თუმცა მისი „დაქრთამვაც" შეიძლება. (კვირა — ბერძ.
„უფალი". ძვ. ქართულად — მზის დღე).

ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲓᲔᲓᲐ, ᲐᲜᲣ ᲮᲗᲘᲨᲘᲑᲔᲚᲘ. მორიგესა და კვირაეს შემდეგ მე-
სამე ადგილზე დგას ხთიშობელი, ანუ ადგილის დედა. ხთიშობელში ხევსუ-

რები გულისხმობენ არა მარიამ ღვთისმშობელს, არამედ უზენაესი ღვთაებ-ის, ქვეყნიერების დედას. ადგილის დედა — ხთიშობელი, რომელიც ხევსურეთის ყველა სოფელს საკუთარი ჰყავს, ხალხის წარმოდგენით სხვადასხვა სახეს ატარებს. ზოგან იგი მამრობითი სქესის მატარებელია, ზოგან ხარის, ზოგან გველის ან რაიმე არსების „აღითაა". ადგილის დედას ჰყვანან „დო-ბილნი" (ასევე სხვადასხვა სახის), რომელთაც ცალკე კოშკები უდგას და ცალკე სამსახურს მოითხოვენ.

ფხოველთა შიდა მიგრაციების დროს, ხშირ შემთხვევაში ხევსურთა ახა-ლი განსახლების ადგილებში, ადგილის დედა — ხთიშობელი ახლიდან იჩენს თავს „წინა კაცთა" ნადგომში ან მათ ნაცხვარ-ნაკერპავში. ჯინჭარაულთა გვარის უმთავრესი სალოცავი „ნაჭარელა" ადგილის დედა — ხთიშობლის სახელით მოიხსენიება. თუმცა სოფელ ლებაისკარში ნაჭარელა და ადგილის დედა დამოუკიდებელი სალოცავებია.

წმინდა გიორგი. ხევსურთა თემ-სოფლების უმთავრეს სალოცავად და ღვთაებად წმინდა გიორგი უნდა მივიჩნიოთ, რადგანაც თვით პირიმზე, სახძ-თო — ბერი ბაადური, კოპალა შუბნურის ჯვარი და ა.შ. წმ. გიორგიდ მო-იხსენიებიან. ამ ხთიშვილთა ქრისტიანი წმინდანის სახელთან დაკავშირება მოგვიანებით უნდა მომხდარიყო, რომელშიც მნათობთა (უფრო მთვარის) და მითრას კულტიც მოიაზრებოდა. ხევსურული ხთიშვილნი, რომელნიც წმ. გი-ორგიდ იხსენიებიან, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულნი არიან და სხვადასხვა დანიშნულებაც აქვთ. (ატარებენ სხვადასხვა სახეს — ცხენის, ირმის, გველეშაპის, მშვილდოსნის... ერთი ლაშქრობა- მეკოპრობას განაგებს, მეორე — ამინდს, მესამე — მიწათმოქმედებას, მეოთხე — მავნე ძალებს ებრძვის...)

ხევსურთა ზიგიერთი რელიგიური წარმოდგენები. ხევსურთა წარ-მოდგენით სამყარო დაყოფილი იყო სამ ნაწილად — ზესკნელი, შუასკნელი და ქვესკნელი. რომელიც არსებობდა თავიანთი ღვთაებებით, სულებით და საყმოებით. სიმბოლურად სამ სკნელს სამი ფერით აღნიშნავდნენ — შავი (იგივე ლურჯი), თეთრი (იგივე ყვითელი) და წითელი. ეს ფერები იყო სუდარაზე, დროშაზე, ტალავარზე, ფლას-ფარდაგზე.

ქვესკნელის მკვიდრნი „მიწრიელნი" და „ქვეცრიელნი" — დევ-კერპნი, მეჯალაფენი, უფერნო, ურწყნი, მარხვანი, მაძახურა... ზოგჯერ „ზეპირ გა-მოდიოდნენ" და აზარალებდნენ „სამზეოს" მკვიდრთ.

შუასკნელი, ანუ „სამზეო", მოკვდავთა და მათი ღვთაებების სამყოფი იყო. „საიქიო", ანუ ზესკნელი, ერთი და განუყოფელი იყო (იქ არ იყო ქრისტი-ანული სამოთხე და ჯოჯოხეთი). „საიქიოს" სულეთის ღმერთი განაგებდა და მისი გავლენა რამდენადმე „სამზეოზეც" ვრცელდებოდა, რომლის ნებასურ-ვილს „მწერელნი" ასრულებდნენ.

ადამიანი დაიბადებოდა თუ არა, მისი ბედი მაშინვე „დაიწერებოდა“. („უმწერლოდ არცრა არ იქნების“, — ამბობდნენ ხევსურნი). როცა ადამიანს დაწერილი ვადა გაუვიდოდა, „მწერელნი“ სულეთის ღმერთს შეატყობინებდნენ, რომლის დავალებითაც „მეგვამენი“ ახალ სულს საიქიოში უწონად გვამს „აუშენებდნენ“ (გამოუძერწავდნენ). სულეთის ღმერთი სულის შესახვედრად გამოაგზავნიდა „მგებრთ“, რომელსაც ახალ სულს ჯერ დედულებთან, შემდეგ სხვა ნათესავებთან მოატარებდნენ, ბოლოს თავის ანდაბში დაბინავებდნენ. ანდაბის უფროსი მისთვის სულეთის ღმერთისგან კუთვნილ ულუფასა და სამყოფს გამოითხოვდა.

ხდებოდა ისეც, რომ ზოგჯერ „დაწერილი“ იკარგებოდა და „მწერალთაც“ აღარ ახსოვდათ, რა დაწერეს. ამ შემთხვევაში მომაკვდავი „მკვდრებში გაერთვოდა“ — მიცვალებულთა სულებს ესაუბრებოდა ან დროებით იმყოფებოდა საიქიოში. ზოგჯერ მომაკვდავს მფარველი სული ან თავისი სალოცავი იხსნიდა და საიქიოში მისთვის აგებულ გვამს დაანგრევდა.

იყო კიდევ ღვთაება თუ სული, რომელიც განაგებდა ადამიანის წინათგრძნობას, მიანიშნებდა მომავალს. იგი სიზმრის, მოლანდების, რაიმე ხილვის საშუალებით ხდებოდა. ამ ღვთაებას ხევსურნი „საოცრის მყენეს“ უწოდებდნენ.

ხევსურთა წარმოდგენით თავისი მფარველი სული და „პატრონი“ ჰყავდა საკრალურ საგნებს, ჯვარ-დროშას, განძს, ქვაბ-საკიდელს, კერას, თავხეს, მიწას, ხეს და ა.შ.

დევ-კერპთა წინააღმდეგ მებრძოლი ხთიშვილნი. ერთხანს დევკერპნი აღზევდნენ, ძალი უყვეს ხთიშვილთა და მათ საყმოებს. მორიგემ დევკერპთაგან მოსახლეობის გასათავისუფლებლად და წესრიგის დასამყარებლად საომრად აღჭურვა ხთიშვილთა ნაწილი. უბოძა მათ ბედის ბედაური, ცეცხლის ფესვიანი მათრახი, ლახტი, ლახვარი, ნავთის წყალი, ფარი და მახვილი. ესენი არიან: კოპალა, იახსარი, პირქუში. გადმოცემით ეს ხთიშვილნი „ნახორციელარი“ ღვთაებანი არიან. დევ-კერპთა წინააღმდეგ ბრძოლაში მათ ეხმარებიან ჭმალა, ფუძის ანგელოზი, შუბნური, რომელიც გველეშაპის აღით არის, ბერი ბაადური, თერგვაული და ა.შ. თვით ეს ხთიშვილნიც რამდენადმე დევური ნიშნების მატარებელნი არიან.

კოპალა. უმთავრესი საბრძანისი ლიქოკის ხეობაში, კარატის მთაზე მდებარეობს. ღვთაების ძირითადი ფუნქციაა დევ-კერპთა ალაგმვა, ველზედ მოკლულის, ზვავით ან წყლით მომკვდარის, თვითმკვლელობით გარდაცვლილის სულის ეშმა-მაცილისა და უფრისაგან გამოხსნაა. ამავე ჯვარში ხდება ფსიქიკურად დაავადებული პიროვნების „დაკოჭვა“. ტახტის ყმანი არიან ბასხაურები.

ახსარი. კოპალას მოძმე, დეკთა ნატყვევარი. უმთავრესი საბრძანისი სოფელ შუაფხოშია. ტახტის ყმანი არიან ქისტაურები.

პირქუში. აქვს სხვა ტაბუირებული სახელიც. მჭედელი. იგი ხთიშვილებსა და ყმებს უჭედავს საბრძოლო და სამეურნეო იარაღებს, ვერცხლის თასებსა და სამკაულებს. მის მიერ გაჭედილი თასები შენახულია ჯვარში. „ცეცხლის ალიანი". უმთავრესი საბრძანისი სოფელ ბაცალიგოშია.

ბერი ბაადური (სახმთო). მოიხსენიება წმ. გიორგიდაც. ხევსურთა უმთავრესი მოლაშქრე ღვთაება. მდებარეობს სოფელ გუდანში. ტახტის ყმანი ჯინჭარაულები.

პირიმზე. ციდან სინათლის სვეტად ჩამოსული. მითრას კულტის უძველესი სალოცავი. მოიხსენიება გიორგი ოქროსმშვილდიანის სახელით. განაგებს დარ-ავდარსა და ცა-ღრუბელს. უმთავრესი საბრძანისი სოფელ ჩირდილში, საჩალის მთაზე.

ფუძის ანგელოზი. პირიმზეს მოდე (ღობილი). მდებარეობს სოფელ უკანახოში. ფუძის ანგელოზსა და პირიმზეს ლოცულობენ გუდამაყრელნი და ფშავლებიც.

ნაჯარელა. ჯინჭარაულთა სათემო სალოცავი. ძირითადი საბრძანისი სოფელი გუდანი.

თეთრი მთის ქორი თერგყაული. ეს უძველესი ღვთაება პირიქითა ხევსურეთში, ლებაისკარის მთაზე მდებარეობს და კისტნელ-შატილიონნიც ლოცულობენ, მიაბარებენ ბავშვებს. დათვის ჯვარზე ასული მლოცველები მასაც უხდიდნენ ქუდს და მსხვერპლს სწირავდნენ.

გიორგი ნალვარმშვენიერი (ნალვრისპირისა). ნაყოფიერების, მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების ღვთაება. ძველად მოლაშქრე ღვთაებაც ყოფილა. მდებარეობს სოფელ ხახმატში.

ხელი სამძიმარი. გიორგი ნალვარმშვენიერის მიერ ქაჯავეთიდან მოყვანილი ხთიშვილთა ტოლი ძალისა და შეძლების მქონე დობილი. მდებარეობს სოფელ ხახმატში.

სომხის გიორგი. „სომხეთიდან მოყვანილი" ჯვარი. მდებარეობს სოფელ არდოტში და აქ სრულდება ხევსურეთში სრულიად განსხვავებული დღეობა „დატიობა".

მთავარანგელოზი. ეს ღვთაება, ისევე როგორც გიორგი და ადგილის დედა, სხვადასხვა სახეს ატარებს. აღსანიშნავია, რომ მთავარანგელოზისა და გუდანის ჯვრის ყმანი გვიანობამდე ერთმანეთს მტრობდნენ და ზოგიერთ სოფელში ერთმანეთზე ძალმომრეობის გამო ადგილიდან აყრილან კიდეც.

ცროლის სანება. წულის მომცემი და მონადირე-მეკოპრეთა ღვთაება. მდებარეობს ჭადუს და კალოთანელთა სალოცავიც არის.

ამათ გარდა არის კიდევ სხვა ჯვრებიც: პეტრე ნაღვრისპირისა (სოფ. ხიტალე), ნაბაკური (სოფ. დათვისი), უნჯის ანგელოზი (სოფ. ღელე), ღევთ დედა (სოფ. როშკა), ბრო — კარისმეზობელი (სოფ. ჭიმღა) და ა.შ.

„ჯვართ ენა“. ქადაგ-მკითხავები და მესულთანენი ნაძახინარებში (საკრალური ტექსტები, რომლებიც მითოლოგიურ-მაგიურ პოეზიას მიეკუთვნება) წარმოთქვამდნენ წინადადებებს ან ტერმინებს, რომლებიც ყოველდღიურ მეტყველებასა და ყოფაში არ გამოიყენებოდა. ჯვარი „თავის ენაზე“ ამეტყველებდა ექსტაზში შესულ ქურუმებს, რომელნიც ღვთაებათა ნებას გამოცანებით გადასცემდნენ საყმოს.

ამ ტერმინებიდან ზოგი ძველი ქართულის ნაშთებია, რომლებიც სალაპარაკო მეტყველებაში აღარ იხმარება, ზოგი კი ჩრდილოელი მეზობლებიდანაა გადმოღებული.

ხევსურთა უქმეები. ხევსურთა, განსაკუთრებით პირაქეთა მხარის, ყოფა გამოირჩევა უქმე დღეების სიმრავლით და ნაირგვარობით. გარდა შაბათ-კვირისა, გაზაფხულიდან შემოდგომამდე, მიუხედავად იმისა, რომ ისედაც ბევრი საქმე აქვთ, დათქვამენ უქმედ კიდევ ორ დღეს — ორშაბათს და პარასკევს. გადმოცემით ეს დღეები „მეფე ერეკლეს დაუწესებია“ ხევსურთათვის. ამ უქმე დღეების გარდა ტრადიციულად უქმობენ კიდევ ყველა საჯვარო (რელიგიურ) დღეობას, ფერისცვალს, კუმეტს, დიდმარხვისა და ათენგენობის წინა და მომდევნო ორშაბათს, ურწყის ორშაბათსა და ოთხშაბათს, გრძელ უქმს (ფერისცვალების მომდევნო სამშაბათს), რომლებიც „ჭელუძრავ“ (მძიმე) უქმეებად ითვლება. ამ უქმე დღეების გარდა ტრადიციულად კიდევ მოდის „თაგვთ უქმი“, „ჩიტთ უქმი“, „მგელთ უქმი“, „კირკილთ უქმი“, ქარ-სეტყვისა და ნიაღვრის უქმეები, რათა ნადირ-ფრინველმა, მწერმა, ქვეწარმავალმა და სტიქიამ მოსახლეობა არ აზარალოს. ამ უქმეების გამო პირიქითა ხევსურნი დასცინოდნენ კიდეც პირაქეთელებს.

უქმეებში იკრძალება ნებისმიერი სამუშაოს შესრულება, ხელსაქმე, განსაკუთრებით მჭრელი იარაღის ხმარება და მიწის სამუშაოები.

უქმეები არის მძიმე, ანუ „ჭელუძრავი“ და მსუბუქი, რომლის დროსაც იციან „მუშათ შეყრა“ (ნადი). (მუშათ საქმის დღეებში ვერ შეყრიან, რადგანაც ყველას თავისი სამუშაო აქვს, უქმე დღეებში კი თავისუფალნი არიან). ოლონდ ამ დროს ღვთაება კვირაეს მსხვერპლს (თხას) შესწირავენ ან რიტუალურ ლუდს დაამზადებენ, რასაც „უქმის სანათლავი“ ჰქვიან.

იმდენად დიდი შიში და რიდი აქვთ „უქმის შერევისა“, რომ მოსახლეობა საგანგებოდ ჯვარში ან ოჯახში კვირაეს საგანგებო მსხვერპლს სწირავს, რომელსაც „სახთო-საკვირაო“ ჰქვია.

უქმე დღეების სიმრავლე ხევსურეთში იმის გამოც იყო დამკვიდრებული, რომ ბუნებითა და პროფესიით მეომარი ხალხი მძიმე შრომით არ გადაღლილიყო და მუდამ საბრძოლო მზადყოფნაში ყოფილიყო.

ბუნება ხევსურეთისა

„ხევსურები კავკასიის მთებში ცხოვრობენ, სამყაროს სხვენზე, სადაც მზე ადრე ამოანათებს, ადამიანები კი გვიან ქრებიან.“ (ნ. კინჩევი)

ძველი ანდრეზებით ნადირ-ფრინველთა ბუდე, ხევსურეთის ტერიტორია უღრანი ტყით ყოფილა დაფარული და მისი გაახოება-დასახლება თანდათანობით მომხდარა. „წინავ თოლ არ მამდინარ, ზამთრის პირთ ცოტაად მთან შაჭროლდიანაოდ, ეეგიავ თოლივ, – თქვიანავ.“ „ბანზე ცოცხით გადმოსაწმენდი თოვლი რომ დაედო, იტყოდნენ – მძიმე ზამთარიაო.“ „წინწინ თოლ რო მასულ ნაჭალის წვერისად გაუბამ...“

ეს ანდრეზი ვაჟა-ფშაველასაც დაუწერია: ხევსური „ზამთარს... არ უწუხებია, გამუდმებული ზაფხული ყოფილა.“ მაგრამ „ზამთრის მგზავნელი „მხრიანი“ – სულღუმი (თამარ დედოფალს კოლოფში რომ ჰყავდა დამწყვდეული) გაჰფრენია და დედაკაცის ნატყვევარი ძალიან განრისხებული ყოფილა... მზე გაუბრუნებია, აუცივებია, აუტეხნია ქარები, ღრუბლები გადმოუსხამ და მთა-ბარი თოვლით გადულესია.“ (ვაჟა-ფშაველა)

„ჭევსურეთულ ხთიშვილთ ქაჯუეთ რო ულაშქრავ, თოლის ფიფქნ მაშინ მაისტის ხატს გადმაუყოლებიან ვადით ვადამდე...“

გეოგრაფიული მასალებით III–IV ს.ს. ხდება კავკასიონის გამყინვარების „არხიზული შესვენება“, რის დროსაც კავკასიონის მყინვარები, თანამედროვესთან შედარებით, ძალზე შემცირებული იყო და ლანდშაფტური სარტყლები მთიან რაიონებში 100–300 მეტრით მაღლა აწეულა. XIV ს-დან შეინიშნება საგრძნობი აცივება. მყინვარები კვლავ დაბლა მოიწევენ და შესაბამისად ისპობა მცენარეული საფარი, ნადირ-ფრინველი. XIX ს-ის მეორე ნახევრიდან აცივებას კვლავ დათბობა ცვლის და ტყის საფარიც თანდათანობით მაღლა მიიწევს.

ხევსურეთის სხვადასხვა ხეობა და, აქედან გამომდინარე, თვით თემებიც საგრძნობლად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ბუნებრივი გარემოს მრავალფეროვნება განსაზღვრავს ხევსურთა ყოფის, ხასიათის, ტალავარზე ფერთა გამის, ნაჭრელას, სამშენებლო ხელოვნების სხვადასხვაობას. არაგვის ხეობა შედარებით ტენიანია, ვიდრე აღრუნისა და ასას ხეობები. განსხვავებულია მათი ტყის საფარიც. „პირაქეთ ხევსურეთის ჰავა უფრო რბილია, ტყე უფრო მეტია

და ფოთლოვანი, მთები ნაკლებ კლდოვანი, ნაკლებ თოვლ-ყინულით დაფარული.“ (თ. ოჩიაური). პირიქითა ხევსურეთის კლიმატი უფრო მკაცრია და ბუნება კლდოვანი.

არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება: პირაქეთ ხევსურეთში შემოდგომაზე რომ თოვლი მოვა, გაზაფხულის ბოლომდე აღარ შრება. პირიქით ხევსურეთში კი რაც გინდა დიდი თოვლი მოვიდეს, ორ-სამ დღეში ქარი ხევ-ხუვებში გაფანტავს და შრება, რაც ცხვარ-საქონლის გამოკვებვის კარგ შესაძლებლობას იძლევა.

1780 წელს დავით რექტორს უმოგზაურია ფშავ-ხევსურეთში და წერს: „დიდად შეუვალი და საჭირო გზა ყოფილა კაცთათვის სავალად. მომაგონდება იგი სიტყვა, რომელი ჰსწერს კუნტოს კურციოს ალექსანდრე დიდის ცხოვრებასა შინა ალექსანდრე მაკედონელისათვის: ვ-დ შევდიოდით ჩრდილოეთ კერძო კლდეთა ფრიად იწროთა და მიუალთა კაცთაგან და დავიფარვოდით ნაპრალთა და დანახეთქთა კლდისათა და მოგვეგებოდიან კაცნი ფრიად ველურ ქმნილნი.“

„ნეტა არის სადმე სხვა ისეთი ღვთისა და კაცის მიერ დავიწყებული მხარე, როგორც ხევსურეთი?... ეს ღადე-ღუდე, ხრიოკ-ხრიაკი, კლდე-ჭიუხიანი ქვეყანა...“ (ვაჟა-ფშაველა).

„იშვიათია ისეთი მთა სამოსახლო, როგორც ხევსურეთია. თუშეთს, ხევს, სვანეთსაც კი აქვს ვაკე ადგილები გაშლილი ქედების ძირში ან ხეობების გასწვრივ, მხოლოდ ეს კუთხე გაუწირავთ ღმერთებს ციცაბო ფერდობებისა და ბასრი ჭიუხების ანაბარად.“ (გ. რჩეულიშვილი)

„ვიწრო ხეობებს, ერთმანეთზე მიჯრით მიწყობილ მთებს, თუ ცოტა მაღლა არ ააღწიე, ცისა და გარშემორტყმული მთების ნაკვეთის მეტს ვერას იხილავ, ვერც სოფელს სადმე მიადგები ხეობიდან თუ მაღლა არ ახვალ... ზოგი სოფელი ისეთ ციცაბო ალმართის თავზე მოთავსებულა, მიუჩვეველი სულს ძლივს აიტანს.“ (თ. ოჩაური)

„ხევსური ფრიად ღარიბია... ხევსურეთი ხმელი, ხრიოკი ადგილია... დათესილი ქერი ჯერ ჯეჯილშივე ჩაირეცხება ღვარებისაგან და თუნდაც მოვიდეს, სეტყვას მაინც ვერ... გადაურჩება.“ (ვაჟა-ფშაველა)

ამის გამო არის, რომ ხევსურნი დღემდე ლოცულობენ და მსხვერპლს სწირავენ მიწათმოქმედებისა და ნაყოფიერების ღვთაებებს, სტიქიისა და ნადირ-ფრინველთათვის, ქვეწარმავალთა და მწერთათვის დაწესებული აქვთ უქმეები – „ჯნულა“, „მეღვარეობა“, „ქარის უქმი“, „თაგვთ უქმი“, „მგელთ უქმი“, „ჩიტთ უქმი“, „კირკილთ უქმი“...

კარტოფილის, კომბოსტოს, სიმინდის... მოყვანა ხევსურებმა მხოლოდ XIX-XX ს-დან დაიწყეს. მეფის არმიაში „ნასალდათარ“ ხევსურს შინელის

ჯიბით მოუტანია წიწიბურას თესლი, რომლისთვისაც „კრუმა“ დაურქმევია, ალბათ, „კრუპა“-დან მომდინარე.

ხევსურებს „სხვა ჩვენს მთიელებზე უფრო გასაჭირი ადგილები ამოურჩევიათ საცხოვრებლად... და საქართველოს დამცველი წრე შეუდგენიათ... უგზოობისა და დიდის გრძელის ზამთრების გამო ისინი თითქმის მოწყვეტილნი არიან მთელს ქვეყნიერებას.“ (ალ. ყაზბეგი)

„ხევსურეთს გარშემორტყმული აქვს მუდამ ყინულოვანი მთები, სადაც არც გზა არის, არც კვალი... ცამდის აღმართულან კლდეები, თითქოს ცულით იყვნენ ჩამოჭრილნი და მათზედ რძესავით ჩანჩქერნი გადმოქანებულან... ჩინებულია ზაფხულში ხევსურეთი, მაგრამ ისიც წარმოიდგინეთ, ზამთარი რა უნდა იყოს.

ადრე შემოდგომიდან გვიან გაზაფხულამდე ხევსურეთი თეთრად გადალესილია და ყოველის მხრით ხალხს გზა შეკრული აქვს... არც მიმსვლელ-მომსვლელია, არც მგზავრი! წამდაუწუმ მოდის ძირს თოვლის ზვავები.“ (ალ. ყაზბეგი)

„ათასგვარ სიბეჩავესთან ერთად ჩვენს მხარეს გზის უქონლობა აწუხებდა. უგზოობა იყო მთიელი ხალხის ბევრგვარი ზარალისა და სილარიბის მიზეზი. მწირნიადაგიან ქვეყანას ხშირად ესტუმრებოდა ხოლმე შიმშილი. ფშავლებსა და ხევსურებს ცხოვრება არ შეეძლოთ თბილისის, კახეთისა და ორჯონიკიძის (კავკავის) დამოუკიდებლად, საიდანაც ცხენების საშუალებით, ვიწრო ბილიკებით ისინი საზრდოს, პურს ეზიდებოდნენ. საცალფეხო ბილიკები არ აძლევდნენ აქაურ გლეხებს საშუალებას ბაზარს დაკავშირებოდნენ. ეს ბილიკები კიდევ იმით იყო საზარალო, რომ პურისათვის წასულებს ცხენები უცვივდებოდათ კლდეზე, რომელთაც ხშირად ადამიანებიც მიჰყვებოდნენ ხოლმე თან.“ (გ. თურმანაული)

სახლ-კარი ხევსურისა. ხევსურთა საცხოვრებლები, სახნავ-სათესი სავარგულების უკმარისობის გამო, ძნელად მისადგომ, კლდოვან ადგილებში გაშენებული კოშკურ-ქვითკირული იყო, რასაც თავდაცვითი მნიშვნელობაც ჰქონდა.

ხევსურის მიერ საცხოვრებლად ადგილის შერჩევას განსაზღვრავდა ჯვარი და ქადაგ-მკითხავი. ცალკეულ საბრძოლო კოშკებსა და ქავ-ციხეებს (გალავნიან კოშკებს) უფრო ძლიერი გვარები აშენებდნენ. ხშირად კოშკების ქვეშ „დარანიც“ იყო დატანებული, რომელიც წყაროს უკავშირდებოდა და სამალავსაც წარმოადგენდა. კოშკები ძირითადად სიპერდიანი (პირამიდულსახურავიანი) იყო. კოშკის საძირკველში სიმტკიცის ნიშნად იცოდნენ მუხის კუნძის ან რკინის ნაჭრის ჩატანება. ცოდნიათ ხელოვნური დამცავ-ზღუდიანი (ფლისკინა, ანუ ბირქი) თხრილიანი კოშკების მშენებლობაც (სამხარაულების კოშკები ქუდნისლაზე).

XVII ს-დან, ფშავ-ხევსურეთში არაგვის ერისთავთა ლაშქრობების შემდეგ, კოშკური კულტურა დაქვეითებას განიცდის და იცვლება ქვითკირული და ტერასულ-კალოიანი სახლებით.

ქვის მშრალი წყობით შენდებოდა ხევსურული სახლი, რომელშიც შიგა ტიხრები გამოწნული და თიხით შელესილი იყო. შიგნიდან ქვის კედლებსაც თიხაში აზელილი ჩალითა და თხის ბალნით ლესავდნენ.

პირველი სართულის შესასვლელი წარმოადგენდა „ქარიპანს", სადაც ზაფხულობით საქონელს აბამდნენ. აქვე ალაგებდნენ ქურთს. ქარიპანიდან ჯერ საძროხეში (სახოზდაგე; სახვასტაგე) იყო შესასვლელი, შემდეგ „ნაწვლის კარით" ოჯახის ძირითად სამყოფო ოთახში იყო გასასვლელი. მაგრამ ამ შესასვლელ-გასასვლელით მხოლოდ ქალები სარგებლობდნენ. მამაკაცები მეორე სართულიდან, ჭერხოდან ჩადგმული კიბით ჩადიოდნენ სამყოფოში. (40-იანი წლებიდან სამყოფოში პირველი სართულიდან შესასვლელი ცალკე კარები გამოიღეს).

სახლის პირველი სართული, სამყოფო და საძროხე, ერთმანეთისგან ტიხრით იყოფოდა. თავდაპირველად ტიხარი ნახევრამდე იყო ამოყვანილი. მოგვიანებით იგი ჭერამდე ასწიეს და ზოგმა ქვის კედელიც ამოაშენა წნელის ტიხრის ნაცვლად. იმდენად შეგუებულნი იყვნენ ხევსურები საქონლის გვერდით ყოფნას, რომ ამბობდნენ: „საქონის ცოხნის ხმა თუ არ მესმის, ვერ ვიძინებ"-ო. საძროხე დაზღვავებული იყო ქვის ბრტყელი სიპებითა და მუხის პლახით, ხოლო სამყოფოში დატკეპნილი მიწის „ქაზდარი" იყო.

„სამყოფოს" შუაგულს წარმოადგენდა კერა (ყვერფ-კერა), რომლის თავზე, ჭერში, დატოვებული იყო ღიობი კვამლის გასასვლელად, საიდანაც სინათლეც შემოდიოდა. იქვე, ასაყარზე გადებულ ხეზე, ჩამოკიდებული იყო საკიდელი. ასაყარზე გაკეთებულ კავებზე ეკიდა შებოლილი ცხოველის ძვლები და მრგვლად გამოკრული ქონ-დუმა.

ოთახის დასავლეთ მხარეს, კედლის გასწვრივ იდგა გრძელი, ორნამენტირებული სამამაცო სკამი და ოთახის ამ ნაწილსაც „სამამაცო" ერქვა. სამამაცო სკამზე მხოლოდ მამაკაცები სხდებოდნენ დამსახურებისა და ასაკის მიხედვით. ღიასახლისი მათ გრძელ, ასევე ორნამენტირებულ ტაბლას გადმოუდგამდა. ტაბლის მეორე მხარეს არ სხდებოდნენ. (ძველად ევროპაშიც სუფრასთან დაჯდომის წესი ასეთივე იყო, იქაც გრძელ მაგიდას ცალ მხარეს უსხდებოდნენ. ინგლისური ანდაზა ამბობს: სენიორი პურს მარტოკა არ ჭამს, რის გამოც გრძელი სკამი და მაგიდა სჭირდებაო). სამამაცო სკამის ასწვრივ, ჭერში გადებულ ფიცარზე და ქირჭოებზე (საკიდებზე), განლაგებული იყო მამაკაცის საომარი, სახელოსნო იარაღები და ნივთები.

სამამაცოს მოპირდაპირე კედელთან იყო „სადიაცო“ მხარე, სადაც იდგა სადიაცო სკამი, კარადა ან გოდორი ჯამ-ჭურჭლისთვის, ტაბლა, ვარცლი, ტაგრუცი და ა.შ.

კერიდან ყველა მხარეს არდაბაგზე — კედლის გაყოლებაზე გადებული იყო ქანდარა, რომელზედაც ეკიდა ტალავარი, ფლას-ფარდაგი, საგებ-სახურავი. კერიდან წინა მხარეს, ყურეში, დგამდნენ სანთებს, ჩირაღს და სხვადასხვა ნივთებსა თუ ჭურჭელს. სამყოფოსგან გადაკედლილი იყო აგრეთვე რძისა და რძის ნაწარმის შესანახი ადგილი, რომელსაც „სენე“ ერქვა.

სამყოფო მეორე სართულს — ჭერხოს კიბით უკავშირდებოდა, რომელიც გამოიყენებოდა აგრეთვე საქონლისათვის საკვების ჩასაყრელად.

ქალები იძინებდნენ სამყოფოში, ჩალაჩაგებულ ჩაფებში. ლოგინში ჩასაფენად ჩალას საღამოობით ჩამოყრიდნენ, დილით კი საქონელს შეაჭმევდნენ.

სამყოფო ოთახს სინათლის შესასვლელად კედლებში დატანებული ჰქონდა ვიწრო შუკუმები. ისინი ისე იყო დატანებული კედლებში, რომ მზის საკულტო ერთგვარ ობსერვატორიას წარმოადგენდნენ. შუკუმიდან შემოსული მზის სხივით ადგენდნენ დღე-ღამის კლება-მატებას. 30-იანი წლებიდან ხეკსურული სახლის ფასადზე ვიწრო შუკუმის ნაცვლად ჩნდება შედარებით დიდი ფანჯარა, რომელშიც გისოსებად ქართული თოფის ლულებს სვამდნენ. „როდესაც სოფ. ახიელაში თათია ბალიაურს თავისი ქვიტკირისთვის ვიწრო შუკუმების ნაცვლად ფართო ფანჯრები გამოუჭრია, სტუმრად მყოფ მეგობარ ქისტს უთქვამს: — ეგ ვერ ჰქენი თათიავ კარგად, საიდანაც გინდა, იქიდან დაგკრავს თოფს მტერიო.“ (თ. ოჩიაური)

მამაკაცები ჭერხოში იძინებდნენ ჩალაჩაგებულ ტახტებსა და ლაჭნებში. ზედ გუდანურებს იფარებდნენ.

ჭერხოში იყო აგრეთვე საოჯახო ინვენტარის და მარცვლეულის შესანახი გოდრები, კიდობნები, ტაგრუცები, ხოკრები, თიკრუნები და სხვა სახის ნივთები. ცალ მხარეს საქონლის საკვებ თივა-ჩალას აწყობდნენ.

ჭერხო და ყოველი ღია ტერასა გადახურული იყო ბანით. ძირითად ბანზე, სადაც პურს აკალოვებდნენ, დაშენებული იყო მაღალბანიანი კალო, სადაც ძნას ლეწავდნენ.

ბანი ძნელი მოსაცლელი იყო. იგი წარმოადგენდა ხის კოჭებზე განლაგებულ ჩალისა და ხის წვრილ ტოტებზე დატკეპნილ თიხა-მიწას, რომელსაც ირგვლივ ბრტყელი ქვის სანაპიროები ჰქონდა შემოწყობილი. ბანს რეგულარული ტკეპნა სჭირდებოდა. ამიტომ უთქვამთ ხეკსურებზე: — ეგენი ის ხალხია, მზეში შინ რომ შედიან და წვიმაში გარეთ გამოდიანო. ე.ი. წვიმის დროს ბანებს ტკეპნიანო.

ხევსურულ სახლს კიდეე ჰქონდა ტერასულად მიშენებული მცირე ზომის სათავსები წინგარდა და გვერდითა. სახლის ირგვლივ განლაგებული იყო საჩადლი, სანეხვე და სამრელო.

„სახლის მთელ მორთულობაში შევიცნე ელემენტური კავშირი ადამიანისა და ოთხფეხისა. ერთმა რამ გამაკვირვა: არსად არ ჩანდა თეთრი ლაქა, არც ტანსაცმელზე, არც უნჯზე, არც მოწყობილობაზე. გამოუთქმელი სევდა სუფევდა ყველგან.“ (გრ. რობაქიძე)

ტალავარი ხევსურისა. ხევსურის „ახირებული ჩაცმა-დახურვა... განსაცვიფრებელია და საინტერესო თვით უცხო კაცთათვისაც და მეტადრე ჩვენ ქართველებისათვის.“ (ალ. ყაზბეგი)

რომელ ხალხებსა და ცივილიზაციებს არ დაუკავშირეს მკვლევრებმა ხევსურის ტალავარი — ინდოევროპელებს, რეტენუელებს, შუამდინარეთს, ევროპელ ჯვაროსნებს... ერთი კი ნათელია, რომ კავკასიის მთიანეთის მოსახლეობის ყოფიდან ხევსურული ტოლის (შალის) ტალავარის სახით ჩვენ შესარჩუნებული გვაქვს ისტორიული ხანის ჩაცმულობის იშვიათი, ორიგინალური ნიმუში. იგი გამოირჩევა თავისი არქაულობით, მასალით, აჭრილობითა და ქარგულობით, რაც ცნობილი იყო ქალდეველებში, ურარტუელებში, ხეთებში, ბაბილონელებში, ეგვიპტელებში.

ასე ეცვათ ძველ იბერიელ ტომებს და გვიანობამდე ხევსურთა უშუალო მეზობლებსაც. ლამაზი ტალავარი, რომელიც ოდითგანვე საკუთარი თავის წარმოჩენის დაუოკებელი სურვილით იყო ნაკარნახევი, განსაკუთრებულად სრულყვეს ხევსურებმა. უძველესი კვართი, თავისი შემდგომი აჭრილობითა და ჯვრიდან მომდინარე გეომეტრიული ორნამენტი, უმაღლეს დონეზე აიყვანეს ხევსურმა ქალებმა და ჩაწვდნენ ბუნებრივ ფერთა საიდუმლოს. თუ ფხოვში იყვნენ მჭედლობის მესაიდუმლე გვარები და გადაშენდნენ, იყვნენ და ჩვენს დრომდე მოაღწიეს ნახატისა და ფერების მესაიდუმლე ოსტატმა ქალებმა.

„კოსტუმები კი ეს საოცარი ხელოვნებით მოხატული, უცხოდ მორთული, მართლაც ანცვიფრებს მნახველს თავის უმდიდრეს ორნამენტთა მრავალფეროვნებით, ფერთა ურთიერთშეხამების მაღალი დონით, თავისი ქარგით. განსაკუთრებით მოხდენილი მამაკაცის ჩაცმულობაა...რაც უნდა ჩიამ გადაიცვას ეს ტანსაცმელი, იგი ვაუკაურ იერს მიიღებს... იგი საომრად აღჭურვილსა და ბრძოლისათვის მუდამ მზად მყოფს მოგვაგონებდა და ჩაცმულობაც ხელს უწყობდა... კოსტუმის თარგი მოძრაობას არ ზღუდავდა.“ (თ. ოჩიაური)

უმშვენიერესია და ჰაეროვანი (მიუხედავად წონისა) ქალის ჩაცმულობა. „... უხვად დაყრილი მძივ-ღილები ფარაგსა და სახელოებზე, ბეჭებსა და თავსაბურავზე, ქათიბისა და ფაფანაგის გაშლილი ბოლო, სადიაცოს წითელ-

ყვითელი ქოქომოები შვენოდა ქალებს და მთელ გარემოს თავისებურ, არ-სადნახულ ელფერს აძლევდა.“ (თ. ოჩიაური)

„ხევსურელ ქალსაც ფერადად მოქარგული შალის ტალავარი აცვია; მე-ტადრე ჯუბა და ფაფანაგი... მშვენივრადა აქვს მორთული, თავზედ კეკლუ-ცურად მანდილი ახვევია. თმა კარგი აქვთ, გრძელი, მრავალ ნაწნავებად იწვ-ნენ და ირგვლივ შუბლზედ იხვევენ, ზოგან კი იკრეჭენ.“ (ნ. ხიზანიშვილი)

„ხევსურს წითელი ჯვრიანი ჩოხა ადვილად საცნობს ხდის.“ (ვაჟა-ფშაველა)

„... თუ ხევსურებმაც თავიანთი ტალავარი ნაყიდ ფარჩისაზე გასცვალეს, მაშინ ყოვლად შეუძლებელია ხევსურეთში ხევსურების არსებობა.“ (ვაჟა-ფშაველა)

ტოლის ტალავარს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჯანმრთელობისა და ჰიგიენის დაცვის თვალსაზრისით. ფერთა გამა ბუნებასთან შეხამებული, მშვიდი და ჰარმონიულია. ხევსურის ტალავარი, რომელსაც სახმარი დანიშნულება ჰქონდა, იმავ დროს იყო ხელოვნების უნიკალური ნიმუში. ქალები, ბუნებრივ სალებავებთან ერთად, იყენებდნენ საქონლის მწურეს (შარდს), რომელიც ფერებს შესანიშნავ ტონალობას აძლევდა. (ნაცრიანი და შარდგარეული წყლის გამოყენება ქსოვილის გამოყვანისათვის შუა საუკუნეების ევროპაშიც იცოდნენ). ხევსურეთში ტალავრის მორთულობისთვის ფერადი სკლატი (მაუდი), სირმა, მძივი და ღილი ევროპელ ვაჭრებს შემოჰქონდათ.

ხევსურეთის თითოეული თემის ტალავარს განსხვავებული ფერადოვ-ნება და ორნამენტული შემკულობა ახასიათებდა, რაც დამოკიდებული იყო თავად თემების მკვიდრთა ბუნება-ხასიათზე და გეოგრაფიულ მდებარეობა'ზე. ყველაზე მდიდრული ორნამენტი ლიქოკის თემის ხევსურთა ნაჭრელაზეა. შედარებით ფერადოვანი და მხიარულია არხოტის თემის ხევსურების ტა-ლავარი. არაგვისა და გორშელმის ხევსურების ნაჭრელა და ფერები უფრო აკადემიური და ღახვეწილია. ასევეა მთასიქითელთა ტალავრის მორთულობა. მიღმახეველთა ტალავარი გამოირჩევა უფრო არქაული და პრიმიტიული შემკულობით.

XIX-XX ს-დან, თუ მანამდე, ხევსურული ტალავარ-ნაჭრელა სადა, დახვეწილი იყო, შემკულობის ფორმა უფრო გამდიდრდა და ზედმეტად გა-ღაიტვირთა. ხევსური მელექსე ირონიით აბობს: „ვაჭრობენ სკლატ-აბრე-შუმსა, ქალებ აკერებს ძალზედა, როგორ ლამაზა უჭდების ვაუკაცის ტალა-ვარზედა...“

30-40-იანი წლებიდან ხევსურეთში „ბარელთა“ გავლენით ნელ-ნელა მკვიდრდება ე.წ. „ფშაური“ ქათიბი, „რუბაშკა“ და კაბა. ასეთი ტალავარი იოლი დასამზადებელი იყო, ტანსაცმლისთვის აღარც ტოლის დაქსვა იყო საჭირო

და ალარც იმდენი ნაჭრელა. მაღაზიაში ნაყიდ ქსოვილზე საკერავი მანქანით ფერადი ძაფებით მოხატავდნენ ორნამენტებს და აკერებდნენ აპლიკაციებს.

და სთქვა ხევსურმა მელექსემ: „შალის ტალავარ დავყარეთ, ყველამ ჩაიცვა ფართალი. ქალებსაც ჭრელებ კაბები, სუყველას, თეთრი თავშალი. ფეხებზე ძვირფასებ ტუფლებ, ჩულქებ მუხლამდე დამწვდარი."

„სოფელში შევხვდით ორ გოგონას, რომლებიც თბილისში სწავლობდნენ და ახალი დაბრუნებულები იყვნენ. მათ ქალაქურად ეცვათ და ამის გამო გაკიცხვას იმსახურებდნენ ძველი თაობის ქალებისაგან. ჩვენ იმასაც კი შევესწარით, თუ როგორ ნერწყვავდნენ და სწყევლიდნენ გოგონებს ქალები. თვითონ კი ჯიუტად ჩაბღაუჭებოდნენ ძველებურ ტალავარს და არ იცილებდნენ." (გ. ჩიტაია)

ტრადიციის რღვევის ეს პროცესი იმ დროს პროზაშიც აისახა. 30-იან წლებში მწერალი გრ. ჩიქოვანი თავის მოთხრობაში წერს: „ერთხელ, მაისის ნისლიან დილას, ელიბომ გაქაფული ცხენი შემოაგდო ზვიადაურის ეზოში. ქალაქურად ეცვა... არ მოეწონა მამას შვილის ჩაცმულობა, წუთით გახარებული სახე მოეღრუბლა... ავად შეიკრა შუბლი. ეზოში დააცდევინა, პერანგი და ჩოხა გამოუტანა...

— ჩოხა ჩაიცვი, ბალღო!

...ელიბო არ აპირებდა ქალაქური ტანსაცმლის გახდას...

ზვიადაური აფთარს დაემსგავსა...

— ეს ბალღი პირველია ხევსურეთში, რომელიც მამის წინააღმდეგ მიდის..." (მამა შვილს ჰკლავს).

საომარი აღჭურვილობა ხევსურისა. ხევსურის საომარი აღჭურვილობა, მისივე ტალავრის მსგავსად, მრავალფეროვანი და ლამაზი იყო.

შინაური თუ გარეშე მტრისგან მუდმივი საფრთხე, თავმომწონეობა, საზღვრის სიახლოვე, ჩრდილოელ მეზობლებთან ურთიერთობა „ხევსურებს აიძულებდა უფრო ბევრითად ეზრუნათ საბრძოლო მზადყოფნაზე, ვიდრე საქონლის მომრავლებაზე." (ალ. ყაზბეგი). მამაკაცს ტახტის თავთან ეკიდა ფარხმალი, ჯაჭვი და თოფი, საგანგებოდ გამზადებული საგზალი და ახლად გაბანდული ჯღან-ქალამანი. იგი ნებისმიერ სიტუაციაში მზად იყო სალაშქროდ.

„ხევსურს... გვერდზე ჩამოკიდებული ფარ-ხმალი ადვილად საცნობს ხდის; სადაც უნდა იყოს ხევსური... იმას თან განუყრელად აქვს იარაღი. იმას, რომ ხევსური მშვიდობიანობის დროსაც კი არ იშორებს ტანიდან იარაღს, არის არა გარეშე მტერი, არამედ ისევ ხევსური." (ვაჟა-ფშაველა).

„უცებ მეხუთე თუ მეათე საუკუნეში გადავსახლდი... დროშისა და დეკანოზის წინ — ოციოდ ლანდი ჟამთა წარსულთა, შეჭედილი ჩაფხუტებით, პერანგებით, სამკლავეებით, სამუხლეებით, მრგვალი ფარებით, ადლზე უგრ-

ძესი დაშნებით, ადლიანი სატევრებით, ბუნგრძელი შუბებით, დალურსმული კომბლებით და ბუნმოკლე სათხედებით. ირგვლივ ჭაბუკები და ყრმები ეხვივნენ, ისინიც ხანჯლებით, მშვილდისრებით, კარპაჭებით, ხის მუზარადებით, კაუიანი თოფებით და გრძელი ხმლებით ასხმულნი, რომელნიც ტანმორჩილ ბალღებს მიწაზე დასთრევენ...“ (მ. ჯავახიშვილი)

„ტანზე ჯავშანი ეცვათ, მკლავებზე სამკლაური, მხარზე ფარი და წელზე ხანჯალი: თავზე ჩაფხუტი ეხურათ, რომლის ქვეჩამოშვებული რკინის წვრილი ძეწკვები მხრებამდე სწვდებათ. ფარები აქა-იქ ნაჭდევნი და ჯავშანნი საკმაოდ შეცვეთილნი მოწმობდნენ, რომ მორკინალთ არა ერთი მკაცრი შებრძოლება ხვდენოდათ, ბევრ მათგანს ჭრილობის კვალი შერჩენოდა სახეზე: ეს ალბათ „საცერული“ მოხვედროდათ. მეომარნი ფარიკაობდნენ, როგორც ვიკინგები...“ (გრ. რობაქიძე)[1]

„მე ვიწყე სინჯვა ხრმლებისა და გავოცდი: მათზე ლათინურწარწერიანი დავინახე. ერთზე ეწერა A.M.D. იყო აქ „Ave mater die?“ მეორეზე – „Genua“. როგორ მოხვდნენ ეს ხრმლები ხევსურეთში? – წერს გრ. რობაქიძე და დასძენს: –„სერვანტესი აღნიშნავს: დონ-კიხოტს – როცა ბრძანა ლომის გალია გაეღოთ – ხრმალი მგლის ნიშნით არ აღმოაჩნდაო. მე კი აქ, ქვეყანას მოწყვეტილ ხევსურეთში, მეჭირა ასეთი ხრმალი... X-XI სს „შავი მგლის“ სახიანი ხმლები, რომლებიც იჭედებოდა ტაბანისაგან (სპეციალური ქიმიური შემადგენლობის ფოლადი), ჩვენს დრომდე მართლაც ჰქონდათ ხევსურებს. ასეთი ხმალი მიართვეს საქართველოში ჩამოსულ ალექსანდრე მესამეს.

„დღესაც აბჯარ-დაშნა-ჩაფხუტით შეჭედილი ხევსურები ჯერჯერობით ჯაჭვის ხანაში... დაბორიალობენ.“ (მ. ჯავახიშვილი)

„უფრო ძაღლა, მთებში, ხევსურები ცხოვრობდნენ. თითქმის გაუხდელად ეცვათ ჯაჭვის პერანგი, ქუდებში რკინის სქელ რგოლებს იკერებდნენ... მე მინახავს ძველი ფშავ-ხევსურეთი. ხევსურთა ბუნაგებში XVIII საუკუნის ესპანური ხმლები და ჯაჭვები.“ (ვ. შკლოვსკი)

„გვხვდება XIV-XVII ს. ცნობილი იტალიელი ოსტატების ანდრეა და პიერო ფერარებისა და დავით ფერარის ხმლების პირები. აგრეთვე ირანიდან, ჩრდილოეთ კავკასიიდან, აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებიდან შემოტანილი. გვხვდება ქართული ხმლის პირებიც.“ (ვ. ელაშვილი)

პირიქითა ხევსურთ აღჭურვილობა რამდენადმე ჩამოუვარდებოდა პირაქეთელებისას, რაც შენიშნა ხევსურული შეიარაღებისა და ფარიკაობის მკვლევარმა ვ. ელაშვილმა. ალ. ჭინჭარაული წერს: „შატილელები ჯავშანს საერთოდაც იშვიათად ატარებდნენ, შესაძლოა, ისინი მეზობელი ქისტების გავლენას განიცდიდნენ. ვაჟა სწორედ შენიშნავს: „ქისტს არ მოუდის რჯულადა მუზარადის დგმა თავზედა“-ო.

ხელისუფლებამ ძალით და დაშინებით აჰყარა ხევსურებს ტანიდან ფარ-ხმალი. ერთხანს ხევსურებმა დაშნებად გადაჭრილი ხმლები და ხანჯლები, წელზედ მალულად შებმული, შარვლის გარღვეული ჯიბით ატარეს.

„ბევრა იარაღ დაუქმდა თოფი, ხმალი და ხანჯარი. აღარცად ვიტონკა-ები, არც სამაზოდნი ნაგანი — ეხლა იარაღ აღარ ჭრის, ენა ჭრის, ტვინი მაგარი," — იტყვის მოგვიანებით ხევსური მელექსე.

ᲛᲐᲦᲐᲚ ᲮᲔᲕᲡᲣᲠᲘ (ᲐᲠᲢᲠᲘᲢᲘ). „მთიელი ქართველები შმაგები არიან და შეიძლება ითქვას, თითვეული მათგანი თავისთავის ადგილას ჰაჯი-მუ-რატია." (ოსკარ ძარია გრაფი)

მკაცრმა გეოგრაფიულმა და ისტორიულმა პირობებმა ხევსურის ხასი-ათზე, გარეგნობაზე, ყოფაზე გავლენა მოახდინა და ეს ხალხი უფრო გო-როზნი, მკაცრნი, გულჩათხრობილნი და მომჭირნენი გახადნენ. ხევსურნი არიან ბრძოლისა და სახელის მოყვარულნი, მონადირენი, მპარავნი და მეკოპრენი, ამასთანავე ფრიად ინტერესიანნი ქვეყანაზე მიმდინარე მოვლენებისა და სწავ-ლის მოყვარულნი, პოეტნი და მხატვარნი.

„ხევსურების...მეომარი ხასიათი შექმნა იმ მკაცრმა პირობებმა, რომელ-შიაც ხევსურები ოდითგანვე იმყოფებიან: მიუვალი მთები და ირგვლივ მტრე-ბი." (გ. დემიდოვი)

„ფიზიკურად ხევსური ჯანსაღია და მაგარი. ამასთანავე ის ამტანია და გამრჯე. ხევსური საშუალო ტანისაა, მხარბეჭიანი და კუნთებმაგარი. სახით შავგვრემანია და პირმრგვალი. ცხვირი ხევსურს სწორი მოყვანილობისა აქვს, თვალები დიდი და შავი. ქცევაში დინჯია, მოქმედებაში კი მარდი. გულადობა და გამბედაობა ხევსურს არ აკლია და თავისი პიროვნების დასაცავად თავგან-წირვამდის მიდის. გულზვიადი და თავმოყვარე ხევსური ზნეობრივ შეურაცხ-ყოფასა და ფიზიკურ სიმახინჯეს ვერ იტანს და თვითმკვლელობასაც სჩადის. უცხოსთან ხევსური ამაყია, მას ხევსურობით თავი მოაქვს. უცხოური არ მოს-წონს და მას არც ბაძავს. ამასთანავე ხევსური ფრთხილია და ეჭვიანი. ის ადა-მიანს ძნელად თუ დაენდობა. მაგრამ დანდობილს ხევსური სამარემდის ჩაჰყ-ვება და არ უღალატებს.

ხევსური ქალი ტანით ჯმუხია და ქცევით დინჯი, მას ქალური სინაზე აკ-ლია და მამაკაცური იერი გადაჰკრავს. ხევსურ ქალსაც ახასიათებს სიმარდე და გულადობა, მაგრამ შრომისა და მძიმე სოციალური პირობების გამო ხევსურ ქალს სევდიანი და მოლუშული გამომეტყველება აქვს. მრუშობა და გარყვნილება ხევსურს ეჯავრება და მას აქ ადგილი არ აქვს." (ს. მაკალათია)

„გმირულ, ვაჟკაცურ სულისკვეთებას ხევსურეთში აკვნიდანვე უნერგავდ-ნენ მოზარდს. ამზადებდნენ იმ მძიმე, ხიფათით სავსე ცხოვრებისათვის, რომელიც

მოელოდა მას გარეშე მტრის თავდასხმისას, შინაგან მტრებთან ბრძოლაში. ცხოვრების მძიმე პირობებთან ჭიდილში, ჭირთა თმენაც უნდა შეძლებოდა მას, უმძიმესი ფიზიკური და სულიერი ტკივილების სხვისთვის გაუმჟღავნებლად გადატანაც, სიკვდილთან გაღიმებული შეყრაც." (თ. ოჩიაური)

„მომეტებული წილი ხევსურებისა არიან შუატანისა, ჩასხმულნი და მხარბეჭიანნი: არიან პირხმელნი, მუდამ წვერმოპარსულნი და სახეზედ დაჭრილობის ნიშნები ეტყობათ. სიარულით თითქოს უსერხულად დადიან, მაგრამ რაკი მთის ბილიკებს შეუდგებიან და შესვდებიან სახტომ ალაგებს, განაცვიფრებენ ადამიანს თავიანთი სიმარდითა და მოულლელობით." (ალ. ყაზბეგი)

„ხევსურები არიან ამაყნი, ლაპარაკობენ მკაცრად და მოკლედ. თვალები აქვთ დიდრონი, მაგრამ მუდამ მოხუჭული, რადგან მზის შუქის თოვლზედ ბრჭყვიალს ვერ უძლებენ. ეს უნდა იყოს მიზეზი, რომ ხევსურების შემოხედვა უფრო ბღვერასა ემსგავსება. ხევსურების ყმაწვილ-ქალებზედ ეს არ ითქმის. იმათ ხშირად ისეთივე კეკლუცი შეხედულება აქვს, როგორც საუკეთესო სახლებში გაზრდილებს." (ალ. ყაზბეგი)

ხევსურ მამაკაცთა სახელებიც მათი ხასიათისა და ყოფის გამომხატველია. ქალებს კი პირიქით, ნაზი და სათნო სახელები ჰქვიათ. (ხევსურს რამდენიმე სახელს არქმევდნენ — ჯვარის, სულის, ნათლიის, სხვადასხვა თიკუნ სახელებს, რომლებსაც ეძახოდნენ სოფლელი ქალ-რძლები.)

„თვალს ხვდება სიმჭლე მისი სხეულისა. შუბლი მაღალი, ძვლები საფეთქლებთან თხელი და ბრტყელი: ნიკაპი წამახული, ყურები ოდნავ წამოშვერილი, სახეს მისას გადაჰკრავს ფერი გამომწვარი აგურისა; ღაწვთა ძვლებს ეტყობათ სიძლიერე; სახის კუნთები მაგრად დაჭიმული ტყავით ცხადჰყოფენ ძალასა, საკუთრივ საკვნეტი კუნთები; თვალები დიდრონი და ლეგა; ზედა ქუთუთოები ნაღვლიანად ძირს დაშვებულნი — თოვლიან ველთა მოლურჯო ციალის გამო?.. უნდობლობა და ამაყი თავდაჭერა, მზადყოფნა გამოწვევისათვის და უშიშრობა, თავნებობა და გულოვანობა, უნდობლობა მასში შეწყვილებულია ბავშვურ რცხვენასთანა თუ კდემასთან. სიტყვა მისი სრულხმოვანი, თქმა მოჭრილი და მკვეთრი." (გრ რობაქიძე).

ხევსურმა შეიძლება ერთი ფრაზით გამოთქვას თავისი სათქმელი. ამ მხრივ ისინი ძლიერ წააგვანან ლაკონიელებს. „ლაკონური გამოთქმა აქ უკიდურესობამდეა დაყვანილი." (გრ. რობაქიძე). „ხევსურს უყვარს პოლიტიკაზე საუბარი, ცნობისმოყვარეობით გაგაკვირვებს." (ვაჟა-ფშაველა). „საქართველოს არც ერთ კუთხეში არ მისდევენ ისე გულმოდგინედ მჭერმეტყველებას, როგორც აქ, ხევსურეთში, სადაც ჩვენი ძველებური მდიდარი სიტყვიერება აქამომდე ხელუხლებლად დარჩენილია და შენახული." (ნ. ხიზანიშვილი)

„შატილელებში მე ვპოულობ წმინდა ადგილობრივი ტიპის სახეებს: ასეთი დაკუნთული, ხშირად ძალიან გამხდარი ფიზიონომიები ველური გამო-

მეტყველებით მე ხევსურეთში სხვაგან არსად შემხვედრია. სმისას ქუდმოხდილი თავები უმრავლესობას მოპარსული ჰქონდა. მე მათში ვერ შევამჩნიე ვერც ერთი აშკარად წაწვეტებული თავის ქალა, სამაგიეროდ შესამჩნევია მაღალი შუბლები და ჩაჭყლეტილი საფეთქლის ძვლები. ყურები განზე გაშვერილი აქვთ, ღაწვის ძვლები ძალიან განვითარებული. ჭარბი სიგამხდრის მიუხედავად, სახეს აქვს კარგად განვითარებული კუნთები, რომლებზედაც კანი მაგრად არის გადაჭიმული, ამასთან ერთად მკვეთრად გამოიყოფა საღეჭი კუნთები. ყველას ძალიან კარგი კბილები აქვს... ზოგიერთი არც თუ აგრერიგად ხნიერი მამაკაცი ისეა გამხდარი, რომ გგონია წინ გიდგას ცოცხალი ჩონჩხი ღრმად ჩაცვენილი თვალებით...“ (გ. რადე)

„ეს ტომი მეტისმეტად უხეში, ამპარტავანი, შარიანი და ამაყია. მამაკაცები სრულიად უდარდელ-უზრუნველები არიან, ისინი თავს ყველა ხალხზე მაღლა აყენებენ.“ (ალ. ყაზბეგი)

„ხევსური არ არის ხელგაუძრავი, როგორც ზოგსა ჰგონიათ. ხევსური ჯანსა და ღონეს არ დაზოგავს... მაცხოვრებელი იარაღი ცელია. გროვა-გროვად, მხარზე ცელ-გაღაკიდებულნი მიდიან კახეთს სათიბად. ცოცხებითაც კი ვაჭრობს ხევსური. კალოობას მიაქვთ არყის ცოცხები ბარში პურზე გასაცვლელად. ცოცხებით მოვაჭრეთ 40-60 კაცსა ნახავთ ერთად. ხევსურის დანახვა ამ დროს საცინელია: ჯორს იმდენი ცოცხები ჰკიდია, რომ ყურის წვერების მეტი აღარაფერი უჩანს; ზედ თვითონ ეს ფარ-ხმალიანი რაინდი შესკუპულა... ხევსურები ამასთან განთქმულნი არიან ქართლ-კახეთში, როგორც ჯამბარის მწვნელები.“ (ვაჟა-ფშაველა)

მიუხედავად იმისა, რომ ხევსურს დიდი ჯაფა-წვალება ადგა სარჩოს მოსაპოვებლად თავისთვისაც და ოთხფეხისთვისაც, თავს საქმეს არ მიუყრიდა, ძლიერ არ დაიჯაფებოდა, არ გადაიღლებოდა. ყოველთვის შემართული იყო და ფხიზლობდა იმ მიზეზით, რომ ვაითუ ხვალ მტერი დაეცეს, ვინმე მოეშაროს, უეცარი გამგზავრება მოუხდეს სადმე ან სხვა რამ მნიშვნელოვანი საქმე გამოუჩნდეს.

თუ ხევსურს წლის სარჩო მომარაგებული აქვს, ზამთრს არხეინად ატარებს. „მთელი ზამთარი უსაქმურად უნდა ისხდნენ და ასე ატარებდნენ ხევსურები თავიანთ დღეებს, ათასში ერთხელ „მზორისაკენ“ თუ წავა ვინმე „ნადირობ“ და იმით გაირთობს სევდიან გულს, თორემ სხვა დროს გატარებას ვინ აღირსებს.“ (ალ. ყაზბეგი). ამ დროს სხედან ხევსურები ფეხონში და მერამდენედ ყვებიან გარდასული დროის საგმირო ამბებს, „ან კიდევ კერის პირად დამჯდარი მძიმე-მძიმედ ჩიბუხს აბოლებს, წრინტავს და ცოლსა სტუქსავს: აითარ მანდით! მალე მიქენ სისხლ-დუმაის კეცეულნ და მამართვ, თორე აგადენ ტყრაშთ, ხო იცი...“ (ვაჟა-ფშაველა)

ხევსური რამდენადაც სულიერად მდიდარია, იმდენად ეკონომიურად ხელმოკლეა. „ხევსური ფრიად ღარიბია... კიდეც ამ სიღარიბეს და გაჭირვებულს ცხოვრებას უსწავლებია ხევსურისათვის სარჩოს გამოზოგვა... ხევსურმა ზომიერად იცის ქონების ხარჯვა... ხშირად იმას ერწო-თიანეთიდან და კავკაკიდან ზურგით მოაქვს ჯერი.“ (ვაჟა-ფშაველა)

„ფშავ-ხევსურები საერთოდ ძალიან ღარიბად ცხოვრობდნენ და სიღარიბემ, ამ გაჭირვებამ ასწავლა მათ მომჭირნეობით, დაზოგვით ცხოვრება, რაც შემდეგ თანდათანობით ჩვეულებად გადაექცათ.“ (ვ. აკობაშვილი)

„ხევსურებს სძულთ ყველაფერი, რაც იარალს, ომს, ნადირობას და მეზობელ ტომებთან ფიცხელ შეხლა-შემოხლას არ ეხება.“ (ა. ზისერმანი) „...უფრო სწრაფად აგროვებდა ამ ხალხს ომის ყიჟინა, საერთო მტრის წინააღმდეგ დაძახებული. მათი სხვა დანარჩენი დრო მიჰქონდა მარტოკაცის ბრძოლას ბუნებასთან და საკუთარ კერპ ხასიათ-ვნებებთან...“ (გ. რჩეულიშვილი)

„ცარცვა და თავდასხმა რომ არ ყოფილიყო, მთიელი სიცოცხლეს სიცოცხლედ არ ჩათვლიდა. ეს არის იმისი პოეზია, ლაზათი მისი არსებობისა. მარტო ვეფხვს შეუძლია მთიელზე უკეთ მიეპაროს მძინარე სოფელს ბნელსა და ქარიშხლიან ღამეში.“ (ს. მენჩი)

„ლაშქარ რო ქისტეთ წავიდოდ, მაშინის ყოფილას თავ-თავ ხალხი. იმათ ჩამომავლობა ეეხლა კაის ჩამომავლობისად ითვლების.“ (გ. დოლიძე)

ხევსურებს მკაცრად შემუშავებული ჰქონდათ ყოფა-ცხოვრებისა და ქცევის ნორმები. „კაცის კაცობის“ კოდექსი 63 მუხლისაგან შედგებოდა, რომელთაგან პირველი სამი იყო: პურადობა, მამაცობა და ნადირობა.

„ძალაუნებურად თქვენ თვალწინ წარმოგიდგებათ ერთი საუკეთესო თვისება აქაურის მთიელისა. ეს თვისება ის არის, რომ აქ კაცი უფრო მეტად იცავს თავის პიროვნულ ღირსებას, თავის თავისუფლებას, ვიდრე ბარში... აქაური თავისუფალი ბუნების შვილი ამპარტავანია, თავის თავის ყადრი იცის, ყველასთან და ყველგან თავისუფლად უჭირავს თავი, თავისუფლად იქცევა, თითქოს ყველანი ერთნი იყვნენ... მთიელს ვერ შეაშინებს ვერც ძალა და ვერც უფლება, იგი კაცად გრძნობს თავის თავს და კაცურად გექცევა.“ (ნ. ხიზანიშვილი). სწორედ ეს თავისუფლება განაპირობებდა სრულ წესრიგს მთაში.

ხევსური ბუნებით უკიდურესი კონსერვატორია, ვერაკითარ სიახლეს ვერ იტანს. უფროსნი სასტიკად მოითხოვენ ძველის უცვლელად დაცვასა და განმტკიცებას. მაგალითები წარსულიდან მოჰყავს და თავის კაცობასაც ძველი არშინით ზომავს. ამასთანავე, ხევსური გამოუსწორებელი ფატალისტია, ღრმად სჯერა ბედისწერის. როგორც ხევსურები იტყვიან, „უმწერლოდ არცრა არ ხჭდების. მისი რწმენით კაცის ბედი დაბადებიდანვე „დაწერილია“ და „წერა-მწერელი“ წარმართავს მის მომავალს.

„ხევსური უაღრესად მკაცრი რეალისტია, მას ლათაიებითა და ლექციებით ვერ დაარწმუნებ, მუდამ უკუაგდებს თქვენს მტკიცებას და ჩიჩინს, სანამ საქმით არ დაუმტკიცებთ და რეალური ფაქტებით არ დაუდასტურებთ თქვენს სიტყვას.“ (ა. ყამარაული)

„როგორც საზოგადოდ ქართველები, რომელთათვისაც კი სხვადასხვა ტომების დაახლოვებას ვერ მოუსწვრია გარყვნილების დაღის დასმა, ხევსურები არიან გულწრფელები, პატიოსნები და სტუმრის მოყვარულნი, არას დროს ისინი თავის სიტყვას არ გადავლენ.“ (ალ. ყაზბეგი)

რუსთა დამკვიდრებამ, ქართველთა მდგომარეობისა და ხელისუფლების შეცვლამ, მოხელეთა უსამართლობამ და თავხედობამ, ხევსურები, რომელთაც ბატონი არ ჰყოლიათ და მეფესთანაც თავისუფლად იქცეოდნენ, დაიფრთხო და შეაშინა.

„უცხო ადგილას ხევსური ფრთხილი და მშიშარაა... მე და თორღვას სიმამაცე მხოლოდ ორწყალს ზევითა მრისხანებს, ხოლო ქვემორე მხარისა ჩამოდავრიშება და „იავაშ-იავაშით“ ვიცით ხოლმე...ხევსური მაშინ არის სანახავი, როდესაც ბარიდან მთაში მიდის: იგი გაცოცხლდება, დაიწყებს ყვირილს, სიმღერას: მთელს არაგვის ჭალას ააქოთებს და ააზრიალებს.“ (ვაჟა-ფშაველა)

სტუმარ-მასპინძლობის წესები და დახვედრაც თავისებური და გამორჩეული ჰქონდათ ხევსურებს. „თუნდაც არც გცნობდეთ, მაინც წაგიძღვებათ, თავის სახლში მიგიყვანთ და მოგიდუღებთ ხავიწს, რომელიც საპატიო საჭმელად ითვლება.“ (ალ. ყაზბეგი)

ქეიფის დროს ძველად სამ არყიან ყანწზე მეტი არ უსვამს. მთელი დრო საუბარსა და დროსტარებას მიჰქონდა. თავად ყანწის მიწოდებასაც თავისი „თავაზა“ ჰქონდა: ქუდის მოხდით და ცალ მუხლზე ჩაჯდომით. „ვისხედით ცალ-ცალკე... ქალები ოდნავ განზე... მგელიკა იჩოქებდა ერთს მუხლზე და გვაწვდიდა სტუმრებს არაყით სავსე ყანწებს.“(გრ. რობაქიძე). „ტაბლასა ზედა სჭამღიან და ნადიმობდიან. სკამთა ზედა სხდიან ბოდიშობდიან ქუდის მოხდითა, “ — წერს მემატიანე ძველ ქართველებზე.

თამადა არ იცოდნენ ხევსურებმა, არც ცოცხალთა სადღეგრძელო და მეტი წილი ძველების მოგონებას უნდებოდნენ. ყველა თავის სასმელს ხარჯავდა ქინთიდან (ტიკიდან) და ასმევდნენ ერთმანეთს. სვამდნენ ნება-ნება, სასმისის გამოცლას კარგა ხანს ანდომებდნენ, საუბარ-საუბრით გაჰყავდათ დრო, იგონებდნენ ძველს, ახალს. ხასიათით ფიცხი პირიქითელი ხევსურები — არხოტლები დასცინოდნენ პირაქეთელ ხევსურებს: „ ,ჰევსური ყანწს ხელში გაათბობსო,“ — ე.ი. დიდხანს უკავია სასმისი ხელშიო.

სმის დროს იცოდნენ ფანდურზე მღერა, სტუმარი და მასპინძელი უმღეროდნენ ერთმანეთს საგმირო სიმღერებს მოპირისპირის სახელიან წინაპარზე. (თავისი წინაპრის საგმირო საქმეებზე სიმღერის თქმა სირცხვილი იყო. იგი სხვას უნდა შეეფასებინა.) იმართებოდა ცეკვა-თამაში. ცეკვას აყოლებდნენ გამომშრალ ფიცარზე ჯოხების რიტმულად დარტყმის ხმას. იყო „ჟამ-კარის არევაც" — შარი და შუღლი, მაგრამ შუღლის მიზეზი რომ სასმელს და სიმთვრალეს დაბრალებოდა, სირცხვილი იყო. შუღლიც რაინდული უნდა ყოფილიყო. მემთვრალეთა და შარიანებს ყურს არავინ უგდებდა და არცრა პატივი ედო.

ხევსურთ სალმის თქმაც თავისებური აქვთ: „ყველა ქართველთა ნათესავნი, მთიელნი თუ ბარელნი, გარდა ხევსურისა „გამარჯობას" ვეუბნებით ნაცნობსა და უცნობს... ხევსური ხევსურს მიესალმება ამრიგად: „ხელ მაგიმართოსო". მეორეც პასუხად ამასვე ეუბნება: „შენაც ხელ მოგიმართოსო". ორმა ცხოვრების საღსარმა უძველეს დროინდელმა, მონადირეობამ და ლაშქრობამ გამოიწვია...ხევსურისა... „ხელ მაგიმართას." (ვაჟა-ფშაველა)

ხევსურის მისალმება-დამშვიდობება და „ჭირის წყენაც" (მისამძიმრება) ერცელი ტექსტია, რომელიც მთიელის მთელ ყოფას მოიცავს; ჭირ-ლხინს, ძველ-ახალს, მარცხ-ფათერაკს, შუღლ-შერიგებას, საქონ-ნაქონს, დიდ-ცოტას, მტერ-მოყვარეს, წვრილფეხ-მსხვილფეხს... და კარგა ხანიც სჭირდება, სანამ ესენი შეხვედრისას ერთმანეთს დარბაისლურად მოიკითხავენ.

ხევსურის ქონება და სიმდიდრე. *ხევსურული ძროხა.* „ტანმორჩილ ძროხას ხევსური ენდო, კერიის მკვებავს, ოჯახის ფუძეს... (ს. ჩიქოვანი) ხევსურის სიმდიდრე და ცხოვრება ფლას-ფარდაგით, სპილენძით, ქონდუმითა და ერბოთი განისაზღვრებოდა. ყოველივე ამის წყარო და შემომტანი — ჭრელი ხევსურული ძროხა პატრონივით შეგუებულია მთის კლდოვან ფერდობებსა და მწირ საკვებს.

ჯერ კიდევ არისტოტელე წერდა: „ფასიდზე არის პატარა ძროხები, რომელთაგანაც თვითეული ბევრ რძეს იძლევა". ეს ქართული ჯიშის ძროხა, პატარა ტანისა, მაგრამ კარგი მეწველი, დღემდე არის ჩვენში შემონახული, მაგალითად ხევსურეთში." (გ. მელიქიშვილი)

„ხევსურული ძროხა თვალად შეუ[illegible]ავია, მაგრამ საუკეთესო ღირსებითაა შემკული: კვების მხრივ ნაზინუზო[illegible]ერ იცის, მოს[illegible]ელადაც იოლია, ამავე დროს საუკეთესო ხარისხის რძეს [illegible]ლევა, დღე-ღ[illegible]ამეში 15-დან 50 კრუჟკამდე. მისი ცხიმიანობა 6% უდრის. ხევ[illegible]ერული ჯიშის ძროხის მაღალი ღირსებები დადასტურებული იყო სასოფლო-[illegible]ამეურნეო გამოფენაზე ტფილისში 1924 წელს. გამოფნაზე იყო ხევსურული ძროხა მოქალაქე კაშიასი.

ძროხა იწონიდა 8 თუფსა და დღე-ღმეში 1 ფუთსა და 5 გირვანქა რძეს იწველიდა. ეს ძროხა ოქროს მედლით იყო დაჯილდოვებული.“ (ა. ყამარაული)

„ფშავლისა და ხევსურის ერთადერთი მისატანი ერბოა, რაც მისი ოჯახის ერთადერთი საარსებო წყაროა. ერბოთი ყიდულობს ყველაფერს, ყველაფერს ერბოზე ანგარიშობს, ერბო არის მისი ავლა დიდება, მისი დოვლათი, გადასახადი, ვალი და ვახში ერბოთი უნდა გაისტუმრო, ტანისამოსიც ერბოთი უნდა იყიდოს, მკვდარსა და ცოცხალს ერბოთი უნდა გაუძღვეს.“ (ვ. აკობაშვილი)

ერბოსგან ამ'ხადებენ ხევსურები ხავიწს, რომელიც ძლიერ ნოყიერი და მაწიერი საჭმელია. იგი „საპატიო საჭმელად ითვლება“ (ალ. ყაზბეგი) და ჭირლხინი ხავიწის გარეშე ხევსურისთვის წარმოუდგენელია.

ძროხას თავისი მფარველი ღვთაებები ჰყავს, რომელთა სახელზედაც ხდება ძროხის „გასახელება“ და მსხვერპლად ამ ძროხის ხბო ეწირება. ძროხის გასახელება ხდება ხახმატის ჯვრისა და ადგილის დედა-ხთიშობლისთვის. ჯვრის სახელზე გასახელებულ ძროხებს ჯვრის სახელები ერქმევა: „ჭაჭმატა“, „ხთიშობელა“, „ანგელოზა“, „პირიმზე“, „მთავარია“, „მასკვლია“, „კვირისა“...

ხარი. უელი ხარი ყოველ ოჯახს ჰყავდა, რადგან იგი უმთავრესი მარჩენალი და გასაძღოლი იყო ცოცხლისაც და მკვიდრისაც. ხარი წმინდა, „ხთის გაჩენილი“ ცხოველია, მტერი ავი სულისა და ეშმა-მაცილისა. იგი ღვთაების უმთავრესი და „ღირეული“ მსხვერპლია. („ჯარი ჯვარის საკვეხური ზღვენია“. — მ. ბალიაური). გარდა იმისა, რომ ხარები ჯვრის სახელზე იყო „გაშვებული“, ზოგ ჯვარს საკუთარი ხარებიც ჰყავდა. როდესაც ხარს ჯვრისთვის გაასახელებდნენ, რქაზე სამჯერ „დაუჭკდევდნენ“, მას უკვე ჯვარი ეპატრონებოდა და მფარველობდა. განსაზღვრულ დროს, დიდი დღეობისას, ხარს ჯვარში მიიყვანდნენ, რქებზე საგანგებოდ გამომცხვარ „სარქეებს“ ჩამოაცმევდნენ და მსხვერპლად შესწირავდნენ.

ცხენი. ცხენი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ხევსურთა ყოფაში. კარგი ცხენ-უნაგირით ფასდებოდა კაი ყმა. თითოეული ცდილობდა, სხვაზე მეტი (უკეთესი) ცხენი ჰყოლოდა, რადგან მათთვის იგი არა მხოლოდ საიმედო საფერხე, არამედ ქონების შემომტანი და მკვდრის გასაძღოლიც იყო. განსაკუთრებით უვლიდნენ და უფრთხილდებოდნენ სადოლე („დოლვში სარევ“) ცხენებს, რადგან მათი საშუალებით ხევსურები მოიპოვებდნენ სახელსა და მცირეოდენ ქონებასაც. ცხენებს ყელზე და ფაფარზე ნალოც ურძნის მძივებს დაკიდებდნენ, რათა ავი თვალი არ მიკარებოდა. ცხენებს მიცვალებულის სულისთვის „აკურთხეიებდნენ“, რათა იგი საიქიოშიც მომსახურებოდა პატრონს.

ცხენსაც თავისი მფარველი ღვთაება ჰყავდა — ხახმატის ჯვარი, სადაც ხდებოდა ცხენების მიბარება, იკვლოდა „სარემაო“ საკლავი, რათა ცხენ-კვიცს

არ ეზარალა. იკვლოდა ცხენ-მხედრის სანათლავიც. ძველ დროს ცხენი უმთავრესი მსხვერპლი ყოფილა „პირიმზისა“, რომლის ნიში საჩალეს მთაზეა.

ხევსურებს საბარგედ და საფერხედ საგანგებოდ ჰყავდათ „ჭდალ“ (ჭაკი) ცხენი და ჯორი. მათგან ჯორი უფრო ძვირად ფასობდა.

მიწა. ხევსურთა ეკონომიკა უმთავრესად ემყარებოდა მიწათმოქმედებასა და მსხვილფესა მესაქონლეობას. მიწა თავიდანვე ცალკეულ გვარებს ჰქონდათ დასაკუთრებული და მემკვიდრეობით გადადიოდა. რომ იტყვიან, გოჯითა და მტკაველით იზომებოდა მიწის თითოეული მონაკვეთი და სისხლის ფასი ჰქონდა. ხევსურეთში მიწა, საერთოდ, ცოტა და ისიც მცირემოსავლიანი იყო. გვიანობამდე ერთ სულ მოსახლეზე 1-1,5 დღიური სახნავი მიწა მოდიოდა. ასევე, არც სათიბი და საძოვარი ჰყოფნიდათ საჭირო რაოდენობის საქონლის შესანახად. მ. მაჩაბლის ცნობით, პირობები იმდენად მძიმე იყო, რომ მოსახლეობის გამრავლებას ხელოვნურად ზღუდავდნენ საარსებო წყაროს უქონლობის გამო. ხოლო დანაკლისის შევსებას ცდილობდნენ თემისა და გვარის გარეთ სხვა მიწების მიტაცებით ან ნადავლით. მიწის მოპოვებისთვის ბრძოლას ხშირად რელიგიური ხასიათი ჰქონდა. გვარები ერთიანდებოდნენ ერთი რომელიმე სალოცავის დროშის ქვეშ.

პოეზია და სიმღერე ხევსურისა. „თამამად შეიძლება ითქვას, რომ აქ პოეზიის სამეფოა.“ (აკ. შანიძე)

„რა საჭიროა ლექსისთვის ტაში, ყვავილა ხევსური, ვიცი, დანტეა.“ (გ. ლეონიძე)

„მო, ნახე: ვსური მონა ხევსური!“... აშბობდა არჩილი თავისი პოეზიისა და ლექსთაწყობის ფორმაზე და მას ხევსურულს ადარებდა. „ხელში ფანდურის მპყრობელი, მოშაირე ვარ ხევსური...“ — იტყვის გალაკტიონი.

„ძნელია წარმოიდგინო ხევსურეთი პოეზიის გარეშე. ლექსი ისმის აქ ყოველდღიურ ჩვეულებრივ საუბარში სიტყვის თუ აზრის გასამაგრებლად. ლექსის მიშველებით იჭრებოდა ზოგჯერ სადაო საკითხი; აქ ყველამ იცის ლექსის ყადრი.“ (თ. ოჩიაური)

„ხევსურული პოეზია გამოირჩევა თავისი მითოლოგიური ხილვებითა და ჭეშმარიტი პოეტური შთაგონებით ნასაზრდოები ხატოვანებით.“ (მ. ჯორბენაძე)

„პოეზია კი პირველი კერპი იყო ამ კუთხეში. პოეზია ბატონობდა ცხოვრების ყველა სფეროში — სამამაცო ასპარეზზეც და სადიაცო ხელსაქმეშიც... ხოლო რაც შეეხება სიტყვიერ პოეზიას, სიტყვის კულტი აქ ლამის ანტიკურ დონემდე იყო მისული; ისე უფრთხილდებოდნენ სიტყვას, როგორც თოფისწამალს... ამ სიტყვის ძალით აქ — „მ'ზე წითლდებოდა, ცხრებოდა, მთვარე უკუღმა დგებოდა...“ ამ სიტყვის ძალითვე — ვეფხისა და მოყმის დედა ერთად ისხდნენ და ტიროდნენ...“ (კ. არაბული, ა. არაბული)

ხევსურული პოეზია სამ ჯგუფად იყოფა. თავის დანიშნულებითა და შინაარსით ერთმანეთისგან განსხვავდება „სიმღერე“, „ლექსნი“ (ანუ „კაფიანი“) და „შაირი“. თუ ხევსურული სიმღერე სახელოვან წინაპართა ცხოვრებასა და ბრძოლას ასახავს, ლექსი, ხევსურთა გაგებით, მისი საპირისპირო ჟანრია.

„მღერა ძველად თამაშობას აღნიშნავდა (და არა გალობას). სიმღერე ხევსურეთში უფრო იმას გულისხმობს, რომ ჯარზე უფროსები დასხდება, ხელში ლუდიანი თასები უჭირავთ, უმცროსები კი ქუდმოხდილებია და ცალ მუხლზე დაჩოქილი. ერთ მათგანს ფანდური აქვს და ამღერებს საგმირო შინაარსის სიტყვებს, შემდეგ ფანდურს მეორეს გადასცემს და ახლა ის დაამღერებს, შემდეგ იგი მესამეს გადასცემს, იგი კიდევ სხვას.“ (აკ. შანიძე)

„ხევსურის ფანდურის სიმები ძლიერ იშვიათად უმღერენ „საშიკო, საალალობოდ, ამხანაგთა სათრეველად...“ მეტადრე ძველის დასის მომღერალნი სასტიკად ძრახავენ და ჰკიცხავენ სალალობო ლექსს... ხევსურის ზნეობა, შეხედულება ეწინააღმდეგება საარშიყო პოეზიას...“ (ნ. ხიზანიშვილი)

„ამ დარგში (სატრფიალო პოეზია) ხევსურები ჩამოუვარდებიან ფშავლებს, მაგრამ ჩამოუვარდებიან არა იმიტომ, რომ ხევსურებს არ შეეძლოთ ფშავლებივით მოხდენილად თქმა ლექსისა სიყვარულის შესახებ, – არა, ეს დარგი პოეზიისა არ არის ხევსურის მეომრული ბუნებისათვის მაგრე მიმზიდველი.“ (აკ. შანიძე)

„მელექსია“ თორლვას არ მოსწოწს... ლექსებში ესენი ან თავის საკუთარ ხალხურ გმირებს ადიდებენ, ან მტერთან ბრძოლის ამბებს მოგვითხრობენ.“ (ვაჟა-ფშაველა)

„მკვახედ მღერიან ხევსურები, მათი ლექსი კაჟიანია, ეპიური, ხმა რიხიანი, ძარღვიანი, კილოში და სიტყვაში ისმის ფოლადის ჟღარუნი, სისხლის თქრიალი, ბრძოლის კიჟინი და იარაღის ჩხრიალი, ერეკლე ნეფე და კრწანისის ველი.“ (მ. ჯავახიშვილი)

„ვუსმენდი მელოდიას: ეს პირდაპირ ტირილი იყო ნამდვილი, შედარებით სხვა ქართველ ტომებთან ხევსურები ჰგოდებენ, ვიდრე მღერიან. აქაც სიმღერაშიც სევდა...“ (გრ. რობაქიძე)

განსაკუთრებით დიდი იყო ხევსურული პოეზიის ჩამოყალიბებაში ქალის როლი, რომელთა მიერ ნატირლები ხევსურებს ყოფაში გადაჰქონდა და სრულდებოდა „მთიბლურებისა“ და „ფერხისას“ სახით, რასაც თან ახლდ როკვა და რიტმული მოძრაობა, რაც მისტერიებში გადადიოდა.

დღეს კი „გამწყდარა ამაღლებული, საღვთოდ გასაგონი პოეზიის ჯაჭვ და ამხანაგთა სათრეველ, საყოფაცხოვრებო ლექსების უბადრუკ ნარჩენებად გაფანტულა...“ (კ. არაბული, ა. არაბული)

„თანამედროვე ფშავ-ხევსურულ პოეზიაში, ჩემი აზრით, ყველაზე მეტად დაწინაურდა გალექსება-გაკაფიავების ჟანრი... ასეთ პოეზიას არა აქვს ჭეშმარიტი

პოეტური გზნების, მაღალმხატვრული ხედვის, შემოქმედებითი სრულყოფის პრეტენზია... აშკარად იგრძნობა ხალხური შემოქმედების დაქვეითება, სუსტი მხატვრული ღირებულება, თემატიკის სიღარიბე." (თ. ოჩიაური)

მეურნეობის განვითარებამ, ხევსურის ტანიდან იარაღის აყრამ, თანდათანობით გამოიწვია საგმირო-სამონადირეო თემატიკის დაქვეითება და საყოფაცხოვრებო პოეზიის დამკვიდრება, რასაც ხევსურნი „მშაურად მღერას" უწოდებენ. „ყრმა ხევსურებმა ხარივით დაკლეს ბებერი, მაგრამ გაშზრდელი ლექსი", — იტყვის პოეტი.

ხევსურული დიალექტი. ხევსურთა კილოს დაცული და შენახული აქვს ძველი ქართულისთვის დამახასიათებელი ფორმა და მათი მეტყველება ძლიერ განსხვავდება ბარის ქართულისგან. ბ. ჯორბენაძის მიხედვით, ხევსურულ დიალექტში, რომელიც ძლიერ ახლოს დგას მოხეურთან და თუშურთან, შემონახულია არქაული ფენა IX-XIII საუკუნეების ქართულის ნიშნებით, სადაც ჩანს მთის იბერიულ-კავკასიური წყების კვალი. აკ. შანიძე ხევსურულ, მოხეურ და თუშურ დიალექტს აერთიანებს „ფხოურ" ჯგუფში.

ხევსურული დიალექტი შეიძლება დაიყოს ორ კილო-კავად: ერთია შატილ-მიღმახეური, მეორე — პირაქეთულ-არხოტული.

განსაკუთრებით საინტერესოა ხევსურთა ხანმეტი და ჭარმეტი კილო, რაც იბერიისთვის ყოფილა დამახასიათებელი, ქართთა ჰაემეტობისგან განსხვავებით.

სწორფრობა. ხევსურეთში გვიანობამდე მოაღწია ჩვეულებამ, რომელიც წარმოადგენდა ვაჟისა და ქალის ერთმანეთთან ურთიერთობის უჩვეულო, სასიყვარულო, რაინდულ ფორმას. ვაჟი და ქალი, რომელთაც მოსწონდათ ან მოეწონებოდათ ერთმანეთი (არა მომავალი შეუღლების მიზნით) ხდებოდნენ სწორფერნი (ძმობილნი) და ხშირად სიკვდილამდე უყვარდათ ერთმანეთი იმ წმინდა სიყვარულით, რაც შეიძლება იყოს მოტრფიალე კაცსა და ქალს შორის. ხევსურული სწორფრობა იყო „... ქართულ სინამდვილეში (და შესაძლოა მსოფლიოშიც) თავისი კერძო გამოხატულებით უნიკალური წესჩვეულება... რომლის წარმოშობა და საზოგადოებრივი ფუნქცია იდუმალებით არის მოცული." (ზ. კიკნაძე). ვაჟსა თუ ქალს თუ სწორფერი არ ჰყავდა და „წოლდგომის" გამოცდილება არ ჰქონდა ან ამ ტრადიციას წესებს არ იცავდა, ხალხის თვალში არავითარი სახელი და პატივი არ ჰქონდათ. სწორფერნი ერთმანეთისთვის უსაყვარლესი არსებანი იყვნენ და მათ ურთიერთობაში არსებული ზღვრის გადალახვა თითოეული მათგანისთვის მეტად მტკივნეული იყო, რის გამოც ზოგი ქალი თვითმკვლელობითაც ასრულებდა სიცოცხლეს.

სწორფრობას მკაცრად დაგენილი წესები ჰქონდა, რომელთაც ყმაწვილობიდანვე ეცნობოდნენ და სწავლობდნენ. თავდაპირველად ქალსა და ვაჟს

შორის შუამავლის როლს „ელჩი“ ასრულებდა, რომელიც ბოლომდე მესაიდუმლე რჩებოდა ქალისა და ვაჟის ურთიერთობის.

მიუხედავად იმისა, რომ, ხევსურთა თქმით, „სწორფრობა ხთის გაჩენილი იყო,“ გუდანის ჯვრის მოძმე ზეისტეჩოს ჯვარი „არ იჭდენდა“ წოლადგომას, რის გამოც იგი გუდანიდან გამწყრალი ზეისტეჩოს გადასულა.

რატომღაც დამკვიდრდა შეხედულება, თითქოს ხევსურთა სწორფრობა და ფშაველთა წაწლობა ერთი და იგივეა. ჯერ კიდევ ვაჟა-ფშაველა წერდა: „წაწლობას ხევსურეთში ნიადაგი არა აქვს; მაშინ, როდესაც მათი თანამოძმენი და მეზობლები ფშავში წაწლობის თაყვანისმცემელნი ყოფილან წინათ და დღესაც არიან...“ ალ. ოჩიაური წერს: „... სიტყვა წაწალი ხევსურეთში არ არის. ხევსურს სიტყვა „წაწალი“ მიაჩნია დიდ შეურაცხყოფად“-ო.

ს. მაკალათიას მიხედვით, „წაწალი“ უნდა წარმოდგებოდეს „წაწოლისაგან“, რადგანაც თვით ეს წესი წოლასთან არის დაკავშირებული. გ. თედორაძის მიხედვით, „წაწალი“ წარმოდგება „წანწალისაგან“, როგორც უპატიოდ მავალის, მექალთანის აღმნიშვნელი.

მიჯნურობა. ხევსურთათვის მიჯნურობის გამოხატვის ერთ-ერთი ფორმა იყო „სწორფრობა“ („ძმობილობა“), მაგრამ ქალის გათხოვების შემდეგ ეს ურთიერთობა მთავრდებოდა. მათ არ შეეძლოთ შეენარჩუნებინათ იგი და სამუდამო ბედნიერებად ექციათ, რადგან „სწორფერთა“ შეუღლება იკრძალებოდა. მათი ურთიერთობა დროებითი იყო. ქალს არ შეეძლო „ძმობილის“ გამო არასასურველი საქმროს დაწუნება.

მიჯნურობა დაფარული იყო. ქალ-ვაჟი არ ამჟღავნებდნენ ერთმანეთის სიყვარულს, თუმცა ზოგჯერ ქალი ახერხებდა ლექსად გამოეხატა თავისი სურვილი, სიყვარული, ტანჯვა, წუხილი. მაგრამ ესეც დაფარულ იყო, ვინაიდან ისინი თავიანთ ლექსებს სხვის ნათქვამად ასაღებდნენ, აკეთებდნენ მინიშნებებს და ფარავდნენ თავიანთ პიროვნებებს.

„...ხევსურეთის ახალგაზრდობა მოკლებულია ერთმანეთის ტრფობასა და გამიჯნურების რომანტიკას, რომლის გამჟღავნება თემური ადათით სასირცხოდ ითვლება და აკრძალულია. ქალ-ვაჟს მიჯნურობა უნამუსობაში ჩაეთვლება, მიჯნურთ თემში აძაგებენ, მაგრამ ერთმანეთის მოტრფიალენი ცდილობენ, თავიანთი სიყვარულის გრძნობები დაფარონ სწორფრობის ნებადართული წესებით.“ (ს. მაკალათია)

ჭრა-ჭრილობანი და მკვლელობა. ხევსურს უყვარდა და შესანიშნავად ფლობდა იარაღს. შინაური შუელის დროს ბლაგვწვერა მახვილს (დაშნას, ხმალს) ხმარობდა, ხანჯალს ერიდებოდა, რადგან შეიძლება მოწინააღმდეგეს ან გამშველებელს შემთხვევით წვერით მოხვედროდა. მოწინააღმდეგეს მძიმედ არ დაჰკრავდა, ნაჭრევი (ჭრილობა) მსუბუქი უნდა ყოფილიყო, ისეთი,

რომ მასში თმის ღერი ძლივს მოთავსებულიყო და მხოლოდ სისხლის ნამი გამოსულიყო. მოწინააღმდეგის მძიმედ დაჭრა დიდი სირცხვილი იყო. შუღლშიც დარბაისელნი უნდა ყოფილიყვნენ, არ აჩქარებულიყვნენ, „გონთით არ გამოსულიყვნენ“, ჭრილობას და სისხლს არ უნდა გაეავებინა. თითოს რომ დაჰკრავდნენ, მახვილს ჩააგებდნენ, „სმალმა გაძლომა არ იცის, მუდამ მშიერიაო“. (ნ. ბალიაური)

„ძნელადა ნახავთ ისეთ ხევსურს, რომელსაც პირისახე... იარაღით დასახიჩრებული არა ჰქონდეს.“ (ალ. ყაზბეგი)

„არა მგონია, დედამიწამ მთელ თავის მცხოვრებთა შორის, ვინც კი იმის ზურგზე ჰკიდია, რა ტომისაც უნდა იყოს ის ადამიანი, თუნდაც ველური, — ნახოს ისეთი თავის პატრონი, როგორც ხევსური მიცვალებული. საფლავში არც ერთი ტომის მამაკაცი არ ჩაიყოლებს, როგორც ხევსური, გადაკორტნილს თავს, ვინ დაჭრა, ვინ დაკაფა მისი თავი? რამ გადაკორტნა? ისევ მისი თანამოძმის, ხევსურის ხმალმა და ხანჯალმა. ზოგიერთი ხევსურის თავზე მე დამითვლია 50 ნაჭრევი, ზოგი მსუბუქი, მაგრამ ზოგიც ისეთი, შიგ ცერიც ჩაჯდება.“ — წერს ვაჟა-ფშაველა და დასძენს: — „ხევსურების საქმეები რომ ახალ კანონს ჩაეგდო ხელში, აქამდის ხევსურეთი კამჩატკაში დაარსდებოდა. ყველა ხევსურმა ეს კარგად იცის და კიდეც იმიტომ ფრთხილობს, რომ დაჭრილობის ამბავი „კანონის“ ყურად არ მივიდეს.“

ხშირად ხევსურთა შუღლისა და ჭრა-ჭრილობის უმთავრესი მიზეზი სწორფერი ქალი იყო. შუღლის მიზეზი იყო აგრეთვე ერთმანეთის გალექსება და უფრო ნაკლებად — სიმთვრალე, რადგან სასმელის მორევის გამო, სიმთვრალეში მომხდარი შუღლი დიდი სირცხვილი იყო.

„...რა არის სისხლი ხევსურისათვის. როცა ხევსურებს უცქერ, ნაჭდევებით სახეზე და ტანზე, მუდამ იარაღასხმულთ და მზადმყოფთ შეტევისათვის, გგონიათ, სისხლი სწყურიათ მათ მხოლოდ, მაგრამ ეს ასე არ არის. არავის ეშინია სისხლის დაღვრისა ისე, როგორც ხევსურს: არც ერთ ხალხს, არც ერთ ტომს. მკვლელს ხევსურეთში „ლაჩარის“ სახელით სდაღავენ. გმირი მათთვის ის მორკინალი კი არაა, ვინც სახიფათოდ დასჭრის მოპირდაპირეს, ჭრილობა კანის გაკაწვრა უნდა იყოს მხოლოდ, თვით გაავებულ შებმაშიც კი. — აი, უტყუარი ნიშანი ხევსურისათვის ნამდვილი ვაჟკაცობისა.“ (გრ. რობაქიძე)

მკვლელობა ხევსურეთში ძლიერ იშვიათად ხდებოდა, უფრო შემთხვევით, მაგრამ მკვლელს და მთლიანად იმის გვარს არავინ აპატიებდა, სამაგიეროს მიუზღავდნენ და მთელ საგვარეულოს დედაწულიანად ადგილიდან აყრა უწევდა. ამის გამო იყო, რომ კაცის კვლას ერიდებოდნენ. ვაჟა-ფშაველა, წერს რა ხევსურთა ხშირ ჭრა-ჭრილობაზე, აღნიშნავს: — „მკვლე-

ლობა კი ძლიერ იშვიათი მოვლენაა.“ („შენ თუ სხვა მოჰკალ,შენც მაგკვლენ, მკვლელს არ შაარჩენს გვარია“. ვაჟა-ფშაველა)

სისხლის ძიების („თავ-მეთავეობის“) მკაცრი რეჟული, რომელიც საუკუნეობით გადადიოდა თაობებში, ხევსურებს აიძულებდა, „არა კაც ეკლა“. ყველაზე წინ ეს გრ. რობაქიძემ დაინახა (ისევე, როგორც სწორფრობის იდუმალი არსი და ხიბლი): “სისხლით შურისგება ხევსურეთში მკვლელობის ასაცდენად სჯულდებად მესახება.“ (გრ. რობაქიძე)

„ კარარსტინი“. ხევსურთა ერთ ნაწილს ჰქონდა არც თუ ვაჟკაცური და მოსაწონი ჩვეულება: ცენტრალურ გზასთან მდებარე სოფლის მკვიდრნი უქმე დღეებში გამოდიოდნენ გზისპირა ჭალებზე და ვისაც მოიხელთებდნენ, მიმავალ-მომავალ მგზავრს, აბუჩად იგდებდნენ, სცემდნენ. ამ მხრივ ყველაზე მეტად გამოირჩეოდნენ დათვისელ-გველეთელნი, რომელთა ხეობაზეც გადიოდა ფშავ-ხევსურეთის უმთავრესი სამიმოსვლო გზა. (ძველად ასეთივე მდგომარეობა ყოფილა ღულის ჭალაზეც. აღზეებულ ღულელთა შიშით ხევსურებს გველაურთის გზითა და სანაგის საჯარის გზით უვლიათ.) გიგაურთის ველსა და ორწყლის ჭალაში ჩადგებოდნენ საგაღმოს ხევსურნი და „შეკრავდნენ კარარსტინს“ – ბილიკზე ან ხიდზე გაბამდნენ წნელს, რომლის ქვეშაც უნდა გამძვრალიყო მგზავრი. ეს ყველამ კარგად იცოდა და ამ ადგილებზე გამვლელნი მზად იყვნენ თავი დაეცვათ, რათა შეურაცხყოფილნი არ დარჩენილიყვნენ. იყო დაუსრულებელი ჩხუბები და ხმალ-ხანჯლის ტრიალი. ხშირად ყოფილა შემთხვევა, გამვლელი არად ჩააგდებდა დამხვდურთ, გაივლებდა ხმალზე ხელს, გაჰკვეთდა წნელს და თამამად გაივლიდა. აბა, დადგომოდა წინ ვინმე, თუ ვაჟკაცი იყო.

შემწყნარებლობა ხევსურისა. ხევსურები წარმართები იყვნენ და ქრისტიანულ შემწყნარებლობას მათი ცხოვრების წესი ვერ ეგუებოდა, რაზედაც ზოგჯერ სამეფო ხელისუფლებაც განგებ თვალს ხუჭავდა, რათა მათში მეომრული სული არ ჩაეკლა და გაჭირვების ჟამს მუდამ გვერდით ჰყოლოდა ეს „ომში მეტად გამოსადეგი ხალხი.“ მაგრამ ამ ხალხის მტერთან თუ მოყვარესთან ურთიერთობაში რაღაც განგებით მოქმედებდა ჰუმანიზმის ის დაუწერელი კანონები, რომლებსაც ქადაგებდა ქრისტიანობა და მხოლოდ ჩვენს ეპოქაში ჩაუყარეს საფუძველი მსოფლიო სამშვიდობო ორგანიზაციებმა.

მიუხედავად იმისა, რომ ხევსურები ცხოვრობდნენ პრინციპით – „სისხლი სისხლის წილ“, ყველაზე მეტად ეს „სისხლი“ აკავებდათ და გაურბოდნენ, რადგან მათთვის თითოეული ადამიანის სიცოცხლე დიდად ფასობდა. მათი ვაჟკაცური ბუნებისთვის სავალდებულო იყო, პატივი ეცა მოწინააღმდეგისთვის, შეეფასებინა მისი ავკარგიანობა, ბრძოლისას გაფრთხილებოდა მშვიდობიან მოსახლეობას, თავიდან აეცილებინა ზედმეტი მსხვერპლი, შეეწყ-

ნარებინა დამარცხებული (თუნდაც მომხვდური), ყოფილიყო მისი მკურნალი, ადამიანურად მოპყრობოდა ტყვეს. ამასთანავე, პატივი ეცა მტრის სარწმუნოებისთვის (სალოცავისთვის), რაც არასოდეს ყოფილა ხევსურებსა და მათ ჩრდილოელ მეზობლებს შორის მტრობის მიზეზი. ორივე მხარის ურთიერთობას არეგულირებდა ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი, ვაჟკაცობის („კაცის კაცობის") კანონები, რომლის დაცვა სავალდებულო იყო თითოეულისთვის.

თავის დროზე ეს აღნიშნა ვაჟა-ფშაველამ, ხოლო ხალხურმა მთქმელმა გიორგი ჯაბუშანურმა დააგვირგვინა, როდესაც „ვეფხისა და მოყმის ბალადაში" მოყმის დედა შვილთან ერთად ვეფხსაც გლოვობს და ვეფხის დედას სამძიმარს უთვლის.

მტრისთვის მარჯვენას მოჭრაზე. ასეთი ტრადიცია ხევსურებს არ ჰქონიათ. მკლავის, თავის მოკვეთის და საფლავზე დაკვლის წესს ხევსურთა მეზობლები მისდევდნენ და მათი გაკლენით ხევსურეთში მოწინააღმდეგისთვის მარჯვენა ხელის მტევნის მოკვეთის მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაა ცნობილი და ისიც, როგორც გადამთიელ მტერზე შურისძიების, მისი მოკვლის დამამტკიცებელი საბუთი (ნივთმტკიცება) და არა როგორც ჩვეულება. ამას მოწმობს ძველი ხევსურული ლექსიც: „...ლეკსა ჭოცს, ჭელს კი არა სჭრის: — ჭევსურის წესი არ არსა..."

ვაჟიშვილის (მემკვიდრის) შესახებ. ყოველ ხევსურულ ოჯახს უნდა ჰყოლოდა ვაჟიშვილი. ქალიშვილი მემკვიდრედ არ ითვლებოდა. (ზედსიძეობის, გათხოვილი ქალის ვაჟიშვილის მემკვიდრედ გამოცხადების ტრადიცია ხევსურეთში არ არის.) ეს იყო ხევსურთა მრავალცოლიანობის მიზეზი. თუ შვილი (ე.ი. ვაჟი) არ ეძლეოდა, რაც გინდა ბევრი ქალიშვილი ჰყოლოდა, მოჰყავდა მეორე ცოლი. ზოგ შემთხვევაში ეს პირველი ცოლის ხელშეწყობითაც ხდებოდა. ორივე ცოლი ქმრის სახლში ერთად, თუ შესაძლებელი იყო, ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ.

ვაჟიშვილის ყოლის აუცილებლობა გამოწვეული იყო იმით, რომ საზღვრის მცველსა და მოლაშქრე ხევსურს ცვლა უნდა ჰყოლოდა. ხოლო თუ ხევსურეთში ასეთი ცვლა არ იქნებოდა ან შემცირდებოდა, სამეფო ხელისუფლება მათ ადგილას სხვას ჩააყენებდა, მათი მამული სხვას გადაეცემოდა, რასაც ხევსურნი ვერ ეგუებოდნენ.

ხევსურული ლუდი. ხევსურეთში გამეფებულია ლუდის კულტი. ლუდი აქ ღვთიური სასმელია და ღვთაებათა საღიდებლად დულს. ხევსურთა თქმით, არაყი „ეშმაკის ნაორთქლია" (გაფუებული პურის მარცვლის არაყს ევროპაშიც „ეშმაკის არაყს" ეძახდნენ).

ჯერ კიდევ ძვ. წ. IV ს-ში ქსენოფონტეს ხალიბთა სოფლებში უნახავს ლუდი — „ქერის ღვინო." ფშავ-ხევსურულ ხთიშვილებს ქაჯავეთი რომ დაულაშქრავთ, იმის მერე გაუმწესებიათ ჯვრებში ლუდის დულილი.

„ალბათ, რაც ხევსურეთი არსებობს, სულ იყო ლუდიც, ლუდის კულტი აქ ძლიერად ბატონობს. ეს სჩანს გვარ-სახელებიდანაც და ხალხური პოეზიიდანაც... ლუდი რიტუალური სასმელი იყო და მისი მოდუღება სალაღობოსალრეობოდ არ ხდებოდა.

ლუდს ხევსურები მხოლოდ დიდ დღეობებში (მთიბელ-მამკალში ჯვართად) წურავდნენ, წურავდნენ ჭირსა და ლხინში...

ყველაზე პატივდებულ და შეძლებულ ოჯახს შეიძლება „დიდი ლუდიც“ ედუღა, საგანგებოდ, გამოსაჩენად, ძველი ხევსურეთის კაი ყმათა მოსაკრებად.

ხევსურთა თქმით, ლუდი ჯანის სარგოა...

ხევსური კაცისათვის ლუდი კეთილშობილი, საღვთო სასმელია. „მხოლოდ ლუდიან თასზე დანთებული სანთლები ანათებენ საიქიოსო... ღმერთი მხოლოდ ლუდით იდიდების. სანთლები მარტო ლუდიან ეკვრისო.“ (კ. არაბული, ა. არაბული)

ხევსურებმა „...კარგი ლუდის დაყენება და სიმღერები იცოდნენო,“ — უთქვამს ილია ჭავჭავაძეს.

„დიდი ლუდი“. ძველი ხევსურული ჩვეულება — „დიდი ლუდი“ — ნიშანი იყო გვარის ეკონომიური სიძლიერისა და აღზევებისა. ასეთი გვარის წარმომადგენელი ყოველწლიურად ან წელგამოშვებით ადუღებდა საქორწინოდ განსაზღვრულ ლუდზე ათჯერ უფრო მეტს. ასე რომ, ხალხის დაშლის შემდეგ რამდენიმე კოდი კიდევ გასასხნელი უნდა დარჩენილიყო. „დიდი ლუდის“ დროს მოიწვევდნენ უამრავ სტუმარს, მხოლოდ მამაკაცებს, რომელთათვისაც გამზადებული უნდა ჰქონოდათ საკუთარი ლოგინი, შიბიანი მძივ-ღილით შემკული ამოკერებული თათნი და საგანგებოდ დაკერილი, მოსასხამი ტყავი. დიდი სმა რამდენიმე დღე გრძელდებოდა. სმაზე მოწვეულს ერთი კონა შეშა უნდა მიეტანა მხოლოდ.

„დიდი ლუდი“ უდუღებია გველეთელ ბიჩინიგას („ბაგრატიონთა ნაბიჭვარს“), ოხერხეველ ბადრიაულებს, ლიქოკში — ჭეტკოელებს (წლისთავად) და ნებიერულს (წელშუ), გუდანს — ჯამშა-ყურაულებს... ეს აღზევებული გვარები დროთა განმავლობაში ან „ჯვარმა გაათავა“, ან მეზობლებმა ამოხოცეს.

მკედრის კულტი ხევსურეთში. დიდი ტრაგედია იყო ხევსურთათვის ნებისმიერი პიროვნების გარდაცვალება, რადგან სოფლისთვის თითოეული ხევსური სიკვდილი მერმრის სიკვდილი იყო. რაც გინდა ბეჩავი ყოფილიყო იგი, სახელიანი ვაჟკაცის დარად, უებრო გმირის სახელით დაიტირებდნენ, ცხენ-იარაღს, სასმელ-საგზალს, ტალავარს, წყალს, ცეცხლს დაულოცავდნენ საიქიოსთვის, რადგან ხევსურთა წარმოდგენით მიცვალებული სულეთშიც განაგრძობდა ცხოვრებას.

როგორც ცოცხლებს ჰქონდათ საქაოს მტკიცედ ჩამოყალიბებული ინსტიტუტები ღვთისმსახურებისა, სტუმარ-მასპინძლობისა, მლოცავ-მკითხავთა და

ა.შ., ასევე მიცვალებულთათვისაც არსებობდა ცალკე ინსტიტუტი სულის ხუცესის, მესულთანისა და ჯვით მატირალის. არსებობდა სულის მოსახსენიებელი განსაკუთრებული დღეები — "სულამაის დღე", „წყალკურთხევა", „ხალარკვება", „თიბის შამშაბათი", „სულთაკრეფა", „სანთელნი", „შაბათის რიგი"...

ჭირ-ლხინისა და ჯვარში დღეობების დროს საგანგებოდ იცოდნენ ძველი და ახალი მიცვალებულებისთვის სასმელის დალოცვა. გარდაცვლილთა სულების მოსახსენიებლად საგანგებოდ ადუღებდნენ ლუდს, აკეთებდნენ სახელსადებებს, არ ივიწყებდნენ არავის. ცალკე კოდსა და ტაბლას უდგამდნენ იმ პიროვნებებს, რომელთაც მომგონი (შთამომავალი) არ დარჩათ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მიცვალებულისთვის საგანგებოდ მორთული სასმისის (ყანწი, ჭურჭელი), წყაროს და ცხენის დალოცვა, რომლებიც სამუდამოდ რჩებოდა გარდაცვლილის მოსაგონებლად.

ამას გარდა, „სმულოვის" (ქეიფის) დროს ხევსურები უფრო მეტ შესანდობრებს სვამდნენ, ვიდრე სადღეგრძელოებს და ყოველი ოჯახი პურობას მიცვალებულისთვის „შანდობის თქმით" იწყებდა.

„სულის ცხენი". სულის ცხენის კულტი იმ დროიდან მოდის, როდესაც მხედართან ერთად ცხენსაც მარხავდნენ, რათა მას საიქიოშიც ჰყოლოდა საფერხე. დღეს ხდება მიცვლებულისთვის ცხენის სიმბოლური შეწირვა და იმართება „დოღვი" (დოღი). მხედრები ჯილდოვდებიან.

„სულის წყალნი". მიცვალებულისთვის იციან წყაროს აშენება და დალოცვა, რათა იგი არ იყოს მწყურვალი. ყოველ წყაროს ჰქვია ამა თუ იმ პიროვნების სახელი, რომელიც მიცვალებულის სამუდამო ხსოვნის სიმბოლოა.

„ღაბაკი". ჯილდოდ გამოიტანენ მიცვალებულის რაიმე ნივთს და იმართება შეჯიბრი მიზანში სროლაში. გამარჯვებულს ეძლევა ჯილდო.

„სულის სახელი". ხევსურს ესპანელივით რამდენიმე სახელი ჰქვია, რომელთაგან ერთ-ერთი არის „სულის სახელი" — გარდაცვლილი წინაპრის ან სხვა რომელიმე ხევსურისა. „სულის სახელის" დარქმევა მესულთნის საშუალებით ხდებოდა.

ᲓᲐᲛᲐᲠᲮᲕᲘᲡ ᲬᲔᲡᲘ. როგორც თემები იყოფოდა გვარად, ძირად, მამებად, ასეთივე წარმოდგენა ჰქონდათ „საიქიო" ცხოვრებაზეც, რაც გამოიხატებოდა სასაფლაოების „ანდაბებად" დანაწილებაში, სადაც კვლავ ცალკე გამოიყოფოდა გვარის, ძირის და მამიშვილობათა საფლავები. ხალხის წარმოდგენით, საიქიოშიც გრძელდებოდა ცხოვრება და ამა თუ იმ გვარის მკვდრები ერთად უნდა ყოფილიყვნენ.

ხევსურთა გორშელმის ხეობიდან საარაგვოზე განსახლებისა თუ ერთი რომელიმე სოფლიდან საცხოვრებლად მეზობელ ადგილებში გადასვლის

შემდეგაც კი მიცვალებულს კვლავ წინაპართა სასაფლაოზე მარხავდნენ, ტერიტორიულად რაც არ უნდა შორს ეცხოვრათ ამ ადგილიდან. მაგ., ბაკურხეველნი, მოწმაველნი, გველეთელნი და ა.შ. თავიანთ მიცვალებულებს ბაცალიგოს მარხავდნენ, ჩირდილელნი — ხიტალეს, ბარისახოელნი და უკანახოელნი — გუდანში. უფრო ძველ დროს კი თავად ბაცალიგოელთ და ხიტალიენებს ზეისტეჩოს სასაფლაოზე უმარხავთ მიცვალებულნი, რადგან არაბულთა თავდაპირველი საცხოვრისი ზეისტეჩო იყო. თუ ადამიანი ზამთარში მოკვდებოდა და მისი გადასვენება უგზოობის გამო შეუძლებელი იყო, დროებით ადგილზე მარხავდნენ, გზის გახსნის შემდეგ კი ხდებოდა მისი გადასვენება. სცოდნიათ მიცვალებულის მუცლის ღრუს ამოსუფთავება. საფლავი დახურული იყო. მიცვალებულს ქვის ფილებით ან მუხის ფიცრებით შემოზღუდავდნენ, მაღლიდანაც დააფარებდნენ და შემდეგ დააყრიდნენ მიწას. ზოგან მიცვალებულებს ცალ-ცალკე მარხავდნენ, ზოგან კი სცოდნიათ „საფლავის აკდა“ — რაც მცირემიწიანობით იყო გამოწვეული. ზოგან საფლავებზე დააშენებდნენ ყრუ კოშკებს. არსებობდა სიმბოლური საფლავებიც: შორეულ ლაშქრობაში დაღუპულს ახლობლები სასაფლაოზე მიწას მიუზომავდნენ და ჩვეული წესით დაიტირებდნენ.

ხევსურები და მათი მეზობლები

ხევსურებს ჩრდილოეთის მეზობელ ტომებთან ურთიერთობა თავიანთი წესებით ჰქონდათ დარეგულირებული. თუკი მტრობა ჰქონდათ მეზობლებთან, ისიც უფრო პირადი, საგვარეულო ინტერესებით იყო გამოწვეული, ვიდრე პოლიტიკურით. მართალია რელიგიურმა დაყოფამ ისინი დააპირისპირა, მაგრამ „მოსაზღვრე ტომებთან ურთიერთობის რეგულატორი იყო არა სარწმუნოება, როგორც ხდებოდა ქრისტიანულ და მაჰმადიანურ ტომებში, არამედ ვაუკაცობა.“ (დ. ბენაშვილი)

„უნდა ვთქვათ, რომ ძველისძველად კავკასიის მთის სხვადასხვა სოფელში, სადაც ცხოვრობდნენ ლეკნი, დიდონი, ქისტნი, ხევსურნი, თუშნი, ჩვეულებად დაედოთ, რომ ერთი თემი მეორე თემს მოციქულებს მიუგზავნიდა, ჩვენში ზავი დავდოთ და რამდენი წლითაც ორივე მხარეს სურდათ, ზავს დასდებდნენ და შეცვლიდნენ ტყვიასა და ქუდს, რომელიც ნიშნავდა: ტყვია ვაჟკაცობასა და ქუდი ნამუსს. ეს იყო მაშინ მათი შერიგების ნიშანი. და ესე ზავის დამდებნი ისე იყვნენ შეკრულნი მტკიცე პირობით, რომ არც ერთ მხარეს

არ შეეძლო დანიშნულ ვადამდის მიხდომა, ტყვეების მოტაცება და სისხლის ღვრა. ერთმანეთში მშვიდობიანად დადიოდნენ.“ (ბ. ერისთავი–ჯორჯაძე)

მიუხედავად მშვიდობიანი ურთიერთობისა, მთიელთა შორის ხშირი იყო „ზავის აშლა“ — ქურდობა, მზირობა, ნადირობა–მეკოპრეობა („მენადირეთ წინავ კაცის მჭოცელთ ძახნილან, იმათ უდენავ, ხალხ უჭოცავ.“). 3–10 და ზოგჯერ მეტი კაცისგან შემდგარი რაზმები მალულად გადადიოდნენ მეზობელ თემებში, უსაფრდებოდნენ მგზავრს, მწყემსებს, თარეშობდნენ მათზე და იტაცებდნენ ნადავლს, ტყვეებს.

ხევსურებმა ამგვარი თარეშის აღსაკვეთად იცოდნენ უღელტეხილებისა და გზა–ბილიკებზე „ვეშაგის“ ჩაყენება, რომელნიც მტრის გამოჩენას მოსახლეობას შეატყობინებდნენ ან თავად შეებმებოდნენ მომხვდურს.

მთიელებს ერთმანეთთან აკავშირებდა ხელოსნობა. სხვადასხვა საქმის ოსტატნი (ქვითხურონი, მჭედელნი, დურგალნი, მქსოველნი) გადადიოდნენ ერთმანეთში, ვაჭრობდნენ, ცვლიდნენ, გაჰქონდათ ერთმანეთში იარაღი, ფლას–ფარდაგი, სპილენძისა და ვერცხლის ნაკეთობანი, მარილი, ტყვია–წამალი და ა.შ.

ხევსურები და ქისტები. ხევსურებსა და ქისტებს შორის, რომლებიც გვიანობამდე ერთი სარწმუნოებისანი იყვნენ, ჩვეულებრივი მეზობლური დამოკიდებულება იყო. თუმცა ეს დამოკიდებულება ხევსურეთის ცალკეულ თემსა და ქისტებს (ჩეჩნებსა და ინგუშებს) შორის სხვადასხვანაირი იყო: „ქისტებსა და არხოტივნებს ხანდახან ჩამოუვარდებოდა შური და მესისხლეობა, შეიკვროდა გზა. ე.ი. მიმოსვლა შეჩერდებოდა, მერე კაც–შუაკაცი ასტყდებოდა და ისევ შერიგება ხდებოდა.“ „...მესისხლეობა ქისტებსა და შატილივნებსაც ქონდათ, მაგრამ ისე მწვავედ შურიანობა მათ შორის არ იყო, როგორც არხოტივნებსა და ღილღვებს შორის. ამათ უფრო ხშირ შემთხვევაში ქონდათ ზავი და ერთი–მეორესთან მისვლა–მოსვლა. იშვათად აიშლებოდა ზავი და ისიც ცოტა ხნით.“ (ალ. ოჩიაური)

შატილელ ხევსურებსა და ჯარეგოელ ქისტებს ერთმანეთთან პირობა ჰქონდათ დადებული, რომ ყოფილიყვნენ შუამავალნი და თავდებნი რომ ქურდობა–მეკოპრეობისგან დაეცვათ როგორც ერთმანეთი, ასევე ხევსურეთისა და ქისტეთის სხვა თემები. პირაქეთა ხევსურებისა და ქისტების ურთიერთდამოკიდებულება უფრო მტრული და აგრესიული იყო, ამიტომ ერთმანეთთან ურთიერთობასაც ერიდებოდნენ. „ქისტებს და ბუღე ხევსურებს შორის შატილივნები ასრულებდნენ შუამავლის და მყიდველ–გამყიდველის როლს.“ (ალ. ოჩიაური)

ქისტთა წინაპრები — ძურძუკები, ანუ კავკასიანები, ჯერ კიდევ ძვ.წ. დროიდან იხსენიება ქართულ მატიანეში, როგორც ქართლოსიანთა მეზობელ–ნათესავნი და იბერია–საქართველოს მეფეთა გავლენის ქვეშ მყოფი,

ჩრდილოეთის საზღვრის მცველი ტომი. ძვ. წ. IV–III ს–ში იბერიის პირველმა მეფეებმა — ფარნავაზმა და საურმაგმა — სწორედ ძურძუკები გამოიყენეს ქართული სახელმწიფოსა და ტახტის განმტკიცება–გაძლიერებისთვის ბრძოლაში. ეს ტრადიცია შუა საუკუნეებშიც გრძელდებოდა.

საქართველოს მეფეებმა ძურძუკთა ნაწილი ჩამოასახლეს კიდეც ქართლის მთიანეთში და მათ შორის ფხოვში. საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების პირველ ხანებში ფხოველნიც გადახვეწილან ძურძუკეთში, თუმცა მოგვიანებით ორივენი მოქცეულან და ქრისტიანული კულტურა ქისტეთში ფხოვის გზით შესულა.

ხევსურებსა და ქისტებს ერთნაირ პირობებში უხდებოდათ ცხოვრება, რის გამოც ტრადიციები, ღვთაებები, რიტუალები, ადათობრივი რჯულ–სამართალი და ა.შ. თითქმის ერთნაირი ჰქონდათ. ორივენი ლოცულობდნენ ხახმატის ჯვარს (ნაყოფიერებისა და დოვლათ–ბარაქიანობის ღვთაებას), ანატორისა და ცროლის ჯვარს (ნადირ–მენადირეთა მფარველსა და წულის მომცემ ღვთაებას), მაისტის ჯვარს (ცა–ღრუბელთა და დარ–ავდართა ღვთაებას).

XVIII ს–ის 70–იან წლებში გიულდენშტედტი აღნიშნავს ქრისტიანობის ღრმა კვალს ქისტეთში და დასძენს: ქისტებს „სწამს ერთი ღმერთი, რომელსაც დალას უწოდებენ.“ ღვთაება „დალა“ („დალი–ხაჯი“) ხევსურეთშიც არის შემორჩენილი.

ალ. ყაზბეგი წერს: „მთის ქისტებში ეხლაც ისეთივე დეკანოზები არიან, როგორც მთის ქართველებში. ნიშები, დროშები და წმინდანების სახელები დღევანდლამდის ქრისტიანული აქვთ დარჩენილი, თუმცა დროშის თავებად ჯვრები აღარა აქვთ და ან მარტო შუბს ამოუყვია წვერი, ან მერდინით არის შეხვეული.“

ალ. ყაზბეგი ქისტებსა და ხევსურებს შორის მტრობის წარმოშობას მუსულმანობის გავრცელებასა და შამილის გამოსვლას უკავშირებს, მაგრამ მთიელნი ამ მტრობასაც დიდი სიფრთხილით ეკიდებოდნენ: „ქისტები და ხევსურები ერთმანეთთან სრულის თანხმობით სცხოვრობდნენ, აძლევდენ ერთმანეთს ქალებს და თუ მტრობა ჩამოუვარდებოდათ რამე ერთმანეთში, ეს მტრობა კერძო საქმე იყო — ორის პირისა, ან ორის გვარეულობისა. ხალხი კი არამც თუ ერეოდა ჩხუბში, ყოველსავე ღონისძიებას ხმარობდა იმათ შეესარიგებლად. ესეთი მტრობა ორის თემის მტრობად არ ჩაითვლება, და როგორც კერძო შემთხვევა, თვით ხევსურებს ერთმანეთშიც მოუხდებათ ხოლმე.“

ჩრდილოკავკასიელ ტომებსა და ქართველ მთიელებს შორის სერიოზული მტრობა მონღოლთა და სპარსთა პოლიტიკის გავლენით დაიწყო. დამპყრობლებმა ყველაფერი იღონეს, რათა კავკასიის ხალხები ჯერ ერთმანეთისთვის გადაემტერებინათ, შემდეგ კი საქართველოს წინააღმდეგ გამოეყვანათ.

„...გადმოდიოდნენ ქისტებიც, ოლონდ დოდოელთაგან განსხვავებით ისინი დიაც-ყმაწვილს არ აწიოკებდნენ — არც ხოცავდნენ და არც ტყვედ მიუდიოდათ. თუ მარჯვედ მოიხელთებდნენ, პირუტყვს მოიპარავდენ, ან დაფქულს წაიღებდენ. ეგ იყო და ეგ. უპატიურობაი-დ წარამარობა ქისტებს არ სჭირდ, მაგ მხრივ არ გეშინოდის...“ — წერს თუში გ. ცოცანიძე. იგივე ითქმის ხევსურებისა და ქისტების მტრობა-ურთიერთობაზეც.

ქისტებმა მონაწილეობა მიიღეს 1813 და 1922 წლებში ხევსურეთის აჯბოხებებში.

გასაბჭოებამდე ქისტების რამდენიმე თემი ადმინისტრაციულად თიანეთის მაზრაში შედიოდა. ვაჟა-ფშაველა წერდა: — ქისტი იმიზეზებს, თიანეთში „ნაჩალნიკთან“ ვარ დაბარებულიო და შინ რომ დაბრუნდება, დიდი სირცხვილია ხელცარიელი მივიდეს მითხოში: უნდა მოიპაროს ცხენი ან ძროხა“-ო. ამ ჩვეულებას არც ახლა ღალატობენ ქისტები.

„... მაგრამ ამ ხალხზე მაინც მაღალი აზრი ჰქონდათ, მოსწონდათ მათი სიჩაუქე, სიმარჯვე, თავდაჭერის დიდი უნარი, ყმაწვილობიდან ვაჟკაცურად გაზრდის ტრადიცია. ახლო მეზობლობით ურთიერთგავლენაც დიდი იყო მეურნეობის, ნაგებობის, ჩაცმულობისა თუ ენის მხრივ...“ (თ. ოჩიაური)

ხევსურები და თუშები. მეზობელი ტომებიდან ხევსურებს ყველაზე ახლო ურთიერთობა თუშებთან ჰქონდა. მათ „შორის თითქმის ნათესაური დამოკიდებულება სუფევს... თუშნი და ხევსურნი ურთიერთს ბიძაშვილებად მოიხსენიებენ... ერთმანეთში ფშავლებსა და ხევსურებს კინკლაობა ჰქონიათ, თუშებთან კი დიდი კავშირი.“ (თ. ოჩიაური)

ფშავლებთან შედარებით ხევსურები თუშებს უფრო ზრდილობიანად ეკიდებოდნენო, — აღნიშნავს ვაჟა-ფშაველაც. ხევსურებისა და თუშების ახლო ურთიერთობის უმთავრესი მიზეზი, ფხოვში ქრისტიანობის გავრცელების ჟამს ფხოველთა თუშეთში გადასვლა და იქ დამკვიდრება არის. „თუშეთის ტერიტორიაზე ხევსურები უნდა იყვნენ ჩასახლებულნი.“ (თ. ოჩიაური, ვ. ბარდაველიძე). მემატიანე პირდაპირ აჯბობს: „...ხოლო ფხოველთა დაუტევეს ქვეყანა მათი და გარდავიდეს თუშეთს.“

ხევსურული და თუშური კილო, სიმღერა ითქმის განურჩეველია ერთმანეთისგან.

თუშეთში „საკულტო სალოცავებს შორის, რომლებიც რამდენიმე იყო თითოეულ სოფელში, ერთი აუცილებლად „სახევსურო“ უნდა ყოფილიყო. არ არის თუშეთში ერთი სოფელიც კი, სადაც ამჟამადაც არ მიუთითებდნენ „ხევსურთ სალოცავის“ ადგილსამყოფელზე.“ (გ. ცოცანიძე). ესენი ხევსურთა ფხოვიდან თუშეთში გადასვლის დროს თან წაყვანილ ღვთაებათა ნიშები არის,

სადაც ხახმატისა და კარატის ჯვრების მსახურნი ჯვარ-დროშებით წელიწადში ერთხელ მოიცლიდნენ და დღეობებს მართავდნენ თუშებთან ერთად.

ძველ დროს თუშები და ხევსურები დიდოეთის მიჯნაზე ერთად დგებოდნენ საგუშაგოდ.

ხევსურები და გუდამაყრელნი. ისტორიული ფხოვის საზღვარს გუდამაყრის ხეობაში, ოსავის ხევზე უნდა გაევლო. ოსავის ხევის ზემოთა გუდამაყრელნი (ბაკურხეველნი) გვიანობამდე გუდანის ჯვარს „ადგილის ბეგარას“ აძლევდნენ. ამ გუდამაყრელთა ანდრეზით — „ჭევსურები ვართ, იქით ვართ გადმოსულნი, მანამდე ბაკურხევში დევ-კერპნი, მჭედლები მდგარან.“

ჯერ თამარის და შემდეგ არაგვის ერისთავების ფხოვში ლაშქრობების შემდეგ ფშავ-ხევსურეთისა და გუდამაყრის საზღვრები საბოლოოდ ყალიბდება. გუდამაყრის საზღვარმა ფხიტუმდე აიწია, სადაც მოექცა ორი ხევსურული სოფელი (ბაკურხევი — გორული და საკერპო).

გუდამაყრელნი დღესაც ლოცულობენ საჩალეს წმინდა გიორგი ოქროსმშვილდიანის (სოფ. ჩირდილის მთა-ჯვარი) მოდე-მოძმე ჯვრებს — „პირიმზესა“ და „ფუძის ანგელოზს“, რომელთა ნიშები გუდამაყარშიც აქვთ გადატანილი. წელიწადში ერთხელ, მარიამობა დღეს გუდამაყრელნი თავისი ჯვარ-დროშებით გადმოდიან სოფელ უკანახოში და „ფუძის ანგელოზში“ მართავენ დღეობას, რომელსაც ხევსურები „გუდამაყრელთ მარიანობას“ ეძახიან. (ამ ჯვარს ლოცულობენ ფშაველნიც.)

ხევსურები, ქალაქისკენ სხვადასხვა საქმეებზე მიმავალნი, ხშირად გუდამაყრის გზით მგზავრობდნენ, რის გამოც ცდილობდნენ, კარგ ურთიერთობაში ყოფილიყვნენ გუდამაყრელებთან. თუმცა ხევსურეთში სადღეობოდ გადასულ გუდამაყრელებსა და ხევსურებს შორის ხშირი იყო შუღლი და კინკლაობა, რის გამოც გუდამაყრელებმა დღეობა „მარიანობა“, რომელსაც ძველად ორივე მხარე ერთიანი ძალით მართავდა, ხევსურებისგან დამოუკიდებლად, ერთ კვირის სხვაობით დააწესეს. ერთ-ერთ სოფელში კი საერთოდ მოშალეს.

ხევსურები და მოხევეები. ხევსურები და მოხევეები ზოგი რამით ენათესავებიან ერთმანეთს და წააგვანან კიდეც. ამაყი ხასიათის გამო ხშირად შუღლობდნენ. მართალია, ტერიტორიულად საკმაოდ დაშორებულნი იყვნენ, მაგრამ ახლო ურთიერთობაც ჰქონდათ, რისი მიზეზიც იყო ხევსურების ხშირი მგზავრობა ხევსა და კავკავში, საიდანაც ოჯახისთვის საჭირო საქონელი შემოჰქონდათ. ხდებოდა ისიც, რომ, როგორც მოხევეები, ასევე ხევსურები, თავიანთ ტერიტორიაზე გავლილ მგზავრებს უხვდებოდნენ, ეშარებოდნენ და ძარცვავდნენ, თუმცა ორივე მხარე ცდილობდა დამნაშავე გამოევლინა და მეგობრული ურთიერთობა აღედგინა. (ხევის ტერიტორიაზე ორი ხევსურული სოფელია — ჯუთა და ართხმო).

ხევსურები და ფშაველები. ხევსურები ფშავს „მშავს“ ეძახიან, ხოლო ფშაველებს — „მშაველებს“. მიუხედავად იმისა, რომ ხევსურები და ფშაველები ახლო მეზობლები არიან, ძლიერ განსხვავდებიან ერთმანეთისგან. მართალია, ძველ ფხოველთა ერთიანობისა და ნათესაობის დამადასტურებელი ნიშნები დღევანდელი ხევსურებისა და ფშაველების ხსოვნაში უკვე წაშლილია, ხევსურეთის რამდენიმე გვარი თვლის, რომ მათი წინაპრები ძველ დროს დღევანდელი წინაფშავის ტერიტორიაზე იდგნენ. ფშავშიც გვხვდება გაფშავებული ხევსურული გვარები.

სხვა ხევსურებთან შედარებით, ფშაველებთან უფრო ახლოს არიან მათი უშუალო მეზობლები — აკუშელნი, მოწშაველნი და მიღმახევში ხახაბოელნი, რომელთაც საერთო სალოცავებიც აკავშირებთ. ძველად კი ერთმანეთის მოძმენი ყოფილან პირქუშის ყმა ბაცალიგველნი და ახადელნი, იახსრის ყმა ღულელნი და შუაფხოელნი, არხოტიონნი და ხოშარელნი, ფშაველი და ხევსური გოგოჭურები.

ფშაველები, ხევსურების სხვა მეზობლებთან შედარებით, უფრო მშვიდობიანი ხალხი იყო და, შესაბამისად, უსაფრთხო იყო ფშავის ხეობაზე გამავალი გზაც, რომელსაც ხევსურებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ ამას ხევსურნი როდი უფასებდნენ, თავადვე ეშარებოდნენ შემხვედრ ფშაველებს, ძარცვავდნენ. ფშაველებიც სამაგიეროს იარაღით თუ ვერა, მოსწრებული ენით უხდიდნენ და ხევსურებს „ციცაებს“ ეძახოდნენ.

ხევსურები მორჩილებენ მხოლოდ მეფეს

მიუხედავად რთული გეოგრაფიული მდებარეობისა, მთიელთა თავისუფლებისმოყვარე და მეამბოხე ბუნებისა, სამეფო ხელისუფლება მაინც ახერხებდა ფხოველნი თავისი გავლენის ქვეშ მოექცია და საქართველოს ჩრდილოეთი კარი საიმედოდ ჰქონოდა დაცული. უკმაყოფილო ფხოველებს შეიძლება თავად გაელაშქრათ ხელისუფლების წინააღმდეგ, მაგრამ ერთიანად გაწყდებოდნენ და საქართველოს შუაგულისკენ მიმავალ მტერს თავის მიწაზე არ გაატარებდნენ. ქუდზე კაცის ღალატებისას კი, მეფეზე რაც გინდა გამწყრალნი ყოფილიყვნენ, უკლებლივ ცხადდებოდნენ ბრძოლის ველზე, რადგან სამეფო ბეგარა — „ალაშქარ-ნადირობა“ მათი ერთადერთი ხელობა და წმინდა ვალი იყო.

„ნებაყოფლობით ხევსური ერთ მოვალეობას პირნათლად ასრულებდა. ეს მოვალეობა იყო მტერთან ბრძოლა. შეატყობინებდნენ თუ არა, მტერი შე-

მოესია ქვეყანას და გელითო, ხევსური იმ წუთშივე აისხამდა ხმალ-აბჯარსა და მიეშურებოდა ბარისაკენ". (ვაჟა-ფშაველა)

ისტორიას არ ახსოვს ფხოველთაგან ღალატი. გასაჭირის ჟამს მეფეთა გვერდზე იდგნენ. ხევსურული რჯულით ყველაზე მძიმე სასჯელი — „სამძახის დაკვეთა" — სამშობლოს მოღალატესა და იმას ედებოდა, ვინც ბრძოლაში მტერს ზურგს უჩვენებდა ან ლაშქარში არ გავიდოდა.

XIX ს-ის შუა ხანებშიც კი ა. ზისერმანი და სხვა მკვლევარნი მთის ხალხებს „მეომრულ საზოგადოებებს" უწოდებდნენ.

ამიტომ იყო, რომ მეფეებს ფხოველნი სხვებისგან გამორჩეულად უყვარდათ, პატივისცემასა და ყურადღებას არ აკლებდნენ. დიდი იყო ფხოველთა რისხვა და წყრომა, თუ მეფე მათ უყურადღებოდ დატოვებდა, მათ მაგივრად ლაშქარში მეწინავედ სხვას ჩააყენებდა ან ბრძოლაში არ მიუხმობდა. მეფეს უმალ მტრად მოეკიდებოდნენ ან აბზოხდებოდნენ.

„ქეშიკად მეფისა, ანუ ღვარდიად არიან ადრიდგანვე დაწესებულნი თუშნი, ხევსურნი და ფშავნი. ესენი არიან მთის კაცნი და ერთგულნი მეფეთანი... ესენი არიან მამაცნი, ერთგულნი... და არა უტევებენ ესენი სხვათა ღვარდიად მეფეთა, არამედ მსწრაფულ მიილტვიან აბზოხისადმი, უკეთუ სხვათაგან ვინმე დააწესა მეფემან ღვარდიად." ("ქართლის ცხოვრება")

ფხოვლებს მეფის ლაშქარში განსაკუთრებული ადგილი და დავალება ჰქონდათ. ეს „ფოლადის გვარდია" საკუთარი სალაშქრო დროშით ცხადდებოდა ბრძოლის ველზე. ბრძოლის ჟამს იშვიათად ემორჩილებოდნენ მეფის სარდლებს და თვით მეფესაც კი უბედავდნენ ამის თქმას: „შენი შენ იცი, მეფეო, ჩვენ ჩვენი გადაგვხდებისა." თითოეული მათგანი სარდალიც იყო და რიგითი მეომარიც.

„ქართველ მეფეთ ხევსურები ყოველთვის თან ახლდნენ და ისინი გამოირჩეოდნენ არა მხოლოდ მამაცობით, არამედ იმითაც, რომ დაძახებისთანავე ხევსურები ჩამორბოდნენ მთებიდან და თბილისის კარიბჭეებს იჭერდნენ და ამაგრებდნენ." (გენერალი დ. ვაჩნაძე)

„...უფრო სწრაფად აგროვებდა ამ ხალხს ომის ყიჟინა, საერთო მტრის წინააღმდეგ დაძახებული. მათი სხვა დანარჩენი დრო მიჰქონდა მარტოკაცის ბრძოლას ბუნებასთან და საკუთარ კერპ ხასიათ-ვნებებთან..." (გ. რჩეულიშვილი)

ხევსურთა ლაშქრის ფინანსური. „არსაიდ სჩანს, რომ ხევსურებს ბრძოლებში რაღაც ბელადის მსგავსი, მუდმივი მეთაური ჰყოლოდეთ. თავდაცვისა თუ გალაშქრებისას, ყოველგვარ კონკრეტულ სიტუაციაში, მთავარი მბრძანებელი და მომწოდებელი იყო თვითონ არსებული მდგომარეობა, რომელსაც ყველა მეომარი ემორჩილებოდა და მის შესაბამისად მოქმედებდა. თუ ხატის სახელით არა, ისე არავის ჰქონდა უფლება თავისი განკარგულებები

და სურვილები ეკარნახა მეომრებისათვის. კონკრეტულ სიტუაციასა და გარემოში უკეთესად გარკვეულ მეომარს რჩევა-დარიგებას თვითონვე სთხოვდნენ. სალაშქრო გზისა და ადგილმდებარეობის მცოდნე სახელოვან მეომარსაც თვითონვე ირჩევდნენ ე.წ. „გამძღობარედ", მაგრამ ეს გამძღობარე არც შრძანებელი იყო და არც ბრძოლის შედეგებზე პასუხისმგებელი. იგი მხოლოდ გამოცდილი მრჩეველის ფუნქციას ასრულებდა. ცალკეულ კერძო დავალებათა შესრულება კი. მაგალითად, დაზვერვა, თარეშად ჩასვლა და სხვა კენჭის ყრით ხდებოდა. ასე რომ, სევსური მეომარი რწმენისა და საკუთარი სინდისის მიხედვით მოქმედებდა." (დ. გოგოჭური)

ქადაგი – შუამავალი ღვთაებასა და საყმოს შორის. საოცარი იყო ფხოველთა საომარი სამზადისი და ლაშქარში გასვლა. ჯაჭვ-იარაღში ჩამჯდარი ხევსურნი, ძველი ბერძნებივით ჯერ თავიანთ სალოცავს, უმთავრეს მოლაშქრე ღვთაებას, დიდ სახმთოს – გუდანის ჯვარს (წმინდა გიორგი – ბერი ბაადური) შესწირავდნენ სანათლავ-სამეშვლო მსხვერპლს, აბამდნენ სალაშქრო დროშათ, რომელთაც ასევე „სისხლს უწევდნენ" (დანათლავდნენ). დასვამდნენ ქადაგს, რომელიც მომავალ ლაშქრობას განჭვრეტდა. „გარნა აქუსთ სასოება ქადაგისა ზედა, რომელი წამოდგების კაცი უცები და ვითარცა ხელქმნილი, და ლალადებს მრავალსა მაგიერად წმინდისა გიორგისა და რასაც იგი იტყვის სთნავთ და ჯერ იჩენენ უმეტეს ჭეშმარიტებისასა." (ვახუშტი)

მოუწოდებდა რა ქადაგი ჯვრის სახელით ლაშქრობისკენ, დაარისხებდნენ მოღალატეს და ზვავივით დაიძვროდნენ მტრისკენ. წინ „გუდანის ჯვარი მიუძღვებოდა, მორიგესაგან ნაბოძებ ბედის ბედაურზე ამხედრებული."

ქადაგი – ქურუმი სიმღერედ გადასცემდა ჯარს ღვთაების ნება-სურვილს. ქადაგები „ჯვარის ენაზე" მეტყველებდნენ. „თუ ბრძანებდა ბაადური: „მორიგე ღმერთმა სისხლის შამანი მომაყოლაო", ან „მორიგემ ჯიკვის თავრქანი გადმამაყოლნავ..." – ძრწოდნენ ხევსურნი იმ წელიწადს, სისხლიანობას ელოდებოდნენ. თუ კი მეენე დაიძახებდა: „ქერ-ოქრონი უკლებარნი გამავიტანე მერიგისგანო", – კარგი მოსავლის იმედი ჰქონდათ..." (თ. ოჩიაური)

ქადაგები ჯვრის ნებით აყენებდნენ სალოცავში ხევისბერ-დეკანოზებს, დასტურ-ხელოსნებს, მედროშეს, განს.ზღვრავდნენ რელიგიურ დღეობათა კალენდარს.

„ომის დროს ან მტრის შემოსევისას, ხალხის სარღლობა ეკისრებოდა მთავარი ხატის დეკანოზს." (გ. თედორაძე)

„ძველად ფშავ-ხევსურნი, როდესაც სალაშქროდ გაემზადებოდნენ, ოთხ დროშას ძიაბრძანებდნენ ბზიანაში (მაღაროსკარში) ლაშარის ჯვრის, გუდანის ჯვრის, კარატის ჯვრის და ჭაჭმატის ჯვრისას... მათ სწამდათ, რომ აქ

გაქადაგებული ხევისერის პირით რასაც გამოუცხადებდნენ დროშის მყოლი ჯვრების ანგელოზები, იქითკენ წავიდოდნენ...“ (ივ. ხორნაული)

ს. მაკალათიას მიხედვით, „ომისა და ლაშქრობის ჟამს თუშეთში იწ-ვევდნენ ხახმატის დეკანოზებს, რომლებიც ლაშქარს თურმე წინ უძღოდნენ.“

სცოდნიათ ერთდროულად რამდენიმე ქადაგის დასმაც: „სამი დასვიან ქადაგი...“

მისნობა ცხოველთა ორგანოებზე. ქადაგ-მკითხავთა გარდა, რომელ-ნიც მორიგეს ნება-სურვილს გადასცემდნენ საყმოს, ხევსურებმა იცოდნენ ცხოველთა სხვადასხვა ორგანოებზე მკითხაობაც. განსაკუთრებით მნიშვ-ნელოვანია ბეჭზე მკითხაობა. ბეჭზე, უფრო თიკნისაზე, მისანი ამოიცნობდა სიკვდილს, დაბადებას, ზარალს, სარგებელს, მტრის მოსალოდნელ გამოლაშქ-რებას — „მთის გატეხას“, ნადავლის გატაცებას და ა.შ. მკითხაობდნენ აგ-რეთვე ცხოველის არჭინაზე (ელენთა), რომლითაც უფრო მოსალოდნელ დარ-ავდრიანობას შეიტყობდნენ.

ცხოველთა ორგანოებით (ღვიძლი, გული, ფილტვი) მკითხაობდნენ ძველ ბერძენთა ქურუმებიც. ღვთაებისადმი მსხვერპლშეწირვის შემდეგ ცხოველის ორგანოთა ფორმებით განსაზღვრავდნენ მომავალს.

ხევსურთა დროშა. ხევსურები მეფის ლაშქარში არა რომელიმე გამ-გებელი ერისთავ-მოურავის (საერისთაოს) დროშით გამოდიოდნენ, არამედ საკუთარი „სალაშქრო დროშით“. ეს დროშა გუდანის ჯვარში ინახებოდა და მას მეორენაირად „ბორაყსაც“ უწოდებდნენ. საერთოდ ხევსურეთის ჯვრებში დროშები სამი სახის იყო: „მოლაშქრე დროშა“, „მგზავრი დროშა“ და „სამწყალობნო-სამრისხველო დროშა“. სალაშქრო დროშის „აბძანება“ გუ-დანის ჯვრის ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული. დანარჩენი დროშები კი ხევსურეთის ყველა თემ-სოფლის ჯვრებს საკუთარი ჰქონდა და დღეობების დროს ხდებოდა მათი აბმა.

ფხოველთა სალაშქრო დროშა „თეთრი“, „წითლის ატლასის“, „წითელ-ყვითელი“ ფერის ალმებისგან შედგებოდა. ვერცხლით მოჭედილი, წმინდა ხისგან (იფნისგან) დამზადებულ, ორნამენტირებულ ტარს თავზე ვერცხლის „სფერო“ ჰქონდა დამაგრებული, რომელიც შუბით ან ჯვრით ბოლოვდებოდა. დროშის ტარი, ზარი და ფერადი ალმები ცალ-ცალკე ინახებოდა და საჭი-როების ჟამს ხდებოდა მათი აბმა („აშენება, „შეკაზმვა“).

ისტორიული წყაროების მიხედვით, თამარ მეფის დროშასაც ჯვარი ჰქონდა თავზე დამაგრებული. საერთოდ, როგორც წესი, ქართველ მეფეთა დროშებს ალამი მილურსმული კი არ ჰქონდა, არამედ შებმული. „ააბეს დროშა სვიანად ცხებული“, „დიდი დროშა ააბან“, — წერენ მემატიანენი. ამასთანავე,

ამირსპასალარს დროშასთან ერთად ხელში აუცილებლად უნდა სჭეროდა ლომისოავიანი არგანი. ხევსურ მედროშე-ხევისბერს დროშა მარჯვენა მხარზე ჰქონდა გადებული, მარცხენა ხელში კი აუცილებლად რიტუალური ყავარჯენი ეპყრა. ყავარჯნები მხოლოდ ცენტრალურ ჯვრებს ჰქონდა და დროშის ტარებთან ერთად ინახებოდა.

ხევსურული დროშა-შუბი ზოგჯერ მახვილადაც გამოიყენებოდა. (ევროპელ რაინდთა ძირითადი იარაღი შუბი, რომელიც ლაშქრობისას მარჯვენა მხარზე ჰქონდათ გადებული, მზადდებოდა იფნის ხისგან და რკინის ბუნიკთან პატარა ალამსაც ამაგრებდნენ, რომელსაც პრაქტიკული დანიშნულებაც ჰქონოდა: შუბი ღრმად არ შეჭრილიყო მოწინააღმდეგის სხეულში.)

ხევსურთა სალაშქრო დროშა-ბორაყი „გაუეკაურა" ახლაც გუდანის ჯვარში ინახება. („გაუეკაურა" მცირე ზომის, მწკეპრი ხმის მქონე ზარ-ზანზალაკს ჰქვია, რომელსაც დროშას აბამენ ალმებთან ერთად. დროშისთვის ზარიც ისეთივე აუცილებელი ატრიბუტია, როგორც ალამი.) ხშირად დროშაზე აბმული ზარის ხმა წინასწარ განსაზღვრავდა მოლაშქრეთა წარმატება-წარუმატებლობას. გადმოცემით ეს დროშა და ზარი „ქაჯავეთური განძის" ნაწილია.

ჯვრის დროშა („დროშანი") წმინდა, საკრალურ საგანს წარმოადგენს და მას მხოლოდ საგანგებო განწმენდისა და რიტუალის ჩატარების შემდეგ „ჰკადრებენ ხელს" და ისიც მხოლოდ ჯვრის ყმა-ხელოსანი, რომელსაც „სახელო" აქვს გაკეთებული და, ამავე დროს, განძის მცველიც არის.

სალაშქროდ გამართული ხევსურნი დროშის ტარზე „ჭკდეს" დასვამდნენ: „ასე ამოვარდეს ჩემი გვარი, როგორც ეს ჭკდე ამოვარდა, თუ მე მტერს ზურგი ვუჩვენო."

საბედისწერო ბრძოლებში გმირულად დახოცილ ხევსურებთან ერთად უთუოდ დროშასაც მოიხსენიებდნენ. განსაკუთრებით სამწუხარო იყო დროშის დაკარგვა: „ვაუებო, საწყინარია დარჩომა ბორაყისაო, აღარ ხვიოდას დროშაი, ლაღის გუდანის ჯვრისაო." ან „ღმერთმა იცოდის, მეწყინა სიკვდილი ერეკლისაო, დარჩომა ნაროვანზედა მედროშე ბღარაისაო..." — დროშის დაკარგვა მეფის სიკვდილის ტოლფასია.

ბარდაველიძის მიხედვით, მთიელთა დროშა გენეტიკურად ხის კულტს უკავშირდება. აღმართული დროშა, რომელზედაც ფერადი სამკაულეები — ალმები მხოლოდ ერთი კუნძით მაგრდებოდა, დახრილტოტიანი ხის სიმბოლოს წარმოადგენდა. ზანზალაკი და შუბი ტეიური ხმის, ჭექა-ქუხილის სიმბოლოები იყო. ჯვრიანი ბურთულა კი სხივმფენ მნათობს განასახიერებდა).

ლაშქრობა-მეკოპრობა. მთაში ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა სხვადასხვა ტომებს შორის ურთიერთთავდასხმები ნადავლის მოპოვებისა

და სამაგიეროს გადახდის მიზნით, თუმცა მათ მცირე მასშტაბები ჰქონდა და ცდილობდნენ სისხლიც ნაკლები დაღვრილიყო, რადგან სისხლს ხანგრძლივი საგვარეულო მტრობა მოჰყვებოდა ხოლმე. ხევსურები მომხვდურებსაც ხვდებოდნენ და თავადაც ესხმოდნენ. სახელის მოპოვებისა და არსებობისთვის ყოველგვარ საშუალებას იყენებდნენ: მზირობდნენ, მეკოპრობდნენ, თარეშობდნენ, ქურდობდნენ, ძალმომრეობდნენ ერთმანეთზე. „ბევრ ლაშქრობას... სწორედ უმიწაწყლობით გამოწვეული მდგომარეობა აქცს საფუძვლად, ლაშქრობამ უნდა შემოსავალი მისცეს, ქონება შეჰმატოს, ეკონომიურად გაამდიდროს, შეუვსოს ის ნაკლი, რომელსაც მესაქონლეობა და ხვნა-თესვა არ აძლევს." (აკ. შანიძე). ამას გარდა — „ცარცვა და თავდასხმა რომ არ ყოფილიყო, მთიელი სიცოცხლეს სიცოცხლედ არ ჩათვლიდა. ეს არის მისი პოეზია, ლაზათი მისი არსებობისა..." (ს. მეჩი)

„აქაური თავდასხმები ეწყობოდა თუმცა მარტივი, მაგრამ ადგილობრივი რელიეფური პირობების შესაბამისად, საკმაოდ გონივრულად გააზრებული „სტრატეგიულ-ტაქტიკური" გეგმის მიხედვით. ჩამოყალიბდა სპეციალური ტერმინოლოგიაც: „ველობა", „ჯარი", „მეკოპარი", „დაზვერი", „მზირი", „მეწვერე", „თარეში", „მებაკე", „საბაკე". (გ. ცოცანიძე)

მოუთმენლად ელოდნენ ხევსურნი გაზაფხულის დადგომას: „რახან გაზაფხულ მავიდას, მარტია ველად გაგვივა"-ო, ამბობდნენ და სწუხდნენ ჭორმეშიონი ქალები. შუა საუკუნეების ევროპულ კალენდარზე გაზაფხულის თვეს, მაისს საომრად აღჭურვილი მხედრის სახით გამოხატავდნენ. „ველობა" და ლაშქრობა-ფათერაკები იყო ევროპელ რაინდთა პროფესია. მშვიდობას ვერ ეგუებოდნენ. ბრძოლა მათთვის შემოსავლის წყაროც იყო. თუმცა რაინდთა ხასიათი უფრო იმპულსური იყო, ყაირათიანი ცხოვრება მაინცადამაინც არ იზიდავდათ და აცხადებდნენ: „დასაგროვებლად კი არ ვიტაცებ, დასარიგებლადო." ასევე ათქმევინებს ვაჟა-ფშაველა ქისტების რისხვას — ჭირჩლა ბაბურაულს ჯვარში ნადავლის განაწილებისას. იმ დროის ევროპელი მგოსნებიც ხოტბას ასხამდნენ რაინდთა მიერ ჩადენილ გმირობებს. ლეგენდებით ამკობდნენ მათ მახვილებს, რომელთაც პატრონები, ხევსურთა დარად, სახელებს არქმევდნენ და შთამომავლებს გადასცემდნენ.

ნადავლის განაწილება და ჯილდოები. „თემის მესვეურნი და ხატის მსახურნი დასჯისა თუ წახალისების სხვადასხვა საშუალებებს იყენებდნენ. ხალხის საბრძოლო სულისკვეთების შენარჩუნებისა და განმტკიცებისთვის ჯილდოს თავისებურ სახეს წარმოადგენდა: საკარგყმო, სალოცავი, პატივი, საგვარმეტო და სხვა. ზემოქმედების ერთ-ერთი ძლიერი საშუალება იყო პოეტური სიტყვა — ლექსი, რომელშიც ფასდებოდა როგორც პიროვნება, ისე

მთელი გვარის მოქმედება. მათი ღირსება და დამსახურება თაობიდან თაობას გადაეცემოდა.“ (გ. არაბული)

მეფის ლაშქარში წარმოჩენილი ხევსურნი თავისი სურვილით ძირითადად ნადავლს, იარაღს იღებდნენ, თუმცა მეფეები სიგელებს, წყალობის ქალალდებსა და ბარში მამულებსაც უბოძებდნენ ხოლმე.

ლაშქრობა-მეკოპრეობით მოპოვებულ ნადავლს კი ხევსურები სამ ნაწილად ყოფდნენ: ერთი ნაწილი მოლაშქრე ჯვარს ეწირებოდა, მეორე — მეფის მოურავს ეგზავნებოდა, მესამეს კი თავად ლაშქარი ინაწილებდა. (მეფის ლაშქარში ხევსურნი გუდანის ჯვრის დროშით გადიოდნენ, მეზობელ თემებზე ლაშქრობა სათემო ჯვრების დროშებით ხდებოდა.)

ნადავლი ყველა მოლაშქრეზე თანაბრად ნაწილდებოდა. ზოგჯერ კი „გამძღობარეს“ ეძლეოდა „სამეტო“ — ძვირფასი რაიმე ნადავლიდან (ხმალი, ხარი...). ხოლო მეომარს, რომელიც ბრძოლაში განსაკუთრებულ სიმამაცეს გამოავლენდა, „ჯარზე“ სათავეში დასვამდნენ და „საკარგყმოს“ დაუდგამდნენ. ეს რიტუალი გუდანის ჯვარში სრულდებოდა, სადაც სახელიან ხევსურებს საკუთარი „საკარგყმო სკამიც“ ედგათ.

საკარგყმოები გმირის სიკვდილის შემდეგაც ეძლეოდათ მის შთამომავლებსა თუ გვარს.

ბრძოლაში გმირულად დაღუპულის პატივის მისაგებად ჯვარში ლუდიან ჩხუტას დალოცავდნენ მოკლულის სულის მოსახსენიებლად. ეს ჩხუტაც გმირის ახლობლებს ეძლეოდა. სცოდნიათ ვერცხლით მორთული „ჯვარის ყალიონის“ გაწყობა და ცეცხლის დაგზება (დანთება), რომელთაც აგრეთვე გმირის სულისთვის დალოცავდნენ. ბოლოს კი „ჯვარის ფანდურს“ მოიტანდნენ და იტყოდნენ გმირის სადიდებელ სიმღერას.

ამას გარდა, სოფლისთვის სამაგალითო საქმის მოქმედი კაცისა თუ ქალისთვის, თავშეყრის დროს იცოდნენ „პატივის მიტანა“ — ტაბლაზე სახალხოდ დაუდგამდნენ ლუდიან საწდეს, რომელსაც ადრესატი თავისი ნებით დახარჯავდა.

სახელმწიფო ბეგარა-ბაჟასაბაჟი. ფხოველთა ამბოხის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ხელისუფლების მიერ ხარკის დამძიმება იყო. ელინისტური ხანიდან ფხოველნი მოსახლეობის ამ ფენას ეკუთვნოდნენ, რომელთაც „ერი“ ერქვა. ეს იყო დამოუკიდებელ ტერიტორიულ თემებში გაერთიანებული თავისუფალი მოსახლეობა, რომელიც მიწას თავისი ნებით ამუშავებდა, ეწეოდა მესაქონლეობას და სახელმწიფო ლაშქრის ძირითად ბირთვს შეადგენდა. ისინი ვალდებულნი იყვნენ ემსახურათ „სიკვდილითა, სისხლის დათხევითა...“ ამ სახელმწიფო ხარკს „ლაშქარ-ნადირობა“ ეწოდებოდა. როგორც ჩანს, შუა საუკუნეებიდან, მათში ქრისტიანობის ძალით გავრცელების

ხანაში, ფხოველნი დაბეგრეს „კიდეკ სხვა რიგის სამსახურით“, რასაც ცხვრისა და საქონლის სახით იხდიდნენ. მოგვიანებით კი ამას ზედ დაერთო დამპყრობელთათვის „სათათროს“ („ყალანის“) გამოღება, საიდანაც დღემდე შემორჩა ფშავ-ხევსურეთში ძროხის სახელი „ხონთქარა“ და „საყეინოს“ რიტუალი.

სახელმწიფო ბეგარა-გადასახადს ფხოველნი ძირითადად ჯვრის საბეგრო ადგილებიდან შემოსული „საბალახე“ შემოსავლით ისტუმრებდნენ. ამ საქმეს გუდანის, ხახმატისა და კარატის ჯვრები აგვარებდნენ. ამ პროცესების დარეგულირება ერთობ რთული იყო. ღარიბი მთიელები, რომლებსაც გადასახადის გადახდა არ შეეძლოთ ან არ სურდათ, ჯანყდებოდნენ, მეზობლებს თავს ესხმოდნენ, მეკოპრეობდნენ და თავის მხრივაც მცირედ ბეგარას აღებღნენ ძლეულთ, რათა თავიც ერჩინათ, სახელმწიფო გადასახადიც გადაეხადათ და სახელიც მოეხვეჭათ. (ცნობილია თუხაკ ჩუჩაყეურისა და ჭირჩლა ბაბურაულის მიერ მითხოელი ქისტებისთვის დადებული ბეგარა. ასევე, ქისტ აკვათ მიერ ხევსურთათვის დადებული ბეგარა.)

მეფე ფარნავაზი და ფხოველნი

ძველი წელთაღრიცხვის VI-V I სს-ში ჯერ მიდიელთა, შემდეგ სპარსთა და ბერძენთა მომძლავრების შედეგად, საჭირო ხდება აღმოსავლეთ ქართველური ტომების გაერთიანება ერთ სახელმწიფოდ.

მომხვდურებთან ბრძოლაში მოკლეს მცხეთის მამასახლისი სამარა. მისი ძმისწული ფარნავაზი დედამ კავკასიის მთიანეთში გახიზნა. დავაეკაცებულმა ფარნავაზმა, რომელიც ძურძუკებსა და ფხოველებს შორის იზრდებოდა, სიძე იყო ძურძუკებისა და შვილსაც ქისტური სახელი — საურმაგი დაარქვა, დამპყრობელთა წინააღმდეგ ქართველი მთიელები, დაქირავებული ოსები და დიდოელები გამოიყვანა.

მანამდე კი ითხზვება ანდრეზები „სანადიროდ მყოფი“ ფარნავაზის მიერ საიდუმლო გამოქვაბულში განძის აღმოჩენისა და ამ განძით ქართლის სახელმწიფოსთვის საძირკვლის ჩაყრისა. ეს ანდრეზები გვიანობამდე გაჰყვება ხევსურთა ისტორიას. სახელმწიფოს ფუძემდებლის, „ობოლი ფარნავაზის“ ლეგენდების პარალელურად თხზავენ ხევსურნი ხევსურეთის აუთვისებელ მიწებზე მოსული მონადირეების, ხთონურ გამოქვაბულებში მოპოვებული განძის საფუძველზე ჯვარ-ხატთა დამაარსებელ პიროვნებათა ანდრეზებს.

„ობლობით ამოზრდილი ბაგრატიონთა ნაბიჭვარი“ თორლვა ძაგანისძე ნადირობის დროს „თეთრ ჯიხვსა“ თუ „თეთრმხრიან ყორანს“ გაედევნება,

გამოქვაბულში ჩავარდება, სადაც „ძმობილი ვეშაპი“ ძვირფას თვალსა და მცურავ ჯაჭვს აჩუქებს („მცურავ ჯაჭვს“ პარალელები აქვს აგრეთვე ვახტანგ გორგასლის სასწაულებრივ ჯაჭვთან და თვით ნადირობასთან დაკავშირებული თბილისის დაარსების ლეგენდაც საყურადღებო ფაქტია.) სანადიროდ მყოფი თორღვა აღმოაჩენს თბილ სამკურნალო წყაროს და თუშ-ფშავ-ხევსურეთში საფუძველს უყრის ძლიერ საერისთაოს. ლეგენდის მიხედვით, ფარნავაზი მზის სხივს გამოჰყავს გამოქვაბულიდან. ხევსურული ანდრეზებითაც „ჯვარის მკადრე“ ირეალური სამყაროდან გამოსვლისას, საიდანაც განძი გამოაქვს, შუქის სვეტს გამოჰყავს. ჯვარ-ხთიშვილნი ნაპოვნი განძის საფუძველზე მოიპოვებენ მამულებსა და ყმებს. თანდათანობით ყალიბდება ეთნიკური კუთხე-ერთეული მისთვის დამახასიათებელი ყოფით, სარწმუნოებით, ტრადიციებითა და საზღვრებით. მომავალი ხუცეს-დეკანოზნი სიზმრებში ეზიარებიან კულტმსახურების ფორმებსა და სახუცო ტექსტებს, ისევე, როგორც ფარნავაზს ეზმანა მომავალი გაძლოლა ერისა და ღვთისა.

ძვ.წ. III ს-დან ქართლ-იბერიის სამეფო დიდ სიძლიერეს აღწევს. მისი ჩრდილოეთი საზღვარი კავკასიონის გადაღმა გადის და პოლიტიკური გავლენა ჩრდილო-კავკასიელ მთიელებზეც ვრცელდება. მეფე ფარნავაზი, რომელიც უმნიშვნელოვანეს რეფორმებს ატარებს ქართველი ერის ჩამოყალიბებისთვის, საქართველოს ტერიტორიაზე მდგარი ტომებისთვის ძირითად ენად ქართულს ამკვიდრებს და უმთავრეს ღვთაებად თავის მოსახელე „არმაზს“ აარსებს. ამ დროისთვის ფხოვში უკვე მტკიცედ არიან დამკვიდრებულნი ქართველური გვარები, რომელნიც სამეფო ხელისუფლების დასაყრდენ ძალას წარმოადგენენ.

„აღმოსავლეთ ქართული სახელმწიფოს — ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნას (ძვ.წ. VI ს.) დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აღმოსავლეთ ქართული ეროვნების ჩამოყალიბების საქმეში. ქართლის ძლიერი სახელმწიფოებრივი წარმოქმნის სათავეში ქართები იდგნენ, რომლებმაც სწრაფი ტემპით დაიწყეს ქართლში შემავალი არაქართული ტომების ასიმილაცია. ეს პროცესი მთიან რაიონებსაც სწვდებოდა, თუმცა მთა დიდხანს ინარჩუნებდა თავის თავისებურებებს.“ (ნ. ასათიანი)

ფარნავაზის დროის ღვთაებანი ფხოვში. საქართველოს პირველმა მეფემ თავი ღვთაებად გამოაცხადა და ამ აზე ჰოსახელე კერპი — „არმაზი“ აღმართა. („არმაზი“ ხეთურიდან მოდის - მთვარე ღვთაება.) ძველ ხალხებში მნათობებსა და მთას განსაკუთრებული ადგილი ეჭირა. მთა იყო არა მარტო ღვთაების სამყოფელი, არამედ თავად განასახიერებდა ღვთაებას, ხოლო მთვარე და მზე უმთავრეს ღვთაებად მიაჩნდათ. ხეთების მეფე თავის თავს „ჩემ მზეს“ უწოდებდა. „დიდება მზესა, მზის მყოლთ ანგელოზთა...“ — ასე იწყებს დღესაც ხევსური ხევისბერი ჯვართა სადიდებელს.

მზე-ღვთაებას ძველი ხალხები ცხენებს სწირავდნენ. ხევსურეთში საჩალეს მთას, უძველეს სალოცავს – „პირიმზეს“ (გიორგი ოქროსმშვილდიანო, „საჩალეს სვეტად ჩამოსულო, სამკიბალ შუქის დამკრავო...“) ფხოველნი „ზღვენ-კურეტად ჩლიქმირგვალთ“ – ცხენებს სწირავდნენ.

ხევსურთა წარმოდგენით მთის მწვერვალები ხთიშვილთა სამყოფელია, სადაც ისინი „ციდან სინათლის სვეტად ჩამოვიდნენ“ და სადაც „შუქი დაჰკრეს“, ხალხმა სალოცავ ადგილად აქცია.

სავარაუდოა, რომ არმაზის კერპის აღმართვამდე ქართლში და, მათ შორის, ფხოვშიც ფარნავაზის რელიგიას საფუძველი უკვე ჰქონდა.

მემატიანეთა ცნობით, ქართველები ქრისტიანობამდე „მთათა მაღალთა თაყუანისცემდეს“, „ცეცხლსა და ქუათა და ძელთა თაყუანისცემდეს.“ „ცასა... მზესა...მთვარესა...მფრინველთა...მჭეცთა და ნადირთა და ხეთა...“ მსახურებდნენ. მათი ძველი ღმერთები იყვნენ „ღმერთნი დიდთა ნაყოფთა მომცემელნი და სოფლისა მპყრობელნი, მზის მომფენელნი და წვიმის მომცემელნი...“ ქართველთა ქრისტიანობამდელი რწმენის შესახებ მემატიანის ნათქვამი სიტყვები დღესაც მეორდება ხევსურული სახუცო ტექსტების პირველ ნაწილში, როცა რიტუალის დროს ხუცესი-ხევისბერი „ჯვართ გაადიდებს“.

ძველი ქართველნი და მათ შორის ფხოველნი უპირველეს ღვთაებად, როგორც ხევსური იტყვის, „ქვეყნიერების გამჩენ, მორიგე ღმერთს“ მიიჩნევდნენ. მემატიანე აღნიშნავს, რომ ქართველნი მნათობთა და სხვათა თაყვანისცემამდე აღიარებდნენ „დამბადებელ ღმერთს“, რომელიც ერთხანს დაუვიწყებიათ, – „დაივიწყეს ღმერთი დამბადებელი მათი და იქმნეს მსახური მზისა და მთოვარისა და ვარსკულავთა სხუათა“, მაგრამ ფარნავაზის მეფობის დროს კვლავ აღუდგენიათ „ღმერთი დამბადებელი ყოვლისა.“

ფხოველთა ლაშქრობანი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში („ქაჯაჯეთის ლაშქრობა“). ფარნავაზის დროს ფხოვი ძლიერ მხარეს წარმოადგენს. „მაშინ მქონდა ძალი და შაძლება, როცა ჩლიქმირგვალნი ზღვნად მომიდიოდაო“, – ამბობენ იმ დროის ფხოველთა ღვთაებანი. ფხოველნი მონაწილეობას ღებულობდნენ მეფე ფარნავაზის მიერ საქართველოს გაერთიანებისთვის გამართულ ბრძოლებში. მეფის მიერ იბერიელთა ძლევამოსილი ლაშქრობანი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში: კლარჯეთს, არტანუჯს, ეგრისს, ნიქალაქევს, რომელნიც „იპყრა კეთილად“, ხელთ იგდო „სიმდიდრე გარდარეული“ და „ხუასტაგი აზონისაცა“ მრავალი, ასახულია ხევსურულ ხთიშვილთა მიერ „ქაჯეთის დალაშქვრის“ ანდრეზებში.

მოგვიანებით ხევსურ მთქმელებს ფარნავაზის დროინდელი ლაშქრობანი ჩრდილოკავკასიელ ტომებთან ბრძოლების ამბებთან („დიდი დიდოეთის გაბეგვრისა“ და „მაისტის გატეხის“ ანდრეზები) დაუკავშირებიათ. ჩანს ვახტანგ გორგასლის ჩრდილოეთ კავკასიის მთიელებთან ლაშქრობათა კვალიც.

„ქაჯაეთური განძი“ და ნახირი ფხოველებს სამხრეთთან უფრო უნდა აკავშირებდეს ვიდრე ჩრდილოეთთან. ლაშქრისთვის „წყლის მოწყურების“ ამბავიც სამხრეთში უნდა მომხდარიყო და არა კავკასიის მთიანეთის წყალუხვ ხეობებში. გადამწყვეტი ბრძოლა არტანთან გაიმართა, სადაც ფარნავაზმა დაამარცხა კლარჯეთის მფლობელი აზონი. არტანს, მემატიანის ცნობით, „ერქუა ქაჯთა ქალაქი“. (კლარჯეთი–ქაჯეთი, კლარჯნი — ქაჯნი.)

ქაჯაეთური განძი. განძი, რომელიც ფხოველებმა დავლა–ალაფში წამოიღეს, არის სარწმუნოებისა და ყოფისთვის საჭირო და აუცილებელი საგნები: „ზარი“, „დროშა“, „თასი“, „ჯაჭვ–საკიდელი“ „ფანდური“, „მშვილდი“, „სალესველი“, „სასწორ–საწყაო“, „გრდემლი“, „მარწუხი“, „კვერი“, „სამართებელი“... ყოველივე ამას ხთიშვილნი თანაბრად ინაწილებენ. ამას გარდა, მოჰყავთ ტყვე ქალები (დობილები), რათა ღვთაებისთვის შესაწირი ქადა–პურების დამზადება ისწავლონ (?). არმაზისთვის ძირითადი შესაწირი ხომ პური იყო. ცენტრალურ ჯვრებში გვიანობამდე შემორჩენილი „ჯვარის დიასახლისის“ კულტი აქედან უნდა მოდიოდეს.

მოჰყავთ აგრეთვე ნახირი (ხუასტაგი). არისტოტელე წერდა, რომ ფასიდზე არის პატარა ტანის ძროხები, რომელთაგან თითოეული ბევრ რძეს იძლევაო. მკვლევართა აზრით არისტოტელეს ნახსენები ქართული ძროხა ჭრელი, პატარა ტანისა, დღევანდელი „ხევსურული ძროხის“ წინაპარია.

და რაც მთავარია, ფხოველებს სამჭედლო იარაღებთან ერთად „ქაჯაეთიდან“ მოჰყავთ ტყვე მჭედლებიც, რომელნიც ხანგრძლივი დროის მანძილზე მჭედლობის საქმეს საიდუმლოდ ინახავენ. ფხოველთაგან განსხვავებული ტრადიციების მატარებელნი, მოგვიანებით „დევ–კერპებად“ არიან მოხსენიებულნი. ცხოვრობენ რა ფხოველთა შორის, თავის სადგომებში სამჭედლოები აქვთ გამართული, მეგობრობენ და მტრობენ კიდეც მეზობლებთან. უყვართ ლუდი (ბერძენთაგან საქართველოში „ქერის ღვინოდ“ წოდებული), რომელიც ფხოველებს ასევე სამხრეთიდან უნდა ჰქონდეთ შემოტანილი.

მოგვიანებით, როდესაც დავით აღმაშენებელმა სამჭედლო ცენტრები მთებიდან დიდ ქალაქებში გადაიტანა, მჭედლობის მესაიდუმლე გვარებიც ნელ–ნელა ქრებიან ფხოვიდან. თუმცა სეხსურული ხთიშვილნი გვიანობამდე მოითხოვენ მჭედლებს და მოჰყავთ ისინი ხეხვადასხვა მხრიდან და, როგორც „ჯვარის დაჭერილი“, სამუდამოდ სახლდებიან ამა თუ იმ ფხოველში.

მეფე საურმაგი და ფხოველნი (კავკასიანების ჩამოსახლება). მეფე ფარნავაზის მემკვიდრეს საურმაგ მეფეს (ძვ. წ. III ს.) უკმაყოფილო ერისთავები განუდგნენ და ბრძოლა გამოუცხადეს. საურმაგმა მეაბზიტე ერისთავთა წინააღმდეგ „კავკასიანები“ გამოიყვანა, რომელნიც ხაზართაგან შე-

ვიწროებულნი საქართველოსკენ ილტვოდნენ. მეფემ წესრიგი დაამყარა და ჩრდილოეთ კავკასიელი მთიელები საქართველოს მთებში ჩამოასახლა: „განმრავლებულ ყვნა დურძუკნი, ნათესავნი კავკასიანნი... ვერვინ წინ აღუდგა მას... და მოსრნა განლგომილნი მისნი...“ „წარმოიყუანნა ყოველთა კავკასიის ნათესავთა ნახევარნი და რომელნიმე მათგანნი წარმოჩინებულ ყუნა და სხვანი დასხნა მთიულეთს.“

როგორც ჩანს, მეფე საურმაგის წინააღმდეგ მოწყობილ ამბოხებაში იბერიის მთიელებსა და მათ შორის ფხოველთაც უნდა მიეღოთ მონაწილეობა. ფხოველთა ამბოხის მიზეზი მეფე ფარნავაზის მიერ მთიანეთში გატარებული მკაცრი რეფორმები უნდა ყოფილიყო.

საურმაგი კავკასიანებს, თავისი დედის ძმებს მეამბოხეთა შორის, ფხოვში ასახლებს. ფხოვის ქართველურ ტომებში ფეხს იკიდებს ბაცურ-ნახური ელემენტი. მკვლევართა მიერ გამოთქმულია მოსაზრება, რომ ხევსურეთის ტერიტორიაზე ერთ დროს მდგარი „კივკოზაურების“ („კავკაზაურების“) ძლიერი გვარები, რომლებიც გუდანის ჯვრის ყმათა წინააღმდეგ ილაშქრებენ და ბოლოს რაღაც მიზეზის გამო ქრებიან („ჯვარი ათავებს“), საურმაგ მეფის მიერ ჩამოსახლებულ კავკასიანთა შთამომავლები უნდა ყოფილიყვნენ.

მირვან მეფე დეკნის კაპკასიანებს და იმორჩილებს კავკასიის მთიელებს. კავკასიანთა გადმოსვლა და დამკვიდრება საქართველოს მთიანეთში საურმაგის შემდეგაც გრძელდებოდა. თითქმის ჩვეულებრივი მოვლენა იყო ჩრდილოეთ კავკასიის მთისპირეთში მცხოვრებთა ლტოლვა ქედის სამხრეთისკენ.

ფხოვში ჩამოსახლებული მოსახლეობა ავიწროებდა ადგილობრივ მკვიდრთ და მათ შორის ყოველთვის ბრძოლა-შუღლი სუფევდა. ერთხანს აღზევებულან კიდეც კავკასიანნი და მეფე მირვანს გაულაშქრია გადამთიელთა წინააღმდეგ (ძვ.წ. II ს.), კავკასიონის იქით გადაურეკავს გაორგულებული ძურძუკები, რომელთაც „დაივიწყეს სიყუარული ფარნავაზისი და საურმაგისი: და გაერთნეს თანა ჭართალთასა მსხდომნი კავკასიანნი მოტყუევნეს კახეთი და ბაზალეთი. მაშინ მირვან მეფემ მოუწოდა ყოველთა ერისთავთა ქართლისათა და შემოიკრიბნა ყოველნი სპანი...“

მირვანმა შეაბა კარნი ჩრდილოეთ საზღვართ და „ქმნა სიმაგრე ხაზართა და ოვსთათვის“. იმ დროიდან შემორჩა ფხოვის ტერიტორიაზე ნახურ-ბაცური ტოპონიმები.

ამ ხანებში ქართლის მეფეთა ყურადღება განსაკუთრებით გამახვილებულია ჩრდილოეთ კავკასიაში გამავალ გზათა და ხევთა ხელში ჩასაგდებად. 162-112 წ.წ. (ძვ.წ.) მეფე მირვანმა დაიმორჩილა კავკასიის მთიანეთი. ხელთ იგდო დარიალანი და ჩრდილოეთთან დამაკავშირებელი ყველა გზა-ბილიკი.

მეფემ ადგილობრივი მკვიდრნი დააყენა მცველებად ჰუნების, პაჭანიკების, ხაზარების და სხვათა შემოსევების მოსაგერიებლად.

მოგვიანებით მეფე ამაზასპ ფარსმანის ძეს (III ს.) კავკასიის მთიანეთში, „არაგვის ამიერ და იმიერ“ ათი ათასი მხედარი განუმწესებია საზღვრების გასამაგრებლად. „ქართლის სამეფოსთვის მეზობელ მთიანეთზე გაბატონებას სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეეძლო მას ჩრდილო კავკასიიდან სამხრეთში გადმომავალი გზების... გამაგრება და დაცვა. ამით ქართლის მმართველები დაიცავდნენ თავის მიწა-წყალს ჩრდილო კავკასიაში და რუსეთის ველებზე მცხოვრები მრავალი მომთაბარე ტომის შემოსევისაგან. კიდევ უფრო მეტი, რაკი კავკასიონის გადმოსასვლელები მათ ხელში ექნებოდათ, საშუალება ეძლეოდათ, საჭიროების ჟამს შემოეშვათ ჩრდილოეთის ეს მეომარი ტომები და გამოეყენებინათ ისინი თავისი მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში... ქართლის მმართველებს იმიერკავკასიის ტომები ზოგჯერ მარტო დროებით კი არ გადმოჰყავდათ ამა თუ იმ მტრებთან ბრძოლის მიზნით, არამედ გადმოჰყავდათ სამუდამოდ და თავის მიწა-წყალზე ასახლებდნენ.“ (გ. მელიქიშვილი)

ფხოვი იქცევა მეფის გავლენის ქვეშ. ფხოველებზე უკვე მტკიცედ ვრცელდება სამეფო ხელისუფლების გავლენა და როგორც მეფის „უნჯი ყმანი“ გარკვეული შეღავათებითაც სარგებლობენ.

„უკვე ძვ.წ. III ს-დან აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი ქართლის მეფეებმა თავიანთი დამოკიდებულების ქვეშ მოაქციეს, თუმცა ეს დამოკიდებულება ძირითადად გამოიხატებოდა მხოლოდ ხარკის გადახდაში და საბრძოლო დახმარებაში.“ (ნ. ასათიანი)

მაგრამ შესუსტდებოდა თუ არა სამეფო კარის გავლენა, მთიელნი ან ერთმანეთს დაერეოდნენ, ან კოშკებში იკეტებოდნენ და დაუმორჩილებლობას უცხადებდნენ ხელისუფლებას. თუმცა ხელისუფლებისთვის ფხოველნი გაჭირვების ჟამს მთიანეთში ერთ-ერთ ძირითად დასაყრდენ ძალას და საომრობლოსთვის თავდადებულ, ერთგულ ყმებს წარმოადგენდნენ.

ფხოველნი – კაჭკასიის კარის მცველნი. „უხსოვრი დროიდან ხევსურები შეჰკედლებიან კავკასიონის ქედს. არწივსავით გაუკეთებიათ ბუდეები მთა-გრეხილების უბე-კალთებზე და სდარაჯობენ ჩრდილოეთ საქართველოს. მტერს, რომელიც კი გაჰბედავდა აქეთ გადმოსვლას, სიცოცხლეს უმწარებდნენ. ფრინველი რა არის, იმასაც კი არ შეეძლო გადმოფრენა ჩრდილოეთიდან საქართველოში ხევსურის ნება-დაურთველად.“ (ვაჟა-ფშაველა). მეფე ფხოველებს აყენებს საზღვრის მცველებად, სამაგიეროდ მათ აძლევს თავისუფლებას და მფარველობს. ხევსურს ჩვეულებად არასოდეს ჰქონია სხვაგან ქირით წასვლა და მწყემსობა. ეს გამოწვეული იყო არა მხოლოდ

ხევსურის ამაყი ხასიათით, არამედ იმით, რომ იგი თავად იყო სახელმწიფო სამსახურში, როგორც საზღვრის მცველ-ვეშაგი. მხოლოდ XIX ს-დან, როდესაც ხევსურეთმა დაკარგა საზღვრის ფუნქცია, ხევსურებმა დაიწყეს მუშად სიარული, უფრო კახეთისკენ.

რამდენადაც ხევსურთა უმთავრეს სამსახურს საზღვრის დაცვა შეადგენდა, ცნება „სამან-სამძღვარი" წმინდა იყო მათთვის და თითოეულ გოჯ მიწას დიდად უფრთხილდებოდნენ. უფროსები უმცროსებს გადასცემდნენ და ასწავლიდნენ, რომ „ეს ხევსურთა მიწაა, ის კი უცხოთა, ღილღველთა... უნებართვოდ საზღვარს არც უნდა გადასცილებოდნენ, სხვათა ადგილებში არც მოეთიბა, არც საქონელი გაეშვა და არც ენადირა, პატივი ეცა როგორც თავისი, ასევე მეზობლის მიწებისადმი." (ნ. ბალიაური)

ფხოველები და პომპეუსი. პომპეუსმა, რომელსაც ქართლის სრული დამორჩილება სურდა, გადავიდა მტკვარზე და იბერთა ლაშქარს არაგვის ხეობაში შეებრძოლა (ძვ.წ. I ს.). გადმოცემით მას ფხოველებმა გზა შეუკრეს. როდესაც „პომპეიმ გამოიარა ურიცხვი ჯარით, მაშინ „ფხოველნი" რიცხვით სამასი კაცი დაუხვდნენ წინ ანანურში და გზა შეუკრეს. პომპეის გაუკვირდა ამ ერთი მუჭა ხალხის გამბედაობა, მიიწვია თავისთან, გამოჰკითხა ვინაობა, ვინა ხართ? მეფე გყავთ თუ არაო? ფხოველთ უპასუხეს, რომ თვით მეფისაგან არიან ისინი დაყენებული მეფის კარის მცველად. როგორ იომებდითო, ჰკითხავდა პომპეი, რომ ვინიცობაა მომესია თქვენთვის ჩემი ჯარიო? მაშინ ფხოველთ გაიძვრეს ხმლები, იფარეს ფარები და დაერივნენ ერთმანეთს. პომპეი გაკვირვებული დარჩა მათის ხელმარჯვობით, იარაღის ხმარებით, დაასაჩუქრა, აღუთქვა თავისუფლება და გამოისტუმრა მშვიდობით." (ვაჟა-ფშაველა)

ქართლის მეფე რომაელთა მეკავშირე ხდება. მას დაევალა კავკასიონის უღელტეხილების შეკვრა და იმიერკავკასიიდან მეომარი მომთაბარე ტომების შეკავება.

ქრისტიანობის გაპრცელება ფხოვში

ფხოვის „...მტკიცედ დაპყრობა და აქაური მოსახლეობის სოციალური დაქვემდებარება ქართლის გაბატონებულმა წრეებმა უფრო გვიან სცადეს. ამ მხრივ აქტიური ნაბიჯები იქნა გადადგმული ქართლში სახელმწიფო რელიგიად ქრისტიანობის გამოცხადებასთან ერთად (ახ.წ. VI ს.).

ეს იყო უაღრესად დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე ღონისძიება... ქრისტიანობის შემოღებას თან მოჰყვებოდა მთიელთა რელიგიური გათანაბრება ბარის მოსახლეობასთან. ამასთან ერთად, მთაში სახელმწიფო ენად ქართული ენა დაინერგებოდა, დაიწყებოდა ყველა იმ თავისებურების ლიკ-

ვიდაცია, რაც მთიელებს ასხვავებდა ბარელებისაგან. ამით კიდევ უფრო წინ წავიდოდა მთის არაქართული მოსახლეობის ასიმილაციის პროცესი.“ (ნ. ასათიანი)

. სამეფო ხელისუფლებისთვის ფხოველთა გაქრისტიანება იმდენად საჭირო, მნიშვნელოვანი და, ამავე დროს, საშიში ყოფილა, რომ იქ საქადაგებლად წასული თვით წმინდა ნინოსა და საბერძნეთიდან მოწვეული მღვდლისთვის მირიან მეფეს თავისი ერისთავიც გაუყოლებია ლაშქრით. „ერისთავი ერთი, წამოვიდა და დადგა წობენს და მოუწოდა მთეულთა ჭართალელთა და ფხოელთა და წილკანელთა და უქადაგა სარწმუნოებაი ქრისტესი.“

არის გადმოცემები იმის შესახებ, რომ ჯერ კიდევ ანდრია პირველწოდებულს, სიმონ კანანელსა და ბართლომე მოციქულს უმოღვაწიათ კავკასიის მთიანეთში ქრისტიანობის საქადაგებლად (I ს.). ყოველივე ეს მიანიშნებს იმაზე, რომ იმ დროისთვის კავკასიის მთიანეთსა და, მათ შორის, ფხოვს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა საქართველოს სამეფოში. ამასთანავე, ქართლის მეფე კახეთზე უწინ ფხოვის მოქრისტიანებას ცდილობს. (როდესაც სხეულზე ჭრილობა ან წყლული განკურნებას დაიწყებს, ხევსურები იტყვიან: „მოუქრისტიანდაო“.)

„მაგრამ მთეულთ არ აღმოაჩნდათ საჭირო სათნოება“, „ხოლო მათ პირუტყუ-სახეთა (ე.ი. პირუტყვის მსგავსი) განუყარეს თავი და პირნი გარე მიიქცივნეს და იღრეჭნდეს კბილთა მათთა წმიდისა ნინოსათვის.“ მაგრამ ნინოს ერისთავი ტყუილად კი არ ახლდა — ქადაგების გარდა სხვა მეთოდების გამოყენების საჭიროება იმთავითვე იყო გათალისწინებული. „ხოლო ნინო უბრძანა ერისთავსა, რათა წარმართთოს მცირედ მახვილი მათ ზედა. და ერისთავმან მცირედ წარჰმართა მახვილი, და ვითარცა შებმა უყვეს, შიშით მოსცნეს კერპნი მათნი დალეწად.“

„მცირედ წარმართული მახვილი“ იმდენად მჭრელი ყოფილა, რომ ძლეულ მთიელთ, როცა “იმედი აღარა ჰქონდათ თავის გამარჯვებისა, მამა-პაპეული მიწა-წყალი მიატოვეს და გადაიხვეწნენ.“ (ს. ჯანაშია). „ხოლო ფხოველთ დაუტევეს ქვეყანა მათი და გარდავდეს თუშეთს... და რომელნიმე მათგანნი დარჩეს წარმართობასავა შინა დღესა აქამომდე.“

ეს იყო ფხოველის უდიდესი ტრაგედია, რასაც საუკუნეების მანძილზე ვერ შეურიგდა. ამ დღიდან მცირედ თუ ძლაკრად წარმართული მახვილი დაუნდობლად ანგრევდა მეფე ფარნავაზის, ფარნავაზამდელ და ფარნავაზის შემდგომ ღვთაებებსა და წარმოდგენებს. იმდენად ულმობელი და სისხლიანი ყოფილა მთაში ქრისტიანობის დამკვიდრების პირველი ცდა, რომ ქრისტიანობის იდეოლოგი მემატიანე წმინდა ნინოს ათქმევინებს: „არა ბრძანებულ არს უფლისაგან მახვილის აღება, არამედ სახარებითა და ჯუარითა პატიოსნითა უჩვენოთ გზა ჭეშმარიტი.“

ფხოველთა მთლიანად გაქრისტიანება კარგა ხანს მაინც ვერ მოხერხდა. ფხოვში ახალგაქრისტიანებული და წარმართი მოსახლეობა კარგა ხანს ცხოვრობს ერთმანეთის გვერდით და მათ შორის ურთიერთობა თანდათან მწვავდება, რაც ნაწილობრივ ასახულია ხალხურ გადმოცემებში ხთიშვილთა და დევ-კერპთა ბრძოლების სახით.

ხთიშვილნი და დევ-კერპნი ქრისტიანობის გავრცელების ხანაში. ზ. კიკნაძე ფშავ-ხევსურეთის ტერიტორიას „ნაადრევ" მიწა-წყალს უწოდებს, რომელიც დევ-კერპებთან (ავთანდილი, მუზა, ბოსელა, ბელელა, ჭმალა...) ბრძოლაში მოიპოვა მოსახლეობამ. მორიგემ დევ-კერპთაგან საყმოს გასათავისუფლებლად ხთიშვილნი გადმოუშვა მიწაზე. ღვთაებათა და მათ საყმოებს შორის იმართება ხანგრძლივი ბრძოლა, რომელიც ჯერ კიდევ ქრისტიანობის შემოლებამდე კარგა ხნის წინ წამოიწყო. მოქრისტიანებული კოპალას, იახსრის, პირქუშის, გიორგის ყმანი იმარჯვებენ და დევნიან დევ-კერპთ.

IX ს-ის ჰაგიოგრაფიულ ძეგლში — „კოლაელ ყრმათა წამება" — აღწერილია საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების ადრეული ხანა. ტაოში, კოლას ხევში ქრისტიანები და წარმართები ერთ სოფელში ცხოვრობენ, მათი ბავშვებიც ერთად იზრდებიან. მართალია, ქრისტიანნი და წარმართნი მშვიდობიანად მეზობლობენ, მაგრამ რიცხვით მრავალი წარმართნი მაინც მძლავრობენ მათზე და წინ აღუდგებიან ქრისტიანობის შემდგომ განმტკიცებას. ასევე უნდა ყოფილიყო ფხოვშიც. დევ-კერპთა და ხთიშვილთა საყმოებში სხვადასხვა სარწმუნოების გვარები უნდა ვიგულისხმოთ. გაქრისტიანებულ ფხოველს ღვთაებანი ემუქრებიან და აფრთხილებენ: „ალარად მაგდებთ, მკლავი მკლავს გამისწორეთ და კისერი კისერს, მაგრამ ისეთივე ძლიერება მაქვს, მორიგეს შევთხოვ და შეგმუსრავთ."

ძალადაკარგული და დღეობამოშლილი საჩალეს „პირიმზე" ამბობს: „ძალი და შაძლება მაშინ მქონდა, როცა ჩლიქმირგვალნი (ცხენები) ზღვენ-კურატად მომიდიოდა, ხოლო კოჭუკულმართნი (დევ-კერპნი და ქაჯნი) მლოცავად." წარმართულ ღვთაებათა ყმანი ქრისტიანობის გზაზე შემდგარი ფხოველისთვის უკვე „კოჭუკულმართნი" არიან.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ფშავ-ხევსურული ხთიშვილნი თავადაც „დევური" ნიშნების მატარებელნი არიან.

შ. ამირანაშვილის მიხედვით, ახალი ქრისტიანული რელიგია შეეჯახა ქართულ წარმართულ მნათობთა ღვთაებებს, მაგრამ როგორც მაზდეიზმი, ისე სხვადასხვა სახის რელიგიები საქართველოში დიდი ხნის განმავლობაში არსებობდა ქრისტიანობასთან ერთად.

„წარმართობასავე შინა" დარჩენილთ მირიან მეფემ მძიმე ხარკი დაადო. მას შემდეგ საქართველოს მეფენი და ეკლესია კარგა ხნის განმავლობაში ძა-

ლითა თუ ფხოველთა ქრისტიანი ნაწილის დახმარებით ცდილობდნენ გაქრისტიანებინათ მთიელთა ის ნაწილიც, რომელიც ჯერ კიდევ წარმართულ სარწმუნოებას მისდევდა. ამ დროიდან ფხოვში, ძურძუკეთსა და დიდოეთში უკვე შენდება მცირე ზომის ეკლესია-სამლოცველოები. ხევსურეთის ტერიტორიაზე, მიუვალ მთათა მწვერვალებზეც კი, პირიქით და პირაქეთ შემორჩენილია ნაშთები ძველ ნაეკლესიართა, რომელთაც არქეოლოგები VIII-IX საუკუნეებით ათარიღებენ.

მთიანეთში ქრისტიანობის გავრცელება იყო მათი ტრაგედიაც და პროგრესიც. როგორც ილია იტყვის: „ქრისტეს რჯული ქართველობისათვის მარტო სარწმუნოებითი აღსარება კი არ იყო, იგი ამასთან ერთად პოლიტიკური ქვიტკირიც იყო საქართველოს მრავალი ნაწილების გასაერთიანებლად და შემოსაკრებად.“ თუმცა „საქართველოს სამეფო ხელისუფლების ერთგვარი წაყრუების გამოც, თავისუფალ მთიელებს არა და არ გაუჯდათ ძვალ-რბილში ქრისტიანიზმი — მოთმინებისა და მორჩილების რელიგია. ისინი ძირითადად წარმართებად დარჩნენ და ურყევად შეინარჩუნეს მეომრული სული.“ (ჯ. სტეფნაძე)

ფხოველნი გაქრისტიანდნენ, მაგრამ მათი სარწმუნოება დარჩა ქრისტიანობის პირველ ეტაპზე წარმოშობილ რწმენათა ერთგული და ამ ეტაპზე წარმოქმნილი ქრისტიანობის რომელიღაც განშტოებაც (უფრო სპარსულ-მაზდეანური ტიპის ქრისტიანობა), რაც დიოფიზიტების გამარჯვების შემდგომ შეჩვენებულ და აკრძალულ იქნა, როგორც მწვალებლობა.

ხევსურთა უმეტესი რელიგიური ტრადიციები ძველქრისტიანულია, რომელიც დღევანდელ ქრისტიანობასთან ძლიერ დაშორებულია.

კავკასიის მთიელებმა როგორც ქრისტიანობა, ასევე მაჰმადიანობა ბოლომდე ვერ მიიღეს. („არიან მისიცა უმეცარნი“-ო, აღნიშნავს მემატიანე). ამ ორი, სხვადასხვა სარწმუნოების ხალხს დღესაც ჰყავს უძველესი მონათესავე ღვთაებანი და აკავშირებს ისიც, რომ ერთ დროს ორივენი ქრისტიანები იყვნენ. ზოგ შემთხვევაში კი ძურძუკნი უფრო ქრისტეს ერთგულნი იყვნენ, ვიდრე ფხოველნი. (XVIII ს-ში გულდენშტედტი ქისტებზე წერს, რომ „ქრისტიანობის კვალი მათ ყველაზე მეტად შემორჩათ“-ო.)

ქრისტიანული მშენებლობა ფხოეთში. საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების მიზნით მირიან მეფემ საბერძნეთიდან გამოიწვია „მღვდელნი მრავალნი... და ქვით ხურონი აღშენებისათვის ეკლესიათა“. ხევსურული გადმოცმანი ძველი დროის ციხე-კოშკთა თუ ეკლესიათა მშენებლობას „ბერძნებს“ მიაწერს. უფრო სწორად, ციხეთა გვერდით ეკლესიანი აღუმართავთ და ერთიანი არქიტექტურული ანსამბლი — ციხე-ეკლესია უშენებიათ. „...იტყოდის წინავ ბერძენთა ჴელ ხქონდა საკვირელია, ჴევისბერთ აკურთხებიეს, მაშინ არ იყო მღვდელია...“ — ნათქვამია ბარისახოში ჴმალას ციხე-ეკლესიის

მშენებლობაზე. ზეისტეჩოს „საარაბულოს ციხის“ მშენებლობაც, რომელიც ჯვარში, ნაეკლესიართან დგას, ბერძენ ოსტატს მიეწერება.

მეფე მირიანი ანდერძად უტოვებს მემკვიდრეებს, ცეცხლითა და მახვილით დაიცვან და განამტკიცონ ქრისტიანობა მთაში. მეფე ბაქარსაც (ბაკურს) უბრძოლია მთიელთა მოსაქრისტიანებლად: „მოაქცივნა უმრავლესი კავკასიანნი, რომელნიც ვერ მოექცივნეს მამასა მისსა.“

სამეფო ხელისუფლების მიერ დაწყებულა ლტოლვილი ფხოველების ძებნა და კვლავ უკან დაბრუნება: „რომელიმე უკანასკნელ იპოვნეს: თრდატ მეფემან მოიყვანნა და მონათლნა.“ ამის გამოძახილია ძველი ხევსურული ლექსი: „...თუშებს უბრძანა გიორგიმ: – მსურს იყვნეთ ჩემი ყმანიო. იუკადრისეს წოვათა, დიდი დაადგა ძალიო...“ მაშინ ხახმატის ჯვარმა წმ. გიორგიმ ფხოვიდან გადასულ თუშთა წინაპრებს და მათ საქონელს, დამორჩილების მიზნით, სხვადასხვა სასჯელი მოუვლინა: „...გაიგეს თუშთა წოვათა, ესაა ხატის ძალიო, აქეთ-იქითად იდინეს, სადაც დიდი ქონ გზანიო...“ თუშთათვის სასჯელი მოუვლენია კარატის ჯვარსაც: „რისხვის ნიშნად გველ-მყვართ მოუხიბლეს (მოუწამლეს) საძოვრები.“ (თ. ოჩიაური)

იმდენად მნიშვნელოვანი ყოფილა კავკასიის ქვეყნებისთვის და საერთოდ ქრისტიანული სამყაროსთვის ფხოველთა მოქცევის პრობლემები, რომ იმ დროის (V-VII ს.ს.) სომხურ წყაროებშიც არის მოხსენიებული.

იბრძოდნენ რა ქართლის მეფეები ფხოვში ქრისტიანობის დასამკვიდრებლად, აღსანიშნავია, რომ „ქართლის მმართველებს ამ შემთხვევაშიც ქრისტიანობის განსაკუთრებული სიყვარული კი არ ამოძრავებდათ, არამედ სახელმწიფოებრივი ინტერესები. ქრისტიანობის გავრცელება მთაში საუკეთესო საშუალება იყო მთის ნახევრად დამოუკიდებელი მდგომარეობის მოსასპობად და მის გადასაქცევად სამეფოს ჩვეულებრივ შემადგენელ ნაწილად, მთა ჯერ კიდევ დიდად განსხვავდებოდა ბარისაგან. ხალხი აქ ძირითადად კვლავ გვაროვნული წყობილების ტრადიციების მიხედვით ცხოვრობდა. მას საკუთარი სატომო ღვთაებები ჰყავდა და მათი სამლოცველოები ჰქონდა, ბარის წესები მისთვის უცხო იყო. ქრისტიანობის გავრცელება ამ ზღვარს სპობდა. კულტურულ-რელიგიურად მთა და ბარი ერთგვაროვანი ხდებოდა, ყველაფერ ამას მოსდევდა აგრეთვე მთაში პატრიარქალურ ურთერთობათა ნგრევა და კლასობრივი ურთიერთობის დამყარება. იქ უკვე მტკიცედ იკიდებდნენ ფეხს ფეოდალებად გადაქცევის გზაზე მდგარი დიდმოხელეები-ერისთავები, რომელთაც სოციალური ჩაგვრის მძიმე უღელი მოჰქონდათ მთიანეთის მოსახლეობისათვის. ამიტომ იყო, რომ მთა სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა ქრისტიანობის გავრცელებას.“ (გ. მელიქიშვილი)

მაზდეიზმი ფხოვში. ნახევრად ქრისტიან მთიელებს მალე სპარსმა დამპყრობლებმა კვლავ მაზდეანობა — ცეცხლთაყვანისმცემლობა მოახვიეს თავს. მითრას კულტის გავრცელებას საქართველოში და მით უმეტეს ფხოვში, ხელი შეუწყო აქ უკვე არსებულმა მნათობთა კულტმა. სპასეთის ხელისუფლებამ მაზდეანობაზე მოაქცია არა მხოლოდ მათი მოხელე ქართველი დიდებულები, არამედ წვრილი ერიც. „წერილი ერი მიიქცია მრავალი ცეცხლის მსახურებასა"–ო, აღნიშნავს მემატიანე.

მზისა და ცეცხლის კულტი ფხოვში უმაღლეს საფეხურზე ადის. V–VI სს–ში. სამეფო ხელისუფლება (არჩილ მეფე და აბიბოს ნეკრესელი) ამაოდ ცდილობს მთიანეთში ქრისტიანობის განმტკიცებას. VII ს–დან საქართველოში მითრაიზმი თანდათანობით იდევნება და მხოლოდ დავით აღმაშენებლის დროს გაიწმინდება ეკლესია–ცეცხლტაძრები წარმართული ჩვეულებებისგან. მკაცრად იდევნება იგი როგორც ერში, ასევე ლაშქარში. დაბადებიდან მოლაშქრე ფხოველი უკმაყოფილო და განაწყენებულია და აღარ მოიხსენიებს დიდ მეფეს.

მაზდეიზმის კვალი მაინც შემორჩა ხევსურეთში. სახუცო ტექსტები ასე იწყება: „დიდება მზესა, მზის მყოლთ ანგელოზთა დიდება დღე დღესინდელსა..." (ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, ძველად „მზე" და „დღე" ერთი და იგივე მნიშვნელობით იხმარებოდა.)

მზე და ცეცხლი გვხვდება „შანდობის" თქმისას: „ცეცხლიმც მგზეი გაქვთ..."; „...ცეცხლითა — სითბოთ, მზითა — შუქით, სანთლითა — კელაპტრით..." შენდობის თქმისას, როდესაც ხევსურები მიცვალებულთა სულებს განსაკუთრებულ ტაბლას დაუდგამდნენ, იცოდნენ ცეცხლის დანთებაც, რომელსაც ასევე მიცვალებულის სულისთვის დალოცავდნენ. მზეს იფიცებდნენ: „ჩემმა მზემ", „ჩემ ძმის მზემ..." მაზდეიზმის გამოვლინებაა ხევსურული საშობაო („საქრისტო") რიტუალი, როდესაც ოჯახის უხუცესი გამდნარ ერბოს კოვზით სამჯერ ჩაასხამს შუაცეცხლში, ცეცხლის ალს ცხიმით ააბრდღვიალებს და „ღმერთს უძახებს". (ეს რიტუალი ჯვარშიც სრულდება „ქრისტე წუხრას".) ცეცხლის, სანთლის ალის ენით, მისი მოძრაობით, სიკაშკაშით განსაზღვრავდნენ მომავალს. თავად ხევსურული ჯვარი არქიტექტურულად მაზდეანურია თავისი შუაცეცხლით და „ღირეული ზღვენით" — ხარით. უფრო ადრე კი საჩალის ღვთაებას „პირიმზეს" ცსენებს სწირავდნენ მსხვერპლად. ხთიშვილნი „პირქუში", ანუ „პირცეცხლი" — „ცეცხლის ალიანი", „კოპალა" და „იახსარი", რომელთაც „ნავთის ქოთანი", „ცეცხლიანი" ლახტი, მათრახი და ლახვარი აქვთ , მაზდეიზმზე მეტყველებს. ასევეა ხევსურული სახელები: მზია, მზექალ, მზისო, მზევინარ, სამძიმარ (სამზევარ), ხვარამზე, შუქია, ნათულა, ნათია, მთვარისა, პირიმზისა... (აფხაზურად მზეს „მარ"/„მარა" ერქ-

ვა. აქედან, „სამძიმარა“, „ძიმარ“, „მარა“, „კმარა“, „თამარა“, „ყამარ“, „მარეს“). და კიდევ, სპარსულ-მაზდეანურია სახელი „ბაკურ“. გუდანის ჯვრის ყმებს ძველად „საათაბაკურო“ ეწოდებოდა. ბაკურხევში არის სოფელი „საკერპო“, სადაც ძველად დევ-კერპნი კერპებს ჭედავდნენ. „კერპი“ მაზდეიზმიდან მოდის, ისევე როგორც „ტაზარი“, „დროშა“, „ანდრეზი“.

ტოტემიზმი ფხოვში. ასევე ძლიერი ყოფილა ტოტემიზმი ფხოვში, სადაც ღვთაებანი სხვადასხვა ცხოველის, ფრინველის, მცენარის (დათვი, გველი, ქორი, მუსა, იფანი, მტრედი...) სახეს ატარებდნენ. ნადირ-ფრინველს უკავშირდება ზოგიერთი უქმე დღეებიც („მგელთ უქმი“, „თაგვთ უქმი“, „ჩიტთ უქმი“...) ამ მხრივ საინტერესოა ანდრეზები დათვზე, მტრედზე, გველეშაპზე, კერაში იფნის ხეს ამოხვეულ გველზე, შუბლზე თეთრნიშნიან ნადირზე...

ყველაზე მეტად გავრცელებული ყოფილა დათვის ტოტემი, რომელიც იმდენად ძლიერი ყოფილა, რომ ეკლესიას მის წინააღმდეგ სპეციალური კანონიც კი მიუღია და აუკრძალავს დათვთა როკვანი და მემღერენი.

ხევსურეთში გვიანობამდე შემორჩა საქორწილო რიტუალი „დათუნაობა“ (ფშავში „სამაია“ ერქვა) და მთიბელ-მომკლის დროს სიმღერე „დათვიანი“. ამას გარდა გავრცელებული იყო საკუთარი სახელები: „დათვია“, „დათვა“, „ჩაჩაური“ („ჩა“ ნახურად დათვს ნიშნავს), ტოპონიმები — „დათვისი“, „დათვის ჯვარი“...

ასევე სხვა სახელები — „მგელიკა“, „მგელა“ (გავიხსენოთ „მგლისთავიანი“ ვახტანგ მეფე), „ძაღლიკა“, „ნადირა“, „კურდღელა“, „ლომიკა“, „ვეფხია“, „ფოცხვერა“, „ქორია“ და ა.შ. ტოტემიზმზე მიანიშნებს.

ვახტანგ გორგასალი და ფხოველები. ვახტანგ მეფის ხელისუფლება საქართველოს მთიანეთში მტკიცეა და ჩრდილოეთის საზღვრები საგულდაგულოდ გამაგრებული. შენდება ეკლესიანი და სადარაჯო ციხე-კოშკები. გორგასალი უმთავრესად ხალხის ძალას — „წვრილ ერს“ ეყრდნობა და მფარველობს მათ როგორც სპარსელების, ასევე მათი მოკავშირე ქართველი დიდებულებისაგან. ხალხს ვახტანგ მეფე ზეკაცად და მხსნელად მიაჩნია. თუ ხევსურმა მთქმელებმა არ შემოინახეს უფრო გვიანდელი დავითისა და თამარის სადიდებელი ლექსები, რადგან ვერ ეგუებოდნენ ბაგრატიონი მეფის მტკიცე ხელს, შემოინახეს სიმღერე ვახტანგ გორგასალზე: „პირდაპირ შამავხედევდი ციხეს გალავნის პირსაო, ნეფე ყოფილა გორგასლამ, მშვილდ უჭეხებევ გმირსაო...“

ვახტანგ მეფემ ჩრდილოეთში ლაშქრობისას პაჭანიკებისა და მათი მოკავშირეების წინააღმდეგ ფხოველნიც გამოიყვანა. სალაშქროდ გამართული მეფე ერთხანს თიანეთს გაჩერებულა, სადაც მოკავშირეები შეერთებიან. აქ უნდა გამოცხადებულიყვნენ ფხოველნიც.

ვახტანგ გორგასალი, როგორც ჩანს, ფრთხილად ეკიდება ნახევრად ქრისტიან, წარმართ მთიელებს (მისი მემკვიდრე დაჩი უჯარმელიც ძოლაპარაკებით, და არა ძალით, ცდილობს მოაქციოს მთიელნი: „მეფემან დაჩი დაჰპატიჟა მთიულთა კახისათა, რათა აღიარონ ქრისტე...“).

საინტერესოა ვახტანგის დამოკიდებულება „ჯვართან“. „...მოიყვანეთ ჯუარი და წარვიძღვანოთ, რათა რომლითა გუძლევდნენ, მითვე იძლივნენ...“ — იტყვის მეფე სპარსელებთან ბრძოლის წინ და ბრძანებს თაყვანისცემენ ჯვარს, ხოლო ვინც ურჩობას გაბედავს, მოკლან: — “და მოიყვანა პეტრე მღვდელმან ჯუარი... და ქადაგი ჴმობდა ძლიერად: „რომელმან არა თაყუანი-სცეს ჯუარსა, მოკუედინ.“ („ქართლის ცხოვრება“)

ვახტანგ გორგასლის ხანაში და შემდგომ კახეთის მთიანეთის მმართველებად იხსენიებიან „შვილნი ბაკურისნი“. ფხოვი შედის წუქეთის საერისთაოში. „ფხოველთა, თუშთა და ხუნზთა და ყოველთა წარმართთა მთისათა“ არჩილ მეფის დროს მართავს ერისთავი აბუხუასრო.

სპარსელები და ფხოვი. სპარსეთის ძლიერების ხანაში (V–VI სს) საქართველოს მთიანეთში ასეთი მდგომარეობა იქმნება: სპარსელებმა „... ქართლი უმეტესად დაიპყრეს და კავკასიანთა შევიდეს და კარნი ოვსეთისანი აიგნეს და ერთი დიდი კარი ოვსეთისავე და ორნი დვალეთს. და ერთი პარჭუანს დურძუკეთისასა იგი მთიულნი გომარდადა დაადგინეს, და სხუაი ვინმე კაცი დაიდგნეს მთავრად წანარეთისა ჴევისა და მორჩილებაი დასდვეს მისი...“

ს. ჯანაშიას მიხედვით, ძურძუკეთის კარი ფშავ-ხევსურეთიდან ჩეჩნეთ-ქისტეთში მიმავალ გზას იცავდა და აკონტროლებდა.

მთიელთა „გომარდად დადგინება“ ნიშნავს, რომ კავკასიის მთიელთა ტომების მიერ ეს გზა დაცული და შენახული უნდა ყოფილიყო, რისთვისაც ისინი გარკვეულ საფასურს მიიღებდნენ სპარსელებისგან.

„სპარსელებმა ხანგრძლივი გამოცდილებით იცოდნენ, რომ ქართველებს მთეულებითა ჰქონდათ ზურგი მაგარი: გამოიყვანდნენ პირიქითელ ხაზარებსა და ჰუნნებს და მიუსევდნენ სპარსეთს, იმათაც მეტი არა უნდოდათ რა. ეხლა რაკი სპარსელებმა ამიერკავკასიის ყველა გზის კარები ხელში ჩაიგდეს და ხელთ ეპყრათ, ჩრდილოელთა შემოსევისაგან უზრუნველყოფილნი იყვნენ. ქართველებსაც ამ გზით მეშველნი და მოკავშირენი მოაკლდებოდათ.“ (ი. ჯავახიშვილი)

ამ დროისთვის წუქეთის საერისთაოში შემავალი ფხოველნი წანარეთის მთავარს ექვემდებარებიან. მოგვიანებით არაბებმა, სპარსელები რომ დაამარცხეს, ზემოთ აღნიშნული კარ-სიმაგრენი თავად დაიჭირეს.

სპარსელები საქართველოში ავრცელებდნენ ცეცხლთაყვანისმცემლობას — მაზდეანობას. მახვილის ძალით მოქცეული ფხოველნი კვლავ უბრუნ-

დებიან წარმართობას. უფრო სწორად, ფხოვში ერთდოულად სამი სარწმუნოებაა: ქრისტიანობამდელი, ქრისტიანული და მათ გვერდით „საგზებელი ცეცხლისაი.“ მზის კულტი კიდევ უფრო წამოიწევს.

ᲰᲔᲠᲐᲙᲚᲔᲘ ᲙᲔᲘᲡᲐᲠᲘ, ᲮᲐᲖᲐᲠᲘᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲤᲮᲝᲕᲘ. ბიზანტიის კეისარი ამარცსებს სპარსელებს და იმორჩილებს აღმოსავლეთ საქართველოს. ძალითა და მახვილით ცდილობს წარმართ ცეცხლმსახურთა მოქრისტიანებას. ვინც ნათლიღება არ ინება, „მოისრნენ“. „...ყოველთა ზედა წარმართთა მახვილი და ეკლესიათა შინა მდინარენი სისხლისანი დიოდეს.“

საქართველოს მთიანეთსა და ქართლ-კახეთს ჩრდილოეთიდან ლაშქრავენ ჰერაკლე კეისრის მოკავშირე ხაზარები, რომელთა კვალი ხევსურებზეც ჩანს. იოანე საბანისძე წერს, ხაზარნი „სისხლის მჭამელ“ არიანო. დაკლული საქონლის მოხარშული სისხლისგან დამზადებულ საჭმელს ხევსურნიც იყენებდნენ.

ᲐᲠᲐᲑᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲬᲐᲜᲐᲠᲘᲔᲑᲘ. საქართველოში, არაბების ბატონობის ხანაში, დამპყრობლებს მართალია გაჭირვებით, მაგრამ მაინც დაუმორჩილებია მთიელები. ამ პერიოდის არაბული წყაროები მოიხსენიებენ „სანარიას“ (წანარეთს), რომელიც მათ დიდ წინააღმდეგობას უწევდა.

წანარებად მკვლევარნი მიიჩნევენ არაგვის აუზის ზემო წელის მოსახლე მთიელებს. ნ. ასათიანი წანარებს ფხოველთა წინაპარ-ნათესავებად მიიჩნევს და მოჰყავს X ს-ის სომეხი ისტორიკოსის ცნობა: წანარები „მთის სიმაგრეებში ცხოვრობენ უზრუნველად, დამშვიდებულნი გარეშე მტრის საფრთხისაგან, სამეფო ხარკი მათვე რჩებათ. თავის გამგებლად მხოლოდ ერთ კაცს აყენებენ თავიანთი სურვილის მიხედვით. ისინი ერთსულოვნად და ერთობით არიან: და ცხოვრობენ ერთმანეთის გვერდით.“ ზოგი ისტორიკოსის აზრით წანარები დღევანდელი ხევის ტერიტორიაზე იდგნენ.

643-645 წლებში არაბების მიერ აღმოსავლეთ საქართველოში წარმოებული ლაშქრობების შესახებ არაბი ისტორიკოსი ბელაძორი გვაუწყებს, რომ მაშინ არაბებს დაუმორჩილებიათ მთელი აღმოსავლეთ საქართველო და მათ შორის „...ბაზალეთი, დარიალანი, წანარნი და დიდოელნი.“ არაბი ისტორიკოსის მთარგმნელი დ'ოსონი და ლაზარიანი წერენ, რომ არაბებმა ხევსურეთიც დაიმორჩილეს, თუმცა ივ. ჯავახიშვილი თვლის, რომ „ხევსურეთის“ ამოკითხვა არაბულად შესაძლოა გადამწერთა მიერ არის დამახინჯებული.

ამ ხანებში ფხოვი ძურძუკეთან და დიდოელებთან ერთად, შედის პანკისკვეტერისა და ხუნძახის საერისთაოში. ფხოველთა სამწყსო ხარჭაშოს საეპისკოპოში შედის: „თიანეთის წყლის სათავესა და საშიშს თვალავის იქით თეთრი არაგვის მჭვრეტად არის ხარჭაშოს ეკლესია გუნბათიანი, კეთილშე-

ნი, ზის ეპისკოპოსი, მწყემსი ერწო-თიანეთისა, ფშავ-ხევსურეთისა და თუშეთისა.“ (ვახუშტი)

არაბი დამპყრობლების წინააღმდეგ ქართველთა ბრძოლის ისტორიაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აღმოსავლეთ მთიელთა აჯანყებას (770 წ.), რომელთაც წანარები ჩაუდგნენ სათავეში. წანარებმა კახელებთან შეკრეს კავშირი და ერთიანი ძალით შეებრძოლნენ დამპყრობლებს. არაბებს აჯანყების ჩასახშობად ორი წელიწადი დასჭირდათ.

ძლეული წანარები გადადიან კახეთში და წარმოქმნიან ახალ სამთავროს, კახეთის საქორეპისკოპოსოს, რომელშიც შედიან ფხოველნიც. კახეთის საქორეპისკოპოსოს ანალოგიური სტრუქტურული მართვის ფორმებია ფხოვშიც — ჯვრისა და ჯვრის ყმათა (ხევისბერ-ქურუმთა და ჭელოსანთა) სახით, რომელიც ჯერ კიდევ ელინისტური ხანის იბერიის სამეფოში იყო.

წანარებს მართლაც აქვთ რაღაც შეხება ფხოვთან. თუ გავიზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ წანარები დარიალის ხეობიდან გადავიდნენ კახეთში, მაშინ მათ რომელიღაც ნაწილს ფხოვის გზით უნდა გაევლო. ძველი ანდრეზებით ხევსურულ ხთიშვილთა ნაწილი ხევიდან (გერგეტიდან) არის მოსული (მაგ., გუდანის ჯვარი, როშკის ჯვარი). ამ ჯვარ-ხატებს თავის ყმებიც უნდა მოჰყოლოდნენ და დამკვიდრებულიყვნენ ხევსურეთში.

წანართა დიდი როლისა და აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა, მათ შორის ფხოველთა, ძლიერების მაუწყებელია ისიც, რომ ყველაზე უწინ, VII ს-ში, მდინარე არაგვისა და ივრის ხეობების ზემო წელში ჩამოყალიბდა კახეთის სამთავრო, რომლის ცენტრი თიანეთშია. კახეთის ქორიკოზის (ნაცვლის, მთავრის) მფლობელობაშია მუხრანიც, რომელიც სამოხელეოდ თავის ვასალებს — ძაგანიძეებს გადასცა.

გაძლიერებული წანარ-კახნი აგრძელებენ ბრძოლას არაბების წინააღმდეგ: „საკმარისი იყო კახეთის ხეობებში არაბები გამოჩენილიყვნენ, რომ უშიშარი და ამაყი მთიელები მათ თავს ესხმოდნენ და მუსრს ავლებდნენ... არაბული ცნობით, კახელები ამ დროს ყველაზე საშიში მტრები იყვნენ არაბებისათვის ამიერკავკასიაში.“ (გ. მელიქიშვილი)

არაბების გავლენით საქართველოში დამკვიდრებული არაბული გამოთქმა და საკუთარი სახელები ხევსურეთშიც შეჭოსულა: დუნია, ყისმათი, ხანჯარი, იამანი, დავლათი, მანდილი, ხალიზი, ჯურუმი, ამანათი, აფშინა, საღირა, ამირა, ჯაფარა, აბა, აბაშა...

არაბთაგან შევიწროვებული ბარის მოსახლეობა მთის რაიონებში მკვიდრდება.

ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის

VIII ს-ის მეორე ნახევრიდან იწყება ბრძოლა ქართლისა და კახეთის მთავრებს შორის. კახეთის ქორიკოზმა მთიელთა დახმარებით შიდა ქართლი მიითვისა, მაგრამ აშოტ კურაპალატმა კვლავ განდევნა.

IX-XI ს.ს. საქართველოს გაერთიანებისთვის ბრძოლას წინ აღუდგებიან კახეთის მეფე-მთავარნი, რომელთაც არ სურთ ძალაუფლების დაკარგვა. ფხოველნი, ძურძუკებთან ერთად, კახეთის მთავრების სამსახურში დგანან.

პანკის-კვეტერის ერისთავად იმ დროს იხსენიება სტეფანოზ, რომელიც კვირიკე მეფესთან ერთად ებრძოლა ჯერ ბაგრატ მესამეს, შემდეგ ბაგრატ მეოთხეს. ბაგრატ მესამემ 1010 წელს კახეთის მეფე შეიპყრო და მის სამფლობელოში თავისი მოხელეები ჩააყენა.

1014 წელს კახეთის ქორიკოზმა კვირიკე II კვლავ დაებრუნა ტახტზე და ახალი საერისთაოები დააწესა. „... მეორე (ერისთვი) დასვა კვეტერსა და მისცა უჯარმას ზემოთ ორთა მთათა შორის, რომელ არიან კახეთსა და კუხეთსა, ვიდრე კავკასამდე და გარდაღმად. ეს არს ერწო-თიანეთი, ფხოველნი, ძურძუკი და ღლიღვი...“

მეფე გიორგი პირველმა 1014 წელსვე ჰერეთ-კახეთი კვლავ დაიპყრო და მეამბოხეთა ხელმძღვანელები დასაჯა. მეფე ახერხებს ფხოველთა შემორიგებას: 1021 წელს წანარნი და ფხოველნი თრიალეთში მეფე გიორგი I-ს ეხმარებიან ბასილი კეისრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მეფე გიორგი I-ის სიკვდილის შემდეგ კახნი და ფხოველნი კვლავ ამბოხდებიან და დროებით ინარჩუნებენ დამოუკიდებლობას. 1040 წელს ბაგრატ IV ლაშქრავს კახეთს, სხვა ერისთავებთან ერთად შეიპყრობს მეამბოხე სტეფანოზ ერისთავსაც და აოხრებს კახეთის მთავართა საბრძანებელს თიანეთს, გადასწვავს კვირიკე მეფის სასახლეს.

კახელნი და კახეთის მთიელნი კვლავ აგრძელებენ ამბოხს.

1067-1068 წლებში ბაგრატ მეფე დიდძალი ჯარით ლაშქრავს კახეთს. კახთა მთავარმა და სხვათა „ყოველთა დაყარნეს ციხენი მათნი და ივლტოდეს კავკასიად.“ მაგრამ იმავე წელს კახთა მეფე აღსართანმა კავშირი შეკრა სპარსეთის სულთანთან და კვლავ დაიბრუნა ბაგრატ მეფის მიერ დაპყრობილი ციხენი.

„დიდი ბურჯობა“ და ფხოვი. 1080 წლიდან საქართველოში იწყება თურქთა შემოსევები, რომელნიც არაბებზე უფრო დიდი და საშიში მტერი იყო. მომთაბარე, ველური თურქული ტომები მოდიოდნენ თავიანთი ოჯახებით, ბარგი-ბარხანით, ჯოგებით და სახლდებოდნენ დაპყრობილ მიწებზე. თურქნი „მეზობლობით მოეახლნენ საზღვართა ჩვენთა. გავრცელდა შიში და

ჭირი მათგან ჩუენ-ზედა, რამეთუ იწყეს მიერითგან რბევად, ტყუენვად და მოოხრებად, წუად, სრვად და ტყეობად ჩუენ ქრისტიანთა...

...მოჭამეს ქუეყანა და მოსწყვიტეს, თუ სადღა ვინ დარჩომილი იყო ტყეთა, ქუაბთა და ხურელთა ქუეყნისათა... ხოლო ვინმე მთიულეთს ანუ სიმაგრეთა სადმე ვინ დაშთა კაცი ზამთრისა სიფიცხითა, უსახლობითა და შიმშილითა ევრეცა მოისრა.

და განგრძელდა ესეეთარი ჭირი ქრისტიანეთა ზედა, რამეთუ არესა თანა გაზაფხულისასა მოვიდიან თურქნი და მათვე პირველთა საქმეთაებრ იქმოდიან, და ზამთარს წარვიდიან და არა იყო მათ ჟამთა შინა თესვა და მკა: მოოხრდა ქუეყანა და ტყედ გარდაიქცა." („ქართლის ცხოვრება")

„დიდი თურქობის" ხანაში თურქნი იკავებენ ფხოვის მოსაზღვრე ტერიტორიებს. მათგან ლტოლვილი ქართლ-კახეთის მოსახლეობა „მთათა და სიმაგრეთა შინა" იხიზნება. ბევრი სამუდამოდ მკვიდრდება ფხოვში.

თურქულიდან არის ხევსურეთში დამკვიდრებული დოღვი, ბერდია, თარხანა... (შესაძლოა, „თარხან" ხაზართაგანაც მოდიოდეს).

დავით აღმაშენებელი და ფხოფელნი. დაახლოებით VIII-XIII საუკუნეებში ფხოვს განაგებენ კახეთ-პანკისის, „ზედაზნისა და მუხრანის მფლობელნი", ერისთავთ-ერისთავნი ძაგანისძენი. მათი გავლენა ვრცელდება დიდოეთსა და ძურძუკეთზეც. ეს გვარი, რომელიც „ერისთავთ-ერისთაობით იწერვიან და გუარნი არ წარიწერებიან ცხადად და საცნობლად", იმდენად აღზევებული იყო, რომ საუკუნეთა განმავლობაში არ მორჩილებდნენ მეფეებს, თვით დავით აღმაშენებელს და მის მემკვიდრეებს დავით ულუმდე...

ტახტზე ადის დავით IV აღმაშენებელი, რომელიც თურქთაგან წმენდს საქართველოს მიწას. ამასთანავე, სასტიკად უსწორდება და სჯის სამეფო ხელისუფლების მოწინააღმდეგეთ, მათ შორის, ძლიერ ფეოდალებს ძაგან აბულეთის ძესა და მის ძმებს.

დავით აღმაშენებელი, რომელმაც ჩრდილოეთის ყველა კართა ციხენი ხელში ჩაიგდო, წესრიგს ამყარებს საქართველოს მთიანეთში და, როგორც ჩანს, ფხოვის მეზობლადაც ასახლებს ყივჩაღთა ნაწილს. („შამამეყარა ყინჩაი სამძღვარსა სამუხისასა..."; ყივჩაყი - ყიფჩაყი - ყაჩაღი -- ყინჩა- ჭინჩლა - ჭირჩლა).

1104 წელს დავით აღმაშენებელმა კახეთ-ჰერეთი საქართველოს შემოუერთა. ფხოვი კახეთის ერისთავის გამგებლობაში რჩება. თუმცა ქართლის დიდებულებსაც სურთ მისი ხელში ჩაგდება.

ფხოველნი თავიანთ სიმღერე-ანდრეზებში არ იხსენიებენ დავით აღმაშენებელს. ამისი მიზეზი უნდა იყოს მკაცრი რეფორმები მოსახლეობის ყოფასა და რელიგიაში. სამეფო კარმა მორჩილებაში მოიყვანა თავისუფალი მთიელი და შეეცადა დაენგრია არსებული წარმართული, ტრადიციული ყოფა-

წარმოდგენები. მეფემ სასტიკად აკრძალა „საეშმაკონი სიმღერანი, სახიობანი და განცხრომანი და გინება ღმრთისა საძულელი და ყოველი უწესობა...“ აკრძალვა ვრცელდებოდა როგორც ერში, ასევე ლაშქარში. ნახევრად წარმართი, თავისუფალი მოლაშქრე ფხოველნი კი ვერ ურიგდებოდნენ იმის უცებ აკრძალვას, რასაც საუკუნეების განმავლობაში მტკიცედ იცავდნენ.

სამეფო ხელისუფლება განსაკუთრებით ებრძოდა წვრილი ერის აგრარულ ტრადიციებს, როკვა-თამაშობებს, ხალხურ სიმღერე-ანდრეზებს, ფერხისებსა და ღვთაებათა ტაძრებში ღამისთევებს, რომლებიც რელიგიურ რიტუალებთან ერთად სრულდებოდა. მაგრამ, მიუხედავად დევნისა, გლეხურმა ყოფამ მთიანეთში შემოინახა არქაული, ქრისტიანობამდელი რწმენა და ჩვეულებანი, წარმართულიცა და ქრისტიანულიც ახლებურად გაიაზრა და დღემდე შემოინახა.

დავით აღმაშენებლის დროიდან, როცა საქართველომ ჯვაროსანთა მსგავსად წმინდა გიორგის მფარველობა მიიღო, ფხოვში განსაკუთრებით გაძლიერდა წმინდა გიორგის კულტი, რომელმაც შეცვალა ფხოველთა წარმართულ ხთიშვილთა სახელები, როგორც ღვთისმშობელმა შეცვალა „ადგილის დედა“. საქართველოში ეს მოვლენა სახელმწიფო დროშაზე სიმბოლურად გამოიხატა წითელი ფერის სწორტოტა ჯვრით. „ჯვარის მსახურ“ ფხოველებში ფართოდ გაეხსნა გზა სწორტოტა წითელ ჯვარს: „ხევსურს წითელი ჯვრიანი ჩოხა... ადვილად საცნობს ხდის“-ო, წერს ვაჟა.

რუის-ურბნისის კრების დადგენილებით, საქვეყნოდ აიკრძალა წარმართობის დროიდან მომდინარე ყოველგვარ სახალხო ჩვეულებათა შესრულება და მათი დაკავშირება საეკლესიო ცენტრებთან.

ფხოველთ კიდევ ერთხელ მოუწიათ მახვილის ქვეშ ნათლისღება.

მჭედლიების მესაიდუმლე გვარების (დეკ-კერათა) აყრა ფხოვიდან. ხევსურული ანდრეზით, ფხოვის ტერიტორიაზე სხვა გვარებთან ერთად იდგა რომელიღაც გვარი თუ ტომი, რომელიც ფლობდა ლითონის ჭედვის საიდუმლოს და მას მეზობლებს არ ასწავლიდა. კავკასიის მთიანეთის მოსახლეობა ჯერ კიდევ უძველესი დროიდან იცნობდა და იყენებდა სპილენძს, რომლის საბადოებიც უხვად იყო კავკასიონის სამხრეთ ფერდობებზე და აქედან მადანი სხვა ქვეყნებშიც გაჰქონდათ.

ძველად ეროვნული საჭურველი ლითონის საბადოებთან ახლოს, მთიანეთში და მათ შორის ფხოვში იჭედებოდა. სამჭედლოები ყოფილა გამართული როშკის გორზე, აკუშოს ციხეგორზე, უკანახოს, ბაკურხევს... „კვერ რო უკენაჭოს დაჰკრიანავ, ძგარ-ძგურ გუდამაყარ მადიოდისავ.“ მჭედლობა ფხოვში ღვთაებრივ საქმედ იყო მიჩნეული. რკინა და ნახშირი მაგიურ საგნებად ითვლებოდა. ჰყავდათ თავისი მჭედელი-ღვთაება — პირქუშის ჯვარი. სა-

ჭირო გახდა ამ წარმოდგენათა ნგრევაც და დავით მეფეს ფხოვში არსებული სამჭედლო სახელოსნოები, მჭედლობის მესაიდუმლე გვარებთან ერთად, დიდ ქალაქებში გადააქვს.

მჭედელი პირქუშის ჯვარი ფუნქციას იცვლის და ძალით იმორჩილებს ახალ ყმებს.

უმჭედლოდ დარჩენილი ფხოველნი ნელ-ნელა თავად ითვისებენ ამ საქმეს, თანაც ყოველი თემის თუ სოფლის ჯვარი მოვალეა ჰყავდეს მჭედელი, ზოგჯერ ჯვარს იგი ძალითაც მოჰყავს სხვა მხრიდან და საარსო მამულს აძლევს. XVII ს-ში ხევსურეთში უკვე მოღვაწეობს ხმლებისა და „ბუჩას" კალიბრის თოფების მჭედელი, ქმოსტელი სამნა ბურდვიაული (ბურდული).

დავით აღმაშენებლის შემდგომ საქართველოს მთიანეთში კარგახანს ყოფილა წესრიგი: „მპარავი, ავისმოქმედი აღარ იყო... ოვსმან, მთიულმან, ყივჩაყმან და სუანმან ვერ იკადრიან პარვა"-ო, გვაუწყებს მემატიანე.

ბანძის ციტანის ანდრეზი. მეფე დავითის, გიორგი III და თამარის დროს ფხოველებს მონაწილეობა მიუღიათ ქალაქ განძას ლაშქრობებში, საიდანაც გუდანის ჯვარში განძი მოუტანიათ და ამიტომაც დაერქვა ამ ჯვრის ყმებს „მაგანძურები".

ორბელთა ამბავი და ფხოველნი. გიორგი III მეფობის ბოლო წლებში საქართველოს ჯარის ამირსპასალარმა ივანე ორბელმა და დემნა ბატონიშვილმა (გიორგი III-ს უფროსი ძმის, დავით V-ს შვილი), დიდგვაროვანი აზნაურები მიიმხრეს და აჯანყდნენ. გაერთიანდნენ ორბელთა მთელი საგვარეულო, სამცხელნი, ჰერნი, კახნი და „...სადაცა ნათესავი და ნატამალი მსმენარი მათდა იყო, იქმნა განდგომა, ბრძოლანი, კლვანი და რბევანი."

მეფე გიორგი III-მ აჯანყება ჩაახშო და განდგომილები სიკვდილით დასაჯა. განსაკუთრებით მკაცრად გაუსწორდა ორბელთა გვარს. რეპრესიები ფხოვში მდგარ ორბელთა თანამოძმეებსაც შეხებია, ისინი საქართველოდან გაუძევებიათ. „ადგეს, წავიდეს ორბელნი, იმერეთს წყალსა გაჭდესა, იმას კი ვერავინ იტყვის, არ იყენეს, იმით წაჭდესა," — სინანულით ამბობს ხევსური მთქმელი.

აკ. შანიძე გ. თედორაძეს იმოწმებს და წერს: „...ახიელისა და კალოთანის წყლის შესართავთან მოჩანს მაღალ კლდეზე ქვის შენობათა ნანგრევები, სადაც ოდესღაც სოფელი ყოფილა, არხოტივნები დანამდვილებით ამბობენ, რომ ეს ნანგრევები ორბელიანთა (ასეა!!!) ნასახლარიაო. ისინი გვარწმუნებდნენო, თითქოს ორბელიანები ამ ადგილიდან გადასახლებულიყვნენ, რადგანაც მათ თოვლი არ ასვენებდათო."

როგორც ჩანს, ციხე-ქალაქი „ორბეულთა" სტრატეგიულ ცენტრს წარმოადგენდა, სადაც იდგა მეფის ხელისუფლების წარმომადგენელი ორბელთა

გვარიდან, რომელმაც ამბოხებულთა მხარე დაიჭირა და შემდეგ ხელისუფ-ლებისგან დევნილი გადაიხვეწა „იმერეთს“, ე.ი. კავკასიონის იქით.

საფიქრებელია, რომ ორბელთა წარმომადგენლების ხევსურეთიდან გან-დევნა შეიძლება მომხდარიყო უფრო მოგვიანებითაც, როდესაც ნაზარალი-ხანმა ორბელიანების რეპრესიები განახორციელა.

ჯვაროსნები და ფხოველნი. ავსტრიელი მეცნიერი ფ. ჰეერი წერს: „1147 წლის ჯვაროსნული ლაშქრობა იწყება, როგორც ჯადოსნური ზღაპარი, მაგრამ მალე იქცევა კატასტროფად. ხევსურებმა, კავკასიურმა ტომმა, დღემ-დე შეინარჩუნეს მისი ცოცხალი მოგონება. შუა საუკუნეების იარაღით შე-ჭურვილნი მართავენ ორთაბრძოლებსა და ტურნირებს და წამოსძახებენ ძველ სიმღერას: „ფრანკ მეომრებს ჰყავთ დედოფალი ელეონორა, ელეონორა!.. (ახალგაზრდა დედოფალი ელეონორა წინ მიუძღოდა ჯვაროსანთა ერთ-ერთ ლაშქარს.)

1119 წელს მაჰმადიანთაგან შევწროვებული იერუსალიმის მეფე ბალდუინ II „მოვიდა იდუმალ ქართლსა შინა“ და დახმარება სთხოვა დავით მეფეს. მართლაც, მომდევნო წელს ქართველებს გაულაშქრიათ ჯვაროსანთა მთავარი მტრის ილღაზის წინააღმდეგ.

იღებდნენ თუ არა ფხოველნი ჯვრისა და ქრისტეს სახელით მოწყობილ ლაშქრობებში მონაწილეობას, უცნობია, მაგრამ რაღაც საერთო ხევსურებს მართლაც აქვთ ჯვაროსან რაინდებთან. ქართული წყაროები არას ამბობენ ქართველთა ჯვაროსნულ ომებში მონაწილეობაზე, მაგრამ თავად ჯვაროსანი რაინდები იბრძოდნენ ქართველთა ლაშქარში. ალბათ, აქ უნდა გაეცნოთ ერთ-მანეთი ევროპელ რაინდებსა და ხევსურებს.

ჯვაროსანთა ლაშქრობებმა ევროპისა და აზიის ხალხები ერთმანეთს გა-აცნო და დააახლოვა. ერთმანეთისგანაც ბევრი რამ ისესხეს. ხევსურებს ევ-როპელ რაინდებთან აახლოვებს ჯვრიანი ტალავარი, მასიური ჯაჭვ-იარაღი, მუზარადის ტარების გამო თმა-წვერის სუფთად პარსვა, წინ ქოჩორი და მო-პარსულ კუჭულაზე ცოტაოდენი თმის დატოვება.

ჯვაროსნული ლაშქრობის მონაწილეებს პაპის წინადადებით ურიგებდნენ წითელი ნაჭრის ჯვრებს, რომლებსაც სამოსზე უხვად აკერებდნენ. ხევსუ-რულ ტალავარზე წითელი მაუდის ჯვრები აპლიკაციის წესით არის დაკერებული.

ალ. დიუმა „კავკასიაში“, როდესაც კავკასიის მთიელებზე წერს, აღ-ნიშნავს, რომ ქართველი მთიელები ჯერაც XIII საუკუნის ფარებით აღჭურ-ვილნი დადიან და არ იციან, რომ ამ ფარებით იღებდნენ მათი წინაპრები ჯვა-როსნებთან ერთად იერუსალიმსა და სხვა ქალაქებსო. ალ. დიუმა უთუოდ უძველეს ხევსურულ ჯვრიან ფარს გულისხმობს.

გერმანიაში, ქ. ბერლინის ცოიგჰაუზის (იარაღის) მუზეუმში დაცულია XIII ს-ის ჯაჭვ-ჯავშანი როგორც რაინდის, ასევე ცხენის. ეს საჭურველი XIX ს-ში გაუტანიათ ხევსურეთიდან. ქ. მიუნხენში, კერძო კოლექციაში დაცულია საჭურველი, მუზარადზე თარიღით — 1253 წ. და ხევსურული დავითფერულები. ეს კოლექცია გერმანელთათვის უსახსოვრებია ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის მეთაურს ბაგრატიონს. ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკმა 1813 წელს ააოხრა და გაძარცვა ხევსურეთი. სწორედ ამ დროს უნდა გაეტანათ აღნიშნული ჯაჭვ-იარაღი ხევსურეთიდან.

კ. ჩოლოყაშვილის კვლევით, გერმანიის კოლექციებში არსებული ხევსურეთიდან გატანილი საჭურველი არ არის ქართული წარმოების და ევროპულია. საიდან მოხვდა შუა საუკუნეების ევროპელი რაინდების აღჭურვილობა ხევსურეთში? ან რატომ არის პოპულარული ვადაჯვრიანი ხმლები ხევსურეთში, რომელთაც ჯვაროსნები ატარებდნენ?

ფხოველთა აჯანყება თამარ მეფის დროს. თამარ მეფის დროს ფხოვი, ძურძუკეთთან და დიდოეთთან ერთად, საკმაოდ ძლიერი მხარეა. აქ თითქმის უკვე მოიკიდა ფეხი ფეოდალურმა წყობამ, მიმდინარეობს სოფელ-სიმაგრეთა გაძლიერებული მშენებლობა. ფხოველნი ვერ ურიგდებიან თავისუფლების დაკარგვას. ციხესიმაგრეებს და იარაღს ფარულად ამ'ხადებენ თამარ მეფის წინააღმდეგ. ფხოველებს უერთდებიან დიდოელნიც.

1212 წელს ფხოველნი და დიდოელნი აჯანყდნენ და სამეფო ხელისუფლებას სრული ურჩობა გამოუცხადეს. მემატიანე არას ამბობს ფხოველთა ამბოხის მიზეზებსა და ამბოხის ჩახშობის შედეგებზე, მის ისტორიულ მნიშვნელობაზე. არ ამბობს მთავარს: — რა იყო მიზეზი ფხოველთა და დიდოთა, ამ სხვადასხვა გვარ-ტომის ხალხთა უკმაყოფილებისა თუ ერთიანობისა. (ჩანს, რომ იმ დროს დიდოთა რაღაც ნაწილი ფხოველთა უშუალო მეზობელი იყო და ხევსური მეანდრეზე ხახმატის ჯვრის მიერ „დიდოეთის გაბეგვრაში" ამ დიდოელებს უნდა გულისხმობდეს.)

ამბოხის მიზეზი უნდა ყოფილიყო მთაში ფეოდალურ-ბატონყმური ყოფის დამკვიდრების მცდელობა, რაც ფხოველთათვის მიუღებელი იყო და რასაც ყოველთვის დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ. ამბოხის მიზეზი უნდა ყოფილიყო აგრეთვე ხელისუფლების მიერ ხარკის დამძიებება და ქრისტიანობის განმტკიცება-გავრცელება, რასაც მეფის მოხელეთა თუ ეკლესიის მესვეურთა მხრიდან მთიელთა შევიწროვება მოსდევდა.

ფხოველთა აჯანყება სამეფო კარისთვის იმდენად სერიოზული და საშიში ყოფილა, რომ თამარ მეფის მიერ გაგზავნილ ცნობილ სარდალს მხარგრძელს სამი თვე დასჭირდა მის ჩასახშობად. მხარგრძელმა ალყაში მოქცეული ფხოველები, მათივე მეზობელი მთიელების დახმარებით, ზურგიდან მოვლით

სასტიკად დაამარცხა, დასაჯა და აიძულა გადასახადის გადახდა და მათზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება.

„... მათ უკეთუ ჟამთა იწყეს მთეულთა განდგომად კაცთა ფხოველთა და დიდოთა...“ გარეგნულად ქრისტიან, „ჯვარის მსახურ“ ფხოველთა მეზობელი და თანამებრძოლი დიდოელები უფრო კერპთმსახურნი და ველურნი ყოფილან. მათში სხვადასხვა ღვთაებებთან ერთად გავრცელებული ყოფილა ძაღლის თაყვანისცემაც. აღსანიშნავია, რომ „რჯულიან-ურჯულოთა სალოცავში“ — ხახმატის ჯვარში შემორჩენილია სალოცავი ნიში „მწევრის საფლავი“. დიდოელნი ჭამდნენ უსულოდსა და უხარშავ ხორცს, ხოლო რამდენიმე ძმას ჰყავდა ერთი ცოლი. „დიდონი არის მოსავი ეშმაკისა და ძაღლისა. დაუწყეს რბევა ფხოველთა, უფროსთად მქნელთა ძალისა, განუდგეს მეფეს სიბრიყვით, აღარ მომცემნი მალისა.“ (მეფე არჩილი)

ფხოველებმა და დიდოელებმა შეკრეს კავშირი, ამოხოცეს მეფის მოხელეები, მიუხტნენ მეზობელ მთიელებს, დაარბიეს, ამოხოცეს, გაძარცვეს და დაატყვევეს ხალხი.

თამარ მეფემ სასწრაფოდ შეჰყარა ლაშქარი მთიულთა, დვალთა, ცხრაზმელთა, მოხევეთა, ჭადელთა, ცხავატელთა, ჭართლელთა და ერწო-თიანეთელთაგან, რომელთაც არ გაუჭირდებოდათ შეუვალ მთებში ბრძოლა და ამბოხებულებთან მათი მიმხრობაც გამორიცხული იქნებოდა.

სამეფო ლაშქრის სარდალმა ივანე ათაბაგმა ფხოველებთან ბრძოლის „გონიერი“ გეგმა შეადგინა, „რომელი არავის ექმნა არცა პირველ, არცა შემდგომად.“ გაიყვანა ლაშქარი ჭადის ქედის გავლით მთებზე და ზურგიდან მოუარა ამბოხებულებს. მიეგებნენ იკანე ათაბაგს ძურძუკნი საჩუქრებით, მისცეს ლაშქარი და გვერდში დაუდგნენ.

ზურგიდან მოულოდნელად დაცემული მეფის ლაშქარი სამი თვის განმავლობაში შეუბრალებლად ებრძოდა, არბევდა, ხოცავდა, ატყვევებდა, წვავდა და ანგრევდა ამბოხებულებსა და მათ სადგომ-სიმაგრეებს: „მოსწყვიდნეს ურიცხვი კაცი დიდო და ფხოვი.“

მხარგრძელის ზურგიდან დაცემულმა ლაშქარმა მეამბოხეებს გადაუკეტა გზა ჩრდილოეთისკენ, უკანდასახევი გზა-ულელტეხილები და მოუსპო სახიზრები.

ამბოხებულებმა ვერ გაუძლეს მეფის ლაშქრის დაწოლას, იძლივნენ და არაგვის ხეობისკენ ღაიწყეს ჩამონაცვლება. ფხოველებმა ჭმალას ციხესიმაგრეში მოიყარეს თავი და იქ გამაგრდნენ. ეს ციხე კი მათ საგანგებოდ ჰქონდათ გამაგრებული, რადგან ლაშქრის შემოსვლას ფშავის არაგვის ხეობით ვარაუდობდნენ.

მხარგრძელმა ჭმალას ციხე რომ ვერ აიღო, მაშინ მის მოპირდაპირე მხარეს, კლდის თავზე „შურისციხე“ ააგებინა, საიდანაც ისარს ჩაესროდნენ

ამბოხებულებსა და გამოსვლის საშუალებას არ აძლევდნენ. („შურისციხეზე“ ნათქვამია: „...ციხემ თქვა ერთი სიტყვაი ძალიან გასაკვირია: — შალვაის ანაგები ორ სინის ჩამიდვა ძირია...“ ვინ იყო ეს „შალვა“? იქნებ სარდალი და გამგებელი შალვა ახალციხელი, რომელიც ისტორიულ მასალებში მეჭურჭლეთუხუცესად და მანდატურთუხუცესად ივარაუდება?

სამი თვის განმავლობაში სისხლისმღვრელი ბრძოლებით „შეიწროებულთა ათაბაგისათა“ ხელისუფლებას მორჩილება განუცხადეს. ათაბაგმა ამბოხებულია თავკაცებს თავები მოჰკვეთა და გვამები მდინარე არაგვში ჩაყარა.

დამარცხებულმა ფხოველებმა მისცეს მძევლები, დაიდგეს სახელმწიფო ბეგარა და აღუთქვეს მსახურება.

ეახლა გამარჯვებული ათაბაგი მეფეს და მოახსენა: „ძლიერო მეფეო! იქმნა ბრძანება შენი, მოვაოჭრენ ურჩნი შენნი დიდოეთი და ფხოეთი.“

რატომ წერს მემატიანე ასეთი რიხითა და სიამაყით ფხოველთა მოოხრებაზე? გავიხსენოთ მეფე მირიანის ერისთავის მიერ ფხოველებზე აღმართული მასვილიც. „ფხოველთა ქვეყანა“ ორივე შემოხვევაში დიდი და ძლიერი მხარეა. თვით თამარ მეფისთვისაც კი, რომელსაც უზარმაზარი სამფლობელოები მორჩილებენ, ფხოველნი, დიდოელებთან ერთად, საშიშ ძალად წარმოჩნდნენ. ამიტომ დასჭირდა ამბოხის ჩასახშობად მეფის სახელოვან სარდალს სამთვიანი ბრძოლა, რომლის დროსაც მიწასთან გაასწორა ფხოვის ციხესიმაგრეები.

წმინდა ხეთა კულტი ფხოვში. თამარ მეფის ფხოვში ლაშქრობის დროს (და უფრო ადრეც) უნდა მომხდარიყო ჭმალას ციხე-სალოცავში წმინდა ალვის ხის მოჭრა. (ასევე ლაშარის ჯვარში ბერმუხის მოჭრა). ეს ისტორიული ფაქტი მთქმელებმა მოგვიანებით ზურაბ არაგვის ერისთავის ფშავხევსურეთში ლაშქრობებს დაუკავშირეს, რადგან არაგვის ერისთავებიც ცდილობდნენ მთაში ქრისტიანობის განმტკიცებას და წარმართულ ღვთაებათა თაყვანისცემის აღმოფხვრას.

წმინდა ხეთა მოჭრის ლეგენდას შორეულ წარსულში აქვს ფესვები და საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების პირველ ხანას მიეკუთვნება. I ს-ში ანდრია მოციქულმა მეგრელთა მოქცევისას „დიდი ჭყონი“ („დიდი მუხა“) მოჭრა, IV ს-ში მირიან მეფემ მცხეთაში ტაძრის აშენების წინ „მოჰკუეთა ნაძვი იგი“, რომელიც „სიცოცხლის ხის“ უძველეს კულტს წარმოადგენდა. წმინდა ხის მოჭრამ მცხეთელებზე დიდი ზემოქმედება მოახდინა.

წმინდა ხეთა მოჭრა, მასთან არსებულ წარმართულ სამლოცველოთა თუ ციხეთა დარბევა ფხოვში და მათ ადგილას ქრისტიანული ეკლესიის მშენებლობა მირიან მეფის დროიდან უნდა მოდიოდეს. ხალხის რწმენით, ჭმალას ჯვარი „სვეტიცხოვლის მოძმეა.“ (ანდრეზით ჭმალადან შურისციხემდე ოქ-

როს თუ ვერცხლის შიბი ყოფილა გაბმული. ანალოგიური გადმოცემაა სვეტიცხოვლისა და ჯვრის მონასტერზე.)

მართალია, ფხოვში წმინდა ხეები მოჭკვეთეს და მათ ადგილას ჯვარი აღმართეს, ხალხში ხეთა თაყვანისცემა მაინც ვერ აღმოფხვრეს. გუდანის ჯვრის უპირველეს საბრძანებელს სოფელ აჭელთან „მუხათკარი" ჰქვია. ბლოელნი ასე მოიხსენიებენ თავის ჯვარს: „...გიორგი ბერმუხას დაარსულ"–ო. ამას გარდა, ხევსურეთის ყველა სოფლის ჯვრის ტერიტორიაზე დღესაც დაცულია მრავალსაუკუნოვანი ხეები (იფანი, მუხა, წიფელი, ალვის ხე), რომლებიც წმინდა და შეუვალია.

ხეთა კულტზე მოწმობს ანდრეზები ფხოვში, ამა თუ იმ მოსახლის კერაში ამოსული იფნის ხეზე, რაც ნიშანია იმისა, რომ ადგილი ჯვარმა დაიჭირა.

ფხოველთა ამბოხის შემდეგ. ფხოვში და დიდოეთში თამარ მეფის გალაშქრების შემდეგ დაიწყო ფხოვიდან გადამთიელთა გადადევნა. პარალელურად შიგ ფხოვში წარმოებდა გვარების შიდა გადაჯგუფებანი. ამასთანავე, ამბოხების დროს ამოწყვეტილი გვარების მამულებში ხელისუფლების მიერ საიმედო და მორჩილი გვარების ჩასახლება, როგორც ბარიდან, ასევე ძურძუკეთიდან, რომელთაც მონაწილეობა არ მიულიათ ამბოხებაში და თამარის ლაშქარს ღაუდგნენ მხარში. ცხადია, ისინი სამოსახლო ადგილებს მოითხოვდნენ საქართველოს ტერიტორიაზე. ამ დროს უნდა დამკვიდრებულიყვნენ ფშავ–ხევსურეთის ცენტრალურ და საუკეთესო ადგილებში, სოფ. ღულსა და სოფ. შუაფხოში, ქისტაურთა ძლიერი გვარები, „მოსულნი ქისტეთის სოფელ ღულ–ცხორეგოდან".

თამარ მეფისა და ლაშა გიორგის შემდეგ ფხოველებზე სამეფო კარის გავლენა სუსტდება. ფხოვში იწყება შინაომები ადგილობრივ, მკვიდრ მოსახლეობასა და ჩამოსახლებულთა შორის, რომელთაც მითვისებული აქვთ ხევსურთა მამულები. ხევსურეთის არაგვის ქვემო წელში გაჩნდნენ სოციალურად დაწინაურებული პიროვნებანი, რომელთაც შეეიწროვება დაუწყეს მეზობლებს.

გაძლიერდნენ ჭმალას, მთავარანგელოზის, პირიმზეს... ჯვრების ყმანი, რომელნიც დაუპირისპირდნენ გუდანის ჯვრის ყმებს და ნელ–ნელა შემოიმტკიცეს მითვისებული მამულები, თუმცა ჯერ კიდევ ადგილის ბეგარას აძლევენ გუდანის ჯვარს.

საარაგვოდან შევიწროვებული გუდანის ჯვრის ყმანი, რომელთა ადგილები დაიკავეს ფხოვური წარმოშობის ბარიდან მოსულმა გვარებმა, გორშელმის ვიწრო ხეობაში შეიხიზნენ. მათ მოგვიანებით „ძმად შეყრის" გზით უერთდებიან სხვა მცირე თუ დიდი გვარებიც. კიდევ უფრო განმტკიცდა ლეგენდა სამაგანძუროს გვარების შესახებ. შეკავშირებული გვარები გუდანის

ჯვრის დროშით ცდილობენ გავლენის შენარჩუნებას ყოფილ მამულებზე. XVI ს-ში სამაგანძუროს ხევსურნი ბარისახოში მდგარ „ქისტური წარმოშობის“ სისვაურებსა და სხვებს უკვე ემუქრებიან: „...გაწირე ჩვენი ადგილი, თორე დაგაღვრევთ სისხლსაო.“

თამარ მეფე ხევსურთა გადმოცემებში. ანდრეზები თამარ მეფის შესახებ ხევსურეთში თითქმის არ არის. შემორჩენილია ძველი ლექსი, რომლის თანახმადაც მეფეს ხახმატში „სიონი“ აუგია, შიგ „ბერ-მღვდელნი“ დაუყენებია და განძიც შეუწირავს. ამასთანავე, მეფეს შატილსა და ანატორს საიმედო ხალხი ჩაუყენებია და ეს კარი საგულდაგულოდ გაუმაგრებია.

ჰყვებიან თამარ მეფის ღელისვაკეს, სანესა და აკუშოს გორზე ასვლის ამბებსაც. მას ხევსურეთში ციხე-კოშკებიც უშენებია, მიუთითებენ კიდეც ციხეთა ნანგრევებზე. ციხე-კოშკები, მართალია, თამარის დროს უშენებიათ ფხოველთ, მაგრამ ისინი თამარის საწინააღმდეგოდ გამოიყენეს და მეფის სარდალმა კი ამბოხის ჩახშობისას დაანგრია და მიწასთან გაასწორა. ფხოვის დალაშქვრიდან ერთ წელიწადში მიიცვალა თამარ მეფე და ციხე-კოშკთა აღმშენებლობას ველარ მოასწრებდა.

ფხოვის ტერიტორიაზე მდგარ ზოგიერთ ციხე-კოშკზე ნათქვამია: „...თამარ მეფემ აშაშენა, სისხლის წვიმის წინა წელსა.“ „სისხლის წვიმის“ წლად კი 1212 წელი უნდა მივიჩნიოთ.

გადმოცემით გუდანის მთაზე აღმართული სანეს ციხე „თამარის აგებულია“. (ასევე, ქვემოთ, ნაჯარელასაც მდგარა „თამარის ციხე“). მაგრამ ისიც ვიცით, რომ სანეს ციხე კიკოზაურების ძლიერ გვარებს აუგიათ „გუდანის ჯვარის სამუქაროდ“. სავარაუდოა, რომ კიკოზაურებს, ბადრიაულებს, ქიჩბარაულებს, ბაციონებს... ციხეები „თამარ მეფის სამუქაროდ“ უშენებიათ. ჩანს, რომ ამბოხებულთა რაღაც ნაწილი თამარის მხარეს დადგა, რამაც შემდგომ შესაძლებელი გახადა მათი გამარჯვება კიკოზაურებსა და სხვა აღზევებულ „ურწმუნო“ გვარებზე.

თავად ხევსურებსა და ფშავლებს სხვადასხვაგვარი შეხედულება ჰქონიათ თამარ მეფეზე. „აღსანიშნავია, რომ ხევსურებმა არაფერი იცოდნენ დედოფალ თამარზე, მაშინ, როცა მთელი კავკასიის ქრისტიან ხალხებში მასზე უთვალავი თქმულებებია.“ (ა. რადე)

თ. ოჩიაური წერს: „მთელი საქართველოს სათაყვანები დიდი თამარის შესახებ რომ ხევსურეთში შემონახულა გადმოცემები, სადაც თამარი დიდი პატივით არ იხსენიება, ერთ შეხედვით გიკვირს და გწყინს, მაგრამ როდესაც მატიანე ჰყვება ამბავს, თუ რა ულმობლად მოაოხრა თამარის მიერ წარგზავნილმა ათაბაგმა ურჩნი ფხოველნი, გასაგებია, რად ვერ ასახა ხევსურთა ზეპირსიტყვიერებამ დიდი თამარი ღირსი დიდებით: ერთი მხრივ იგი

ღვაწლმოსილი მეფე იყო საქართველოსი, მეორე მხრივ კი პატარა კუთხის ამბოხების ცეცხლით ჩამხშობი. ბუნებრივია, რომ ხალხურმა სიტყვაობამ შემოინახა ამ მტრობის გამოძახილი."

ვაჟა-ფშაველა აღნიშნავდა: „ხოლო ესაა საკვირველი, რომ თამარი ფშავლებსა და ხევსურებს ერთნაირად არ მიაჩნიათ..."

ხევსურთა და ფშაველთა გადმოცემებში მეფე თამარზე სხვადასხვა შეხედულება მიანიშნებს იმას, რომ ძველი ფხოვის დროს ხევსური და ფშაველი (ხევსურეთი და ფშავი) განსხვავდებოდა ერთმანეთისგან და დამოუკიდებელ თემებს თუ ხევებს წარმოადგენდა. ფშავი, რომელიც ხევსურეთთან შედარებით ადვილი მისაწვდომი იყო ბარისთვის, უფრო ქრისტიანი და ერთგულ-მორჩილი იქნებოდა ხელისუფლებისთვის და ამიტომ ფხოველთა ამბოხის ჩახშობაც ნაკლებ ნგრევასა და მსხვერპლს გამოიწვევდა მათში. ალბათ ამის გამო ჩაისახა ფშავში თამარის, ლაშა-გიორგის, ივანე მხარგრძელის კულტი. დროთა განმავლობაში უძველესი სალოცავები გაიგივდა მათ სახელთან, რომელთაც ფშაველი ხევისბერი დღესაც მოიხსენიებს. სავარაუდოა ისიც, რომ ფხოველთა აშბოხის ჩახშობის შემდეგ დღევანდელი ფშავის ტერიტორიაზე საქართველოს ბარიდან მოსახლეობის ახალი ნაკადი შევიდა, რომელთაც დაამკვიდრეს თამარისა ლა ლაშას კულტი.

შინაომები ფხოვში. მონღოლ დამპყრობთა პოლიტიკის გავლენით საქართველოს თანდათან განუდგნენ ძურძუკნი და დიდოელნი, რომელნიც პირიქითა ხევსურეთის მამულების მითვისებას ცდილობდნენ.

საქართველოს ძლიერების დაცემით სუსტდება ფხოვიც. ფხოვის დაშლის პროცესში ნელ-ნელა ეცემა ხახმატის ჯვრის ძლიერება, რომლის რიცხვმრავალი ყმები ჯერ კიდევ წმ. ნინოს დროიდან დაიფანტნენ. ხახმატის ჯვარს ერთძევა ფხოველთა სალაშქრო დროშა და რჩება როგორც ნაყოფიერების, მიწათმოქმედების ცენტრალური სალოცავი „რჯულიან-ურჯულოთა", რომელსაც მაინც ლოცულობენ თუშ-ფშავ-ხევსურნი, გუდამაყრელნი, დიდოელნი, ძურძუკნი. „ლაშქარ-ნადირობა" — სალაშქრო დროშის გაძღოლა, ადათობრივი რჯულის დადება-გამოტანა გუდანისა და ლაშარის ჯვრებს ხვდა წილად.

ხევსურები ცდილობენ სხვათა მიერ მითვისებული ადგილ-მამულების დაბრუნებას. ზოგ შემთხვევაში „მოსულები" ძმად შეეყრებიან გუდანის ჯვრის ყმებს და უსჯად იმკვიდრებენ ადგილებს.

ხევსურეთის სხვადასხვა ადგილის მკვიდრნი მტრობენ და ავიწროვებენ ერთმანეთს. ზოგჯერ ერთიანდებიან კიდეც და მეზობელ ტომებზე თავდასხმებს აწყობენ. ამ ხანებში ხდება „დიდი დიდოეთის გაბეგვრა" და „მაისტის გა-

ტეხა“, პირიქითა ხევსურეთის შემომტკიცება და იქაურ მოსახლეობაზე ჯვრის მიერ გავლენის მოპოვება, ზოგან მაგანმურთა გვარების ჩასახლებაც.

„დიდი დიდოეთის გაბეგვრის“ დროს ფხოვი ჯერ კიდევ ერთიანია და ლაშქრობა ხახმატის ჯვრის დროშით წარმოებს. „მაისტის გატეხა“ მოგვიანებით ხდება. ხევსურები გუდანის ჯვრის დროშით იბრძვიან, ფშავლები — ლაშარის ჯვრის დროშით. ამ ლაშქრობების დროს უკვე იგრძნობა ფხოველთა უთანხმოებანი. ლაშქრობაში მონაწილეობას არ ღებულობენ ცროლის სანების და უკანაფშავის წყაროსთაულის ჯვრის ყმანი.

შინაომები და ურთიერთთავდასხმები განსაკუთრებით გამწვავდა XIII ს-ის მეორე ნახევარსა და XIV ს-ში, რაც აღმოსავლეთ საქართველოს მთელ მთიან მხარეს მოედო, „დევ-კერპნ ზეპირ გამავიდეს“. თემები, ხეევები, გვარები ერთმანეთს გადაეკიდა და ქვეყანა ქაოსმა მოიცვა, რამაც თვით სამეფო კარიც აღაშფოთა და შეაშინა. ასეთ ვითარებაში მთაში ჩაყენებული მეფის მოხელენიც განუდგებოდნენ ხოლმე მეფეს და მთიელებზე გაბატონებას ცდილობდნენ, რაც საერთო არეულობით და ამბოხით მთავრდებოდა.

გადმოცემებითა და დაკვირვებებით იქმნება შთაბეჭდილება, რომ ხევსურეთის თემებს ერთგვარი რკალი ჰქონდათ გაკეთებული გუდანის ჯვრის ყმათა ირგვლივ, რომელთაც იცავდნენ და ზოგჯერ ავიწროვებდნენ კიდეც. ამას გარდა, გუდანის ჯვარს მთელი ხევსურეთის ტერიტორიაზე და ცენტრალურ გზებზე ჰქონდა „ჯვარით დაჭერილი“ თუ ბრძოლით მოპოვებული გზადგილები, ე.წ. „სამაგანმურო მამულები“, სადაც ისინი შეუხებელნი იყვნენ.

ხვარაზმელები და მონღოლები. 1225–1231 წლებში საქართველოში გამოჩნდნენ ხვარაზმელები. მათმა სულთანმა დაიპყრო საქართველო და მოაოხრა მიწა-წყალი. რუსუდან დედოფალმა შეკრიბა ქართველთა ლაშქარი, მოიშველია ოსები, ძურძუკები და „ყოველი მთიელნი“, მაგრამ ქართველები დამარცხდნენ. ხვარაზმელთაგან დევნილი მოსახლეობა „ივლტოდეს... ტყეთა და სიმაგრეთა კავკასიანთასა და მთიულეთსა.“

ხვარაზმელებს მონღოლნი მოჰყვნენ და დიდხანს ბატონობდნენ საქართველოში.

1254 წელს მონღოლებმა თავიანთ სამფლობელოებში აღწერები ჩაატარეს. აღწერების მიზანი იყო გადასახადების მოწესრიგება და ომში გამსვლელი ქართველთა ლაშქრის რაოდენობის დაზუსტება. დამპყრობლებმა ყველა და ყველაფერი დაბეგრეს. აღწერა ფხოვშიც ჩატარებულა და ბარიდან მთაში შეხიზნული მოსახლეობის უკან დაბრუნებაც დაუწყიათ.

თორღუა პანკელი და ფხოველთა ამბოხი. მართალია მეფემ ფხოველნი დაიმორჩილა, მძევლებიც აიყვანა, მაგრამ დაახლოებით ორმოცი წლის შემდეგ ფხოველნი ხელისუფლებას კვლავ განუდგნენ და ამბოხდნენ.

მეფე დავით ულუს მონღოლეთში ყოფნის დროს ქვეყანას დედოფალი ჯიგდა ხათუნი და სამეფო კარის გამგებელი, მესტუმრე ჯიქური მართავენ. ჯიქურმა სამეფოში წესრიგი დაამყარა, მაგრამ კახეთის ერისთავი თორღუა პანკელი ძაგანისძე, რომელმაც „ჰგონა არღა-რა მოსვლა მეფისა ყაენიდგან", განდგა და კახეთი „თავისად დაიჭირა". თორღუა პანკელს ფხოველნიც გვერდში ამოუდგნენ და დედოფალს დაუშორჩილებლობა გამოუცხადეს.

დედოფალმა ვერაფერი ავნო პანკისის ციხეში გამაგრებულ თორღუას და ფხოველებზე იყარა ჯავრი: მესტუმრე ჯიქურის საშუალებით დალაშქრა და დაბეგრა ფხოვი: „ფხოველნი მოხარკე და მეჯორედ ყვნა კაცნი იგი მჭეცისა ბუნებისანი".

ფხოველია განდგომისა და ამბოხის მიზეზი ჯერ თამარ მეფის დროინღელი, შემდეგ კი მონღოლთაგან დადებული ბეგარის სიმძიმე და, ამსთანავე, კახელი დიდებულების დამოუკიდებლობისკენ ლტოლვა იყო. მართალია, ჯიქურმა კვლავ აკისრებინა სახელმწიფო გადასახადის გამოღება და ქრისტეს რჯულის აღიარება, მაგრამ შემდგომი მოვლენების გამო ფხოველებმა კვლავ აღიდგინეს გვაროვნული თავისუფლება და მიაღწიეს დამოუკიდებლობას.

მეფე დავით ულუ მონღოლთა ყაენიდან რომ დაბრუნდა, თორღუა პანკელმა ფხოვის მთებს შეაფარა თავი. ციხე-ქალაქი მუცო, სადაც თორღუა დადგა, საქართველოს ჩრდილოეთ საზღვარზე კარგად გაპაგრებული ერთ-ერთი სტრატეგიული ცენტრი იყო, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიის ტომებს აკონტროლებდა. ერთხანს აქ „დიდოეთიდან მოსული" მაღალი ჩამომავლობის ჩოლოყაშვილებიც იდგნენ, რომლებიც მუცოს პოლიტიკური როლის დაქვეითების შემდეგ კახეთის მეფემ მატანში დაასახლა.

მუცოს შეხიზნულ თორღუა პანკელს ცუცქიაურების ქალთან ვაჟიშვილი, ერთადერთი მემკვიდრე შეეძინა. მეფე სხვადასხვა დაპირებებით ცდილობს თორღუას ჩამოყვანას ფხოვის მთებიდან და ახერხებს კიდეც. მეფისაკენ გზად მიმავალი თორღუა გრძნობს აღსასრულის მოახლოვებას და მეფის შუამავალს ეუბნება: „თუ იმედი არა გაქვს, რომ შენის შუაკაცობით სიკვდილს გადამარჩენ, მაშინ უკეთესია თავი დამანებო" და სინანულით დასძენს: „...რამეთუ მარტო ვარ და სიკუდილითა ჩემითა უმკვიდრო იქნების მამული ჩემი."

მოტყუებით ჩამოყვანილი თორღუა დედოფლის ბრძანებით სიკვდილით დასაჯეს — კლდიდან გადააგდეს.

მემატიანე არას ამბობს თორღუა პანკელის ფხოვში მოღვაწეობაზე, მასზე მხოლოდ ხალხური მთქმელები მოგვითხრობენ. გადმოცემებში თორღუა პანკელის საქმენი დაკავშირებულია მისი უკანონო მემკვიდრის თორღვა ძაგანის (ძაგანისძის) ცხოვრებასთან, რომელიც აღზევდა თუშ-ფშავ-ხევსურეთში და ბოლოს ფშავლებმა ღალატით მოკლეს.

მუხრან-არაგვის, კახეთ-პანკისის ერისთავთ-ერისთავების ჩამომავლის, კოხტასთავის შეთქმულების მონაწილე, მეამბოხე თორღუა პანკელის ხევსურეთში დაბადებული შვილი, რომელსაც „დიდებულობის ნიშანი“ დაბადებიდანვე დაჰყვა, აღზევდა თუშ-ფშავ-ხევსურეთსა და დიდოეთ-ძურ-ძუკეთში. მას ნებაყოფლობით მორჩილებენ მთიელნი და „კახეთსაც გადაეჩვია“. იგი ცდილობს მამის მემკვიდრეობის დაბრუნებას: „თორღვა იკვლევდა ადგილსა, ბატონის ნაბიჭვარია“, ან „...თავადთ მიმართეს ვალია“.

თორღვა ამაგრებს თავის მცირე საერისთაოს. ხევსურეთსა და თუშეთში აშენებს შეუვალ ციხესიმაგრეებს, რომლებიც დღესაც გვაოცებენ თავისი გრანდიოზულობით.

ᲛᲝᲜᲦᲝᲚᲗᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲤᲮᲝᲕᲔᲚᲜᲘ. საქართველოში მონღოლთა ბატონობის ჟამს ქართველ მთიელებს ჩრდილოეთ კავკასიელ ტომებისა და თოხთამაშის რაზმების თარეშის ალაგმვაში მონღოლებიც ეხმარებიან. მაგრამ ამ შემთხვევაში მონღოლებს მთიელთა ბედი კი არ აწუხებთ, არამედ ბეგარის მათი წილი რომ სწორედ მოთარეშე ტომებს მიჰქონდათ.

ქართველი მემატიანე არ უარყოფს მონღოლ ჯარისკაცთა და მათი ბელადების ვაჟკაცობას. ქართველები მონღოლებს საქართველოში გამოჩენამდე ქრისტიანებადაც კი მიიჩნევდნენ და შემდგომაც მათ „ცუდ ქრისტიანებს“ უწოდებდნენ. ამ მხრივ წარმართ მთიელებს შამან მონღოლებთან, რომლებიც თავად ცახცახებდნენ ყოველგვარი კერპისა და ღვთაების წინაშე და ქართველთა სარწმუნოებას არც შეხებიან, საერთო უნდა გამოენახათ. (მონღოლები თაყვანს სცემდნენ მიწას, წყალს, ხეს, რკინას, ცეცხლს).

საქართველოში მონღოლების მრავალწლიანმა ბატონობამ ფხოვშიც დატოვა თავისი კვალი. მონღოლური წარმოშობისაა სახელები: თარხანა, ბაადური, ბაღათერა, ბათირა, ხათუთა, ბათურა, ამღა, არღუნი, სიმური...

მონღოლებმა საქართველო დუმანებად დაჰყვეს. ფხოვი, რომელიც ჰერეთ-კახეთისა და კაშეჩოვანის დუმანში შევიდა, ეგარსლან ბაკურციხელის (ცოტნე დადიანთან, თორღუა პანკელთან და სხვა დიდებულებთან ერთად კოხტასთავის შეთქმულების მონაწილე) გამგებლობაში მოექცა. იგი იმდენად აღზევდა, რომ მეფესაც კი აღარად აგდებდა და თავის თავგასულობას შეეწირა.

ᲒᲣᲓᲐᲜᲘᲡ ᲯᲕᲐᲠᲘ – „ᲑᲔᲠᲘ ᲑᲐᲐᲓᲣᲠᲘ“. ხალხური გადმოცემით, გუდანის ჯვარი – „ბერი ბაადური“ ფხოველთა თავდაპირველი სალოცავია. „პირველად დასახა მორიგემა ბერი ბუქნაი ბაადური...“ „...შვიდმეტ ათას წელ წავიდა ჩემ დასახვიდვე...“ (მას მოჰყვებიან თერგვაული, კოპალა, იახსარი...) სახელწოდება „ბაადურ“ რომელიღაც უძველესი ღვთაებიდან მოდის. იგი ინდურ და მონღოლურ ენებზე უმაღლეს სამხედრო ტიტულს, წოდებას აღნიშნავდა. ხევსურთა „ბერი ბაადურიც“ ხომ მოლაშქრე ღვთაებაა. (ხევსუ-

რეთში დღესაც გვხვდება საკუთარი სახელები: ბათურა, ბათირა, ბაღათერა, რომლებსაც კავშირი უნდა ჰქონდეს კავკასიელთა ძველ სახელთან — ბაყათარ.)

მონღოლთა ბატონობის შედეგ. მონღოლების ბატონობამ გამოიწვია ქართველ და კავკასიელ ტომთა შორის მტრობა, ურთიერთთავდასხმა, ყაჩაღობა, მოძმეთა დაქცევა-განადგურება, რაც გამარჯვებული მხარისთვის საქებარი და საამაყო შეიქნა. ყველაზე საკვალალო მდგომარეობა მთიანეთში — ქსნისა და არაგვის საერისთაოებში იყო. თუ მანამდე ქართული სამართალი ერთმანეთისგან განასხვავებდა განზრახ და შემთხვევით მკვლელობას, XIV ს-ის პირველი ნახევრიდან სამართალი მკვლელს ორივე შემთხვევაში ერთნაირად მიუზღავს — სისხლით. მონღოლებმა შემოიღეს დამნაშავის ადგილზე მოკვლა, გამოუძიებლად და განუსჯელად.

რაც ყველაზე სამწუხაროა, მონღოლთა ბატონობამ გამოიწვია ის, რომ კავკასიელი ტომები ჯერ ერთმანეთისგან გათიშეს, მერე კი საქართველოს დაუპირისპირეს. კავკასიელი მთიელები გამუსულმანდნენ და ფხოვშიც გააქტიურდა ბრძოლა ეკლესიის წინააღმდეგ. თათარ-მონღოლთა ხელში აღმოჩნდა კავკასიონზე გამავალი გზა-ბილიკებიც და სიმაგრეებიც.

გვიანი დროის ხევსურმა მთქმელებმა საქართველოს სამხრეთით გადახდილი ადრინდელი ბრძოლები ჩრდილოეთის გამუსულმანებულ ტომებთან ბრძოლებს დაუკავშირეს. კლარჯეთ-არტანის ლაშქრობა („ქაჯაველთის დალაშქვრა") დაკავშირებული იყო ძურძუკეთსა და დიდოეთში ლაშქრობებთან („მაისტის გატეხა", „დიდი დიდოეთის გაბეგვრა").

ხევსური შეკითხვაზე — „საურუმო სად არის?" ასე უპასუხებს: — „ა იქისკე ეძახიან, ოვსეთისკე." (ურუმნი საქართველოს სამხრეთით მცხოვრები თურქული ტომები იყვნენ.)

მონღოლების შემდეგ ფეოდალური დაქუცმაცებულობისა, ცენტრალური ხელისუფლების გავლენის შესუსტებისა და ეკონომიკური მიზეზების გამო დაიწყო ფხოეის დაშლა, ფხოვური ტომების, გვარების შიდა გადაჯგუფებანი და მიგრაცია, რის გამოც შეიცვალა მათი საზოგადოებრივი და ოჯახური ურთიერთობა, ამან კი თავის მხრივ გამოიწვია ხალხის თვალსაზრისისა და სულიერი სამყაროს ცვლილება, რაც დღევანდელ ხევსურთა და მათი უშუალო მეზობლების ადათობრივ ტრადიციათა, კილოს, ტალავარის, აღჭურვილობის სხვადასხვაობაში ჩანს.

არეულობანი მთიანეთში. „ძეგლის დადება". მონღოლთა ბატონობის შემდეგ გაუარესდა თავისუფალ გლეხთა მდგომარეობა. მთიანეთის კუთხეების მმართველებმა დაიწყეს ბრძოლა მთიელთა დასამორჩილებლად. მთიელებმაც მახვილი შემართეს ხელისუფლების მოხელეთა წინააღმდეგ,

ხოცავდნენ მათ, არბევდნენ მათ ციხე-კოშკებს, უწვავდნენ სახლ-კარს და აძევებდნენ მთიდან.

იმ დროის აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ყოფაზე ნათელ სურათს გვაძლევს „ძეგლის დადება“ მთიულთათვის. „ძეგლის დადებიდან“ ჩანს, რომ თამარის შემდგომ მთიანეთი ამბოხისა და ბრძოლების კერად იქცა. მეფე გიორგი V ბრწყინვალემ, აღრეული ყოფა-ცხოვრების მოწესრიგების მიზნით, მთიულეთში განსაკუთრებული რეფორმები გაატარა და მათთვის სპეციალური სამართალი შეადგინა. ანალოგიური სამართალი უნდა გავრცელებულიყო ფხოვშიც. თუ შევადარებთ ხევსურთა დღევანდელ ადათობრივ სამართალს, „ძეგლის დადებასთან“ ბევრ საერთოს აღმოვაჩენთ. ეს მიანიშნებს იმას, რომ თავად „ძეგლის დადებასა“ და ხევსურთა რჯულს უძველესი ქართული სამართალი ედო საფუძვლად. ხევსურეთში დღემდეა შემორჩენილი უმძიმესი სასჯელი „ძენგლი“ („ძენგლის დადება“), რომელსაც ჯვარი ადებდა დამნაშავეს.

* * *

მეფე გიორგი V ბრწყინვალეს მეფობის წინ, მონღოლთა ბატონობის შედეგად საქართველო იშლება, მკვიდრდება მონღოლური წესები, ასპარეზზე გამოდიან გაძლიერებული ერისთავები და დიდმოხელენი.

„გამწვავდა მთისა და ბარის ურთიერთობა, ამიერ და იმიერ კავკასიის მთის მოსახლეობა, რომელიც ადრე საქართველოს ძლიერი მეფის ხელისუფლების მორჩილების ქვეშ იყო მოქცეული, მონღოლთა წაქეზებით ურჩობა დაიწყო. მთიელებმა ამოხოცეს ან გამოაძევეს მეფის მოხელეები და ეკლესიის მსახურნი. ბოლოს შეტევაზეც გადმოვიდნენ და დაიწყეს მონღოლთა მიერ გაპარტახებული საქართველოს ბარის ტერიტორიაზე ჩამოსახლება.“ (გ. მელიქიშვილი)

საჭირო გახდა საქართველოს მთიანეთში სტაბილურობის აღდგენა და საქართველოს დამცავი ჩრდილოეთი ზღუდის გამაგრება. გიორგი V ბრწყინვალე ახერხებს საქართველოს მთა-ბარში წესრიგის დამყარებასა და გათავხედებული გადამთიელების გადადევნას.

მთიულთა არეულობაზე საუბრისას მემატიანე ფხოველებს არ მოიხსენიებს. თუშ-ფშავ-ხევსურეთში აღზევებულ თორღვა ძაგანისძეს თავის „მცირე საერისთაოში“ მკაცრი წესრიგი აქვს დამყარებული.

გიორგი V ბრწყინვალე და ხევსურები. საქართველოს მიწა-წყლის გაწმენდას გადამთიელთაგან მეფე გიორგიმ სამი წელი მოანდომა. ხევსურები მთლიანად იკავებენ და ისაკუთრებენ პირიქითა ხევსურეთს. ამასთანავე,

ისინი მონაწილეობას ღებულობენ ქსნელ და არაგველ მთიელებთან ერთად ქართლში დამკვიდრებული ოსების წინააღმდეგ ბრძოლებშიც.

რამდენადაც მთიანეთისადმი მიდგომა თამარის შემდგომ ხანაში კვლავ შეიცვალა (დაკარგა ზურგის ფუნქცია) და მთა საქართველოსთვის კვლავ სასიცოცხლო თავდაცვითი დანიშნულების მატარებელი გახდა, მეფემ ხევსურები, სხვა მთიელებთან ერთად, საბოლოოდ გაათავისუფლა ყოველგვარი ბატონობისა და ფეოდალური ულლისგან. „ისტორიიდან ვიცით, რომ გიორგი ბრწყინვალემ მე-14 საუკუნის საქართველოში მთის ხალხი განთავისუფლებულ ჰყო, როგორც ბატონების ყმობისაგან, ასევე მათ მოხარკეობისა და მონობისაგან. ასე განთავისუფლდნენ თუშნი, ფშავნი, ხევსურნი, მოხეენი, მთიულნი, ზოგნი ოსნი და კახეთისაკენ ქიზიყნი.“ (ზ. ჭიჭინაძე)

ამასთან, მეფემ კახეთის სოფელი მატანი და მისი მიმდებარე ტერიტორიები ხევსურებს უბოძა, სადაც ხდებოდა ჭარბი მოსახლეობის ნაწილის ჩასახლება.

* * *

XIV ს-მდე, რომელიღაც პერიოდში, ფხოველნი ფეოდალიზმის გავლენის ქვეშ იყვნენ, თუმცა აქ მოსახლეობის სოციალური დიფერენცირება არ ყოფილა და სახელმწიფო კანონებიც ნაკლებ ვრცელდებოდა. განსაკუთრებით ძლიერი იყო ძველი დამოუკიდებელი სასოფლო ტერიტორიული თემის იურიდიული სტატუსი, რომლითაც ისინი სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად მართავდნენ ყოფა-ცხოვრებით ნორმებსა და ავ-კარგს. მათ სახელმწიფოსთვის მხოლოდ საკალდებულო ხარკი და ლაშქარი უნდა ეძლიათ. მართალია, თამარ მეფემ და დავით ულუმ მთა მძიმედ დახარკეს, ფხოემა მაინც შეინარჩუნა თემის იურიდიული სტატუსი და არ მიიღო კერძო საბატონო-მემამულური ფეოდალიზმი, კერძო მებატონე-ფეოდალთა ბატონყმური დამოკიდებულება. „შესაძლოა, სამეფო ხელისუფლებამაც უკან დაიხია და ფხოვთან ძველი დამოკიდებულება-ურთიერთობა არჩია.“ (დ. გოგოლაძე)

„ბატონყმურ ურთიერთობაში შეუსვლელი მთიელები ურყევად ინარჩუნებდნენ თავისუფლებისა და მისი უმთავრესი გარანტის — თავისუფალი თემის სიყვარულს, ვაჟკაცურ სულს. ამას ეძატებოდა ბავშვობიდანვე შეძენილი სიყვარული იარაღისადმი (რაც სხვა პირობათა შორის აღნიშნული თემის წევრთა თანასწორუფლებიანობით იყო განპირობებული) და წარმართული სარწმუნოების დიდი გავლენა.“ (ჯ. სტეფნაძე)

ხევსურეთი თორღვა ქაბანისძის დროს. XIII-XVI ს-ში ქართული კულტურის გავლენა ჯერ კიდევ ძლიერია ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთში

და ძურძუკეთში იგი ფხოვის გზით შედის. ამ ხანებში ხდება ზოგიერთი თავადის აღზევება, რომლებიც სამეფო ხელისუფლებასთან დაპირისპირებით ცალკეულ თემებს იმორჩილებენ, რაც მანამდე საქართველოში არ ყოფილა. ეს გამოწვეული იყო, ერთი მხრივ, მეფის ხელისუფლების დასუსტებით, მეორე მხრივ კი მონღოლთა პოლიტიკის გავლენით.

ამ პერიოდს ემთხვევა ჯერ კახეთ-პანკისის ერისთავის თორღუა პანკელის, შემდეგ მისი უკანონო მემკვიდრის, მუცოს დაბადებული თორღვა ძაგანისძის თუშ-ფშავ-ხევსურეთში აღზევება-გაბატონება. თორღვას გავლენა ვრცელდება არა მარტო ფხოვზე, არამედ ქისტებსა და დიდოელებზეც.

ხევსურნი, რომელნიც თავს მხოლოდ ჯვრისა და მეფის ყმად მიიჩნევენ, მაგრამ თვით მეფეთაც ხშირად არ ემორჩილებიან, სიამოვნებით იგონებენ თორღვა ძაგანისძესა და იმის დროს: „გამიგონიან ჭევსურნი, თორღვას რო ჰყვანდეს ყმანია...“ — ამაყად ამბობს ხევსური მელექსე. თორღვას დროს ხევსურეთი ძლიერია. მთიელთა დახმარებით თორღვა ცდილობს წინაპართა მემკვიდრეობის დაბრუნებას ქართლ-კახეთშიც. მაგრამ მეფე გიორგი V ბრწყინვალეს მიერ მთიანეთში გატარებული რეფორმებით საფუძველი შეიქმნა თორღვა ძაგანისძის დაცემისა. მეფემ აღზევებული და განდგომილი ერისთავები „ჰერ-კახთა და სომხითის ერისთავნი... კახეთს ცივზედ მიიწვია და ამოსწყვიტა.“

თორღვა მეფესთან არ გამოცხადებულა, მიუხედავად მიწვეისა: „თორღვავ გიბარებს ბატონი, კახეთს ჩამოდი ბარადა...“ მაგრამ მას მოსყიდული ძმობილი, ფშაველი ჩოთა ღალატით კლავს.

გათავდა ერისთავთ-ერისთავთა, ძაგანისძეთა გვარი და დასრულდა მათი ბატონობა, რომელნიც ხალხურმა მთქმელებმა ბაგრატიონთა გვარში გაურიეს და მოგვიანებით ზურაბ არგვის ერისთავის პიროვნების წარმოსახვისას კვლავ გაიხსენეს.

„ᲣᲐᲛᲘᲗ“ ᲮᲔᲕᲡᲣᲠᲔᲗᲨᲘ. XIV ს-ის პირველ ნახევარში საქართველოში შავი ჭირი გაჩნდა, რომელიც ისტორიაში „დიდი სიკვდილიანობით“ არის ცნობილი. იგი საქართველოში ოქროს ურდოდან შემოვიდა, საქართველოდან კი ეგვიპტე-ევროპამდე გააღწია. ეს პერიოდი ხევსურეთში „უამთ მოსვლის“ („უამიანობის“) სახელწოდებით მოიხსენიება. იგი რამდენიმე წელს მძვინვარებდა.

ანდრეზები „უამებს“ გადმოგვცემენ, როგორც მოარულ რეალურ ხალხთა და ადგილობრივი მოსახლეობის მათთან კონტაქტს. „უამნი ზაფხულში მავიდიან, ზამთარში კი მაიკარგნიან“. (როგორ გავს მემატიანის სიტყვებს, მომთაბარე დამპყრობლებზე რომ წერს: „გაზაფხულზე მოვიდიან თურქნი და... ზამთარს წავიდიან.“

შავი ჭირის ეს ეპიდემია ევროპაში „შავი სიკვდილის“ სახელწოდებით არის ცნობილი და ამ ავადმყოფობისგან დასაცავად ერთადერთ წამალს იყე-

ნებდნენ: cito, Longe, tarde („რაც შეიძლება სწრაფი გაქცევა სახიფათო ადგილიდან, რაც შეიძლება შორს გადახვეწა, რაც შეიძლება გვიან დაბრუნება“). მკურნალობის ევროპული ფორმა ხევსურთათვისაც ცნობილი ყოფილა. ხევსურეთში ჟამნი რომ მოსულან, ვინმე ანთასა თუ ველთას ტანსაცმელი გაუხდია და შიშველი გაქცეულა. ჟამნი თურმე უყურებდნენ და იცინოდნენ: „ანოა გავარდა ველათაო, ტიტველი მიიქნევს ყვ...თაო“.

ზოგიერთ თემში ჟამნი „ჯვარმა არ ჩაუშვა თავის ყმებთან“ და დაავადებამ იოლ ფორმებში ჩაიარა. დაავადება სამი კატეგორიის ყოფილა, ანუ „სამი ფერის ისარს ესროდნენ ჟამნი: შავს, წითელს და თეთრს“. დაავადებულის მორჩენა ნასროლი ისრის ფერზე ყოფილა დამოკიდებული. (სამედიცინო კარაბადინიც ჟამიანობის დროს ავადმყოფის ტანზე გაჩენილი სამი ფერის მუწუკს აღნიშნავს. მონღოლ მეომრებს სამი სახის ისარი ჰქონდათ შეიარაღებაში).

გადმოცემით არხოტის თემში „სტვირნ რო აძრახდებოდეს“, მაშინ მოვიდოდნენ ჟამნი. ბოლოს არხოტივნებს სტვირი მიწაში ღრმად დაუმარხავთ და ჟამნიც აღარ მოსულან.

სამ წელს ყოფილან „ჟამნი“ ხევსურეთში. მესამე წელს თოვლი რომ გამშრალა და ურნატა მოფრენილა, „ჟამთაე ერცხვას უთხრესავ, ეეხლა ვ'ადა გაგვივიდავ“ და გადაკარგულან.

ხევსური აქიმ-მკურნალნი. ხევსურთა წარმოდგენით ავადმყოფობას იწვევდნენ ღვთაებანი, დობილნი და ა.შ. და მკურნალობაც ძირითადად მაგიასთან და სარწმუნოებასთან იყო დაკავშირებული. მაგრამ ტრადიციული ჭრა-ჭრილობა და ფიზიკური ტრავმები ხევსურებს აიძულებდათ ჰყოლოდათ გამოცდილი აქიმ-მკურნალნი, რომელნიც ფლობდნენ მკურნალობის საიდუმლოებებს ღა იყენებდნენ მცენარეებს, ქვებს, თაფლს, სანთელს, კარაქს, ცხოველთა და ფრინველთა ცალკეულ ორგანოებს, სისხლს, შარდს („გარბოლის წყალს“)... ყოველ დასტაქარს ჰქონდა მკურნალობის საკუთარი, გასაიდუმლოებული მეთოდი და საშუალება. უმთავრესი სამკურნალო საშუალება, რაც ყველამ იცოდა, იყო მწარე არაყზე დაყენებული წამალი. ამას გარდა იცოდნენ სისხლის გამოშვებაც. ოითქმის ყველა ხევსური ატარებდა ქამარზე დაკიდებულ სპეციალურ დანას — „ნესტარს“.

ხევსურ დასტაქრებს უმაღლეს დონეზე ჰქონდათ დაყენებული ჭრილობების მკურნალობა და თავის ქალას ტრეპანაცია, რომელსაც თვითნაკეთი პრიმიტიული იარაღებით აკეთებდნენ. თავის ქალას ტრეპანაცია, რომელიც ცნობილი იყო ჯერ კიდევ უძველეს დროს და იცნობდნენ აზიის, აფრიკის, სამხრეთ ამერიკის უძველესი ხალხები, ჩვეულებრივი მოვლენა იყო ხევსურ დასტაქართა პრაქტიკაში და გვიანობამდე მხოლოდ ხევსურთა ყოფამ შემოინახა. თუმცა მკურნალობის ეს ფორმაც ღვთაებებზე იყო დამოკიდებული და

თვით აქიმებსაც „ჯვარი პატრონობდა“. მკურნალობის დაწყების წინ და ბოლოს აქიმს საგანგებო რიტუალი უნდა შეესრულებინა, რამეთუ ავადმყოფთან შეხებისას თავადაც უწმინდურდებოდა და აუცილებლად უნდა განათლულ-განწმენდილიყო.

XIX-XX ს.ს-ში ცხოვრობდნენ სახელიანი აქიმნი და მკურნალნი მგელიკა ლიქოკელი, ალეკა ოჩიაური, გუგუა ჯინჭარაული, მშაველათ გიგია, ლადო ძეძეურთელი, ვანო გკელეთელი, მგელათ ბაბუა, ბეწინა არაბული, ბაძია შატილიონი... აქიმნი დადგენილი წესების მისედვით იღებდნენ საფასურს. იყო შემთხვევებიც, როცა აქიმები განგებ აჭიანურებდნენ მკურნალობას, რათა მეტი ფასი აეღოთ.

აქიმთაგან განსაკუთრებით გაითქვა სახელი მგელიკა ლიქოკელმა (ბაძიურათ მგელიკამ). „იგი მუშაობდა, როგორც კარგად ნაწვრთნი ხელოსანი... მისთვის ნაცნობი იყო ყოველი ნაკეცი ტვინისა. საითგან? ქვეყნის მოწყვეტილ კუთხეში... იდგა ჩემს წინ ვითარ ლანდი პრეისტორიულ ხანიდან. ძას ჰქონდა ცოდნა, რომელიც საუკუნეებს ვერ წაეშალა“. — წერს მასზე გრ. რობაქიძე.

ხოგაის მინდის ზღაპრული სახელიც, რომელსაც „ჟამიანობის“ დროს უცხოვრია, გრძნეულ მედეას დარად, უთუოდ მკურნალის ცხოვრების რეალურ ფაქტებთან არის დაკავშირებული.

თეიმურ-ლენგი და მთიელები. საქართველოში იწყება თემურ-ლენგის მაოხრებელი ლაშქრობანი. მონღოლნი ფხოვამდეც აღწევდნენ და ანადგურებდნენ ადგილობრივ თუ იქ შეხიზნულ მოსახლეობას. თემურ-ლენგის საქართველოში შვიდგზის ლაშქრობას ხალხურმა მთქმელებმა მოგვიანებით დაუკავშირეს არაგვის ერისთავების ფშავ-ხევსურეთში „შვიდჯერ“ გამოლაშქრება.

მონღოლთა ცხენების ნადგომ ადგილებში სოფლებს გუდელასა და ჭიეს „შვიდ წელს ცხენის ჩოხჩორიკ იჭვნოდავ“, — გაიხსენებს ხალხური მთქმელი, ხოლო ცხენების ფლოქვებით გადათხრილ მიწაზე კარგა ხანს ბალახი არ ამოსულა.

თემურ-ლენგის უმთავრეს მიზანს ჩრდილოეთ კავკასიის გასასვლელი გზების ხელში ჩაგდება წარმოადგენდა. „თემურ ლენგი განსაკუთრებით გაოფთრებით არაგვის ხეობის დაუფლებისათვის იბრძოდა, კერძოდ მესამე (1394 წ.) და მეხუთე (1400 წ.) ლაშქრობანი ძირითადად ამ ხეობის მიმართულებით წარიმართა. მისი მიზანი იყო, დარიალამდე მიეღწია და ქართველთა და ოქროს ურდოელთა დამაკავშირებელი ამ კარის ხელთ გდება, აგრეთვე შეხიზნული ქართველი მოსახლეობის გაჟლეტა.“ (ნ. ასათიანი)

მთიელებმა თოხთამიშის დახმარებით დარიალთან დაამარცხეს თემურის ჯარი, მაგრამ მომდევნო ლაშქრობისას თემურ-ლენგმა შეძლო ქართველ მთიელთა მოკავშირის თოხთამიშის დამარცხება და მთიელებზეც სასტიკად იძია შური.

მთიელნი კლდე-ღრეში იყვნენ შეხიზნულნი და გამაგრებული ჰქონდათ არაგვის ხეობა. შეუვალი ადგილებიდან ისრებითა და საგორავებით მუსრს ავლებდნენ მონღოლ მოიერიშეებს. მაშინ თემურმა დააწვნევინა დიდი კალათები, სათავიდან წამოუარა და მაღლიდან ჩაუშვა კალათებში ჩასმული მეომრები. მთიელებმა ესეც მოიგერიეს და გამოქვაბულებს შეაფარეს თავი. მაშინ თემურმა ბრძანა, ისრის წვერებისთვის ნავთში ამოვლებული ძონძები დაეხვიათ და ცეცხლმოკიდებული გამოქვაბულში შეეტყორცნათ.

ამგვარად, მტრის მიერ მთიელთა ნაწილი კვამლში გამოიხრჩო, ნაწილი ისრებით ამოიხოცა.

თემურმა მოწინააღმდეგენი რომ გაანადგურა, შეესია სოფელ-სიმაგრეებს და დააქცია „...შეუხდა არაგუს, შემუსრნა სიმაგრენი და მოაოხრნა.“

მეფე გიორგი VIII რეფორმები და ხევსურები. თემურ-ლენგის ლაშქრობების შემდეგ საქართველო ცალკეულ საფეოდალოებად იშლება. ყოველი თავადი ცდილობდა ამა თუ იმ თემის, თუ ხევის მიტაცებას და იქ გაბატონებას. „აქ არღა რა იცვლებოდა ერისთავნი და არც თავადნი, ყოველნივე ხევსა და სანახებსა და თემოა და ადგილთა მკვიდრ ქმნილიყვნენ.“

მეფე გიორგი VIII მოახერხა კახეთის ფეოდალების დამარცხება და იქ სამეფოს ჩამოყალიბება. ასე რომ, ერთიანი საქართველოს ყოფილ მეფეს კახეთიღა შემორჩა სამეფოდ.

თუშ-ფშავ-ხევსურეთი, რომლის მიტაცება და ხელში ჩაგდება ბევრ დიდსა თუ მცირე თავადს ჰქონდა გულში და ცდილობდა მის დამორჩილებას, კვლავ სამეფო ხელისუფლების გავლენის ქვეშ დარჩა. ძაგანისძეთა შემდეგ მას ხან „ხევსურული წარმოშობის“ ჭავჭავაძენი, ხან ჩოლოყაშვილნი განაგებდნენ. შესაძლოა, როდესაც დევნილი დიდებული თორღუა პანკელი დამკვიდრდა ფხოვში, მან თავისი ამალაც გაიყოლა კახეთიდან, რომელთა შორის იყვნენ ჭავჭავაძე და ჩოლოყაშვილი. ისინი ძაგანისძის სიკვდილის შემდეგ ხევსურეთში დარჩნენ, „გახევსურდნენ“. მხოლოდ მოგვიანებით დაბრუნდნენ უკან მათი შთამომავლები, რომელთაც კვლავ აღუდგინეს ძველი დიდება.

ერთხანს ხევსურნი განუდგებიან მეფე გიორგი VIII, მაგრამ მცირე ხნით. როგორც სავარაუდოა, მეფის უკმაყოფილო რომელიღაც თავადმა მოახერხა მთიელთა მეფისადმი დაპირისპირება.

გიორგი VIII კახეთის ფეოდალების დამორჩილების შემდეგ გააუქმა საერისთაოები და კახეთი სამოურავოებად დაჰყო. სამხედრო თვალსაზრისით კახეთი ოთხ სადროშოდ დაიყო. მეფემ სადროშოს წინამძღოლად ერისთავის ნაცვლად ეპისკოპოსი დააყენა, რადგან ეპისკოპოსნი უფრო მორჩილნი იყვნენ, ვიდრე გაძლიერების გზაზე შემდგარი ერისთავები, თანაც ეპისკოპოსობა მემკვიდრეობით არ გადადიოდა.

ხევსურეთი თიანეთის სამოურავოში შევიდა. მეფის მიერ გატარებული რეფორმები ხევსურეთსაც შეეხო და გავლენა იქონია მათ ყოფაზე. ხევისბრელმა, რომლებიც მანამდე საერო პირები იყვნენ, ხელში ჩაიგდეს ჯვრის დროშა და ხუცეს-დეკანოზებად იქცნენ.

ხევისბერს რელიგიური სამსახური სამეფო ხელისუფლებისა და ეკლესიის მხარდაჭერით უნდა მოეპოვებინა, რათა მთა მორჩილებაში ჰყოლოდათ. ამას კი ხევსურეთში თავდაპირველად უკმაყოფილება და ამბოხი მოჰყვა.

საეკლესიო იერარქიით ფხოვი ხარჭაშნელის სამწყსოში შედიოდა.

1479 წელს კონსტანტინე მეფე ებრძვის ალექსანდრე ბაგრატიონს და ცდილობს საქართველოს გაერთიანებას. დასავლეთ საქართველოს ამ ლაშქრობაში მეფეს სხვა მთიელებთან ერთად ხევსურებიც გამოჰყავს.

ფხოველთა ამბოხი და განდგომა. XV ს-ის მეორე ნახევარში, კახეთის მეფე გიორგი I დავითის ძის დროს, თუშ-ფშავ-ხევსურნი გამდგარან და ამბოხებულან. „... არ მორჩილებდნენ თუშნი და ფშავ-ხევსურნი"-ო, — ამბობს მემატიანე. ფხოველთა ამბოხი და განდგომა თითქმის ასი წელი გრძელდებოდა. საქართველოში ფეოდალური მონარქიის დაცემისა და დაშლის ხანაში ფხოველთა განდგომის მიზეზი ზოგჯერ მათი მმართველი თავადები და მოურავები იყვნენ. მეფენი ცდილობდნენ მთიელთა დაშოშმინებას მეამბოხე მოხელის დასჯით, შეცვლითა და სხვა სახის გარიგებით, მაგრამ მცირე ხნით.

1522 წელს, როდესაც ქართლის მეფე დავითი და კახეთის ბატონი ლევანი შაჰ-ისმაილს ებრძვიან, ლაშქარში თუშ-ფშავ-ხევსურნიც გამოდიან.

ფხოველნი ლაშქრავენ მუხრანბატონებს. XVI ს-ის პირველ ნახევარში ამბოხებული ხევსურნი უკვე შეტევაზე გადადიან და ქართლს ლაშქრავენ.

1500-იანი წლების პირველ ნახევარში ქართლის მეფეებსა და კახეთის მეფეთა შორის მტრობაა ჩამოვარდნილი. 1513 წელს დავით X ძმამ ბაგრატ მუხრანბატონმა დაატყვევა კახეთის მეფე გიორგი, რომელიც სისტემატიური ძარცვის მიზნით თავს ესხმოდა ქართლის სოფლებს. მეფეთა ამ ურთიერთობას საბაბად იყენებდნენ ფხოველნი და მცხეთა-მუხრანის შემოგარენს ლაშქრავდნენ: „სისვაურ-გიგაურები და ორნი ძმანი ბურდულნი, მცხეთას ჩაუსტეს ბატონსა, დააწყებინეს ძუნძული."

ქართლის მეფემ მიახერსა კახეთის დამორჩილება და ქართლ-კახეთი მცირე ხნით გააერთიანა. კახეთის ფეოდალებმა კახეთი კვლავ ჩამოაშორეს ქართლს. „ამ ხანებში ქართველებს კიდევ ერთი საზრუნავი გაუჩნდათ, პირიქითა მთიელნი აშლილიყვნენ და ქართლის ველებს არბევდნენ." (დ. გვრიტიშვილი).

„ფხოვის მთებიდან“ მთიელები ჩამოიჭრნენ სოფლების საძარცვავად. ბაგრატ მუხრანბატონის ვაჟი აშოთან შეება ფხოველებს, მაგრამ თვითონვე დაეცა ბრძოლაში. მთიელები ნაძარცვით დატვირთულნი უვნებლად გაბრუნდნენ მთებში.“ (ლ. სანიკიძე).

ხევსურთა ამ ლაშქრობებში, რომელიც ბარისახოელი სანაგ სანაგისძე სისვაურის, გველეთელი გიგა გიგაურისა და აკუშელი შიო სამხარაულის წინამძღოლობით ეწყობა, ძირითადად ამ დროისთვის ხევსურეთში აღზევებული გვარები, ჭმალას ჯვრის ყმანი – ბარისახოელი სისვაურები, ლაშქარაულები, გველეთელ-დათვისელი გიგაურები და აკუშელი სამხარაულები, სერაულები... მონაწილეობდნენ, რომელთაც უერთდებიან გუდანის ჯვრის ყმანი და სხვა ხევსურული გვარები, მათ შორის ხახმატელი ფილაურები და ქმოსტელი ბურდვიაულები (ბურდულები).

ამ ხანებში ხევსურეთი ძლიერების მწვერვალზეა. უკვე ჩავლილია ფშავ-ხევსურთა მიერ „მაისტის ლაშქრობანი“ და პირიქითა ხევსურეთის (ფხოვის) ადგილების შემომტკიცება.

გაძლიერების გზაზე მდგარი გუდანის ჯვრის ყმებს, ჩრდილოელი ტომების დალაშქვრა-გაბეგვრაში ეხმარებიან ჭმალას ჯვრის ყმანი, რის გამოც გველეთელ-დათვისელ გიგაურებს ბელლის კარს საკარგყმო სკამს უდგამენ. ასეთივე სკამს იმსახურებენ გუდანის ჯვარში არდოტელნი. „სამაგანძუროს ქისტეთ რო ულაშქრავ, გიგაისა და სანაგისად უთხოვავ ჯარი. ქისტეთით რო ნავალ მაულავ, ბელლისკარ მაუტანავ. გიგაურისად მაშინ სკამ მიუცავ...“

მაშინდელ ხევსურთა ლაშქრობებს უკავშირდება ადგილთა სახელები: „სალაშქრო ჭალა“, „სანაგის საჯარე“, „სანაგის წყალნი“. და, რაც მთავარია, ხევსურებს გვერდით უდგანან ფშაველნი და თუშნი: „თუშთა, მშაველთა, ჰევსურთა ლაშარს პირობა შაკრიან... ერთმანეთს ნუ ვუღალატებთ ჭდეებ დროშაზედ ჰყარიან...“ ფხოვის დაშლის პროცესში არის მცდელობა ფშავ-ხევსურთა გაერთიანებისა.

გადამწყვეტი ბრძოლა ქართლში მუხრანბატონებთან 1561 წელს მომხდარა. ამ ბრძოლაში ხევსურნი უკუქცეულან, თუმცა მათ მოუკლავთ ქართლელთა ჯარის სარდალი აშოთან მუხრანბატონის ძე. „იმავ ქორონიკონსავე მოუჭდნენ ფხოველნი მუხრანს, ხოლო აშოთან ძემან მუხრანბატონისამან ბრძოლა უყო და მოსწყვიდნა იგინი და აოტნა, გარნა მოიკლა იგიცა მათ მიერ.“ („ქართლის ცხოვრება“).

ბრძოლაში დაიჭრა და მალე გარდაიცვალა სანაგ სანაგის ძე, რომელიც ასე დაუტირებიათ: „წაიქცნეს რიგნი აჭორჩიგაო, სანაგის სანაგმ დაიძინაო, დროშათ ქვე ვინლა აგვიბომსაო, ჭმალას წითლისა ატლასისთაო, მუხრანს ქვე ვინლა გაღბეგრავსო, მინდორთა სისხლით შაღებილთაო...“

კახეთის მეფე იმორჩილებს ხევსურებს. კახეთის მეფე ლევან II-მ (1520-1574 წწ.) ფხოველთა დამორჩილების მშვიდობიანი გეგმა შეიმუშავა. მან მთიელთა განდგომისა და ამბოხის ბრძოლით მოგვარებას ეკონომიკური გარიგება არჩია: „ამას წინათა კახთა მეფეთა არღა-რა მორჩილებდნენ ფშავ-ხევსურნი და თუშნი და ამან ლევან დაიპყრა არა ძალითა, არამედ აღუთქვა, რათა ცხოვარნი მათნი უვნოდ მძოვარ-იყონ კახეთს და მისცა შეწირულობა ლაშას ჯუარსა თიანეთსა შინა და მიერითგან მისცემენ ლაშქარსა და ბეგარსა.“

ლევან II მთიელთადმი მიდგომა იყო მეფის მიერ სამომავლოდ ჭკვიანურად გაანგარიშებული გარიგება, რამაც მთიელნი სამუდამოდ დაუკავშირა ბარს და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მეტ-ნაკლები შესაძლებლობაც გაუჩნდა. მომავალში მთიელნი სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ წასვლისა თუ ამბოხის შემთხვევაში, მხოლოდ თავის საარსებო გზებს თუ გადაიკეტავდნენ.

მეფეს საზამთრო საძოვრები ფშავლებისა და თუშებისთვის მიუცია, რადგან მეცხვარეობას ისინი მისდევდნენ, ხევსურებს კი ცხვარი არ ჰყავდათ. რა შელავათები მიეცა ხევსურებს, მემატიანე არ ამბობს. ამ გარიგების საფუძველზე მეამბოხე ბუნების ხევსურნი მარტონი დარჩნენ. თუშნი და ფშაველნი ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში მათ გვერდით აღარ დაუდგებოდნენ და მეფის დავალებით ხევსურთა წინააღმდეგაც შეტრიალდებოდნენ.

ხევსურნი ამგვარი გარიგებით უკმაყოფილონი დარჩნენ და თუშ-ფშავ-ხევსურთა კავშირი რამდენადმე შეირყა. მართალია, ისინი საქართველოს მტრის წინააღმდეგ ერთიანი ძალით გამოდიან, მაგრამ საკუთარი დროშებით და მათ შორის ჯიბრი და ფარული მტრობა იჩენს თავს: „...დაირიდნიან ჴევსურნი, არ გვინდა თქვენი ჯარიო, უკანავ წაიყვანოდეთ თქვენი გუდანის ჯვარიო...“ — ეუბნებიან თუშნი და ფშაველნი ხევსურებს ერთ-ერთი ლაშქრობის წინ. ეს ურთიერთქიშპი და ჯიბრი კარგად მჟღავნდება ბახტრიონის ბრძოლის ამსახველ გადმოცემებში.

მოგვიანებით არაგვის ერისთავების წინააღმდეგ ბრძოლებშიც არ ჩანს თუშ-ფშავ-ხევსურთა ერთიანობა. ფშაველნი და ხევსურნი ცალ-ცალკე ებრძვიან მთა'ში შემოჭრილ ფეოდალებს. თუშები კი საერთოდ არ ერევიან ბრძოლაში, უფრო შუამავლობენ და ერისთავის კაცებად გამოდიან.

თუშებისთვის მეფე ლევან II მიერ ალვანში ბოძებულმა მამულებმა XVIII ს-ის შუა ხანებში თუშებსა და მათ მოწილე მეზობლებს შორის შუღლი და მტრობა გამოიწვია. მეფე ერეკლემ საქმის გარჩევა თუშ-ფშავ-ხევსურთა მოურავს დაავალა. მაშინ ალვანში მამულები ხევსურებსაც დაუმტკიცდა, მაგრამ ამ მამულებით ხევსურებმა ბევრი ვერაფერი ისარგებლეს და ისევ სხვე-

ბის ხელში ჩავარდა, რაზედაც მელექსე საყვედურობს კიდეც ხევსურებს: „...ვერ ეპატრონეს ჩევსურნი თავის ალვანის წილსაო.“

მეფე ლევან II მიერ მთიელებთან გარიგებამ და ამის შემდგომ მეურნეობის, ცხოვრების პირობების შედარებით გაუმჯობესებამ, მესაქონლეობისა და მეცხვარეობის ინტერესებმა განსაზღვრა ფშაველთა და თუშთა საბოლოო მორჩილება კახეთის ცენტრალური ხელისუფლებისთვის, რასაც იმ დროის ხევსურებზე ვერ ვიტყვით. ა. ზისერმანი, აღნიშნავდა რა მთიელთა ღირსებასა და ვაჟკაცობას, წერდა: „მაგრამ ამ საქმეში (საომარ საქმეში) ისინი ჩამორჩებიან ხევსურებს, რადგან დაკავებულნი არიან მეურნეობით და ვაჟკაცური სული მათში თანდათან სუსტდება.“ გაივლის კიდევ ასი წელი და იარაღაყრილ ხევსურსაც ახალი დროება მეურნეობისთვის მოაკიდებინებს ხელს.

ᲘᲐᲠᲘᲗᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲘᲔᲑᲘ ᲮᲔᲕᲡᲣᲠᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲕᲚᲘᲗ ᲒᲐᲓᲘᲐᲜ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡᲐᲙᲔᲜ. XVI ს-დან, როცა ირან-ოსმალოთა წაქეზებით იწყება ჩრდილო-კავკასიელ მთიელთა განდგომა და თავდასხმები ქართველებზე, კახეთის მეფეთათვის, რომელნიც რუსეთთან ამყარებენ დიპლომატიურ ურთიერთობას, თუშ-ფშავ-ხევსურთა შემომტკიცებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ესენი „ნაპირის ადგილზე“, ჩრდილოეთ საზღვარზე იდგნენ და იცავდნენ მას. ცდილობდა რა ხელისუფლება რუსეთში გასვლას, ეს მხარე, ძურძუკეთთან ერთად, მეფეთა მნიშვნელოვან ყურადღებას იმსახურებდა რადგან ერთ-ერთი საიდუმლო სამიმოსვლო გზა სწორედ თუშ-ფშავ-ხევსურეთზე გადიოდა.

გ. პოლიევქტოვის მიხედვით, XVII ს-ში რუსეთის ელჩობათა მარშრუტები ძირითადად თუშ-ფშავ-ხევსურეთზე გადიოდა, კახეთიდან მასარის უღელტეხილით ივრის ხეობაში გადადიოდა, იქიდან უკანაფშავში, უკანაფშავიდან არხოტის უღელტეხილზე გადადიოდა და ლარსის ბოლოში უერთდებოდა ცენტრალურ გზას. თუშ-ფშავ-ხევსურთა წარმომადგენლები მეგზურობდნენ და უზრუნველყოფდნენ მეფის ელჩების უსაფრთხოებას.

თუშ-ფშავ-ხევსურეთზე გზის დადებამ კახეთის მთიელნი კიდევ უფრო წარმოაჩინა და მათი ვინაობით, ყოფა-წარსულით თავად რუსთა ხელმწიფეც დაინტერესებულა. ამ კუთხეებს სპეციალურად იკვლევს და სწავლობს რუსეთის საგარეო საქმეთა საგანგიო.

თუშ-ფშავ-ხევსურებსა და ჩრდილო კავკასიელ მთიელებზე კახეთის მეფეების გავლენას ისტორიული მასალებიც ადასტურებს. „ლეკს ზევით სხვა მთის კაცები იქ მოვიდიან, ვიმც მყმობდიან... ქისტი, ღლიღვი და ძურძუკი, ერთპირად ძღვენს შემამძღნობდენ...“ მათი მთავრები თუ ხევისბერნი თუშ-ფშავ-ხევსურეთის გზის გავლით თიანეთს ეახლებოდნენ მეფეს და შეუხებელნი იყვნენ. „დიდონი, თუშნი, ხევსურნი, ფშაველნი ვერ მეკობრეობდნენ“, – ამბობს არჩილი მეფე.

შაპ-აბასი აბზავნის ჯარს ფშავ-ხევსურთა მოსაოხრებლად. კახეთის სამეფოს საგარე პოლიტიკით განაწყენებულმა სპარსეთის შაჰმა, რათა საქართველოს დიპლომატიურ მისიებს რუსეთის გზა დახშობოდა, ქართველ მთიელებს ჯერ ქისტები და ლეკები მიუსია, მერე კი თავადაც გააგზავნა ჯარი ფშავ-ხევსურთა დასასჯელად. „მაშინ შაჰ-აბას წარმოავლინნა ტფილისიდან სპანი დიდნი ხერკსა და ერწო-თიანეთსა ზედა... მოსრნა, მოსტყვევნა და მოაოხრნა... არამედ ლეკთაცა უყვეს ეგრეთ, ვითარიცა აღუთქვეს შაჰ-აბასს."

ვაჟა-ფშაველა წერს: „ვიწრო არაგვის გასასვლელში, ეგრეთ წოდებულ ნაწვეთარში, შეუკრეს გზა თათრის ბრბოს და მთლად მოსრეს." იგივე გადმოცემა მოჰყავს ს. მაკალათიასაც: „ხალხური გადმოცემებით, როდესაც შაჰ-აბასმა ქართლ-კახეთი მოაოხრა, მას განუზრახავს ფშაკის დაპყრობა და ლაშარის განძის ხელში ჩაგდება. შაჰს ერთი თავის ქვეშევრდომ ხანისათვის ჩაუბარებია დიდი ჯარი და ლაშარის დასარბევად გაუგზავნია. ფშავ-ხევსურეთს ეს გაუგია და სპარსელების ლაშქარს დახვეღრიან არაგვის ვიწრო გასასვლელში ეგრეთ წოდებულ ნაწვეთარში შეუკრავს გზა და იქვე ამოუხოციათ."

შაჰ-აბასის მიერ ქართლ-კახეთის აოხრებისა და ქართველობის გადაგვარება-გადაშენებისას თუშ-ფშავ-ხევსურეთი ქართველთა საიმედო ბურჯად იქცა: „რომელნიმე მორჩეს თუშეთს, ფშავსა და ხევსურეთს", — წერდა მემატიანე. — „აღარა სადა იხსენებოდა სახელი ქრისტესი, თვინიერ მცირეთა ოდენ მთით კერძო თუშთა, ფშავთა და ხევსურთა შორის."

ერისთაობა ხევსურეთში. სპარსელთა ბატონობის შემდეგ ქართლ-კახეთში თანდათან აღზევდნენ სათავადოები, რომლებიც დამოუკიდებელ, ძლიერ საერისთაო-საფეოდალოებად იქცნენ. ხევსურთათვის განსაკუთრებით საშიში შეიქნა მათ მეზობლად წარმოქმნილი არაგვის საერისთაო, რომელსაც ცენტრი დუშეთ-ანანურში ჰქონდა.

არაგვის საერისთაომ „ძლიერების მწვერვალს... მიაღწია XVII ს., როდესაც მას სათავეში ედგნენ... ნუგზარ, ზურაბ და ზაალ... მათ დროს მნიშვნელოვნად გაფართოვდა საერისთაოს საზღვრები და მათ ფარგლებში მოექცა ერწო-თიანეთი, მთელი არაგვის მარცხენა სანაპირო, ფშავ-ხევსურეთი..." (ზ. ხიდურელი).

არაგვის საერისთაოს შესახებ ცნობები შუასაუკუნეებიდანვე გვხვდება. დაახლოებით VIII ს-დან მას ძაგნაკორელნი განაგებდნენ.

ფშავ-ხევსურეთზე ბატონობის პრეტენზიები ჰქონდათ ძველ დროს ქსნის ერისთავებსაც. „მთა სახასო იყო, მაგრამ მეფის ხელისუფლების შესუსტების დროს გაძლიერებული ერისთავები არაფერს ერიდებოდნენ მთიელთა დასაპყრობად." (ა. ქალდანია).

კახეთის მეფეებმა ამ ხანებში უბოძეს ერწო-თიანეთი არაგვის ერისთავებს. სწორედ ეს გახდა მიზეზი თიანეთის სამოურავოში შემავალი თუშ-ფშავ-ხევსურეთის დასამორჩილებლად ბრძოლისა. ფშავ-ხევსურნი წინ აღუდგნენ ერისთავთა ბატონობას.

ფშავ-ხევსურეთში იწყება „სისხლის წვიმები" და „ღევების შემობრუნება". (ზ. კიკნაძე). ნუგზარ ერისთავი სისხლითა და მახვილით იმორჩილებს მთიულ-გუდამაყრელთა და მოხევეთ. ჯერი ფშავ-ხევსურეთზე დგება.

არაგვის ერისთავებმა ჯერ ფშავ-ხევსურები გამოიყვანეს მთიულ-გუდამაყრელთა წინააღმდეგ და საფასურად თავის საერისთაოში ბარის ადგილები უბოძეს. შემდეგ კი უკვე დამორჩილებული მთიულ-მოხევენი აბრძოლეს ფშავ-ხევსურთა წინააღმდეგ და მეზობელი კუთხეები მოსისხლე მტრებად აქციეს.

არაგვის ერისთავების მხარდაჭერითა და წაქეზებით თარეშობდნენ აგრეთვე ფშავ-ხევსურეთში ლეკთა და ქისტთა ბელადები: ჩაგვირილა, უსუფი, გაგაის ძოძი, სულთი, ბათაჯი...

არაგვის ერისთავების ხანგრძლივი ბრძოლა ფშავ-ხევსურთა დასამორჩილებლად, სახალხო მთქმელებმა დროთა განმავლობაში მხოლოდ ერთს, ყველაზე ძლიერსა და გამორჩეულს, ზურაბ ნუგზარის ძეს მიაწერეს (ფშავ-ხევსურეთის დასამორჩილებლად იბრძოდა 1618-1629 წლებში. მთმელებმა ზურაბ ერისთავის პიროვნებაში აურიეს არა მხოლოდ ძმანი მისნი, არამედ თორღვა ძაგანისძის პიროვნებაც). თუმცა არაგვის ყველა ერისთავი, მეფე ერეკლეს დრომდე, ერთი მეორეზე მრისხანე იყო და იბრძოდა საერისთაოს ტერიტორიების გასაფართოვებლად. ასევე საშიშნი იყვნენ ქართლ-კახეთის მეფეთათვისაც და ისინიც ცდილობდნენ თავიდან მოეშორებინათ საშიში მეტოქენი. ამის გამო იყო, რომ არაგვის ერისთავთა ისტორიაში მხოლოდ სისხლი ილვრებოდა. მეფეთა წაქეზებით ერთმანეთს ხოცავდნენ. ჯილდოდ ერისთაობას მიიღებდნენ და კვლავ მეფეს აღუდგებოდნენ, თან ხევსურეთის ჯავრი სჭირდა ყველას, — წერს ო. ჩხეიძე, როცა ერისთავთა საბედისწერო ისტორიას ეხება და დასძენს: „ხევსურეთი, ჰო ყველას ყელზე ადგაო, ყველა ეპოტინებოდა, ყველა პირში ჩალაგამოვლებული რჩებოდა ხოლმე, ჰო ხევსურეთი ყველას ყელზე ადგაო, ყველა იქით მიიწევდაო..."

ყმად მამაცი, ბრძოლაში ერთგული ხევსურნი და მთის ღალა სჭირდებოდათ არაგვის ერისთავებს. თავად სიდამონისძეთა უკანონო ჩამომავალმა (ბაგრატიონთა მხრიდან?) ზურაბ ნუგზარის ძემ შვიდჯერ დალაშქრა ხევსურეთი. ოთხჯერ თავად წინამძღოლობდა ჯარს და ოთხივეჯერ სხვადასხვა გზით დაეცა ხევსურებს. მიაღწია კიდეც გამარჯვებას, ზავსა და ბეგარაზეც შეთანხმდნენ, მაგრამ სწორედ იმ ჟამს თეიმურაზ მეფემ ღალატით მოაკვ-

ლევინა ზურაბი, ტახტის მოცილე და ამავე დროს სიძე თავისი. მოერია ბაგ-რატიონის ხელი და დავლათი დაუმარცხებელ ერისთავს.

ხევსურთა ემიგრაცია. XVI-XVII სს. წარმოებს ფშავ-ხევსურთა მასობრივი ჩასახლება ქართლ-კახეთის ბარში. არაგვის ერისთავები ადგილიდან ჰყრიან მთიელებს და საქართველოს დაცარიელებულ ბარში, თავის საერისთაო მამულებში ასახლებენ.

ხევსურეთიდან აყრილი მოსახლეობის ნაწილი მკვიდრდება ერწო-თიანეთში, მთიულეთში (ჭართალში), გუდამაყარში, ხევში, დუშეთ-ჟინვალის მახლობელ სოფელ-ადგილებში, თვალივ-ზენამხარში, ქსნის ხეობასა და ნოსტე-ახალციხეში. მიედინებიან უფრო საარაგვოს თემის გვარები, ჭმალას ჯვრის ყმანი, რომლებზედაც ერისთავმა გავლენა მოიპოვა.

ჭმალას ჯვრის დაცვა. არაგვის ერისთავთა ხევსურეთში ლაშქრობის შემდეგ ეცემა ძლიერება „სვეტიცხოვლის მოძმე" ჭმალას მთავარანგელოზის ჯვრისა. იშლება მისი საყმო (სისვაურები, გიგაურები, ხოგაურები, სამხარაულები, ლაშქარაულები, პავლეურები, მარანაულები...) და ნელ-ნელა ქრება მათი ხსოვნა ხევსურთა ყოფაში. ეს მიანიშნებს იმაზეც, რომ ჭმალას ჯვრის ყმათა მეტი ნაწილი იყო მეფეების მიერ მეამბოხე ხევსურთა შორის ჩასახლებული გვარები, რომლებიც იცავდნენ და ამაგრებდნენ ჭმალას ციხე-ეკლესიას და XVII ს-დან კვლავ უკან ბრუნდებიან.

ხევსურეთში უქმდება კიდევ ერთი სტრატეგიული დანიშნულების რეზიდენცია-სიმაგრე ჭმალა — შურისციხე, რომელიც საქართველოს ძლიერების დროიდან მოყოლებული კეტავდა და აკონტროლებდა არაგვის ხეობას (ანალოგიური ცენტრები იყო მუცოში, ანატორსა და არხოტში — ორბეულთა).

ჭალას ყმათა დასუსტების შედეგად შესაძლებელი ხდება გორშელმის ვიწრო ხეობებში ოდესღაც შეხიზნული სამაგანძუროს ხევსურების განსახლება საარაგვოზე — წინაპართა მიწაზე.

ერისთავის წინააღმდეგ ებრძოლი ხევსურნი. რამდენადაც დიდი ბრძოლები წარმოაჩენენ გმირებს, სწორედ XVII ს-ის სახალხო გმირთა სახელები შემორჩა ყველაზე მეტად ხევსურთა ხსოვნას. ისენი თავგანწირვით ებრძოდნენ ერისთავებს, რომელნიც ხევსურთათვის პიროვნული თავისუფლების წართმევასა და ბატონყმობის უღლის დადებას ცდილობდნენ. თუმცა იგივე ხევსურნი ერისთავის გვერდით ებრძოდნენ ირანის შაჰს. ზურაბ და ზაალ ერისთავების ჯარში, დიდი მოურავის მხარდამხარ ებრძოდნენ ყიზილბაშებს ბლოელი ბერდია გიგაური (მამუკური), ზეისტეჩოელი გოგოთურ არაბული (თემროზაული), ხახმატელი გახუა ჭეთეშაური, გურგენ ჯინჭარაული...

არაგვის ერისთავებმა ფშავ-ხევსურეთში ლაშქრობის წინ ხევსურთა თემები და გვარები ერთმანეთს გადაამტერეს. ზოგი სასელიანი ხევსურისა და

ჯვრის მსახურის მოსყიდვა-გადაბირებაც შეძლეს, ბარში სამოსახლო ადგილებისა და სამომავლო სამსახურის დაპირებით.

საარაგვოს თემის დამარცხება და ჭმალას ჯვრის დაცემა განაპირობა სისვაურ-გიგაურთა ძლიერი გვარების პასიურობამ და ერისთავების სამსახურში მათმა შესვლამ.

ბოლომდე ერისთავების შეურიგებელ მტრებად დარჩნენ ზეისტეჩოელი ჭირჩლა ბაბურაული (არაბული, თემროზაული), გუროელი მამუკა ქალუნდაური (გოგოჭური, ქაცუაური), ჭორმეშიონი მარტია მისურაული (გოგოჭური), ხახმატელი ალუდი ალექსაური და იმედა ფერაული, ქმოსტელი სამნა და სახონა ბურდვიაულები, ჭადუელი ღარაქიშისძე, ღულელი თვალაჯაისძე — არიშაული, ზენუბნელი ქიჩბარაული, როშკიონი ჭრელა ნადირაშვილი, ჯურჭა თურმანაული და ლომნიაურისძე, უკანახოელი მიქა და თანგულა შარვანაულ-ბექაურები, ბუჩუკურთელი ბუჩუკურნი, ლიქოკელი სომეხა და მინდოდა ჩალხურისშვილნი, ვაჩიაური, ჩაბაკაური, ფიცხელაური, ბასხაჯაური ძიმაისძენი, აკუშელი სამხარაულნი... რომელთაგან ზოგი შემორიგებულმა ერისთავმა თრუსოში მიიწვია, ალაშქრა, ანადიმა და სამოცი რჩეული ხევსური სუფრაზე ღალატით ამოხოცა.

არაგვის ერისთავების ხევსურეთში ლაშქრობების დროს ხევსურნი დაქსაქსულნი არიან და მტერს მხოლოდ ცალკეული თემები და გვარები ებრძვიან. მართალია, თითოეული ვაუკაცურად იბრძვის, მაგრამ მარცხდება. ხევსურეთის ის ნაწილი, სადაც ერისთავი ჯერ კიდევ ვერ აღწევს, სრულ უმოქმედობას იჩენს და თითო-ოროლა მოხალისე თუ მოდის თანამოძმეთა დასახმარებლად. ამაზე უნდა ამბობდეს ხევსური მელექსე: „...წლით მოგვდიოდის ლაშქარი ძაღლისა ზურაბისაო, ეპოცილორთ სიუჭკოითა, ნეტამც ადგომა იყვაო.“

ჭმალა-შურისციხის დაცემამ ხევსურები მიახვედრა, რომ მარტოთგან ბრძოლა და ერთეულთა გონს გადასული ვაუკაცობით ერისთავს ვერ დაამარცხებდნენ. საჭირო იყო ზურაბის „ჭმლის ნარჩომ“ ხევსურთა ფუტკრის გუნდივით გაერთიანება და გადამწყვეტი ბრძოლის მიღება-გამართვა.

ხევსურები ჭირჩალა ბაბურაულის, მარტია მისურაულის და სხვა ჭკვიან თავკაცთა მეცადინეობით ერთიანდებიან.

ჭირჩალა ბაბურაულმა დაიზავა „გუდანის ჯვარის მტერი“ გვარები და ღლეობის დროს ბელლისკარს დიდი კოცონის დანთება დააწესა. ეს ერთგვარი პროტესტიც იყო არაგვის ერისთავების წინააღმდეგ მიმართული, რომელნიც ხევსურეთში ქრისტიანობის განმტკიცებას ცდილობდნენ და ანგრევდნენ ადგილობრივ ჯვარ-სალოცავებს.

ჭირჩლა ბაბურაული რეაბილიტაციას უკეთებს ღალატისთვის მოკვეთილ არიშაულების ძლიერ გვარს, რომელთაც ხევსურნი ლაშქარში აღარ

ირევდნენ (ბაბურაული საკარგყმოზე უარს ამბობს თვალავკაისძე-არიშაულის სასარგებლოდ. ღულელნი ძმად შეეყრებიან კიდეც სამაგანძუროს ხევსურებს და „გუდანის ჯვარის მტრების", ოხერხეველი ბადრიაულების დამარცხებაში ეხმარებიან).

ჯირჩლა ბაბურაული აღადგენს კავშირს „სამაგანძუროს მოძმე, ერთის დროშაის ყმა" (გუდანის ჯვრის) ლიქოკის ხეობის მკვიდრ გვარებთანაც (გელდიაური, მარიამული, ჭოხილაური, ფიცხელაური, ყურაული...), რომელნიც კარატის ჯვრის ყმათაგან ძალამორეულნი იძულებულნი იყვნენ ან ადგილიდან აყრილიყვნენ, ან ძმად შეჰყროდნენ მათ.

ზურაბ ერისთავს იერიში მიაქვს გუდანის ჯვარზე, მაგრამ ჭარჭო-ბეგენგორის ბრძოლაში გაერთიანებული ხევსურნი: სამაგანძურო, წყალსიქითელნი, ღულელნი, მთასიქიოელნი, არხოტიონნი — „უყმო ყმანი ნაპირის ადგილისანი", ერთიანი ძალით წინ აღუდგებიან ერისთავს. ბეკი ბეკურაულს (გოგოჭური) ხევსურთა დასახმარებლად მოჰყავს ფშაველთა ლაშქარი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არაგვის ერისთავები ქართლ-კახეთის მთიანეთში ცდილობდნენ შერყეული ქრისტიანობის განმტკიცებასაც, რაზედაც ერისთავის შეწევნითა და ძალით იღვწის რომანოზ წილკნელი. ამიტომ არის, რომ ფშავ-ხევსურებმა დროთა განმავლობაში უძველესი დროის ლაშარის ჯვრის ბერმუხისა და ჭმალას ჯვრის წმინდა ალვის ხის მოჭრის ანდრეზები ზურაბ ერისთავის ხანას მიაწერეს.

ფშავ-ხევსურთ ორწყალში მოუკლავთ ხუცესი, ვინმე სარუმი, სასულიერო პირი, რომელიც ერისთავს ფშავ-ხევსურეთში ლაშქრობისას თან დაჰყვებოდა.

გვხვდება არაგვისა და ქსნის ერისთავების მთიელთა ნახევრად წარმართულ ჯვრებთან „დაძმობილების" მაგალითებიც, როდესაც ერისთავნი ნდობის მოსაპოვებლად ჯვრებს თას-განძსა და ზარებს სწირავენ. ერისთავების შემოწირული ზარი და დოკუმენტები დაცულიც იყო ლაშარის ჯვარში. ეს მას შემდეგ ხდება, როცა ერისთავმა დაარბია ლაშარის ჯვარი და დაიმორჩილა ფშაველნი.

თეიმურაზ მეფე და ხევსურები. 1630-იანი წლების მეორე ნახევარში თეიმურაზ მეფე ხევსურთა დახმარებით ქისტეთს ლაშქრავს და უზრუნველყოფს კახეთ-რუსეთის დიპლომატიური მისიების უსაფრთხოებას. ამ ლაშქრობის შესახებ თეიმურაზ მეფე მოსკოვში რუსთ ხელმწიფეს წერს: თავად მე ჩემი ლაშქრით თქვენი დიდი სიყვარულისა და პატივისცემის გამო გავილაშქრე და გავხსენი გზა თუშეთის მთებიდან ფშავის, ხევსურეთისა და ქისტეთის მთებზე, რომელი გზითაც არც ელჩთა და არც ძველი იბერიის მეფეთ არ უვლიათ. ღვთის ძალითა და შეწევნით ამ მთათა მკვიდრნი მე დამემორჩილნენ, ბევრნი მოინათლნენ. ორი თვე მოვუნდი გზის გაწმენდას და მთიელთა

დამორჩილებას. ასე რომ, ისინი კვლავ ჩემი ყმანი გახდნენ, როგორც მეფე ლევანის დროს იყვნენ.

სწორედ ამ ხანებში მეფე თეიმურაზის მხარდაჭერით სარგებლობენ და ლაშქრავენ ხევსურნი ქისტთა თემებს. თუხაკ ჩუჩაყეური, როსტომაული, ჭირჩლა ბაბურაული, ღარაქიშისძე, მარტია მისურაული, იმელა ფერაული ქისტთა ცალკეულ გვარებს ბეგარასაც ადებდნენ.

1648 წ. თეიმურაზ მეფესა და როსტომ ხანს შორის ატეხილ ბრძოლაში ხევსურნიც მონაწილეობენ. ისინი წინა წლებში ქართლ-კახეთის მეფეთა შორის წარმოებულ შინაომებშიც თეიმურაზის მხარეს იყვნენ. თეიმურაზ მეფე ბრძოლაში დამარცხდა და როსტომ ხანმა იგი კახეთიდან განდევნა. ერთ-ერთ ბრძოლაში მოჰკლეს თეიმურაზის მემკვიდრე, ერთადერთი ვაჟი დათუნა (დავით), რომელმაც „საქრისტიანოს გულისად ამაამღერა ხმალი", და ხევსურებს მოუწოდა: „...ჭევსურებს გამიგებიეთ, უნჯნ მამისჩემის ყმანიო, – დათუნამ ბატონიშვილმა ჩაიცვა სამანქანიო..."

ბაჩტრიონი. ბახტრიონის (კახეთის) აჯანყების წინ საქართველოში საკალალო მდგომარეობაა შექმნილი, რაც მთამდეც აღწევს. განსაკუთრებით გაუჭირდათ თუშებსა და ფშავლებს, რომელთა ცხვარს კახეთის საძოვრებზე სამიმოსვლო გზები ჩაეკეტა. ქართველნი ხსნის ყოველნაირ გზას ეძებენ. ჯერ კიდევ აჯანყებამდე ორი წლით ადრე, 1657 წელს, თუშ-ფშავ-ხევსურთა წარმომადგენლები რუსეთში მეფის ელჩებს მიჰყვებიან და რუსთ ხელმწიფეს წერილს გადასცემენ, რომელშიც ისინი ურჯულოთაგან დაცვას ითხოვენ. წერილში აღნიშნავენ: „... ჩვენ მაგარს ალაგას ვართ და არას კაცს შევეპუებით, ამდენი ხანი არის, საქართველოს ყაენი ებრძვის და ჩვენ არც შემოგვიშვია ყაენის კაცი და სადაც მოგვიხელებია მოგვიკლავს და მისი სარდარი გაგვიქცევია და ლაშქარი გაგვიწყვეტია..."

ეს წერილი-დოკუმენტი დაწერილია რუსეთის მეფის კარზე მყოფი კახთა ბატონის დავით თეიმურაზის ძის ქვრივის ელენესა და მისი შვილის ნიკოლოზის (შემდეგ ერეკლე I ნაზარ ალი ხანის) მეცადინეობით.

თუშ-ფშავ-ხევსურნი არ ცნობენ როსტომ ხანის მეფობას და აღნიშნავენ: „ჩვენ ერთი ღმერთი ვიცით და მეორე ხელმწიფე თეიმურაზ..." ამასთანავე მთიელნი ელენეს დედოფლად, ხოლო ნიკოლოზს ტახტის მემკვიდრე ბატონიშვილად მიიჩნევენ.

ფრანცისკო პოიენი თუშ-ფშავ-ხევსურთა ელჩობის შესახებ წერს: „შემდეგ (1657 წ.) თუშეთის მიწიდან რუსეთში გამოგზავნილ იქნენ ელჩები, ჩამოსულნი ქვეშევრდომობის სათხოვნელად და უკან გაბრუნდნენ წარუმატებლად. შემდეგ წელს კი (1658 წ.) თეიმურაზთან ერთად ჩამოსულები მიღებულ იქნენ ქვეშევრდომობაში და უკან დაბრუნებისას დაასაჩუქრეს."

რუსეთი სამხედრო დახმარებისგან თავს იკავებს, მაშინ თუშ-ფშავ-ხევსურნი ქართლ-კახელებთან ერთად თავად ემზადებიან გადამწყვეტი ბრძოლისთვის.

კახეთის აჯანყებას წინ უძღოდა თუშ-ფშავ-ხევსურთა ცალკეული პარტიზანული ბრძოლები და თავდასხმები კახეთში ჩამდგარ ყიზილბაშებზე. ხევსურებს ნადირა ხოშურაული წინამძღოლობდა, თუშებს — ზეზვა გაფრინდაული, ფშაველებს — გოგოლაური. თუშ-ფშავ-ხევსურთა ბრძოლები ქაოსური იყო, მაგრამ მათმა აქტიურმა წინააღმდეგობამ ბიძგი მისცა კახელებს.

ბიძინა ჩოლოყაშვილმა აამხედრა კახელები, ფარულად დაუკავშირდა თავის სიმამრს, ზაალ არაგვის ერისთავს, რომელსაც მხარში დაუდგნენ შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები და თავისი ჯარებით კახეთში გადასვლას შეეპარდნენ. ზაალ ერისთავს თავად ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღია და ლაშქრის სარდლობა თავის ვაჟს, ზურაბს დაავალა. „ზაალ ერისთავმა შემოიფიცა საყმონი თვისნი და ფშავ-ხევსურ-თუშნი, წარუძღვანა ძე თვისი და მიუჴდეს პირველად ბახტრიონს...“

ფშავ-ხევსურნი ბორბალოზე გადავიდნენ და ნაქერალზე შეუერთდნენ თუშებს. ხევსურებს აქ თუშებთან და ფშაველებთან უთანხმობა მოუვიდათ. უთანხმოების მიზეზი ის იყო, რომ ხევსურებმა უარი თქვეს საერთო წინამძღოლს დამორჩილებოდნენ: „როგორც რო ამბობს ზეზვაი, ჩვენ ეგრე არ გვწადიანო.“ თუშებს ხევსურთა უკან გაბრუნებაც კი მოუთხოვიათ: — ჯარს აგვირევენო. „სიტყვობდის გაფრინდაული: ჴევსურებ ნუ მადიანო, ჩადიან ალაბლობასა, ჯარს ეგენ გვირევდიანო.“

თუშებს ფშაველნიც მიემხრნენ და არც მათ ისურვეს ხევსურების „ჯარში გარევა“: „უარს ეტყოდნენ ფშაველნი, ჩვენ რა გვაქვს თქვენთან ზიარი.“

განაწყენდნენ ხევსურნი: „თუშად რა გვიქნავ ზიანი? თუშნ თუ არ გაგვიყოლებენ, ჩვენც ვიცით სად მიდიანო.“ ნადირა ხოშურაულმა ხევსურები ცალკე გაიყვანა და დაბანაკა. ისინი ნაქერალის გზით დაეცემოდნენ ბახტრიონს. თუშები კი პანკისის გზით.

ცალკე დაბანაკებულმა ხევსურებმა ციხის გალავნის ასაღებად ხის სოლები დაამზადეს. შემდეგ ფიჩხის კონები შეკრეს, კოცონის ირგვლივ შემოაწყვეს, ზედ ნაბდები წაასურეს, ვითომ გვძინავსო და შუალამისას სალაშქროდ გაიპარნენ: „რა ქნილა შუალამეი, ჴევსურებ დაპარულანო.“

ხევსურები ბახტრიონის ციხის გალავანზე გადავიდნენ და დაერივნენ თათრებს. ნადირა ხოშურაულმა ხმლით აჩეხა ხანის კარავი და მოწინააღმდეგის ბელადიც მოჰკლა. ამასობაში მოვიდნენ თუშნი და ფშაველნიც და ამოხოცეს ბახტრიონში მდგარი თათრები. ბახტრიონიდან თუშ-ფშავ-ხევსურნი ალაკერდსაც დაეცნენ და ქართლ-კახელებთან ერთად მთელი კახეთი

გაწმინდეს მტრისგან. „კახეთში თათარნი აღარსად იპოებოდნენო“, — წერს მემატიანე. ხევსურებმა ნადირა ხოშურაულს ნადავლიდან „სამეტო“ საუკეთესო ხმალი არგუნეს.

კახეთის ავკანყებაში მონაწილეობისა და იქ გამოჩენილი მამაცობისთვის მეფემ ხევსურებს ახმეტაში მამულები უბოძა. „მთელი პანკისის ხეობა და მატან-მარალისის ადგილების ნახევარი ფშავ-ხევსურებისათვის არის ნაჩუქარი მეფისაგან, რადგანაც ბახტრიონის აღებით საქართველოს დიდი სამსახური გაუწიეს.“ (ვაჟა-ფშაველა). მაგრამ ხევსურებს იქ „ფაქტიური მფლობელობა ვერ განუხორციელებიათ“. მოგვიანებით კი მიწების თავისი წილი პანკისის ხეობაში მისცეს შამილის წინააღმდეგ ამბოხებულ ქისტებს, რომელნიც იძულებული იყვნენ თავისი სამშობლოდან აყრილიყვნენ.

ერეკლე I და ხევსურები. ხევსურთა ელჩობა რუსეთში კახელებთან ერთად ბახტრიონის შემდეგაც გრძელდება. 1661 წელს რუსეთიდან ჩამოდის თეიმურაზ პირველის შვილიშვილი ნიკოლოზ (ერეკლე) დავითის ძე და თუშ-ფშავ-ხევსურთა დახმარებით ცდილობს კახეთის ტახტზე ასვლას, მაგრამ მარცხდება და კვლავ რუსეთში ბრუნდება.

იოანე ბატონიშვილის ცნობით, ამ დროს თუშ-ფშავ-ხევსურეთის მოურავებად ჭავჭავაძენი არიან. ისინი ერეკლე ბატონს ეხმარებიან ტახტისთვის ბრძოლაში (ერეკლე პირველმა აზნაურებად მიიღო ხევსურული წარმოშობის ჭავჭავაძეები, რომელთაც თეიმურაზ მეორემ მოგვიანებით თავადობა უბოძა).

1664 წელს ერეკლე კვლავ ჩამოდის საქართველოში და მთიელთა დახმარებით ცდილობს ტახტის დაბრუნებას, მაგრამ კვლავ მარცხდება. „აქა ერეკლე მძიმის ლაშქრით ამა ორთა სახელოანთა მეფეთა (შაჰ ნავაზი და არჩილი) თავს დაესხა ჟამსა შუაღამისასა. იახლა თუში, დიდო, ღლიღვი, დურძუკი, ფშაველი და ხევსური, მაგრამ ქართველთაგან იძლივნეს...“ (ფეშანგი). ერეკლეს დასახმარებლად ლაშქარში არ გადიან ხევსურეთის ზოგიერთი თემები, ტახტზე ასვლის შემდეგ მეფე მათ წარმომადგენლებს დასჯის. მათ შორის უნდა ყოფილიყვნენ ორბელნი, რომელნიც საბოლოოდ აიყარნენ ხევსურეთიდან.

სხვადასხვა დროს ერეკლეს კვლავ უგზავნიან კაცებს თუშ-ფშავ-ხევსურნი და ტახტზე ასვლას სთხოვენ, რათა მისი წინამძღოლობით ებრძოლონ სპარსელებს.

თუშეთში არის ასეთი გადმოცემა: სოფელ ჭეშოში ერეკლე I-ის ქალს ციხე აუგია, რომელიც ხევსურთათვის უბოძებია თავისი მამულით. ვინც ამ მამულით ისარგებლებდა ხახმატის ჯვარიონთათვის ორი აბაზი უნდა გადაეხადა.

1674 წელს ერეკლე ჩამოდის კახეთში, მაგრამ შაჰს იგი სპარსეთში მიჰყავს და მის ნაცვლად კახეთის მმართველად (ჯანიშინად) გამაჰმადიანებულ გორ-

ჯასპი კახაბრიშვილს ნიშნავს, კახეთს კი სპარსეთის პროვინციად და მის შემადგენელ ნაწილად აცხადებს.

1700-იანი წლების პირველ ნახევარში, მეფე დავით II იმამ-ყული-ხანის დროს, ხევსურები თუშებთან და ფშაველებთან ერთად ეხმარებიან კახელებს მოთარეშე ლეკ-ჭარელების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ატენის ომი. 1724 წელს ხევსურები მონაწილეობას ღებულობენ ატენის ომში: „შეკრბენ ქართველნი, მოიყვანეს მაჰმად-ყული-ხანი კახით, თუშით, ფშავ-ხევსურითა."

ეს იყო ყველაზე ტრაგიკული ლაშქრობა ხევსურთა ისტორიაში.

ატენის ომის წინ ქართლი ოსმალებს აქვთ დაპყრობილი, კახეთი ლეკებს. მეფე ვახტანგი და ბაქარ ბატონიშვილი, რომელნიც აქამდე ახერხებენ მტერთან გამკლავებას, რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულების შემდეგ რუსეთს გადაიხვეწნენ. ქართველნი უპატრონოდ არიან დარჩენილნი. კახთა მეფე ცოლშვილითა და ახლობლებით ფშავ-ხევსურეთშია გახიზნული და გაჭირვებულ მდგომარეობაშია: „კახმა ბატონმა მიმართა ფშავ-ხევსურეთის კიდესა... რაც აქვნდათ თვისი საუნჯე, სულ პურ-ღვინოზე ყიდეს." (დ. გურამიშვილი).

მუსულმანთა წინააღმდეგ ბრძოლას იწყებს გორის მოურავი გივი ამილახვარი, რომელმაც მიიმხრო ქსნის ერისთავი შანშე და არაგვის ერისთავი ოთარ. გივი ამილახვრის დასახმარებლად გადადის კახთ ბატონი კონსტანტინე (მაჰმად-ყული-ხანი) კახელებისა და თუშების ლაშქრით, რომელსაც ანანურში უერთდება ძმა, თეიმურაზი, ფშაველებითა და ხევსურებით.

ბრძოლა ატენის მახლობლად, ზედაველზე გაიმართა. „ქართლ-კახელთა და თუშ-ფშავ-ხევსურთა ლაშქარს გორის ციხეში გამაგრებული თურქთა ურდოს განადგურება ჰქონდა გულში...ზედაველზე გამართულ ბრძოლას უნდა გადაეწყვიტა ქართველთა ყოფნა-არყოფნის საკითხი." (გ. ნატროშვილი)

მტერს წინ იესე ბატონიშვილი და ერასტი ორბელიანი მიუძღოდნენ. ქართველებმა მხნედ შეუტიეს და გააბრუნეს მტერი, მაგრამ მოღალატე ქართველებმა კვლავ შემოაბრუნეს ოსმალები და ბრძოლა განაახლეს. მტრის ჯარს შემოუერთდა გორიდან წამოსული ოსმალთა მაშველი ლაშქარიც.

უკან დაიხიეს ქართველებმა. გივი ამილახვარი გაიქცა და თან წაიყვანა კონსტანტინეც. ბრძოლის ველი მიატოვა ოთარ არაგვის ერისთავმაც თავისი ჯარით.

ოსმალთა წინაშე მხოლოდ თუშ-ფშავ-ხევსურნი დარჩნენ. მეისტორიე იესე ტლაშაძე აღნიშნავს: „ათიოდ თუში გამაგრდა, გუფთას რომ ხიდის თავია, ვენახში მისცეს ზურგი ზურგს, იმათ გადადვეს თავია..."

ფარ-ხმლით შეიარაღებულ ხევსურთ ვერ გაუძლეს თოფოსანი მტრის დაწოლას და მათი მარცხიც იმან განაპირობა. „...ვერ ჴმარებავ წიქასა ჯორით ნაყიდი ჴმალია, რაობით ვერ იჴმარებდა? — ტყვიამ არ მისცა ხანია."

თუშ-ფშავ-ხევსურებმა მტერს ზურგი არ უჩვენეს, ნაბიჯიც არ მოიცვალეს და ყველანი სახელიანი სიკვდილით დაწყდნენ: „შეგვყარეს ჯიდის ყურზედა, ცხვრებულად დაგვჭრეს თავია“, — ამბობს ხევსური მოლექსე.

დაერივნენ ოსმალები დაჭრილ-დახოცილ ქართველ მეომრებს, თავები დააჭრეს, გოდრებში ჩაყარეს და ურმებით თბილისში მჯდომ ხანს გაუგზავნეს. „ტანთ მმარხველი არა ჰყავდა, მელა-ტურა გამოხვრიდნენ“, — წერს ამ ომის მონაწილე, პოეტი დავით გურამიშვილი.

ატენის ბრძოლის ტრაგიკულ ამბავს რომ ჰყვება, იგივეს იმეორებს ხევსური მელექსეც: „...უსაფლაოებ ჯევსურნი ყორნებს გააქვის მკვდარიო.“

ბრძოლაში მონაწილე ხევსურთაგან ხალხურმა მთქმელმა რამდენიმეს სახელიც შემოგვინახა: ზეისტეჩოელი თათარა ბიჩინაგური, რომელსაც „ურუმთა მეალმე“ მოუკლავს, ლიქოკელი ნავეგურა ჩალხური, ლაგაზა ბაცალიგველი, ვინმე ღულელი მანგია, შატილიონი ჯალაბაური.

ხევსურები ლაშქარში დახოცილ მეომართა პირით გუდანის ჯვრის ქადაგს, იმედას სდებენ ბრალს. „იმედავ რად წამაგვასხენ, თუ არ წადინობდ ჯვარიო.“ თუმცა მელექსე ამბობს: „სათავეს გვეჯდა იმედა, არ მაუვიდა ჯვარიო“. რაც იმას მიანიშნებს, რომ ლაშქრობის წინ ქადაგმა, რომელსაც „ჯვარი არ მოუვიდა“, ხევსურთა მომავალი მარცხი განჭვრიტა და თავადაც ბრძოლაში დაილუპა: „იმედა აღარა გვყვანდა ბატონის გამძღობარიო.“ („ბატონში“ იგულისხმება ჯვარი და დროში).

იმ შემთხვევაში, როდესაც „ჯვარი ლაშქრობის ნებას არ იძლეოდა“, თავად ქადაგი მიუძღოდა ლაშქარს, რათა ხევსურებს მისთვის შიში არ დაებრალებინათ. „...აბა თუ შიშით ვქადაგებ, გექნებით წინამძღვარიო“, — ეუბნება კიდეც ერთ-ერთი ლაშქრობის წინ ხევსურებს ქადაგი. ხევსურთა ლაშქრობების ისტორიაში ასე იყო ყოველთვის, თუ მტერზე გაიმარჯვებდნენ, გამარჯვებას ჯვარსა და ქადაგს მიაწერდნენ, თუ დამარცხდებოდნენ, ისიც ჯვრისა და ქადაგის მიზეზით ხდებოდა.

კონსტანტინე კახთ მეფემ ატენის ომის შემდეგ თავი ჯერ ქსნის ხეობას, შემდეგ კი ფშავ-ხევსურეთს შეაფარა.

ამავე ხანებში ფშავ-ხევსურეთის მთებში იხიზნება თეიმურაზ II თავისი ოჯახით. აქ ეცნობა და უმეგობრდება უფლისწული ერეკლე — პატარა კახი ფშავლებსა და ხევსურებს.

ბერის ბრძოლა. პატარა კახი და გუდანის ჯვარი. 1744 წელს ხევსურები ქართლში კიდევ ერთ ბრძოლას გადაიხდიან. მეფე თეიმურაზ მეორე ებრძვის გორის ციხეში გამაგრებულ უთუფ ფაშას, რომელსაც მხარში უდგას ატენის ომის გმირი, ამჯერად მოღალატე გიორგი ამილახვარი.

ბრძოლა გორის ახლოს, რუისთან გაიმართა და ქართველებმა დაამარცხეს მტერი. ბრძოლაში სახელი მოიხვეჭეს ალუდაურ გაბუურმა, გაგა ბერდიშვილმა, ლომნი ბაცალიგველმა, ყარდანაულმა, თოთია გაიდაურმა, ბაიტურათ ,ბამ... რომლებმაც სხვა ხევსურებთან ერთად კიდევ ბევრ ბრძოლებში ისახელებენ თავს.

გორის ბრძოლა ხევსურთათვის იმით არის მნიშვნელოვანი, რომ ამ ომში ხევსურნი კიდევ უფრო დაუახლოვდებიან პატარა კახს და პირველად იბრძვიან მის გვერდით.

ომის წინ „ნათათრალი" ერეკლე ბატონიშვილი თავად აბრძანდა ხევსურეთში. გუდამაყრის ხეობით ფხიტუზე გადავიდა და სანეს დასცა კარავი. აქ დაიბარა მან სრულიად ხევსურნი. შემოიკრიბა „უნჯნი ყმანი" და ილოცა გუდანის ჯვარი (ხევსურთა რწმენით მეფე ერეკლე ჯვრის დარბაზში შემოსულ მზის სხივზე გადაჰფენდა სამკადრეოს და პირადად ესაუბრებოდა გუდანის ჯვარს. „დარბასშიით საუბარი გამადიოდისავ"). „...ფხიტუს ღელეში შემაჭდა, პირწალმ ილოცა ჯვარია. სანეს დაიცა კარავი, შემაიხვივნა ყმანია... ქართლში ჩავიდათ ხევსურნო, ქალაქს ვინ შესდვა ზარია..."

მეფე ერეკლეს სანეს დაბანაკება ამ წმინდა ადგილს კიდევ უფრო პოპულარულს ხდის. ზოგი მეანდრეზე „სანეობას" მეფე ერეკლეს მიერ დამკვიდრებულადაც კი მიიჩნევს. თუმცა იგი უფრო ძველი დროისაა და იქ სახალხო-რელიგიური რიტუალების გამართვა XVII ს-ის პირველ ნახევარშიც იხსენიება: „ბერდიაი და ჭირჩლაი სანეს შაყრილან სმაზედა".

ანდრეზით მეფე ერეკლეს უთქვამს: აქ წმინდა ადგილი ყოფილა და ყოველწლიურად სანეს სამ-სამი ფეხი სანთელი დაანთეთო. ხევსურთაც დაუწესებიათ დღეობა „სანეობა". მეორედ სანეს მთაზე ამოსულ მეფეს უთქვამს: „ჩემი მოძმე გუდანის ჯვარი ძალიან გაგიხახებიათ, სამი სამოცად გიქცევიათო."

სანე ხდება ხევსურთა ძირითადი თავშეყრის ადგილი და საბოლოოდ უქმდება ღელისვაკის „ხთისკარი", რომელიც თავისი ხასიათით უფრო წარმართული იყო.

მეფე ერეკლე უნათესავდება კიდეც ხევსურებს და ორმოცზე მეტ ხევსურს მონათლავს. მეფე ხევსურთა საკუთარი ხელით მონათვლით ცდილობს მთაში პრივილეგირებულ პირთა წარმოჩენას, მაგრამ ერეკლეს ნათლულები ხევსურთა თვალში ისეთივე ხევსურებად დარჩნენ, როგორებიც იყვნენ. მათი სახელები ხევსურთა მეხსიერებამ არც კი შეძოინახა. ხევსურთათვის უმთავრესი ვაჟკაცობა იყო და არა ბატონისგან ბოძებული პატივი და დიდება.

ყველაზე მეტად ხევსურებზე იმან იმოქმედა, რომ მეფე ერეკლე „ეძმო გუდანის ჯვარს". მას წინამორბედი მეფეებივით არ დაურბევია მთიელთა გა-

წარმართებული სალოცავები. მეფემ შეიწყნარა ხევსურთა წარმართი რჯული, რომელშიც ჩაუქრობლად ღვივოდა ქრისტიანობის ნაპერწკალი და ურჯულოთა წინააღმდეგ ბრძოლის ჟამს აბრდღვიალდებოდა ხოლმე. ეს დაინახა მეფე ერეკლემ და მისი მიდგომა ხევსურულ ჯვართან მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ფხოვის ისტორიაში.

არაგვის საერისთაოს გაუქმება. 1743 წელს აშოხებულმა მთიელებმა მოკლეს ბეჟან არაგვის ერისთავი, მისი ბიძაშვილი ოტია და არაგვის ბატონად მეფე თეიმურაზ II მოიწვიეს. 1744 წელს ნადირ შაჰმა არაგვის საერისთაო ქართლთან და ქსნის საერისთაოსთან ერთად საბატონოდ გადასცა პატარა კახს. პატარა კახმა ეს მხარე ჩააბარა თუშ-ფშავ-ხევსურეთის მოურავს ჯიმშერ ჩოლოყაშვილს.

1757 წელს არაგვის საერისთაო და ფშავ-ხევსურეთი ერეკლემ თავის უფროს შვილს ვახტანგს უბოძა, მაგრამ ბატონიშვილის უწლოვანობის გამო, მმართველად კვლავ ჯიმშერ ჩოლოყაშვილი დარჩა, რომელიც "უკმაყოფილო მთიულებმა მოჰკლეს: „ჩვენ ჩოლოყაშვილი რად გვინდოდა, ჩვენ ჩვენი ბატონი გვიბოძეო."

მეფე ერეკლეს მეფობის ბოლო წლებიდან თუშ-ფშავ-ხევსურეთის მოურავებად უცვლელად იხსენიებიან ჩოლოყაშვილები. მეფემ პირაქეთი ხევსურეთი საუფლისწულოდ გამოაცხადა, პირიქითი — სადედოფლოდ.

„ხევსურული ჩამომავლობის" ჩოლოყაშვილნი (ჩოლაყაშვილნი), ერთ დროს ხევსურეთში მდგარან. ციხე-ქალაქ მუცოში აღმართულ ერთ-ერთ გამორჩეულ, ცენტრალურ კოშკს დღესაც „ჩოლაყათ ციხეს" ეძახიან.

არაგვის საერისთაოსა და თუშ-ფშავ-ხევსურეთს მონაცვლეობით მართავენ ვახტანგ ბატონიშვილი, ერეკლე მეფე, ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, კვლავ ვახტანგ და ლევან ბატონიშვილები, რომელთაც 1780-იან წლებში ხევსურთათვის სპეციალური სამართალი შეუდგენიათ.

ხევსურული რჯული. დღევანდელ ხევსურეთში სჯული, რომელიც უძველესი დროიდან მომდნარეობს და „ხთის გაჩენილია" („ღვთაებრივი წარმოშობის". — „ღუთის სამართალი ვირწმუნოთ, ბექათგან გაჩენილია", — ნათქვამია „შაჰ-ნავაზიანში"), ყველაზე ბოლოს მეფე ერეკლეს კარზე ხევსურ სჯულმდებელთა მიერ შეთანხმებულ მაშინდელ სამართალს მიჰყვება. ამ რჯულს ყველა ემორჩილებოდა. გადმოცემით მეფე ერეკლეს დაუწესებია „სანასკვო" (თუმცა იგი უფრო ძველი დროიდან უნდა მომდინარეობდეს), რომლის მიხედვითაც ურჩთა მიმართ რჯულის კაცთა გადაწყვეტილება საბოლოო იყო.

საქართველოს სამეფოს გაუქმების შემდეგ ეს რჯული ხევსურებს გუდანის ჯვარში რამდენიმეჯერ ხელახლა გადაუმუშავებიათ. ამასთანავე, ხევ-

სურეთის ზოგიერთ თემში ხდებოდა სამართლის ზოგიერთი მუხლის თავისებური „გარჯულება". თუმცა, საბოლოოდ, მაინც საერთო რჯულით სარგებლობდნენ. ალ. ოჩიაური წერს: „არხოტში რომ ნარჯულავს რომელიმე მხარე არ დასჯერდებოდა, არ არის სწორე გარჯულვილიო, იტყოდნენ: „ხევსურები (იგულისხმებიან პირაქეთა ხევსურეთის მკვიდრნი — შ.ა.) მოვიყვანოთ, ხევსურის რჯულში მივიდეთ და ამათ ხომ კარგად იციან ხევსურეთის რჯულიო."

„სხვადასხვა საყოფაცხოვრებო საკითხებში ყოველგვარი რჯული და წესი პირიქით ხევსურეთიდან გამოდის და თითქმის მთელ ხევსურეთში ტარდება. თუ რომელიმე საჭირბოროტო საქმე მოხდა არხოტში ან შატილში, ანუ მთელ პირიქით მთასიქით ხეობაზე, და ეს საქმე ადგილობრივი რჯულით ვერ გაარჩიეს, ისე როგორც მათ იციან, შუაკაცებმა და რჯულის კაცთ ვერ შეარიგეს მტრები, მაშინ, თუ ზაფხულია, პირაქეთ ხევსურეთში გაგზავნიან კაცს, იქ იკითხავენ წესს, ან რჯულში პირაქათელ კაცს წაიყვანენ. თუ ზამთარია, მაშინ ზაფხულამდე მოიცდიან. პირაქათელები კი პირიქითელებს ამისთანა რამეებს არა ჰკითხავენ, რადგან მათ რჯული კარგად იციან და ამით თავსაც იწონებენ. პირაქათელი ხალხი მტკიცედ ინახავს თავისი მამა-პაპის ზნე-ჩვეულებებს და აღათ-წესებს, ამიტომაც ადვილად ვერ ეგუება ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებს, რაშიც არ უნდა გამოისატებოდეს ეს — შინაური საქმე იქნება თუ მთავრობისა..." (ნ. ბალიაური)

ხევსურ რჯულის კაცებს საძნელო საქმეების გადასაწყვეტად იწვევდნენ მეზობელ ტომებშიც, უფრო კი ქისტებში. ხდებოდა პირიქითაც.

ხევსურულ რჯულს საფუძვლად უდევს უძველესი ქართული სამართალი „სჯული", ანუ „რჩული", რომელიც ვახტანგ მეექვსის თქმით, „ძველთაგან დადებულ არს" და თვით მასაც სამართლის შედგენისას ხალხური წყაროებითაც უნდა ესარგებლა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჩვენ დრომდე მოღწეულ ხევსურულ რჯულს, რამდენადაც უძველესი ჩვეულებითი სამართლის კანონების კრებულს წარმოადგენს, ნათესაობა აქვს წინა აზიის ხალხების „ღვთაებრივ სამართალთან". ბაბილონის მეფე ხამურაბის კანონთა კრებული მოიავრდება დარისხებით იმათ მიმართ, ვინც გაბედავდა და დაარღვევდა ამ კანონებს. ჯვრიდან გადმოსულ ხევსურულ რჯულს განამტკიცებდნენ ჯვარში სამანის ჩაგდებით და რჯულის გამტეხის დარისხებით. ზოგჯერ ძნელად გადასაწყვეტი საქმის გარჯულება ჯვარში ქადაგის დასმითა და მისი საშუალებით წარმოებდა.

ხევსურულ რჯულს ემორჩილებოდა ხევსურეთის ტერიტორიაზე მცხოვრები თითოეული პიროვნება, განურჩევლად მისი დამსახურებისა, სახელისა და ქონებრივი უპირატესობისა. ხევსურეთში დანაშაულის საქონლით ანაზღაურებას „დრამა" ეწოდება („დრამა" ძველად საეკლესიო გადასახადს ეწოდებოდა).

ლევან ბატონიშვილის სიკვდილი. ლევან ბატონიშვილის სიკვდილმა ხევსურებზე დიდად იმოქმედა. ხევსური მელექსე მეფე ერეკლეს პირით ამბობს: „ლევან ქიზიყში მამიკლეს, ხევსურნო, ბატონი თქვენიო...“

ლევანის სიკვდილით გალაღებულ ძოთარეშე ლეკებს ხევსურნი ასე შეუთვლიან: „...იქაკ მთელია ლევანი, იქაკ ბევრი სყაკ ჯარია.“ ან „...ვინ მააჭესენა ლეკებსა, სიკვდილი ლევანისაო?.. მტერი ვერ გაულაღდება, ერეკლე ცხენსაკ ზისაო!“

გუდანის ჯვარში ერთ წმინდა ადგილს — „ალაველ ვაკეს“, „ლევანის ვაკესაც“ ეძახიან.

თრუსოს ლაშქრობა. 1746 წელს მეფე ერეკლეს სხვა მთიელებთან ერთად ხევსურები გაჰყავს ორუსოსა და თერგის ხეობაში წარმოებულ ლაშქრობებში. მელექსე ხევსურებს ლაშქრობის წინ ათქმევინებს: „ოსების ჩვენც გვჭირს ზიან“–ო. აქ იგულისხმება, დაახლოებით ასი წლით ადრე თრუსოში არაგვის ერისთავის მიერ ხევსურების ღალატით ამოხოცვა, რაშიც თრუსოელ ოსებს მიულიათ მონაწილეობა.

ამ ლაშქრობაში იმდენად დიდი იყო ხევსურთა თავდადება და გმირობა, ერეკლე მეფის მიერ მათდამი განსაკუთრებული ყურადღება, რომ სამეფო ჯარში მყოფი სხვა მთიელების შური და წყენაც კი გამოიწვია: „ნეტავ არ ჩამასულიყვნეს, საერისთოვლებს სწყინსაო“. „წყენა იმითია გამოწვეული, რომ ხევსურების მამაცობამ დაჩრდილა საერისთოვლების სახელი“, — აღნიშნავს აკ. შანიძე.

ხევსურებმა შეუბრალებლად იძიეს შური ოდესღაც თრუსოში დახოცილი თავიანთი წინაპრების გამო. „თრუსო გალეწეს ხევსურთა, აისრ რო კალო ძნიანი.“ ბრძოლაში თავი ისახელეს გუდანელმა მედროშემ თამარისძემ, თოთია გაიდაურმა, ხიტალიონმა გახუა თადიაურმა, ხთისია ატაბიონმა, ნათელისძე ომაიშვილმა (?)...

ხევსურთა ამბოხი ერეკლე მეფის დროს. 1750–იანი წლების შუა ხანებში ხევსურები გაუნაწყენდნენ მეფე ერეკლეს. განდგომა–წყრომის ერთ–ერთი მიზეზი იყო ის, რომ იმ ხანების ლაშქრობებში მეფემ უპირატესობა ჩერქეზ–ოკს მეომრებს მიანიჭა. მემატიანისგან კი ვიცით, რომ ხევსურებს მცირედი უყურადღებობაც კი სწყინდათ და თუ მეფე მათ არ მოუხმობდა, ლაშქარსა და დაცვაში სხვას ჩააყენებდა, „მსწრაფლ მიილტვოდნენ ამბოხისადმი“.

ხევსურთა შემოსარიგებლად შუაგულ ზამთარში თავად მეფე ერეკლე გაემართა მთაში და თან ლაშქარიც გაიყოლა, მაგრამ ხევსურებმა ბრძოლა არ ინებეს და მეფეს გზაში შუაკაცები მიაგებეს ძღვენითა და მძევლებით.

მემატიანე წერს: „ქორონიკონს უმგ (443)=1755 წ. ამა ხანთა შინა ხევსურის ქვეყანა აღარა დამორჩილდა კახს ბატონს და პირველისამებრ აღარ მო–

ნებდნენ. ჩამობრძანდა კახეთიდან კახი ბატონი ერეკლე და მოსთხოვა ფარ-ვანი მამასა თვისსა... ინება ხევსურეთისა დალაშქრა... ზამთარი იყო, თოვ-ლი დიდი და გზა საჭირო. დაიქვეითეს ყოველთა, თვინიერ მეფისა და იმანაც ბევრჯერ იარის ქვეითად. მოვიდნენ ფშავნი, მიეგებნენ, რაც იმ ქვეყანას გაეწყობოდა, მოართვეს მოსართმეი. ენებათ იქიდან გადასვლა ქვეყანასა ხევ-სურისასა: რა შეიტყვეს ხევსურთ, შემოეხვეწნენ ხევსურნი და ითხოვეს და-ნაშაულისა მიტევება. შეუნდო ცდომა მათი და შემოირიგა. იახლნენ უფროსნი კაცნი და მოართვეს ჯორნი, ძროხანი, ცხვარნი ფეშქაშად და დაიდვეს თავს სამსახური, რაცა ძველთაგან კახ ბატონისაგან სდებოდათ. გამოართო ბა-ტონმა მძევლები და განუტევა ხევსურნი მშვიდობით."

მძევლად აყვანილი ხევსურები ერეკლემ თავის პირად დაცვაში ჩააყენა, რომელნიც ბოლომდე ერთგულნი დარჩნენ მეფისა და თავიც ბევრჯერ ისა-ხელეს.

ოდესაც მეფემ „მორიგე ჯარი" ჩამოაყალიბა, ამ ბეგრისგან ხევსურნი გაათავისუფლა, რადგან ისინი ისედაც იცავდნენ საზღვარს მოთარეშე მტრისგან („მორიგე ჯარში", ჩვეულებრივ, მსახურობდნენ ბარში მცხოვრები ხევსურები).

„სჯულზედ წამკდარი" ხევსურები და ერეკლე მეფე. რუსეთთან კახეთის მეფეთა მიმოწერა კვლავ გრძელდება. 1769 წელს მეფე ერეკლეს კარ-ზე რუსეთში გასაგზავნად ასეთი შინაარსის ქაღალდი შეუდგენიათ: „...კიდევ თუშნი, დიდოეთი, ქისტეთი, ღლიღვი და ზურზუკი ლეკთაგან მიგუხმიან და გაუმაპმადიანებიათ, ეხლა ცდილობენ და სურთ, რომ თუშეთი და ხევსურ-ფშავი და ჴევი, რომელიც რუსეთის სახელმწიფოისა და საქართველოს შემოსავალი და გზა არის, ესეც დაიპყრან და თავიანთ სარწმუნოებაზედ მი-იზიდონ..."

თუშ-ფშავ-ხევსურნი, საეჭვოა, რომ ვინმეს დაეპყრო და მაპმადიანობაზე მოექცია. ამგვარი შინაარსის წერილის დაწერას სხვა მიზანი ჰქონდა, მაგრამ ამ დროისთვის ხევსურეთში ქრისტიანული რჯული საკმაოდ შერყეული ყო-ფილა. 1770 წლის დოკუმენტში ვკითხულობთ: „ძ: არს ჴევსურეთი, კერძო ქრისტიანე, ჩვენის მოუცლელობით და ჟამთ კითარებით სჯულზედ წამჴ-დარნი, კომლი ათას ორასი..."

საკვირველი არ არის, რომ ხევსურნი „სჯულზედ წამჴდარან". საქართ-ველოს ძლიერების ხანაში თვით დიდი მეფეებიც კი ძალითა და მუდმივი ზე-დამხედველობით იცავდნენ ქრისტიანობას ფხოვში. საქართველოს დაშლისა და დასუსტების ჟამს კი მართლაც რომ „აღარ ეცალა" ხელისუფლებას მთი-ელებისთვის და ისინი თავიანთ ნებაზე იყვნენ მიშვებულნი. მღვდლებმა მი-

ატოვეს მთა, ეკლესიები დაიქცა და განადგურდა. თანაც კარგახნის განმავლობაში ქართველთ ქრისტიანული წესით ტახტზე ასული მეფე სანატრელი ჰყავდათ. ხევსურებმა კვლავ გაიხსენეს თავიანთი ღვთაებები და კულტმსახურება, რომელში მაინც შემოინახა შერწყმული ადრექრისტიანული მსახურებისა და რწმენის კვალი.

მეფე ერეკლე კარგად ხედავდა ხევსურთა „სჯულზედ წაჴდომის" მიზეზს და სჯეროდა, რომ უსჯულოებს ხევსურნი ქედს არ მოუხრიდნენ. ამის გამო იყო, რომ მეფემ შეიწყნარა ხევსურთა ნახევრადქრისტიანული ჯვარი: „ეძმო გუდანის ჯვარს", რითაც ხევსურთა თვალში კიდევ უფრო ამაღლდა ჯვარიც და მეფეც (ასევე უნდა მოქცეულიყო თავის დროზე ვახტანგ გორგასალიც). ხევსურული ანდრეზით, როცა წილი ყარეს, „ხთის ნასახთა ბატონობა გუდანის ჯვარს ხვდა წილად, ხორციელთ ბატონობა და ქაჯთ ქალის ქმრობა — ერეკლეს, მაგრამ მეფეს სხვა ქალი მოუყვანია და საქმეც უკულმა წასვლია."

იმ ხანებში საქართველოს სამეფო კარმა გააქტიურა ურთიერთობა მთიელებთან და ზედიზედ გააგზავნა იქ უფლისწულები და საეკლესიო მოღვაწენი საგანგებო დავალებებით.

1780 წელს დავით რექტორი ადის ფშავ-ხევსურეთში და აღწერს იქაურ მდგომარეობას. იგი წერს: „...რადგან ამ ქართლის ცხოვრებასა და აღწერასა შინა ქართლსა და კახეთში რაც სოფელია, შენი თუ უშენი, ყოველივე ეწერა და ფშავ-ხევსურეთისა კი არ ეწერა, მე დავჴწერე, ვინც ნახოთ, მეც მომიგონეთ."

1786 წელს ბატონიშვილი გიორგი ჟინვანის გზით ადის ფშავ-ხევსურეთში, რათა შეისწავლოს ქართველ მთიელთა და მათი ჩრდილოელი მეზობლების ყოფა-ცხოვრება, დაათვალიეროს იქ მდებარე ეკლესიები და სამლოცველოები. „...ხევსურეთის საზღვარზედ მოეგებნენ ქისტნი მრავლად ძღვენითა. ლაშას ჯვარსა მოართვა ვერცხლით მოჭედილი ხატი წმინდის გიორგისა." (პლ. იოსელიანი)

ორი წლის შემდეგ, 1788 წელს, ბატონიშვილი გიორგი კვლავ მოგზაურობს მთიანეთში ამბროსი წილკნელთან ერთად და „სადაცა იყოფოდა ეკლესია შერყეული, აკურთხევდნენ..." (პლ. იოსელიანი)

1789 წელს ბატონიშვილი დავითი მოგზაურობს ფშავ-ხევსურეთში და აღწერს სოფლებს.

ამ პერიოდში დავით გარეჯის მონასტერში მოღვაწეობს ვინმე ილარიონი, „ხევსურელი კაცი მართალი და წრფელი მღვდელ-მონაზონი."

ხევსურები მეფე ერეკლეს ქარზე. მუდამ მზადყოფნაში და მოწინაველ იდგნენ ხევსურები მეფე ერეკლეს ლაშქარში. არ არსებობდა მათთვის დიდი და მცირე ბრძოლა, ერთნაირი თავგანწირვით ებრძოდნენ მტერს, რასაც ერეკლეს ბრძოლების მეისტორიენიც აღნიშნავენ. მართალია, მოკლედ წერენ,

არ ასახელებენ სახალხო გმირებს. თვით ასპინძის ბრძოლის მემატიანეც სიტყვაძუნწობს „გაგრძელებისათვის დავიდუმეო“, თუმცა „შვიდი ხევსურის“ თავგანწირვას, საგანგებოდ აღნიშნავს. არას ამბობენ მემატიანენი იმ ხევსურებზეც, რომელთაც სხვადასხვა მნიშვნელოვანი საქმეების გამო სამეფო კარზე უხდებოდათ ყოფნა და ხმის უფლებაც ჰქონდა.

1765 წელს მეფე ერეკლეს წინააღმდეგ შეთქმულება მოაწყო დიდებულთა ერთმა ჯგუფმა, რომელნიც უარყოფდნენ „კახი“ ბაგრატიონების უფლებებს ქართლის ტახტზე და სურდათ აღედგინათ მუხრანელ ბაგრატიონთა ხელისუფლება. მეფე ერეკლემ შეთქმულთა გასასამართლებლად მოაწყო ღია სამსჯავრო, რომელსაც ესწრებოდნენ „გლეხნი“, „მოქალაქენი“ და „მთის პირველი კაცები“. ამ საჯარო „რჯულს“ ხევსურთა წარმომადგენლებიც დასწრებიან.

ხევსურები ესწრებოდნენ აგრეთვე მეფე ერეკლესა და ფშავლებს შორის გამართულ რჯულსაც (1750 წ.), როდესაც მეფემ თავისი სახლთუხუცესის გ. ჩოლოყაშვილის ხელყოფისთვის დიდი „დრამა“ „თოთხმეტჯერ თექვსმეტი ხარი“ დააკისრა ფშავლებს. „მეფე ერეკლე ქართლითა და კახეთით და ორსავე საერისთაოთი თუშეთს ამობრძანდნენ, სრულ ფშაველნი და ჴევსურნი იქ იყვნენ... ამაში გავშველდით.“

ხევსურები მეფე ერეკლეს დავალებით ესმარებიან კახთ და თუშებს მოთარეშე ლეკების წინააღმდეგ ბრძოლებში. ლევან ბატონიშვილის სიკვდილის შემდეგ „მორიგე ჯარი“, რომელიც მოთარეშე მტერს აკავებდა და იგერიებდა, მოიშალა. გახარებულმა ლეკებმა კვლავ გაჩაღეს მარბიელი თავდასხმები ქართველ მოსახლეობაზე. ლეკიანობისგან კახთა და თუშთა დასახმარებლად მეფე ერეკლემ ფშავ-ხევსურებს მოუხმო.

1785 წელს მეფე ერეკლე ფშავ-ხევსურეთისა და თიანეთის მოურავს ქაიხოსრო ჩოლოყაშვილს სწერს: „...თუშ-ფშავ-ხევსურეთსაც წიგნი მისწერე, რომ როცა დაიბარონ, მამაცობრივ უნდა მიეშველონ... ფშავ-ხევსურეთს უნდა წახვიდე და იქაური ჯარი თუშებს მამაცობრივ უნდა მიაშველო...“ მეფის დავალებით მარბიელი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში კახეთისკენ თუშ-ფშავ-ხევსურთა სალაშქროდ გაწვევას ხევსურული ლექსებიც ისტორიული სიზუსტით გადმოგვცემენ: „ერეკლე დაუძახებდა არაგვის მოურავსაო: ცხენს შაჯექ ქაიხოსროვო, გამიგებიე ყმათაო...“ ან „ჯარს ეძახს ბატონიშვილი, ერეკლე თავის ყმათაო: „პირ ქენით მშაველ-ჴევსურნო, თუშებ აქ მიდგან მზასაო...“

ერეკლეს დროს თუშ-ფშავ-ხევსურთ მართლაც ერთი პირი აქვთ და ერთმანეთს უდგანან გვერდში. „შაყრილნი ფშავ-ხევსურნი ააქამც ჩამახვივნაო, ლეგები ფშავლის შვილები თოფებსამც ჩამახვივნაო, გულდიდებს ჴევსურთ შვილებსა ყაწიმებ დაუმდღვინაო...“ — ლოდინი აქვთ მტერთან ბრძოლის წინ თუშებს.

განსაკუთრებით გამწვავდა მდგომარეობა თუშეთში XVIII ს-ის ბოლოს, როდესაც ქისტების და ლეკების გაერთიანებულმა რაზმებმა ავარიის ხანის ომარის, ნუცალის, მურთაზისა და სხვათა ბელადობით რამდენიმეჯერ დალაშქრეს კახეთის რაიონები. ფშავ-ხევსურნი დაძახებისთანავე ებმებიან ბრძოლაში თანამოძმეთა დასახმარებლად, ხოლო ლეკებისა და თუშების საზღვარზე თუშებთან ერთად ხევსურებიც დგებიან ვეშაგად. თუშეთის ბრძოლებში გაითქვა სახელი თავისი „ბაწარაულა" ხმლით კარწაულთელმა აბა ჩალხურმა, აჭიონმა პოხილაურმა, ბლოელმა მოლოდინამ, ღულელმა ქისტაურებმა, რომელთაც საბოლოოდ იძიეს შური ლეკებზე ძველ დროს ღულის სიმაგრეში დატრიალებული ტრაგედიის გამო: „...შიგ სტანავ ორი ღულელი, ერთი ეძახდა სხვასაო: თითო შავსწირათ ოროლსა, სიმაგრეთ ნაჭოც მკვდარსაო." „მაშინ თუშეთს ლეკის ჯარი შემოხვევია, იქით ხევსურნ მოსულან და დაღრეკიან ჭმლებით შიგ ლეკის ჯარს და გაუჭრავ თავები", — წერს ერთ-ერთ ბრძოლაზე ივ. ბექურაული.

ხევსურები ერეკლე მეფის ბრძოლებში. 1749 წელს *მაჰმად ხანი* ერევანში შეიჭრა. სომხებმა დახმარება ერეკლეს სთხოვეს. „...მისვლისთანავე შეიქმნა ომი ფიცხელი. ხუთასი თუშ-ფშავ-ხევსურით მეწინავედ მივიდა ერეკლე და ეძგერა მტრის შუაგულს..." ბრძოლის დამთავრების შემდეგ ნადავლი მეფემ ლაშქარს გაუნაწილა.

1750 წელს მეფე ერეკლეს ხევსურები სხვა მთიელებთან ერთად გამოჰყავს *ფანა ხანის* წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელიც ცდილობდა განჯის სახანოს მითვისებას. „...კახს ბატონს შემოეყარა კახნი, სრულიად თუშნი, ფშავნი, ხევსურნი და ლეკნი, რომელნიც მონებდნენ კახს ბატონს..."

ფანა ხანმა ერეკლესთან ბრძოლა არ ინება და გაიქცა. ორასი რჩეული თუშ-ფშავ-ხევსურითა და კახით დაწინაურდა ერეკლე, დაეწია მტერს და აიძულა ბრძოლა მიეღო. ბრძოლაში სასტიკად დამარცხდა ფანა ხანი და შემდეგ ერეკლემ არეზის ხეობაც დალაშქრა.

ხევსურები იბრძოდნენ მეფე ერეკლეს მოწინააღმდეგე გათათრებული ქართველის *აბდულ ბეგის* წინააღმდეგ. აბდულ ბეგი (არჩილ იესეს ძე) ირანის შაჰმა ქართლის მმართველად დანიშნა, რომელმაც თეიმურაზ მეორისა და ერეკლეს წინააღმდეგ ბრძოლა გააჩაღა ქართლის ტახტის ხელში ჩასაგდებად. მეფე ერეკლემ „...გააგზავნა კაცი ყოველგან და დაიბარა ჯარები. მოვიდა კახეთისა, თუშ-ფშავისა, ხევსურ-მოხევისა ორსავე საერისთაოსი და ქართლისა..." მეფემ მთიელთა დახმარებით დაამარცხა ტახტის მაძიებელი, აიღო თბილისის ციხე-სიმაგრენი: თაბორი, ნარიყალა, მეტეხი და გაანადგურა შიგ მდგარი სპარსული გარნიზონი.

1751 წელს ერეკლე 2 000-იანი მეომრით *აზატ ხანის* 18 000-იან ლაშქარს შეება. ბრძოლის წინ სარდლებმა ერეკლეს ბრძოლაზე უარის თქმა და უკან გაბრუნება ურჩიეს. მაშინ გამოვიდა ხევსურთა ლაშქრის ერთ-ერთი რიგითი მეომარი, ჯადუელი ღარაქიშთ ნანაისძე და განაცხადა: „დაშინებულხარ ბატონო, მაგ შიშით რა იქნებისა? თამაშას ვიქამ ჯმლისასა, მტერ მაგით შაძვირდებისა." გლეხი მეომრის მეფესთან შეთამამება დიდებულებმა იუკადრისეს, მაშინ სხვა ხევსურნიც წინ წამოდგნენ და ლაშქარს ბრძოლისკენ მოუწოდეს. (ეს ნანაისძე ქერაული, უკვე ხანში შესული ბერიკაცი, ოცი წლის შემდეგ გამოცხადდება ერეკლესთან ასპინძის ბრძოლაში და როგორც ბაჩანა აღნიშნავს, მაშინ უთქვამს ერეკლეს ხუმრობით: „ესეც საომრად მოსულაო!").

ერეკლეს მოეწონა ხევსურის თამამი სიტყვა, „არცა რა შამასწყრა" და ხევსურები დაამშვიდა. ჯარი საომრად განაწყო. ეს ხდება 1751 წლის 27 ივლისს ყირბულახთან, ერევნის ახლოს.

აზატ ხანმა ქართველებს ალყა შემოარტყა და ელოდა, როდის გამოცხადდებოდა მასთან ერეკლეს მოციქული მორჩილებისა და შემორიგების თხოვნით.

ერეკლემ ლაშქარს განუცხადა: მე თავად გაგიძღვებით ქვეითად, ცხენები ხელით წამოიყვანეთ და სანამ ჩემი თოფი არ გავარდება და ცხენზე არ ავმხედრდები, არც ტყვია გაისროლოთ და არც ცხენზე შეჯდეთო. მეფემ ხუთასი მეომარი ცალკე დააყენა, ათას ხუთასი კი თან გაიყოლა და მტრის ბანაკისკენ გასწია. მარცხენა ხელით ცხენები მიჰყავდათ, მარჯვენაში კი ყველას ჩახმახშემართული თოფი ეჭირა.

აზატ ხანი ნაადრევად ზეიმობდა გამარჯვებას. თავისი მხედრები მიაგება „იარაღის დასაყრელად" მისკენ მიმავალ ქართველთა მეფეს. უცებ იქუხა ერეკლეს თოფმა და მასთან ერთად ათას ხუთასმა სხვამ. მყის ცხენებს მოახტნენ ქართველნი, მიჰყვნენ წინ გაჭრილ მეფეს და ეკვეთნენ მტერს.

აზატ ხანმა ძლივს გაასწრო არეზზე.

ამ ბრძოლის გამოძახილია ხევსურული ლექსის ფრაგმენტი: „...კარგივ, კარგივ, იყვასავ ჯევსურნო, თოფივ წინ-წინ ჩემ გავარდებისავ. გავარდისავ ერეკლეს თოფი, ჯევსურებ გადმახყვებისავ. ჯმლ[illegible]ით სციან ჯევსურთ შვილებმა, სისხლის გუბ-გუბი დგებისა."

1752 წელს ერეკლე მეფეს ყაზახ-შამშადილის საზღვარზე გამოჰყავს „თუშ-ფშავნი, მოხევე, ხევსურნი და ყოველნი მთის ჯარები" და ამარცხებენ შაქი-შირვანის ხანის *აჯი-ჩელების* ჯარებს.

ასპინძის ომი. ასპინძის ომის წინ თავად მეფე ერეკლე აბრძანდა ხევსურეთში სოფელ ღულზე გაიარა და გუდანის ჯვარში მივიდა. ბეღლისკარს

შეყრილი ხევსურები მეფემ სამხრეთ საქართველოს მომავალ ლაშქრობაში გაიწვია, შორეული, მთიელთათვის მომქანცველი გზის სიძნელეზედაც გადაუკრა სიტყვა: „შორაად სავალს ამბობენ, ხევსურ ვერ გამადგებისა...“

მაშინ ასე მორიგებულან: „წილი გაყარან ახლებმა, ბებრებ იქ ვერა დისაო.“ მიუხედავად ამისა, ზოგი ახალ-წამოდეგა ხევსური უწილოდ გამოსულა (სუმბატ ლოხაურისძე). ზოგი ხანში შესული იარაღდადებული მოხუციც გაჰყოლია ლაშქარს (ღარაქიშთ ნანაისძე).

ერეკლე მეფის მიერ ასპინძის ომის წინ ხევსურეთში საგანგებოდ ასვლის და ჯარში რჩეული ხევსური მეომრების გაწვევის მიზეზი ის იყო, რომ მეფეს რუსი გენერლებისთვის ეჩვენებინა ქართველი ლაშქრის მამაცობა და შეუპოვრობა, მზადყოფნა ნებისმიერი ბრძოლის მისაღებად.

1770 წლის 18 აპრილს, გადამწყვეტი ბრძოლის წინ, რუსებმა მეფე ერეკლეს უღალატეს და მოულოდნელად მიატოვეს ბრძოლის ველი: „დაბრუნდა იარალაი, მაგას რა მაეგვრებაო, შასწუხდა ბატონიშვილი, ჯარი სრუ გამიწყდებაო. მააჯსენებენ ჴევსურნი: დღე ჩვენი გარდახდებაო...„ — ისტორიული სიზუსტით ამბობს ხევსური მელექსე.

რუსებმა იცოდნენ, რომ ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოები ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ საბრძოლველად მზად არ იყვნენ. ტოტლებენის მიზანი იყო, წაექეზებინა ქართველები ოსმალეთის წინააღმდეგ, ჩაება ისინი ომში რუსის ჯარის დახმარების იმედით, ხოლო შემდეგ კი დესტაბილიზაცია მოეხდინა თბილისსა და მთელ საქართველოში და კავკასიაში საქართველო, როგორც სახელმწიფო, მოესპო. ამ ომში რუსთა გეგმით ერეკლე უნდა დამარცხებულიყო. ტოტლებენი ქართლ-კახეთისა და თბილისის ციხესიმაგრეებს დაიკავებდა და თუ ერეკლე ბრძოლიდან ცოცხალი გამოაღწევდა, დააპატიმრებდა როგორც ურჩსა და მოღალატეს.

ერეკლემ აწყურის ციხეს ალყა მოხსნა და ლაშქარი წაიყვანა ასპინძისკენ, სადაც მტრის ძირითადი ძალა იდგა. აწყურის ციხიდან გამოსული მტერი ქართველებს უკან მიჰყვა და ზურგიდან დაჰკრა. დაფრთხნენ ქართველები. მაშინ შემოუტრიალდა მტერს ერეკლე თავისი ერთგული შინაყმებითა და ხევსურებით: „ოდეს იხილნა ირაკლი ეს ჯარები მიწევნილი, მაშინ თვით გამობრუნდა რაოდენითამე ჩინებულითა და შინაყმითა და შვიდითა ხევსურითა, განჰსწირა თავი თვისი და ეკვეთა ფიცხლად, ვიდრე სიკვდილამდე და იყვნენ ყოველნი მეფისა თანა მყოფნი ქართველ-კახნი მხნედ და უმეტეს შვიდნი იგი ხევსურნი... გარნა გაგრძელებისათვის დავიდუმე,.. იქმნა ბრძოლა ძლიერი.“

მეფის თავგანწირვამ სძლია და უკუაგდო ოსმალები, რომელთაც კვლავ სიმაგრეს შეაფარეს თავი. მაგრამ მტერი იმდენად იყო დარწმუნებული თავის

სიძლიერეში, რომ ცალკეული რაზმებით თავს ესხმოდნენ ერეკლეს ლაშქარს და ფალავანთა რაინდულ შერკინებას ითხოვდნენ.

ერთ-ერთ ბრძოლაში გავიდა ხევსური გოლიათი აბა ბიტურას ძე გიგაური და სძლია კიდეც მოწინააღმდეგის ფალავანს.

ერეკლე ასპინძას გადავიდა და იქ დაბანაკდა. მტრის ძალებმაც ნელ-ნელა ასპინძის ხიდზე დაიწყო გადმოსვლა. ბრძოლის დაწყებას დაღამებამ შეუშალა ხელი.

ერთმანეთის პირისპირ დადგა 8 000 თურქ-ლეკი და 3 000 ქართველი.

ხევსურთა ლაშქარი განცალკევებით, თურქთა სიახლოვეს დაბანაკდა და იმ ღამეს მეფის დარიგებით არნახული „ღრეობა" გამართა.

კოცონი ღაანთეს ხევსურებმა. ზღვენ-სამეშვლოები შესწირეს თავიანთ მფარველ ღვთაებებს და გუდანის ჯვარს. მსხვერპლს გულ-ღვიძლი ამოა-რიდეს და უმად შეჭამეს. პირდაპირ სავსე ტიკებიდან სვამდნენ, სასმელი ზედ ჩამოსდიოდათ. ფანდური და სიმღერა გამართეს. გრძელ ყალიონებს აბო-ლებდნენ, თამბაქოს ცოხნიდნენ და იპურჭყებოდნენ მოურიდებლად. მღე-როდნენ რიხიანად. უცებ გიჟებივით წამოვარდნენ, გაივლეს ფარ-ხმალს ხე-ლი და დაერივნენ ერთმანეთს. მათი სიჩაუქე, ხმალში გაწვრთნილობა, უშიშ-რობა დაჭრისა და სისხლისა საკვირველ იყო.

ბოლოს ფერხისა ჩაბეს და მხოლოდ შუალამისას მიწყნარდნენ ხევსურნი, თუმცა კიდევ კარგა ხანს იბორიალეს მტრის სიახლოვეს და ზვერეს მიდამო. გან-საკუთრებით გამოირჩეოდა ახოვანი აბა ბიტურასძე, რომლის გოლიათური სი-ლუეტი მთასავით წამოიმართებოდა და ხმა მისი ლომის ბრდღვინვას ემსგავსებოდა.

არ ეძინა ამის მნახველ ოსმალებს იმ ღამეს. არნახულმა სანახაობამ ძილი დაუფრთხო, შიში ჩაუყენა გულებში: ეს რა თავზეხელაღებული, ველური ხალხი ჩამოუყვანია ერეკლესო. მათმა ჯვრიანმა ტალავარმა და აღჭურვი-ლობამ ჯკარონსნები და სისხლისმჭამელი ხაზარები მოაგონა.

გათენებისას, ჯარები ერთმანეთის პირისპირ რომ დადგა, ქართველთა ლაშქარს ხევსურებით გარშემორტყმული მეფე ერეკლე ედგა წინ.

დაიწყო ბრძოლაც. თავად ერეკლე ეკვეთა მტერს პირველი და მოკლა ლეკთა ბელადი კოხტა მალაჩილა.

„ერეკლეს ხმალამოღებულიევ მისდევდნენ შვიდნი წინად ხსენებული სა-ხელოვანნი მეომარი ხევსურნი" და იბრძოდნენ „საარაკო სიმამაცით საყვა-რელი ხელმწიფის გვერდით." (ი. გოგებაშვილი)

„ჯარჩიგით გამაერჩივნეს, ერეკლეს ჩაჰყვებიანო", — ამბობს ხევსური მელექსე.

ასპინძის ბრძოლის ხევსური მეისტორიე, ბლოელი ბიტურა ამბობს: „არიქათ ჭევსურთ ვაჟებო, ჭმალი სისხლშია წვლდებაო, წყალში ჩაყარეს

ლაშქარი, ჯიდი არ დაღნებდებაო...“ — უკან დახეულ მტერს მტკვარზე ხიდი ანგრეული დახვდა და ქართველთა დაწოლით ერთიანად ადიდებულ მდინარეში ჩაიხრჩვნენ.

37 თურქიღა გადარჩა ცოცხალი, 25 ქართველი დაეცა ბრძოლის ველზე, მათ შორის ლიქოკელი სუმბატა ლოხაურისძე-ფიცხელაური, რომელმაც „ჯევსურთა სანამეტნაოდ ჯმალ მაიქნია ფხიანი“.

„ᲨᲕᲘᲓᲜᲘ ᲮᲔᲕᲡᲣᲠᲜᲘ“. ვინ იყვნენ მემატიანის მიერ მოხსენიებული „შვიდი ხევსურნი“? ესენი უნდა ყოფილიყვნენ ერეკლე მეფის დაცვაში მყოფი ხევსურები, რომლებიც შესაძლოა ხევსურეთში აღარც ცხოვრობდნენ და ხევსურთა საერთო ლაშქარშიც არ შედიოდნენ.

ა. შანიძემ მათი სახელების დადგენა ხალხური ლექსის მიხედვით სცადა, მაგრამ ასპინძის ბრძოლის ამსახველ ლექსში მოხსენიებული ხევსურები არა მეფესთან „თანამყოფნი“ „შვიდნი ხევსურნი“ უნდა იყვნენ, არამედ რიგითი მეომრები, რომლებიც ბრძოლის მონაწილე, თავისი შვილის, აბას ნაამბობის მიხედვით მოიხსენია მელექსე ბიტურამ: სუმბატა და ბულეჯან ლოხაურისძენი — ლიქოკის სოფ. აჭეს მკვიდრნი (ძველი გვარი ფიცხელაური). სუმბატა და ღერენა გუგუაისშვილნი — გუდანელი ჯინჭარაულები, აბა ბიტურასძე გიგაური — ბლოელი, ლომნი გაგაისშვილი — ბაცალიგველი, ყარდანაული — ქმოსტელი, არიშაული — ღულელი, კურდღელაურისძე — გუდანელი, ბია და ჯამშაისძე — გუდანელები, ივანეური ჯანშათა (ჯამშაისძე და ივანეური ჯანშათა ერთი და იგივე პიროვნება უნდა იყოს), ძაღლიკა ხიმიკაური ლიქოკის სოფ. აჭედან.

ᲛᲔᲤᲔ ᲔᲠᲔᲙᲚᲔ ᲐᲯᲘᲚᲓᲘᲯᲔᲑᲡ ᲮᲔᲕᲡᲣᲠᲔᲑᲡ. ამ ბრძოლის დროს მოსწონებია მეფე ერეკლეს ძაღლიკა ხიმიკაურის ხმალი. სხვა ხმალში გაუცვლია და სართი თოფიც მიუცია. ამის გარდა „სიგელი“ და მამულებიც უბოძებია ძაღლიკასთვის თიანეთის მხარეს.

ბრძოლის შემდეგ ხევსურებს მეფის კითხვაზე თუ რას ისურვებდნენ ჯილდოდ, უმეტესობას ნადავლი თოფ-იარაღი უთხოვია. მაშინ გუდანელ კურდღელისძეს უთქვამს: „მე იარაღი არ მინდა, ქაღალდი და მამული მინდაო“. მეფეს ხევსურებისთვის იარაღიც მიუცია და ახმეტას მამულებიც უბოძებია. გუდანის ჯვარში დაცულ მაშინდელ გრაგნილში აღნიშნულია მეფის მიერ ხევსურთათვის ახმეტაში ბოძებული მამულის საზღვრებიც.

მოგვიანებით კურდღელისძეთა შთამომავალს, სოფ. ჭიის მკვიდრს, ბია ჯინჭარაულს მის ოჯახში შემორჩენილი მეფეთაგან ბოძებული დოკუმენტები გუდანის ჯვარში მიუტანია, საიდანაც „გრაგნილების“ ნაწილი მოწმაველ ალბექათ გაუტანიათ და დაკარგულა. მოვიყვან კურდღელისძეთათვის ბოძებულ ერთ დოკუმენტს:

„ᲩᲔ. წყალობითა ღთისათა ჩვენ იესიან დავითიან სოლომონიან ბაგრატოვანმან მეფემან სრულიად ქართლისა, კახეთისა და სხვათამან გიორგიმ ესე წყალობის წიგნი დაგიწერეთ და გიბოძეთ შენ გულანელს ჭინჭარაულს კურდღელისძეს მგელას, როგორც კურთხეულს ბატონის მამის ჩვენისაგან. წყალობა სჭირთ ჯამაგირისა სად ილას და ბუნ ჩუმას მამის წულს ბეკურს და ჩვენგანაც წყალობა მიეცით. ამ გვარად შენთვისაც წელიწადში ორმოცდათი ტანი ფარჩა განგვიწესებია. რომ ეს ორმოცდათი ტანი ფარჩა ყოველს წელიწადს უკლებად ჩვენის კარგ მოხელეებისაგან მოგეცემა და რაც მოგემ...ება და შენც ჩვენის სამსახურის ერთგულად მცდელ უნდა იყო. ფეხერვალს... ქესუად...

მეფე სრულიად ქართლისა და კახეთისა
და სხვათა
გიორგი“

(დასმული აქვს ბეჭედი).

საქართველოს მეფეთაგან სხვადასხვა დროს ხევსურებისთვის ბოძებული წყალობის წიგნები აღარ შემოინახა. ზოგი ხევსურეთში შემოსულ ხელისუფლების მოხელეებს მიჰქონდა, ზოგს იპარავდნენ, რათა ისინი თავიანთ სასარგებლოდ გამოეყენებინათ. აკ. შანიძე წერს: „ერთი ამისთანა წერილი (საუბარია ალ. ბატონიშვილის მიერ ხევსურებისთვის ბოძებულ წერილზე — შ.ა.) სხვა შატილელსაც ჰქონია, მაგრამ მოუპარავთ. მოპარვას აბრალებენ ერთ ქისტს, რომელიც მეგობარი ყოფილა იმისა. ბრალდებას იმაზე ამყარებენ, რომ ქისტმა ერთხელ ქალაქიდან საჩოხე მაუდი მოიტანა და მისი გასაწყობი სირმებიო და თქვაო, რომ ალექსანდრეს მიერ ბოძებული წყალობის წიგნი მქონდა მეცაო, ის ჩავუტანე ალექსანდრეს ჩამომავლობის კაცსა და ფულიც მაჩუქა და მაუდიცაო. ის წიგნი ალბათ ჩვენი წიგნი იყოო, დასძინა ბაბო ჭირჩლასძე ჯინჭარაულმა (ჯალაბაურმა). 1913 წ.“

ამას გარდა, თავად ხევსურნი „გუდანის ჯვარის მოძმე“ ბაგრატიონთაგან ბოძებულ ძვირფასეულობასა და „ქალალდებს“ სახლში იშვიათად ინახავდნენ, რადგან მათი წარმოდგენით მათ „ჯვარი ეპატრონებოდა“ და მაშინვე ჯვარში მიჰქონდათ. ჯვარში მიტანილი დოკუმენტები კი დრო-უამისა და დაუცველობის გამო ზიანდებოდა.

ᲙᲠᲬᲐᲜᲘᲡᲘᲡ ᲝᲛᲘ. კრწანისის საბედისწერო ომში პირნათლად გამოცხადდნენ ხევსურები. მძიმე იყო მოხუცებული მეფე ერეკლეს მდგომარეობა ბრძოლის წინ. სხვა სარდლებსა და თავადებზე რომ არაფერი ვთქვათ, საკუთარი შვილებიც განუდგნენ და უარი თქვეს ბრძოლაზე. „შენ პაპაჩემო ერეკლე,

ვერ მოიფიქრე მალია, არა გყავ თუში, ხევსური, არცა კახელი ჯარია...“ – ეუბნება ხელხურ ლექსში შვილიშვილი მეფე-პაპას. იგვიანებდა ვახტანგ ბატონიშვილიც არაგვის საერისთაოს ჯარით.

და მოადგნენ ცხენების დგრიალით თბილის-ქალაქს მძიმედ შეჯავშნული ხევსურნი, გულანის ჯვრის სალაშქრო დროშით, რომელსაც ხევსურეთის თემ-თემის დროშანიც მოჰყვნენ. „...არ ჩანდნენ დანარჩენი ბატონიშვილებიც, მხოლოდ თუშ-ფშავ-ხევსურები გამოცხადდნენ პირნათლად.“ (ივ. შაიშელაშვილი)

კრწანისის ბრძოლის მომსწრე პოეტი შამჩი-მელქო წერს: „თავგანწირვის ფიცი დასდვეს ხევსურმა და ჩარექ-თუშმა, რომ გულმკერდით დაიცავდნენ ვით ლომები დედაქალაქს“.

ამჯერადაც ყველასგან გამორჩეულნი იყვნენ თუშ-ფშავ-ხევსურნი ისედაც მცირერიცხოვან ლაშქარში.

იმედი ჩაესახა მოხუცებულ მეფეს. წინასწარ ბრძანება გასცა დაესაჩუქრებინა ერთგული – „უნჯნი ყმანი“, ხევსურნი. იწყინეს ხევსურებმა მეფისგან სამშობლოს დასაცავად „თეთრის აღება“ და სასწრაფოდ კრწანისის ველზე „წადგომა“ ისურვეს.

„ამ მცირე ჯარში ერთი რაზმი იქცევდა განსაკუთრებულ ყურადღებას, ეს რაზმი შესდგებოდა მთლად გლეხებისაგან და განირჩეოდნენ სხვა ჯარისაგან პირველივე შეხედულებით. მაღალი და სწორი ტანი, განიერი მხარბეჭი, მამაცური შეხედულება, ვაჟკაცური მიხვრა-მოხვრა, ხმამაღალი ლაპარაკი, რკინის ჩაჩქანი ტანზე, აშკარად ხდიდნენ, რომ იგინი იყვნენ თავისუფალი მთის შვილები. ყველაზე მეტი იმედი ერეკლესა და ქართველობას ამ გლეხობისა ჰქონდათ... ესენი იყვნენ არაგვისპირელი მთიელნი და ფშავ-ხევსურნი.“ (ი. გოგებაშვილი)

დაიწყო უთანასწორო ბრძოლაც.

ხევსურები თავგანწირვით ეკვეთნენ მტერს. მათ გვერდით იდგა და სიმხნეს მატებდა მსახიობ მაჩაბლის გუნდი.

„...სამასნი ფშავ-ხევსურნი გაექანენ ხმალამოღებულნი, ეკვეთნენ მტერს და დაუწყეს ჩეხვა...“ (ი. გოგებაშვილი).

მტრის მეწინავე რიგები ჩააქციეს ხევსურებმა, გორებზე ჩასაფრებულ მეთოფეებს მიეტანნენ და უკუაგდეს.

„...ხოლო მხედრობათა მათთაგან აღერჩივნეს კაცნი მამაცნი ხიზიყელნი, არაგველნი და ფშავ-ხევსურნი. შეუხდნენ სპარსთა მხედრობასა, მაღალთა მათ კლდიერთა გორთა და მათზედა ბრძოდეს მათ ესრეთითა სიმხნითა, რომელ კნინღა და ძისდრეკს მხედრობანი სპარსთანი სივლტოდ.“ (თ. ბატონიშვილი)

ერთად შეიკრნენ მთიელნი. მაჩაბელი კვლავ მათ გვერდით იდგა. „და შეერთდა გუნდიცა ესე გუნდსა მას ფშავ-ხევსურთა, არაგველთა ქიზიყელთასა

და ჰყვეს ამათ ატაკა მტერთა მიმართ და მიიწევნეს ვიდრე დროშებამდე ალა-მაჰმად-ხანისა და მოსტაცნეს დროშანი რაოდენნიმე მხედრობათა ალა-მაჰ-მად-ხანისასა და მრავალნი სპარსთაგანნი მოსწყვიტეს წინაშე მისისა.“ (თ. ბა-ტონიშვილი)

დაწინაურდნენ ხევსურნი, მუდამ თანამეოფნი მეფესთან, მისწვდნენ სპარსელთა დროშებს, აჩეხეს მედროშენი თავის დროშებიანად. „ძმად გაფი-ცული შვიდი ფშავ-ხევსურნი, სიცხისაგან გალექებულნი მიიწევდნენ წინ, აცვივდნენ მტრის სისქეში, მიატანეს ალა-მაჰმად-ხანს და დროშებს სტაცეს ხელი. ალა-მაჰმად-ხან შეკრთა, განცვიფრებას მიეცა, — ეს რა თავზეხელა-ღებული ხალხი ყოფილაო.“ (თ. ჟორდანია).

მაშინ წარმოთქვა ოთხმოცი წლის ალა-მაჰმად-ხანმან: „სიყრმითგან მთელი ჩემი სიცოცხლე ომებში გამიტარებია და აქამომდე არ მოვსწრებივარ მტერთაგან ვინმეს ჩემთვის ასეთი ბრძოლა გაემართოს.“

ბრძოლის მეოთხე დღე ილეოდა.

ბრძოლის ველი მიატოვა იმერთა ჯარმა და გაიქცა.

თუშ-ფშავ-ხევსურნი, ვახტანგ და იოანე ბატონიშვილნი, მუხრან ბატონი და ანდრონიკაშვილი შემორჩნენ თავიანთი მხედრობით მეფეს.

ბრძოლის ჟამს ცხენი წაექცა ერეკლეს. სპარსთა ლაშქარი მიეხვია, მაგ-რამ იმძლავრეს მეფის მცველმა ხევსურებმა, აჩეხეს სპარსელები. „ერეკლეს ცხენი ჩაიქცა, ყმანი სხვას მიღგვრიდიანო, ცხენზე შასვიან მსახურთა, ავეან-ტას უჭერდიანო.“

დამარცხდნენ ქართველები. ბატონიშვილებმა და ხევსურებმა ძალით გაიყვანეს ბრძოლის ველიდან ერეკლე მეფე, რომელიც კვლავ საომრად იწევდა და არ ნებდებოდა. მტერი კვალდაკვალ მიჰყვებოდა.

სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდნენ უკანასკნელი არაგველნი. ბზარი შეპარვოდა ხმაში „გაუეკურას“.

მეფე ერეკლემ მთიულეთს, „კაიშაურთ კარსა“ შეაფარა თავი.

თბილის-ქალაქში ალა-მაჰმად-ხანი შემოვიდა. დაწიოკებული მოსახ-ლეობა ქალაქიდან მთებისკენ გარბოდა, რომელთაც გზადაგზა თავს ესხმოდ-ნენ ყაჩაღ-ავაზაკნი და ძარცვავდნენ. „ჰქმნა უჯერო ერმან დუშეთისამან და მახლობელ მისსა მდგომმან, აკლებითა მრავალთა წარჩინებულთა გვამთა, ბარგისათა და ნივთთა ეკლესიისათა...“ (ი. ქართველიშვილი).

კრწანისის ველზე დარჩნენ სამუდამოდ ხევსურნი. გადარჩნენ ისინი, ვინც მეფე ერეკლე გამოიყვანეს ბრძოლის ველიდან. მძიმედ დაჭრილებმა ინა ქიჩ-ბარაულმა და აბა ჯინჭარაულმა (კურდღელისძე) გუდანის ჯვრის სალაშქრო დროშა დაფლეთილი და სისხლიანი მაინც აიტანეს ხევსურეთში. არ დაანებეს

მტერს. კრწანისში მოკლეს კარატის ჯვრის მედროშე ბღარა ხახიკური და კარატის ჯვრის სალაშქრო დროშაც იქ დაიკარგა.

სამასი ხევსური ჟინვალში ებრძის სპარსელთა ჯარს. კრწანისის შემდეგ, იმავ დღეებში კიდევ ერთი ბრძოლა გადაიხადეს ხევსურებმა და იძიეს შური მტერზე.

კრწანისის ბრძოლის წინ, ქუდზე კაცის დაძახებისას, მაშინვე დაიძრნენ ხევსურნი, როგორც ცხენოსანნი, ასევე ქვეითნი. ცხენოსნებმა ჩაასწრეს კრწანისს. ქვეითებს კი, რომელთაც პირიქითი ხევსურეთის სოფლებიდან გადმოსული ხევსურებიც შეუერთდნენ, დააგვიანდათ ბრძოლის ველზე.

ხევსურთა ეს, მეორე ლაშქარი სამასი კაცისგან შედგებოდა. მომხდარა ისეც, რომ ერთი ძმა წინა ლაშქარში წასულა, სხვა ძმა კი მეორე ლაშქარს გაჰყოლია. ახლად შეყრილი ხევსურნი მამუკა ხიტალიონს სთხოვენ წინამძღოლობას, რომლის ძმა ჯოყოლა უკვე იბრძვის კრწანისში. „ცხენს შაჯედ, მამუკიაო, ჯარ სიკვდილს მიუდისაო, თუ მიხოდ, მიდის ლაშქარი, თუ არა, ბრუნდებისაო.“

გუდანიდან წამოსულ ლაშქარს ლიქოკისა და საარაგვოს თემის ხევსურნიც შეუერთდნენ, მათ შორის მოწმაველი ხონდაის ხონდა, რომელსაც ბრძოლის შემდეგ ანანურში მყოფი მეფე, სხვა ხევსურებთან ერთად, თოფით დააჯილდოებს.

ფეხოსან ხევსურთა ლაშქარს ჟინვალთან შემოხვდნენ მეფე ერეკლეს მომხრე, ლტოლვილი შამშადილელნი, რომელთაგანაც შეიტყვეს ქართველთა დამარცხების ამბავი. „ამ საუბრის დროს ხევსურებმა დაინახეს, რომ ჟინვანის ხიდთან სპარსელების ჯარი გამოჩნდა. ხევსურები არ დაბნეულან და შამშადილელთა ბელადის ალი-სულთანისათვის მიუმართავთ... „ჯერ ჩვენ შევებმით მტერს, უკუვაქცევთ და მერე შენ სდიე შენი მხედრობითო.“

შამშადილელნი თავისი ბელადის, ალი სულთანის წინამძღოლობით, რომელიც იყო „ერთგული დიდად მეფისა და მამულისა ჩვენისა“, საქონლითა და ოჯახებით გამოხიზნულიყვნენ ჟინვალის მიდამოებში.

აღა-მაჰმად-ხანმა სპარსელთა ოთხიათასიანი ჯარი საგანგებოდ გააგზავნა საქართველოს მთიანეთისკენ მოსახლეობის დასარბევად და მეფე ერეკლეს შესაპყრობად. სპარსელთ წინ მოუძღოდა ქალბ-ალი-ხანი.

„ალი სულთანს ხევსურების წინადადება მოსწონებია. ორასი ცხენოსანი მეომარი ალი სულთანს ჰყოლია. სამასი ხევსურითა და ამ ორასი შამშადილელი ცხენოსნით შეუტიეს ოთხი ათას სპარსელს და სასტიკად დამარცხეს... გამარჯვებული შამშადილელები და ხევსურები დატყვევებული სპარსელებით ერეკლე მეფესთან გამოცხადდნენ. მეფემ ისინი დაჯილდოვა.“ (ი. ციცაძე).

თეიმურაზ ბაგრატიონი ამ ამბავს ასე აღწერს: „მას ჟამსა შეემთხვა ბედნიერება ესე ალი სულთანს, რომელ სამასამდე ხევსურნი, ქვეითი კაცნი ხევსურეთით მომავალ იყვნენ თბილისად... მაშინ ერთობლივ რქვეს ალი სულთანსა, წამოვედ ჩვენთანა, ვითარცა მხედართ მძღვანი მეფისა ჩვენისა... ვებრძოდეთ მტერსა და წარვიქციოთ იგინი... სთნდა სიტყვა ესე სულთანსა და წარუძღვა მხნედ მათ ხევსურთა და ჰყვეს ბრძოლა ფიცხელი სპარსთა მიმართ. სპარსნი უკუე იყვნეს უმეტეს ოთხი ათასისა. ხოლო ესენი არა უმეტეს ხუთასთსა. სძლიეს, უკან აქცივნეს და იოტნეს სპარსნი და რომელნიმე მათთაგანი მოსრნეს და რომელნიმე შეიპყრეს და მიუძღვნეს მეფეს.“

მეფემ ხევსურებს „ანიჭნა ღირსნი ჯილდონი“-ო, წერს მემატიანე.

არ ჩააყოლეს ალა-მაჰმად-ხანის ჯავრი ხევსურებმა მეფე-ბატონს.

მეფე ერეკლეს სიკვდილი. ასზე მეტი დიდი და მცირე ბრძოლა გადაიხადა უკანასკნელმა დიდმა ბაგრატიონმა და ყოველთვის მის გვერდით იდგნენ ხევსურნი. ჩაესვენა მზე ბაგრატიონთა საქართველოში და თითქოს დასრულდა აბჯაროსან ფხოველთა ისტორიაც.

„...აეხლა ყველა გავრუსდით: ...ტალავარიც გამავიცვალეთ, გუნება, ხასიათიც. ქართველი რუს აღარაით გაერჩევის. ნეფე ერეკლე რო მაგვიკვდ, მაშინ წახდ ჩვენ საქმე: თავის გვარ-ძვალს ვყიდით, აღარ უაზრებთ ძველ გზას, ძველ მაკეთეს.“ — წერდა ფრონტიდან 1915 წელს ბესარიონ გაბური აკ. შანიძეს.

გულით დაიტირეს ხევსურმა თავისი ბატონი „ნეფე ერეკლე“. გვერდიდან არ მოსცილებიან მეფის ცხედარს და უკანასკნელ გზაზეც, თელავიდან მცხეთამდე, გაჰყვნენ.

მეფე ერეკლეს სიკვდილზე თუშ-ფშავ-ხევსურთა გლოვას უძღვნის ლექსს ერეკლეს დროის პოეტი გოდერძი ფირალიშვილი სათაურით: „თუშთა, ფშავთა და ხევსურთაგან გლოვა ირაკლი მეორისა“. ლექსი ასე იწყება: „აღსდექ გმირთ-გმირო, ნუ გძინავს, მტერთა ისმიან ხმანია, გრძლად ძილის ჩვეულ როდი ხარ, მოგვიხმე უნჯნი ყმანია... ვართ ბრძოლად მათდა მოსრულნი, ზოგთაგან ოთხნი ძმანია...“

მემატიანე ისტორიკოსები საგანგებოდ აღნიშნავენ ვინმე ქიზიყელი დედაკაცისგან მეფის დატირებას. ჩვენის მხრიდან არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ხევსური მელექსის მიერ ერეკლეს სიკვდილზე ნათქვამი: „ვერ გაიგეთა ქართველნო, შეგეკსნათ რკინის კარია...“, რომელიც საუკეთესო ნიმუშია ხალხური პოეზიის (სწორედ ამ ლექსის საფუძველზე უნდა დაეწერა თავისი ლექსი გოდერძი ფირალიშვილს). ამ სიმღერას ხევსურები ჯვარში დღეობის დროს მღეროდნენ. ილია ჭავჭავაძე მას მწიგნობრულ ლექსზე მაღლა აყენებდა და ერის გულიდან ამოფეთქებულ თოფისწამალს უწოდებდა. გადმოცემით,

პოეტი „ილიაობაზე“ მოწვეულ ხევსურებს უეჭველად „ვერ გაიგეთა ქართველნო“-ს ამღერებდა. (დ. გოგოჭური).

ხევსურნი მეფე ერეკლეს სიკვდილსა მის შემდგომ მოვლენებს „ჭმელეთის დაქცევას“ უწოდებენ და ძლიერ განიცდიან: „ღმერთო, რა დიდი ბრალია არევა ქალაქისაო, დალევა ბაგრატიონთა, ჩარჩევა მასკვლავისაო. მეფის ერეკლეს სიკვდილი, დაქცევა ჭმელეთისაო“.

მეფე ერეკლის დროის ხევსურეთი. ერეკლეს მეფობის ხანა ხევსურთათვის ძლიერებისა და აღზევების ხანაა. ერეკლემ განსაკუთრებულად წარმოაჩინა, დაიახლოვა და შემოიმტკიცა ხევსურები თავის გვერდით. „ეძმო“ მათ ნახევრადწარმართულ გუდანის ჯვარს, რომელიც ხევსურთა ცენტრალური სალოცავი და მოლაშქრე ხთისშვილი იყო. ერეკლემ ისარგებლა ამ მომენტით და გუდანის ჯვრის ქურუმ-ხევისბერნი, რომელთაც ემორჩილებოდნენ მორწმუნე ხევსურნი, საქართველოს ძლეიერების განმტკიცებისთვის სამსახურში ჩააყენა. აკ. შანიძე წერდა: „მოქნილი პოლიტიკის წყალობით ერეკლეს თავის გავლენის სფეროში მოუქცევია ხევსურები, როგორც ომში მეტად გამოსადეგი ხალხი.“

მეფემ იცოდა, რომ ხევსურთა თემებს შორის არ იყო მტკიცე კავშირი. ზოგიერთი თემი ცდილობდა საგვარეულო თუ სათემო ჯვრის დროშით ლაშქარში გასვლას და ერთმანეთზე ძალმომრეობდა, რაც ერთიანობის რღვევის უმთავრესი მიზეზი იყო. მეფემ მოახერხა ხევსურთა ძველი ერთიანობის აღდგენა ერთი ჯვრის დროშის ქვეშ. მან შეძლო არა მარტო ხევსურთა, არამედ მთლიანად აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა გაერთიანება, ცდილობდა რა კავკასიის ქრისტიან ხალხთა ანტიმუსულმანური კოალიციის შექმნას.

ხევსურთა გასაერთიანებლად მეფე ეყრდნობოდა გუდანის ჯვრის ქადაგებსა და ხევისბერებს, რომელნიც ფარულად, მეფის კარნახით მოქმედებდნენ. განსაკუთრებით იღვწიან გუდანის ჯვრის ტახტის ყმანი თოთია გაიდაური, თამარისძე ჯინჭარაული, აბა და მგელა კურდღელისძენი (ჯინჭარაულები).

ერეკლე მეფე საბოლოოდ აუქმებს სოფელ ღელისვაკეს „ხთისკრობას“ და ხევსურთა ძირითადი თავშეყრის ადგილი სანეს მთაზე გადააქვს.

ხევსურები ერთიანი ძალით ლაშქრავენ ჩრდილოეთ კავკასიელ მაჰმადიან მთიელებს და ცდილობენ აღიდგინონ ძველი დიდება-ძლეიერებისა და მეზობლებზე გავლენის აღდგენას. მაგრამ ხევსურთა გადამწყვეტი ლაშქრობა მითხოს ხეობაში მარცხით მთავრდება.

გუდანის ჯვრის ყმანი თავის უპირატესობას თემობრივი ინტერესებისთვისაც იყენებენ. სამაგანძუროს ხევსურნი საბოლოოდ მკვიდრდებიან საარაგვოზე და ზოგი ადგილის უწინდელ მკვიდრ გვარებს „ადგილის ბეგარასაც“ შეუწყვეტენ. აკი XVIII ს-ში ხევსურეთიდან ჭართალსა და ქსნის ხეობაში

ჩასახლებული გიგაურები ბატონიშვილთან ჩადიან: ფშავ-ხევსურეთში წინ-კარსა და გველეთ-დათვისში კუთვნილი მამულები წაგვერთვაო.

გუდანის ჯვრის დროშის ქვეშ ხევსურთა გაერთიანების პრობლემები. საქართველოს სამეფოს გაუქმების შემდეგ ხევსურების თემები კვლავ ცალკეულ „საროშოებად" დაიშალა და ერთმანეთს განუდგა. გუდანის ჯვრის მსახურნი ცდილობენ განამტკიცონ ჯვარიონთა ტრადიციული მსვლელობანი როგორც გუდანის ჯვრის საბეგრო ადგილებში, ასევე ხევსურეთის სხვა დამოუკიდებელ თემებში, რომელთა მკვიდრნი სამეფო ხელისუფლების დავალებით გუდანის ჯვარს მორჩილებდნენ და ბეგარასაც იხდიდნენ. „ჯვარის ბეგარი" შეადგენდა დაახლოებით 3-5 ცხვარს სოფელზე და დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რამდენი ჯვარი უნდა მოეხსენიებინათ ერთობლივი ღლეობის დროს. ეს ბეგარა უნდა დაეხვედრებინათ გუდანის ჯვარიონთათვის და დაიკვლებოდა იქვე, იმავ თემის ჯვარში. ამას გარდა, იყო „საბალახე" ბეგარა, რომელსაც იხდიდნენ ხევსურეთის მთებში მდგარი გუდამაყრელი, ფშაველი, ქისტი და თუში მეცხვარეები. სწორედ ამ „საბალახე" გადასახადის გაყოფის გამო ვერ რიგდებოდნენ ხევსურები და ჰქონდათ ერთმანეთში დავა. ეს „საბალახე" ბეგარა ძველად იყო ერთადერთი წყარო, რითაც ხევსურები ისტუმრებდნენ სახელმწიფო ხარკს და თავადაც რჩებოდათ მცირედი.

გადმოცემით, გუდანის ჯვარს „საბალახე" ორას სულზე მეტი ცხვარი მოუდიოდა ყოველწლიურად, რომელსაც საენკენიოდ გამორეკავდნენ გუდანის ჯვრის მსახურნი არდოტიდან, წყალსიქითიდან, გუდამაყრიდან, ოხერხევიდან, არხოტიდან. ს. მაკალათიას ცნობით, არხოტიდან „საბალახე" 80 სული ცხვარი მოდიოდა, ამდენივე მოდიოდა არდოტიდან. ბეგრის ნაწილი ეგზავნებოდა მეფის მოურავს, როგორც სახელმწიფო გადასახადი, ნაწილი კი გიორგობასა და წელწად ღლეობას იკვლებოდა გუდანის ჯვარში („ბეგარჭოცა") და მხოლოდ სამაგანძუროს სამ გვარზე ნაწილდებოდა თანაბრად. ცხადია, გუდანის ჯვრის ყმათა ეს უპირატესობა სხვა ხევსურების უკმაყოფილებას გამოიწვევდა.

ჯვარიონთა მსვლელობა სხვადასხვა თემებში ჯერ კიდევ უძველესი დროიდან მომდინარეობდა და სახელმწიფო ინტერესებშიც შედიოდა, როგორც მთიანეთში გადასახადის აკრეფის მოგვარებისა და სხვადასხვა ჯვრის ყმათა ნებით თუ ძალით ერთი ჯვრის გავლენის ქვეშ მოქცევის ფაქტორი.

თუ ხახმატისა და კარატის ჯვრების დროშები მოგზაურობდა თუშეთში, გუდამაყარში, ფშავში, დიდოეთსა და ძურძუკეთში, გუდანის ჯვარიონნი ხევსურეთის შიგნითა თემებში მოძრაობდნენ. ამას გარდა, წყალსიქითის თემს, დიდგორის ჯვრის ყმათ, მოჰყავდათ ბოდავის თეთრი გიორგის ჯვარი, რომელიც პირაქეთა ხევსურეთის სოფლებს მოივლიდა, როგორც დარ-ავდრისა და

მოსავლიანობის მფარველი ღვთაება. ღულელებს მოჰყავდათ შუაფხოს იახსრის ჯვარი, ასვენდრებდნენ ოთხრქა-ოთხყურა ცხვარს და იარაღში ჩამჯდარნი ერთიანი ძალით „ლაშქრავდნენ“ აბუდელაურის ტბაში ჩასულ დევ-კერპთ.

ჯვარიონთა ეს მსვლელობები დიდად მნიშვნელოვანი იყო ორივე მხრისთვის. მოარული ჯვრის ყმანი მფარველობდნენ და იცავდნენ მოძმეებს მტრისა თუ ყაჩაღისგან. მათ დასახმარებლად ლაშქარიც გაჰყავდათ.

საქართველოს სამეფოს გაუქმების შემდეგ ჯვარიონთა მსვლელობას თანდათანობით წინ ალუდგნენ სხვადასხვა ჯვრის ყმანი და სამღვდელოება. ზოგი იარაღითაც დახვდა გუდანის ჯვრის მსახურთ და დახოცეს. ზოგმა კი მთავრობაში დაიწყო ჩივილი — გუდანის ჯვარს ჩვენი მამულები აქვს მითვისებულიო.

ხელისუფლება კი, იმის მაგივრად, რომ შეერიგებინა და შეეკავშირებინა ხევსურეთის თემ-სოფლები, თავად უწყობდა ხელს მტრობის გაღვივებას — არ აწყობდა მეამბოხე მთიელთა ერთიანობა. თეიმურაზ ბაგრატიონი უკვე ალექსანდრე ბატონიშვილის დროის ხევსურეთზე წერს: „სოფელთა და სოფელთა აქუნდათ ურთიერთარს მტერებაი.“

ასე ნელ-ნელა დაიშალნენ ერთი ჯვრის დროშის ქვეშ გაერთიანებული ხევსურნი. მეფე აღარ ეძახოდა ხევსურთა ლაშქარს და აღარც გუდანის სალაშქრო დროშა აერთიანებდა ხევსურებს. გუდანის ჯვარმა, როგორც მოლაშქრე ღვთებამ, ფუნქცია დაკარგა. გვიანობამდე ერთიანი ხევსურეთი მხოლოდ გუდანის ჯვარში დადებულ რჯულს ემორჩილებოდა. XX ს-ის პირველ ნახევარში ეს ტრადიციაც დაირღვა, როდესაც ერთ-ერთმა თემმა, თავისი ინტერესებიდან გამომდინარე, სისხლ-მესისხლეობის ახალი რჯული მიიღო.

„ქალაქის არევა“. ნიახურას ომი. ერეკლე მეფის სიკვდილის შემდგომ წლებს ხევსურნი „ქალაქის არევას“ უწოდებენ. შემოვიდა რუსი. ატყდა ბატონიშვილებს შორის ბრძოლა.

1800 წელს, ნიახურას ომის წინ, თითოეული ბატონიშვილი ცალკე უგზავნის კაცებს ხევსურებს და მხარდაჭერას სთხოვს.

ალექსანდრე ბატონიშვილი ლეკთა ჯარით იოანე, ბაგრატ და გიორგი ბატონიშვილებს შეება: „გავარდა ალექსანდრეი: ჯარ მინდა დაღისტნისაო, ჴევსურეთ კაცი გაგდა: თავი დამჭირდა ყმისაო“.

მეფე გიორგიმაც ხევსურებს მოუწოდა: „ჴევსურებ ჩამამივიდან, თორ ქალაქ წამერთმისაო.“

ხევსურები ორად გაიყვნენ. ძალიან უკვირს ძმათა ომი, რომელთაც შუამავლად რუსი ჰყავთ: „პირდაპირ ერთუცს დაუდგა, ჯარი ორისა ძმისაო... ორისა ძმისა ომობა ანდრეზად არ მადისაო.“

არხოტის თემის სოფელ ამღის პეტრე მოციქულის ჯვარში არსებულ ერთ-ერთ ზარს აქვს ასეთი წარწერა: „Ძ. ესე ზარი შევსწირეთ სამწყალო-

ბელთა ჩვენ ქარჩანი შვილნი ბაფიამ მეორე ძმა უთურგიამ და იმათი ბიძაშვილები ჭრელია და ბეწუნა ამ ნიშნით რომ რუსი დაამარცხა ომარ ხანს და მრავალი ლეკი დაიხოცა და ჩვენი ძმა ელგუჯანი იქ მოკვდა. ქ. კს. უ. პ. თ.“ წარწერა 1801 წელსაა შესრულებული და ნიახურას ომი უნდა იგულისხმებოდეს.

რუსების შემოსვლა საქართველოში და ხევსურეთი. საქართველოში რუსების შემოსვლის პირველი დღეებიდანვე ფშავ-ხევსურნი დედოფალს თავისი ოჯახით მთაში გახიზვნას სთხოვენ და ქალაქშიც ჩამოდიან მათ წასაყვანად. მაგრამ კალატოზიშვილმა „გასცა დედოფალი, რომელსაც უნებდა გაქცევა ქალაქიდამ თუშეთსა ანუ ფშავ-ხევსურეთსა.“ (პლ. იოსელიანი). ამ საქმის მოთავე ფშავ-ხევსურთა თავკაცებიც, ვინმე „გორდილას“ ხელმძღვანელობით, თბილისში ჩასვლისთანავე დააპატიმრეს.

საქართველოს რუსეთთან შეერთების პირველ წლებში, რუსები თუშ-ფშავ-ხევსურთათვის აწესებენ სამოურავოს, რომელსაც ცენტრი თიანეთში აქვს. მოურავს უნდა ჰყოლოდა თანაშემწედ რუსი მოხელე, რომელმაც რა თქმა უნდა, ქართული ენა არ იცოდა. მოურავის თანამდებობა იგივე იყო, რაც სამაზრო პოლიციის უფროსი (ბოქაული, პრისტავი).

საქართველოში გამწესებულ მარკიზ პაულუჩჩის და საერთოდ რუს ხელისუფალთ, რომელთაც საგანგებოდ ჰქონდათ შესწავლილი საქართველოს მთიანეთი, სურდათ თიანეთისა და თუშ-ფშავ-ხევსურეთის მოურავ ჩოლოყაშვილთა გვარი, რომელიც ამ მხარეს თითქმის ხუთი საუკუნე განაგებდა, როგორც რუსთათვის არასაიმედო, თავიდან მოეშორებინა და სამოურავო რუსეთის ერთგული კაცისთვის გადაეცა. ასეთი პიროვნებაც გამოიძებნა — მაყაშვილი. მაგრამ უკმაყოფილო თუშ-ფშავ-ხევსურნი აღდგნენ და მაყაშვილს, რომელიც კარგად იცნობდა მთიელებს, არც უცდია ამ თანამდებობაზე სამსახური, უარი სთქვა.

თუშ-ფშავ-ხევსურეთის მოურავად რუსების მიერ დანიშნული დიმიტრი ჩოლოყაშვილი იმავ წლებში მოკლეს მთიელებმა. შემდეგ მოურავად ინიშნება ივანე ჩოლოყაშვილი. მისი სიკვდილის შემდეგ კი მთიელთა მოთხოვნით — გრიგოლ ჩოლოყაშვილი (მონაწილეობა მიიღო ამბოხებულ მთიელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. „გრიგოლო ჩოლოყაშვილო წინ-წინ ღალატი შენიო, შენ შემიყარე ლაშქარი, მთის ხალხი დასწვი ჩემიო.“).

პაულუჩჩის შემდეგ მოსულმა რტიშჩევმა მოურაობა გააუქმა და მის ნაცვლად ბოქაულობა შემოიღო. ფშავ-ხევსურეთის მთავარ ბოქაულად ინიშნება ევგენი ქობულაშვილი — 1812 წლის აჯანყების ჩამხშობი.

თუშ-ფშავ-ხევსურთათვის რუსთა ბატონობის პირველ წლებში, საქართველოს სხვა მხარეებისგან განსხვავებული ადმინისტრაციული ერთეულის — მოურავობის დაწესება იმით იყო გამოწვეული, რომ მეამბოხე

მთიელთაგან მოსალოდნელი უკმაყოფილებანი და მღელვარებანი თავიდან ყოფილიყო აცილებული. მართალია, თუშ-ფშავ-ხევსურთა მოურავად ქართველი თავადი დანიშნეს, მაგრამ საქმეს მათი რუსი თანაშემწეები წარმართავდნენ, რომლებმაც ენა და მთის ტრადიციები არ იცოდნენ და ყველაფერს თავისი საზომით უდგებოდნენ.

1803 წელს მეფე ერეკლეს დროის სახელმწიფო ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულები საბოლოოდ დაიშალა, მათი სამფლობელოები აღწერეს და რუსეთის იმპერიის სახაზინო საკუთრებად გამოაცხადეს.

1804 წლის ამბოხება და ხევსურები. მთიულეთ-გუდამაყარი, რომელზედაც გადიოდა საქართველოს სამხედრო გზა, რუსთა თვითნებობითა და უსამართლობით შევიწროვებული 1804 წელს იარაღით ხელში გამოვიდა. მთიულებმა დახმარება ხევსურებს სთხოვეს. მართალია ხევსურეთს რუსი ვერ სწვდებოდა და სამხედრო გზიდანაც შორს იდგნენ, მაგრამ „ხევსურეთი ცნობილი იყო თავისი გულადობით და მეამბოხენი ფიქრობდნენ ხევსურების მომხრობით რუსის ჯარის დამარცხებას.“ (ს. მაკალათია).

მთიულ-გუდამაყრელთა ამბოხი მთელ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთს მოედო. თიანეთის მოურავი ჩოლოყაშვილი ვოლკონსკის წერს: „ხევსურები და ფშავლები აჯანყებას აპირებენ, არ მიგონებენ და არ ვიცი როგორ მოვიქცეო.“

სალაშქროდ გამზადებული ხევსურებიც გაურკვეველ მდგომარეობაში არიან. ცალკე მეამბოხე ბატონიშვილები და მთიულ-გუდამაყრელნი სთხოვენ დახმარებას, ცალკე მთაში გავლენიანი კაცი, რუსთა მოხელე გაბრიელ ყაზბეგი და მეფისნაცვალი უგზავნიან კაცებს საჩუქრებით და ბრძოლაზე ხელის აღებას სთხოვენ, ემუქრებიან კიდეც: „...დადექით, თორემ ქვას ქვაზე არ დავტოვებთო!“

გაბრიელ ყაზბეგმა, რომელსაც ერთ ხანს ამბოხებულებმა მეფობაც კი შესთავაზეს, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა აჯანყების ჩახშობასა და მთიულთა დამორჩილება-დაშოშმინებაში, მის ესოდენ ერთგულებას იმპერატორის მიმართ „ნამესტნიკიც“ კი გაოცებაში მოჰყავდა. ხევსური მთქმელი ამბობს: „ანდრეზად არ მადიოდა, რაიც გაბრიელ ქნისაო, დალივნა ბაგრატიონნი, თაოდ ბატონად ზისაო.“

გაბრიელ ყაზბეგმა მოახერხა თუშებისა და ფშავლებისგან აჯანყებაში ჩაურევლობის გარანტიის მიღება. გადაიბირა ზოგი ხევსური თავკაციც, თუმცა მას ხევსურთა საბრძოლო განწყობილებაზე დიდად არ უმოქმედია. ფშავლებმა და თუშებმა ამბოხებაში ჩაურევლობა თავის სასარგებლოდ გამოიყენეს. მათ ვოლკონსკის თავისთვის ცალკე მოურავების დანიშვნა და ცხვრის საძოვრებზე უსაფრთხოდ მიმოსვლის გარანტია მოსთხოვეს.

11 ივლისს გუდანის ჯვარში ათასამდე მოლაშქრე ხევსური შეიკრიბა და თავკაცებმა ბჭობა გამართეს. ქადაგიც დასვეს, უკვე ხანში შესული, მონაწილე ასპინძისა და კრწანისის ბრძოლებისა — თოთია გაიდაური (ჯინჭარაული). „ხალხს ეხლაცა სწამს, რომ რუსის ლაშქარი დარიალში ვერ შემოვიდოდა, გუდანის ბორაყს ვერ გაუშაგრდებოდა, თოთია გაიდაურს რომ არ ეღალატნა და ფულით მოსყიდული ვილაც ყაზბეგისაგან უკან არ დაბრუნებულიყო — ხატი ლაშქრობას არ ყაბულობსო.“ წერდა გასულ საუკუნეში ნ. ხიზანიშვილი (ურბნელი).

საქართველოს სამეფოს გაუქმებამ, საქართველოში რუსების შემოსვლამ და არეულობებმა მთიელებზე დიდი ზემოქმედება მოახდინა. მათ ვერ წარმოედგინათ საქართველო ბაგრატიონი მეფეების გარეშე. ეს მოვლენები ღვთისაგან დროებით მოვლენილად მიაჩნდათ და ქადაგს ქადაგზე სვამდნენ, რათა მოესმინათ ღვთის ნება. ქადაგ-ქურუმნიც „ბაგრატიონთა დალევას“, „ქოჩრიანთ (რუსთა) ჭელმწიფის დავლათის გამარჯვებას“, „სისხლის წვიმებს“, „ცულის ყუობასა“ და „ხმლის ქარქაშობას“ (უპურობა-შიმშილობას) იძახოდნენ, თუმცა „ვადით ვადამდე“ (დროებით). როგორც ჩანს, ქადაგთა ნაწილი ხელისუფლების მიერაც იყო მოსყიდული და მთიელებს მორჩილებისკენ მოუწოდებდნენ, რის შესახებაც წერს ვაჟა-ფშაველა ლექსში „ხატმა გვიბრძანა“: ფშაველთა ამბოხებაში ჩაურევლობის ერთ-ერთი მიზეზი ლაშარის ჯვრის ქადაგი ყოფილა.

ხევსურებმა მეფისნაცვალს თვალთმაქცურად მორჩილების წერილები გაუგზავნეს, „...ჩვენ გუდანის, ღულისა და ბლოს ხევსურნი ვიქნებით ერთგულნი ყოვლად მოწყალე ჭელმწიფისა... თავდებად გაძლევთ გუდანის ჯვარს...“ თავად კი სალაშქროდ გავიდნენ. ხევსურთა ეს თემები თავდებში აძლევენ მათურლებისა და ნამხაძეების გვარებსაც. ასეთივე შინაარსის წერილი გაუგზავნიათ ბისოელ-ხახმატელებსაც, რომელნიც თავად ვოლკონსკის, ნიშნად ერთგულებისა, თავდებად აძლევენ „თავიანთ ნათესავ“ თავად ჭავჭავაძეთა გვარს.

შვიდასი ხევსური მოლაშქრე ფხიტუს უღელტეხილთან მთიულეთში გადავიდა და ამბოხებულებს შეუერთდა. ამბოხებულებმა ამოხოცეს რუსთა მეფის მოხელეები, გაანადგურეს საგუშაგო კაიშაურში, ჩახერგეს გზები, დაეცნენ ანანურს და დუშეთ-ანანურიდან სტეფანწმინდამდე თავად დააწესეს კონტროლი. ამბოხებულთა გეგმა, აეღოთ დუშეთი და იქ მდგომი რუსის ჯარი ამოეწყვიტათ, ამბოხების ხელმძღვანელთა დავალებით შეიცვალა.

რუსთაგან საომარ ოპერაციებს ხელმძღვანელობდა გენერალი ტალიზინი. ბრძოლები გაიმართა ანანურთან და ლომისასთან, სადაც ამბოხებულებმა დაამარცხეს მაიორი შამკოვიჩი და მაიორი მელლა.

14 ივლისს ხევსურები მთიულეთიდან ხევში გადავიდნენ და სნოს დაბანაკდნენ. ამათ შეუერთდნენ საძელეზე გადმოსული სხვა ხევსურებიც. აბზოხებულთა მთავარი მიზანი იყო რუსებისგან დარიალის ხეობის გაწმენდა.

დამფრთხალმა ყაზბეგმა კვლავ მიუგზავნა კაცები ხევსურებს: „ნუ გასტეხთ ერთგულების ფიცს და ჩემს მტრებს ნუ მიემხრობითო.“ ხევსურებმა შუაკაცები უარით გააბრუნეს და აჯანყებულებთან ერთად სტეფანწმინდის ციხე აიღეს.

გატყდა რუსთა წინააღმდეგობა, დარიალის ხეობაში მდგარი რუსული გარნიზონიც განადგურებული იქნა.

სტეფანწმინდის ციხის აღების შემდეგ ხევსურებმა აბზოხებულებთან ერთად გადაწყვიტეს ანანურის ციხის აღება და ქსნის ხეობით ქართლში შეჭრა, რაც უკვე საქართველოში რუსთა ბატონობის დასასრულს ნიშნავდა.

მეფისნაცვალი ქსნის ერისთავებს საერისთაოს აღდგენას შეპირდა, თუ ისინი აბზოხებულებს გზას გადაუკეტავდნენ და ბატონიშვილებს არ მიემხრობოდნენ. ქსნის ერისთავებმა რუსთა მხარე დაიჭირეს.

აბზოხებულმა თაგაურებმა, ხევსურებმა, მთიულებმა და გუდამაყრელებმა ნადავლი თანაბრად გაინაწილეს. გაბრიელ ყაზბეგის თხოვნით ტყვედ ჩავარდნილი რუსები ხევსურებმა ჩაიბარეს, რათა შურისმაძიებელ მთიულთაგან მათი უსაფრთხოება დაეცვა და გადაერეკა ისინი საქართველოს საზღვარს იქით, რუსთა უახლოეს საგუშაგომდე. ზოგ ხევსურს ტყვე რუსი ხევსურეთშიც წამოუყვანია „წყემსმუშაად“. აქტებშიც არის აღნიშნული, ბუნტის დროს ქართველებმა ზოგი რუსი ტყვე მონებად გაიხადესო.

ხევსურებმა აჯანყება დამათვრებულად ჩათვალეს და საათენგენოდ უკან გაბრუნდნენ.

აჯანყებულთა დასასჯელად სასწრაფოდ გამოემართნენ რუსეთის არმიის ნაწილები ერევნიდან და რუსეთიდან.

მთიულებმა კვლავ ხევსურეთში გაგზავნეს კაცი. ამავე დროს ხევსურეთს ეწვივნენ მეფისნაცვლის ელჩები — თავადი მაყაშვილი და ქობულაშვილი, რომლებიც საჩუქრებითა და დაპირებებით ცდილობენ დაიყოლიონ მეაბზოხენი და ხელი აიღებინონ ბრძოლაზე.

30 ივლისს მაყაშვილი და ქობულაშვილი ვოლკონსკის მოახსენებენ: „1000 ხევსური მთიულებთან რომ მიდიოდნენ, ჩამოვაშორეთო.“ თუმცა 3 აგვისტოს ხუთასი ხევსური კვლავ მთიულ-გუდამაყრელთა გვერდით დგას.

გადამწყვეტი ბრძოლა სოფელ სიონთან გაიმართა. ჩრდილოეთიდან წამოსულმა გენერლებმა გლაზენაპმა და ნასვეტაევმა, ხოლო სამხრეთიდან მოსულმა გენერალმა ციციანოვმა და რუსეთის ერთგულმა ქართველმა დიდებულებმა აჯანყებულები ამოწყვიტეს და დაამარცხეს.

მთიელთა ამბოხი, რომელმაც სერიოზულად შეაშფოთა რუსეთი, მარცხით დამთავრდა. ფარნაოზ ბატონიშვილმა ერთ ხანს ხევსურეთს შეაფარა თავი, მაგრამ მალე ისიც და მისი მეამბოხე ძმებიც ქართველ დიდებულთა შინაგამცემლობით ტყვედ იგდეს რუსებმა. ფარნაოზ ბატონიშვილთან ერთად ხევსურეთს თავს აფარებდნენ 18 წლის ალექსანდრე ჭავჭავაძეც — მთიულეთის ამბოხების მონაწილე. ალექსანდრე ბატონიშვილი დაღესტანს გადავიდა, მაგრამ ქართველ მთიელებთან კავშირი არ გაუწყვეტია და მიმოწერას აწარმოებდა.

1805 წლის იანვარში ბატონიშვილისგან საგანგებო დავალებით ჯერ კაწალხევს, შემდეგ კი ხევსურეთში ფარულად ადის გორჯასპი ნათალიშვილი, რომელიც ალექსანდრესა და ბაბანის წერილებს გადასცემს მთიელებს. ხევსურეთიდან გორჯასპი ბატონიშვილის დავალებითა და საჩუქრებით გადადის დუდარუკოსთან.

1812 წლის კახეთის აჯანყება და ხევსურები. 1812 წელს კვლავ აღსდგნენ ქართველნი. ამჯერად ახმეტელნი და თიანელნი გამოვიდნენ: „ვერ მოითმინეს თიანეთელთა ესე ვითარი სირცხვილი და იქმნა შფოთი რუსთა და ქართველთა.“ (დავით ბატონიშვილი).

1811–1812 წლებში საქართველოში შიმშილობა ჩამოვარდა და ხელისუფლებამ მოსახლეობას პური შეაწერა. თიანეთის მოურავმა ივანე ჩოლოყაშვილმა თიანეთელებსა და ფშავ-ხევსურებს, რომლებიც ისედაც შიმშილობდნენ პური არ გამოართვა და მის ნაცვლად 600 მანეთი თეთრი აკრიფა — „გაწერილ პურს ხაზინა აღარ მოგთხოვთო.“ მაგრამ მალე თიანეთის მაზრაში საეგზეკუციო რაზმი ჩააყენეს პურის ასაკრეფად. მთიელებმა პურის ამკრეფნი ამოხოცეს. მათ გვერდში დაუდგნენ ახმეტელები, მატნელები, თიანელნი და ფშავ-ხევსურნი, რომელთაც 2 თებერვალს გაანადგურეს საეგზეკუციო რაზმები და თიანეთის სამოურავოში ჩაყენებული მეცხრამეტე ჯარი.

თიანეთელებმა მხარდაჭერა მთიულ-გუდამაყრელებსაც სთხოვეს და შეუთვალეს, ჩაეკეტათ სამხედრო გზა. მთიულ-გუდამაყრელებმა ფასანაურის საგუშაგოზე მდგარი რუსები ამოხოცეს და ანანურისა და ღართისკარის ციხეში მდგარ რუსებს ალყა შემოარტყეს.

აჯანყება მალე მთელ კახეთსა და ქიზიყს მოედო და 12 თებერვლისთვის იგი თითქმის გაიწმინდა რუსთა ჯარისგან.

აჯანყებულებს სათავეში უდგას და ხელმძღვანელობს გრიგოლ ბატონიშვილი, რომელიც საქართველოს მეფედაც კი იქნა გამოცხადებული. ამასთანავე, თიანელთ და ფშავ-ხევსურთ ერევნიდან მოიწვიეს ალექსანდრე ბატონიშვილი და „... აღუთქვეს პირი მტკიცე“.

ალექსანდრე ბატონიშვილი წერილს სწერს გაბრიელ ყაზბეგს: „...გზა გააფუჭე და რუსობას ნუღარ გამოატარებ მაგ გზით. მხარი დაუჭირე ფშავ-ხევსურებს, ეგენი ხომ შენი სისხლი და ხორცია...“ გირჩევნია, მიენდო მეფე

ერეკლეს შვილს, ვიდრე რუსეთის სიტყვა-წყალობას, რომელიც წარმავალიაო, — დასძენს ალექსანდრე.

ბატონიშვილმა ფშავ-ხევსურნი გაამხნევა: „...როგორც ლომურად ყოფილხართ, ისე ლომურად გაისარჯენით, ბაგრატოვანთა და ლაშარის ჯვარისა და გუდანის ჯვარისა, მოძმის სამეფო ოჯახის მტრის...“ სისხლის ასაღებადო.

„ფშავ-ხევსურნი თავისუფლად დათარეშობდნენ თიანეთის სამოურავოში, გადადიოდნენ ანანურის მაზრაში და ანანურიდან მოკიდებული ღარის-კარამდე მგზავრებს თავს ესხმოდნენ და ძარცვავდნენ. ფშაველებსა და ხევსურებს მხარი დაუჭირეს ანანურელებმაც...“ (ალ. ფრონელი).

მთიულ-გუდამაყრელებმა არაგვის ერისთავის ჩამომავლის — იოსებ სიდამონიძის ხელმძღვანელობით დაიკავეს დუშეთი, ანანური და ფასანაური. მათ საწინააღმდეგოდ გამოილაშქრა დიმიტრი ორბელიანმა (ყაფლანისშვილმა) და არ მისცა კახელ ამბოხებულებთან შეერთების საშუალება.

ფშავ-ხევსურნი თიანეთში დგანან და ქსნელ ოსებთან ერთად ომან ჩოლოყაშვილის ხელმძღვანელობით თელავ-თიანეთის გზებს კეტავენ.

19 თებერვალს ბრძოლები ხაშმთან გაიმართა, სადაც იყვნენ „თუშნი, ფშავნი, ხევსურნი და თელავის მახლობელ სოფლელნი“. პოლკოვნიკმა ტიხონოვსკიმ მეამბოხენი უკუაქცია და რამდენიმე ფშაველი და ხევსური ტყვედ ჩაიგდო.

თუ კახეთში ამბოხებულებმა პირველ ხანებში გაიმარჯვეს და მტრის წინააღმდეგ ერთი პირით გამოვიდნენ, მეფეც კი დასვეს, ქართლში ასე არ მოხდა. საბრძოლველად გამოსულ მთიულ-გუდამაყრელებს მხოლოდ ორი თავადიშვილი იოსებ ერისთავი და სიმონ მაჩაბელი დაუდგნენ მხარში. მთიულ-გუდამაყრელებმა გაბრიელ ყაზბეგს მიუგზავნეს კაცები თხოვნით: განდგომოდა რუსებს და თავი მეფედ გამოეცხადებინა. მაგრამ ყაზბეგი ბოლომდე ერთგული დარჩა რუსთა ხელმწიფისა და მისი ხელშეწყობით მაიორმა უშაკოვმა ამბოხებულები დაამარცხა. მთიულ-გუდამაყრელთა თავკაცებმა, წესისამებრ, კისერზე ხმლები ჩამოიკიდეს და ისე წარუდგნენ რუს სარდალს.

მარტის ბოლომდე ებრძოდა მეფე გრიგოლ იოანეს ძე რუსთა ჯარს, მაგრამ შინაურთა განდგომით, რუსთა მაშველი ძალების მოსვლით, კახეთის აჯანყება დამარცხდა. მეფე გრიგოლი, რომელმაც მხოლოდ ერთი თვე იმეფა, რუსებმა მოტყუებით ხელში ჩაიგდეს და პეტერბურგის ციხეში გამომწყვდიეს. გრიგოლის რუსეთში გადახვეწით საქართველოში ბაგრატიონთა გვარი სამუდამოდ ამოვარდა.

სექტემბრის პირველ რიცხვებში თიანეთში ჩამოვიდა ალექსანდრე ბატონიშვილი და „შეკრიბა მუნ სპანი ფშავთა, ხევსურთა, თუშთა...“ გარდა ამისა, ალექსანდრესთან გამოცხადდა სამი ათასი ლეკით ომარ ხან ავარიელის ნათესავი ალისკანტი.

თიანეთიდან ბატონიშვილი თავისი ჯარით შუაგულ კახეთში გადავიდა. სამ კვირას ებრძოდნენ ქართველები პოლკოვნიკ ტიხონოვსკის და ყვარელთან სძლიეს კიდეც. „მუნ მოერივნენ ფშავ-ხევსურნი და კახთ თავადნი სრულიად და გლეხნი. შთავიდა მატანს, მუნით შთავიდა შილდას. მუნ მოერთო სრულიად გალმა მხარნი და ანწუხელნი ლეკნი და ქიზიყელნიცა სრულიად. იქნა ბრძოლა ძლიერი, იძლიენეს რუსნი და მოსწყდნენ ორასამდე სალდათნი.“ (დ. ბაგრატიონი).

კელავ ამოქმედდნენ მეფისნაცვლის ელჩები და ქრთამ-დაპირებით მეამბოხე ფშაველები დააშოშმინეს. „ნამესტნიკი“ რტიშჩევი ფშაველთა თავკაცებს სწერს: „თქვენ გახდებით ფშაველი ხალხის ჭეშმარიტი გამათავისუფლებელი და ბევრსაც მოიგებთ... დავაჯილდოვებ თქვენს ყველა თანაშემწეს და დამხმარეს, ავაყვავებთ ფშაველ ხალხს.“ ზოგჯერ ემუქრება და აურთხილებს კიდეც ფშავლებს: „მე მაქვს სარწმუნო ცნობები, რომ თქვენ კავშირს არ წყვეტთ გაქცეულ ალექსანდრე ბატონიშვილთან, მისგან ჯაშუშებს იღებთ. ჩემს რისხვას ვერ გადაურჩებით, ქვას ქვაზე არ დავტოვებ, სახლ-კარს გადაგიწვავთ, ხმლით აგჩეხავთ“.

რუსები ფშავლებს ავალებენ, რომ ხევსურეთიდან კახეთისკენ მიმავალი მოლაშქრენი ფშავის ხეობაზე არ გაატარონ და წინ აღუდგნენ.

გენერალმა დიმიტრი ორბელიანმა თუშებსა და ფშავლებს თავდებად ბარის საზამთრო საძოვრები ჩამოართვა და მიმოსვლაც აუკრძალა. ამასთანავე, რტიშჩევის ბრძანებით ფშავლების ორმოცი ათასი სული ცხვარი ამანათში აიყვანეს, ვიდრე ისინი ალექსანდრე ბატონიშვილს ხელისუფლებას არ ჩააბარებდ ნენ.

1813 წლის ხევსურეთის აჯანყება. კახეთის ამბოხების ჩახშობის შემდეგ ალექსანდრე ბატონიშვილმა ხევსურეთს შეაფარა თავი და იქ შვიდი თვე გაატარა. ხევსურებმა ქისტებთან და ლეკებთან შეკრეს კავშირი. შეიქმნა კიდევ ერთი კერა ამბოხებისა.

რტიშჩევი ალექსანდრე პირველს ამცნობს: „...ხევსურებმა გადაიბირეს თავიანთი ქისტი მეზობლები, ჩეჩნები, ყაბარდოელები და სხვა მთიელი ხალხი. ჩააგონეს მათ მისი უდიდებულესობის ჯარების სიძულვილი. მოუწოდეს, გამოზაფხულებისთანავე გამოსულიყვნენ მთებიდან, გამოჰყოლოდნენ ხეობებს, გაენადგურებინათ რუსული საგუშაგოები, რომლებიც საქართველოს სამხედრო გზას იცავენ, დაენგრიათ ხიდები, „კავკასიის ხაზიდან“ მომავალი გზები, გაერეკათ რუსები, როცა ამას მორჩებოდნენ, მოეწვიათ ალექსანდრე ბატონიშვილი მეფედ...“

შეშინებული რტიშჩევი იმპერატორს წერს: „მივიღე თუ არა ჩემს მიერ ხევსურეთში გაგზავნილ ჯაშუშთა ცნობები, დავრწმუნდი, რომ მთის ხალხებში სულ უფრო ღვივდება საქართველოს წინააღმდეგ მიმართული შეთქმუ-

ლება... გადავწყვიტე... ჯარები შევიყვანო ხევსურეთში... ეს საშუალებას მოგვცემს თავი დავაღწიოთ ხევსურთა ბოროტებებს, რომლებმაც ყოველგვარ ზომებს გადააჭარბა... ეს მაგალითი უნდა გახდეს, როგორც მათთვის, ისე სხვა ხალხებისათვის...“

რტიშჩევი იმპერატორისადმი მიწერილ წერილებში ასე ახასიათებს ხევსურებს: „თითქმის კერპთმსახურნი არიან, ვაჟკაცი და მეომარი ხალხია, ნაწილი ხევსურეთისა სრულებით არ ემორჩილება ჩვენს მთავრობას, ხოლო მეორე ნაწილი, მართალია ექვემდებარება საქართველოს, მაგრამ რა მორჩილებაა... აი ეს ხევსურები გაუმასპინძლდნენ გაქცეულ ბატონიშვილს და ბინა გაუჩინეს.“

ხევსურეთის ამბებმა ხელმწიფე-იმპერატორი ძალზედ შეაშფოთა. „ნამესტნიკს“ უბრძანა, დაუყოვნებლივ შეეყვანა სადამსჯელო ჯარები ხევსურეთში და დედაბუდიანად მოესპო ეს ხალხი.

ალექსანდრე ბატონიშვილი გრძნობს მოსალოდნელ საშიშროებას, ამაგრებს სოფლებს, აიარაღებს ხევსურებს, აჯილდოვებს მარილით, სპილენძითა და ქსოვილებით, რომელსაც მუსულმანი ხანები უგზავნიან. წყალობის სიგელებსაც არ იშურებს. ხახმატელთათვის ერთიანად ასეთი სიგელი უბოძებია: „...ჩვენს ხევსურეთში ყოფნაში დიდად ერთგულად გვემსახურეთ... ჩვენგანაც წყალობა დაგემართებათ და კიდევაც გათარხნებთ.“

სიგელები და სხვადასხვა ფასეული საჩუქრები უბოძა ბატონიშვილმა ერთგულ შატილიენებსაც. ს. მაკალათიას მიხედვით, ალექსანდრე შატილში მდგარა ბაბლია ჯინჭარაულის ქვითკირში. ხოლო ნანაისძე თოთიას ძე ჯინჭარაულის ოჯახში შემონახული ჰქონიათ ალ. ბატონიშვილის ბოძებული სიგელი: „ძ. ჩვენ ს~დ საქართველოს მეფის ძემ ალექსანდრე ესე წყალობის წერილი გიბოძეთ შენ განას შვილს განას და შვილსა შენსა ბათაკას და აბულეთს, ასე რომ ჩვენს შადილს ყოფნაში დიდად ერთგულად გვემსახურე... ღთით ჩვენს ქვეყანაში შესვლა რომ გვეღირსება, მაშინ სამს ლიტრას გაკეთებულს სპილენძს ყოველ წელიწადს გიბოძებთ და ხუთს ტანს ფართალს. და ჩვენს საბრძანებელში ყველგან გეელებოდეს: ქართლში, კახეთში და ქალაქში რჯულიანში და ურჯულოში, რომ ვერავინ დაგიშალოს და ვერცავინ გისაყვედუროს და არც შენის სავაჭროს ბაჟი გეთხოვებოდეს. გქონდეს და ღმერთმა ჩვენს ერთგულებაში მოგახმაროს. თებერვალს კ ღ (25) ქ კს ფა (501)=1813 წ. აზის ბეჭედი ალექსანდრე.“

ასეთივე წერილები ჰქონდათ ჭირჩალა და ვაჟია ჯალაბაურებსაც.

„ქალაქ თუ მე დავიჭირე, მერე მე ვიცი თქვენიო“, – ეუბნება ალექსანდრე ხევსურებს.

თავად ხევსურები ფიქრობენ, რომ რუსის ჯარი ხევსურეთში ვერ შევა. „გაბრიელ ჭევსურთ ვერ შახვ, ტყვიას აგასხმენ წვრილსაო.“

ალექსანდრე ბატონიშვილის შესაპყრობად და ხევსურთა დასასჯელად 3 200-კაციანი ჯარი შევიდა ხევსურეთში, რომლებსაც ოთხი გენერალი სტალი, სიმონოვიჩი, ტიხონოვსკი და ორბელიანი შემოუძღვნენ სამი სხვადასხვა მხრიდან: ფშავის ხეობიდან, ფხიტუსა და აწუნთის უღელტეხილებიდან. ამათ კვალდაკვალ მოჰყვა საძელეს უღელტეხილზე გადმოსული პოლკოვნიკი ყაზბეგი მარბიელ მთიელთა ასულით.

ფშავლებმა და თუშებმა, რომელთა კახეთში მდგარი ცხვარი ხელისუფლებას ამანათში ჰყავთ აყვანილი, რუსთა ჯარს ხევსურეთისკენ მიმავალი გზები გაუხსნეს და მეგზურებადაც კი გაჰყვნენ რუსთა მხედრობას. „...გაგონით არავისა ჰქონდა გაგონილი, რომ თავხედი მტერი ოდესმე შეპსეოდეს ამ უგზო-უკვლო და მამაცი ხალხით დასახლებულ ქვეყანას... ხევსურები სახტად დარჩნენ და კარგა ხანს ვერ გადაეწყვიტათ — ვესროლოთ თოფი ამ ეშმას კერძებს, თუ არაო.“ (ვაჟა-ფშაველა).

რუსების ჯარი ნიჟეგოროდის დარაგუნთა პოლკის ჯარისკაცებისგან შედგებოდა, რომელიც მაშინ თიანეთსა და ყარალაჯში იდგა. მას გენერალი სტალი სარდლობდა. ეს პოლკი თავად პეტრე პირველის ინიციატივით შეიქმნა და ყოველთვის პასუხსაგები დავალების შესასრულებლად იგზავნებოდა.

რუსეთის იმპერიის ისტორიაში ხევსურეთის ლაშქრობა „დამსჯელი ექსპედიციის“ სახელწოდებითაა ცნობილი და რუსთა მეისტორიენი კავკასიაში რუსული იარაღის გამარჯვებას სიამაყით ღაღადებენ. საქართველოს ისტორიაში კი ეს ტრაგიკული ამბავი და მოოხრება უდანაშაულო მოსახლეობისა ნაკლებადაა ცნობილი. თ. ბაგრატიონი თავის „ახალ ისტორიაში“ ერთგან მოკლედ აღნიშნავს: „ოდეს წავიდა რა ალექსანდრე ფშავსა, უკანა გავდევნენ ღენერალი სიმონოვიჩი და სტალი ძლიერი მხედრობითა. აღვიდნენ ფშავსა. მით რამეთუ ფშავნი არა წინ აღუდგნენ და თუშებითურთ გარდაუძღვნენ მხედრობათა რუსთასა ხევსურეთს და წარატყვენვინეს ვიდრე კისტანამდე. ხევსურთა ვერა იკადრეს ბრძოლა მათი, ვინათგან სოფელთა და სოფელთა აქუნდათ ურთიერთ არს მტერობაი, ოდეს დაბრუნდა მუნით რუსთა მხედრობა, მოასწრეს წყალ-წყალში ხევსურთა, იძლივნეს რუსნი და მოკუდა უმრავლეს ხუთასისა და დასჭრეს მუნ ყაფლანიშვილი ყაფლან მაიორი.“

„მე ოთხი მხრიდან ვუტევ ხევსურებს, რათა სამაგალითოდ დავსაჯო ისინი და სხვა მთიელებიც მოვაჭკვიანო.“ „ეს არის უმაგალითო ექსპედიცია, რომლის მსგავსი ქვეყნიერებაჰ ჯერ არ იცის.“ — პატაკს პატაკზე უგზავნის დამსჯელი ექსპედიციის უშუალო ხელმძღვანელი, გენერალი რტიშჩევი იმპერატორს, რომელიც გალვიძებისთანავე პირველ რიგში ხევსურეთის ამბებს კითხულობს.

გენერალი სტალი გუდამაყრის გამოვლით ფხიტუს უღელტეხილზე გადმოვიდა, სადაც უკანახოვლების მცირე რაზმი შეება რუსებს. „დღეს ჩემი რაზ-

მით აქ თოვლიან მთასთან მოვედი, რომელიც გუდამაყარსა და ხევსურეთს ერთმანეთისაგან ჰყოფს. აქაურ დეკანოზებს მოვთხოვე გადმოეცათ ბატონიშვილი ალექსანდრე. მათ ყოყმანით მიპასუხეს... მე უმალ გზის ნაპირზე ჩასაფრებულ რაზმებს შევუტიე..."

სტალმა სოფელი უკანახო გადაწვა და „ნამესტნიკს" აცნობა: „ხევსურებმა დიდი წინააღმდეგობა გამიწიეს, ბრძოლა ორ საათს გაგრძელდა...ერთი მოკლული და სამი დაჭრილი დარჩათ..."

სტალმა გზადაგზა სხვა სოფლებიც გადაწვა და ხახმატში ორბელიანს შეუერთდა. მოაოხრეს და დაანგრიეს ბისო-ხახმატი, ჭორმეშავი, გუდანი და 23 მაისს ლებაისკარში გადავიდნენ, სადაც გენერალი სიმონოვიჩი იდგა.

ალექსანდრე ბატონიშვილმა განსაკუთრებით გაამაგრა სოფლები — გურო და შატილი, სადაც მოხალისე ქისტი მებრძოლებიც გამოცხადდნენ.

რუსებმა მოლაპარაკება და ბატონიშვილის გადაცემა მოინდომეს, მაგრამ სიმონოვიჩის გაგზავნილი ელჩი ხევსურებმა გზაშივე მოკლეს და მოწინააღმდეგეს პასუხიც არ დაუბრუნეს.

რუსებმა ძლიერი ცეცხლი გაუხსნეს გუროსა და შატილს და იერიშზე გადავიდნენ. მოსახლეობა ტყე-ღრეში იყო გახიზნული. კოშკებიდან და სახიზრებიდან ცეცხლითვე უპასუხეს ხევსურებმა, მაგრამ ძალამ და მომხვდურის სიმრავლემ თავისი გაიტანა. „ჩაწვა, ჩადაგა შატილი, ალ ზეცას, ღმერთს მისწვდებისა. გუროს სიმაგრეს მიუდგეს, ვაჟებ შიგ შაუდგებისა. გამოდის ბუჩასეული, მკვდარ კლდეზე გადიყრებისა."

რუსის ჯარმა გურო და შატილი გადაწვა. ბრძოლაში ორივე მხრიდან 1100 კაცი დაიღუპა. დევნილი ბატონიშვილი შატილიდან ანწუხს გადავიდა. გენერალი ტიხონოვსკი შატილიდან ქისტეთში შევიდა და მითხოს თემში კიდევ თორმეტი სოფელი გადასწვა.

15 ივლისს რუსთა ჯარი უკან გამობრუნდა და იმით განაწყენებულებმა, რომ ბატონიშვილი ხელთ ვერ იგდეს, თუ სადმე სიცოცხლის რაიმე ნიშანი კიდევ იყო, გაანადგურეს. მარტო გენერალმა სიმონოვიჩმა, რომლის რაზმები თუშეთიდან და ფშავის ხეობიდან შემოვიდა, ხევსურეთის 22 სოფელი გადაწვა. ცეცხლს უკიდებდნენ პურის ყანებსაც. მიწასთან გაასწორეს არაგვის ერისთავებისგან აუღებელი ციხეები და სიმაგრეები, მათ შორის ჭორმეშავის სიმაგრეები, ქუდნისლას თხრილიანი კოშკები, ბისო-ხახმატისა და ლიქოკის ხეობის ციხე-კოშკები.

საბოლოოდ მოისპო ნიშანი ჭმალას ციხესიმაგრის არსებობისა, რომლის ადგილას რუსებმა მოგვიანებით მცირე ეკლესია ააგეს.

ბრძოლის შემდეგ „ნამესტნიკი", ინფანტერიის გენერალი რტიშჩევი იმპერატორს ატყობინებს: „მოვსპეთ მათი სახლ-კარი, გადაეწვით, დავანგ-

რიეთ, სულიერი არ გაგვიშვია, არაფერი არ დაგვიტოვებია: არც სულიერი, არც უსულო, ეს არის ლეგენდარული ექსპედიცია, რომელმაც შესძრა კავკასია, დასცა მისი სიამაყე."

საბი თვე დასჭირდა რუსთა მხედრობას ხევსურთა დასასჯელად. ხუთი სარდალი (ერთ-ერთი პოლკოვნიკი ყაზბეგი იყო) ებრძოდა თავისუფალ, უდანაშაულო ხევსურებს, რომელთაც ბრალად ედებოდათ დევნილი ბატონიშვილისთვის თავშესაფრის მიცემა და საქართველოს დამოუკიდებლობის სურვილი.

ხევსურეთის ლაშქრობაში მონაწილეობდნენ ბოროდინოს ბრძოლის მონაწილეები და ის რუსი ჯარისკაცები, რომლებიც სუკოროვს ახლდნენ ალპების გადალახვის დროს. მათი თქმით, ხევსურეთის ბრძოლები და მათი წინააღმდეგობა ბევრად აღემატებოდა ევროპის მთიანეთში გადატანილ ლაშქრობებს.

აკუშის ბრძოლა. სანამ რუსთა ჯარი გურო-შატილში იბრძოდა, მცირე ჯგუფებად გაერთიანებული პირაქეთა ხევსურები არაგვის ხეობებში გამაგრდნენ, რათა უკან მობრუნებულ რუსებს დახვედროდნენ. მაგრამ რუსთა ჯარი ხახმატიდან არაგვის ხეობის გზით კი არ წამოვიდა, არამედ ლიქოკის ღელე გადმოლახა, დაარბია ლიქოკის ხეობის სოფლები და კეო-ქებულოს გზით აკუშოსკენ გაემართა. „...ამანდით გამაბრუნვილი ჭევსურეთს ჩამადგებისა. ჭევსურეთ დაწვა, დადაგა, ცოდო-ბრალ დიდი დგებისა. კეოს დაბრუნდა ლაშქარი, ქობულოს გამაჭდებისა. მამუკა ჭელმოკლიათა ვეფხვი საომრად ჭდებისა, აკუშოს ჩავა ლაშქარი, მდევარი ჩამახყვებისა..."

რუსებისგან აკუშოს დალაშქვრის მიზანი იყო ხევსურ მეამბოხეთა თავკაცების, ალექსანდრე ბატონიშვილის ძმობილების, სუმბატა და ბაბუა მგელაისშვილების შეპყრობა და დასჯა.

როდესაც რუსთა ჯარმა ბარისახოს გვერდი აუარა და ქობულოსკენ გაემართა, აიყარნენ ჩასაფრებული ხევსურებიც, ნაწილმა მაღრანის მოკლე ასავლელით აასწრო რუსებს და აკუშოს ღელეში გამართა საყუჩი, ნაწილი კი არაგვს დაჰყვა, რათა მტრისთვის აკუშოს ჭალა შეეკრა.

ეს ბრძოლა „აკუშოს ბრძოლის" სახელით არის ცნობილი. ხევსურებმა მაღრანის გზით აასწრეს რუსებს და მოხერხებულ ადგილას გამაგრდნენ. დააცადეს მტერს აკუშოს ღელის გადალახვა და დაეშვნენ თუ არა თავქვე სოფლისკენ რუსები, ხევსურებმა ცეცხლი გაუხსნეს ზურგიდან. „ჩაიძაბნიანავ მგელაიშვილთ თოფის ბოლნიოდ, აყეფდიანავ ძაღლნიცავ."

რუსებმა ცეცხლი წაუკიდეს სოფელს და ჭალაში დაიწყეს დაშვება. მამუკა და ჯოყოლა რკინაულები პირველები ხმალდახმალ ჩავიდნენ მტერზე, მიჰყვნენ სხვებიც. „...ოროლთა ჭელმოკლიათა დაიდვეს სინისფერიო, მამუკამა და ჯოყოლამ გაივლეს ჭმლებსა ჭელიო. აკუშოს მგელაისშვილნო დედა

ვაცხონე თქვენიო. არვინ ყოფილა თქვენფერი, საქართველოზე ჩემიო. მე ეგრე მომაჯესენებენ, ბევრა უჭოცავ მტერიო... ქალაქ თუ მე დავიჭირე, მემრე მე ვიცი თქვენიო...“ ხელჩართულ ბრძოლაში ხმალი გადაუტყდა ჭილჭათ კვირიას. აკუშელმა პასუხამ სასიკვდილოდ დაჭრა ყაფლან ყაფლანიშვილი. „თოფს დახკრავს ყაფლანისშვილსა, სახელ შორს გავარდებისა.“

ხევსურებმა ჭალაში ჩაყარეს მტერი. აქ უკვე იდგნენ სხვა ხევსურები და უმეტეს დათვისელი ურჯუკა გორელაური. „აკუშოს ჭალას ომია, სისხლსა წვიმს, ზეით დარიო. ომობდა გორელაური, ყმაწვილი უმეცარიო...“ მტერს ხმლებით ისე აუჩეხავს გორელაური, რომ ჭირისუფლებს თითზე ნადები ბეჭდითლა ამოუცვნიათ.

აკუშოს ვიწრო ჭალა ძველთაგანვე ცნობილი იყო ხევსურთათვის. აქ დახოცეს მათ ზურაბის აზნაურები, ამჯერადაც მწარე სადილი აჭამეს მტერს. „...მოასწრეს წყალ-წყულში ხევსურთა, იძლივნეს რუსნი და მოკუდა უმრავლეს ხუთასისა,“ — დასძენს თეიმურაზ ბაგრატიონი.

ხევსურთა ამბოხების შედეგ. ხევსურთა მიერ ალექსანდრე ბატონიშვილის მხარდაჭერა და მასპინძლობა მათი სრული დამარცხებით დამთავრდა. გადაიწვა სოფლები, დაინგრა ციხე-კოშკები, გაიძარცვა ჯვარ-სალოცავები. ამას დართო მოუსაელიანობა, საშინელი შიმშილობა ჩამოვარდა და ამოწყდა ხალხი. იმ დროინდელია გამოთქმები „ცულის ყუობა“ და „ხმლის ქარქაშობა“, როდესაც ხორბალს ცულის ყუითა და ხმლის ქარქაშით წყავდნენ. „ეგ მაშინ იყო, როცა რუსი გადმოვიდა პირველად.“ (აკ. შანიძე)

ხევსურეთიდან გატაცებულ ძვირფასეულობას ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის ოფიცრები და ჯარისკაცები სთავაზობდნენ უცხოელ მოგზაურებსა და მკვლევრებს. ასე მოხვდა უცხოეთში შუა საუკუნეების დროინდელი აბჯარ-აღჭურვილობა, როგორც მხედრის, ასევე ცხენის. ნიავდებოდა ქართველ მეფეთა მიერ ხევსურეთის სალოცავებისთვის შეწირული ოქროვერცხლი, თას-განძი, ჯვარ-ხატები და სიგელები, ხევსურთა მიერ შორეულ ლაშქრობებში მოპოვებული ნადავლი, იარაღი.

ხევსურთა დამარცხებით გახარებული რტიშჩევი იმპერატორს ამცნობს: „ეჩქარობ და ჩემს თავს ბედნიერად ვთვლი, გაცნობოთ, რომ ეს ომი რუსეთის იარაღის დიდებით დაგვირგვინდა... საუკუნეთა მანძილზე ამ ქვეყანაში არცერთ დამპყრობელს ფეხი არ დაუდგამს, არც სპარსელს, არც ბერძნებს, არც რომაელებს, იგი თვით ბუნებას უქცევია აუღებელ ციხესიმაგრედ. გიგზავნით ხევსურეთის საბრძოლო მოქმედებათა რუკებს, იმ ადგილების მითითებით, სადაც ისტორიული გამარჯვებები მოვიპოვეთ...“

„ამაყმა ხევსურეთმა პირველად იგრძნო დამარცხებისა და იმედის გაცრუების მთელი ტრაგედია. მან თვითმპყრობელობას მორჩილება გამოუცხადა.“ (ს. მაკალათია)

რუსეთის სამხედრო ისტორიაში გენერალმა სტალმა ხევსურეთში ბრძოლით დიდად მოიხვეჭა სახელი. „სტალს დიდი ლაშქრობა ჰქონდა ხევსურეთში, რამაც ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა მთიელებზე და ლეკებიც თითქოს მიწყნარდნენ.“ (გ. იარალოვი)

ხევსურეთის ლაშქრობაში ასევე იავი გამოიჩინა მაიორმა ა. სალიკოვმა, რომელმაც შემდეგ გენერალი სტალი შეცვალა კავკასიაში.

რუსებმა ხევსურთა ამბოხის ჩახშობის შემდეგ რამდენიმე ხევსური მეამბოხე გაასამართლეს და გადაასახლეს. რ. სურმანიძეს მოჰყავს სერგო კლდიაშვილის ცნობა იმის შესახებ, რომ ცნობილი თვალის ექიმის, პროფესორ ალექსანდრე შატილოვის წინაპარი 1813 წლის ამბების გამო რუსეთში გადაუსახლებიათ. „როცა საქმე სოფელ შატილის დამორჩილებაზე მიდგა, მოსახლეობა თავგანწირვით შეებრძოლა მომხვდურებს. მოთავეების ნაწილი დაიღუპა, ნაწილი კი რუსეთის გუბერნიებში გადაასახლეს. ერთი ასეთთაგანი იყო ალექსანდრე შატილოვის პაპა.“ ს. კლდიაშვილის თქმით, ალ. შატილოვი აცხადებდა: „ჩემში ხევსურის სისხლი ჩქეფს“–ო.

რუსთა ხელისუფალნი ხევსურეთს იზოლაციაში აქცევენ. მთიელთა ამბოხების შემდეგ ხევსურეთს რუსების თვალში „სახელი გაუტყდა“ და მეფისნაცვლები ყოველნაირად ცდილობდნენ ხევსურები სრულ იზოლაციაში ჰყოლოდათ, ჩაეკლათ მათში მეომრული სული. ჯერ კიდევ მთავარსარდლის მოადგილე, მინისტრი ვოლკონსკი აღნიშნავდა: „თუშები და ფშავლები სრულიად საიმედონი იყვნენ, ხევსურები მათ ბევრად ჩამორჩებოდნენ ჩვენს ერთგულებაში.“ ხევსურები მათ მიაჩნდათ და გამოჰყავდათ, როგორც ველური, წარმართი და მეამბოხე ტომი, რომელიც უნდა მომკვდარიყო.

ბაგრატიონნი აღარ იყვნენ და „ნამესტნიკს“ თუ მეფის მოხელე ქართველ დიდებულებს აღარ ესაჭიროებოდათ ხევსურთა ლაშქარი. „მეფის ხელისუფლება ხევსურებზე არ ზრუნავდა და როცა ჩვენში დიდი მთავრები და ახალი მეფისნაცვლები ჩამოვიდოდნენ, ქართველ თავადაზნაურობას ხევსურები მაშინ მოაგონდებოდათ და აღლუმების დასამშვენებლად, როგორც უცხო სანახაობა, დაჯავშნული ხევსურები გამოჰყავდათ.“ (ს. მაკალათია)

თუ მანამდე ხევსური მოლაშქრე სპარსეთ–ოსმალეთს იქით გაღიოდა, ახლა გიგაურთის ველამდე ველარ ჩადის. იმის იქით უკვე სხვა ქვეყანა იწყება, რომელიც ხევსურისთვის უცხოა თავისი კანონებით, ჩინოვნიკ–პრისტავებით, კინტო–თაღლითებით. ხევსურიც პროტესტის ნიშნად უარს აცხადებს რუსთა დაწესებულ კანონებსა თუ სახაზინო გადასახადებზე. განსაკუთრებით გამწვავდა მიწის საკითხი. ხევსურებმა, რომლებიც მიწის თითოეულ ნაკვეთს მტკაველით ზომავდნენ და მოიპოვებდნენ, უარი თქვეს მიწის გადასახადზე. გადასახადით დაინტერესებული ხელისუფლება შეეცადა ხევსურეთში მიწების პერიოდული

სისტემის გატარებას. ახალი კანონი მიწის შესახებ მხოლოდ არხოტის თემმა მიიღო. პირაქეთა ხევსურეთმა, რომელმაც მიწის ტრადიციული კერძო საკუთრება მტკიცედ დაიცვა, უარი თქვა ახალი კანონის შემოღებაზე.

„...რუსეთის თვითმპყრობელობის უხეშმა ძალამ ხევსურები დააფრთხო და ისინიც თავიანთ მთებში ჩაიკეტნენ. მეფის ხელისუფლება იქ არავითარ კულტურულ მუშაობას არ ეწეოდა. ხევსურეთი ბედის ანაბარა იყო მიტოვებული... სამაგიეროდ კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება ხევსურეთში აგზავნიდა „ურწმუნო“ ხევსურების გასაქრისტიანებლად სამღვდელოებას და ეკლესიებსაც აშენებდა. სამღვდელოებას მოჰყვა მეფის ერთგული მოხელეები ზისერმანი, რადე, უვაროვები, რომლებიც გამოკვლევის მიზნით, პოლიციის თანხლებით ხევსურეთში შედიოდნენ და მოსახლეობას აფორიაქებდნენ... უცხოეთის მუზეუმებისათვის აგროვებდნენ ნივთიერი კულტურის ნაშთებს, ძარცვავდნენ ხატ-სამლოცველოებს...“ (ს. მაკალათია)

ხევსური ბუნებას და ხასიათს იცვლის. ხევსურეთში ძალის დატანებით თუ ნებით ნელ-ნელა დაიწყო დამკვიდრება ცხოვრების ახალმა წესმა. „როგორც ცნობილია, არც ფშავლებსა და არც ხევსურებს ბატონყმობის უღელი არ უტარებიათ, მათ ბოლომდე შეინარჩუნეს თემური თავისუფლება, მიუხედავად იმ მძაფრი იერიშებისა, რომელნიც მათ წინააღმდეგ დროგამოშვებით ქართულ ფეოდალიზმს მიჰქონდა, მაგრამ ფშავ-ხევსურეთის თემმა, რომელმაც უკუ აქცია ფეოდალიზმის იერიშები, ნაკლები წინააღმდეგობის უნარი გამოიჩინა ბურჟუაზიისა და ბიუროკრატული სახელმწიფო აპარატის შემოტევის წინააღმდეგ და რღვევის პროცესი განიცადა XIX საუკუნეში. განსაკუთრებით ფშავში გაჩნდა მსხვილი მესაქონლეობა და ჩარჩული კაპიტალის ელემენტები.“ (გ. ქიქოძე). ყოველივე ამან იმოქმედა მთიელი კაცის პიროვნებისა და ხასიათის გადასხვაფერებაზე. თუ ძველად მტრისგან მუდმივი საფრთხე და საზღვრის სიახლოვე მთიელს აიძულებდა უფრო ბეჯითად ეზრუნა საბრძოლო მზადყოფნაზე, ვიდრე მეურნეობისა და საქონლის გაძღოლაზე, XIX ს-ში ა. ზისერმანი და ალ. ყაზბეგი აღნიშნავდნენ, რომ საომარ საქმეში მეზობელი მთიულები ხევსურებს უკვე ჩამორჩებოდნენ, „რადგან დაკავებულნი არიან მეურნეობითა და ვაჭკაცური სული მთაში თანდათან სუსტდება“-ო.

„... უკვე მე-17-18 საუკუნეებში ფშავის ცხოვრების ეკონომიკური პირობები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ხევსურეთის პირობებისაგან, რაც საფუძველი უნდა გამხდარიყო საზოგადოებრივი ურთიერთობის, მსოფლმხედველობის და სულიერი კულტურის შემდგომი განვითარებისა. მე-19 საუკუნეში კი ფშავი კაპიტალისტური ურთიერთობის სფეროში მოექცა. მეცხვარეობას საწარმოო დანიშნულება მიეცა, რამაც გამოიწვია მოსახლეობის სწრაფი დიფერენციაცია, გვარების ერთიანობის დაშლა და პიროვნების დამოუკიდებლობა. ამას დაერთო მმართველობის ახალი სისტემის შემოღება.

თემური ადათების ნაცვლად ადამიანთა ურთიერთობაში სახელმწიფო სამართალი და მართლმსაჯულება გაბატონდა. ზოგ ადგილებში მიწაზე საგვარეულო საკუთრება გაუქმდა და დაიწყო მისი პერიოდული დანაწილება სოფლის მოსახლეობას შორის.

ასეთი მკვეთრი ეკონომიკური და სოციალური ცვლილება ხევსურთა ცხოვრებაში არ მომხდარა. ხევსურეთი საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე კარჩაკეტილი, ნატურალური მეურნეობითა და თემური ადათებით ცხოვრობდა." (გ. არაბული)

ვ.ი. ლენინი წერდა: „ბატონი კუპონი დაუნდობლად ხდის ამაყ მთიელს პოეტურ ნაციონალურ კოსტუმს." XX ს-ის დასაწყისიდან ხევსურეთში თანდათან შემოდის ფული. ხოლო ხევსურთა მიგრაციის შედეგად ადგილზე დარჩენილთა ხელში მოექცა სახნავ-სათიბი და საძოვარი მამულები, რამაც ხელი შეუწყო საქონლის მომრავლებასა და ხევსურის „გაფულიანებას". ხევსური დაუახლოვდა სამომხმარებლო ბაზარს. უეცარმა ეკონომიკურმა შემოსავალმა გამოიწვია ხევსურის სულიერი გაღარიბება. უმეზობლოდ, მთებში მარტოდ დარჩენილი ხევსური ჩაიკეტა საკუთარ ნაჭუჭში და მისი მსოფლმხედველობაც დავიწროვდა.

ხევსურეთის ეცნობა საზღვაგადღეგა, ანუ მისი აღმოჩენა. 1824 წელს იქმნება „მთიელი ხალხის მართვის ორგანიზაცია", რომელშიც თუშებთან და ფშავლებთან ერთად აერთიანებენ ხევსურებსაც. 1842 წელს იგი გადაკეთდა „თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოკრუგად", რომელსაც მთისა (ქსნის ხეობა, მთიულეთი, ხევი) და ოსეთის ოკრუგთან ერთად მართავს „მთის ოკრუგის უფროსი", 1843 წლიდან — „მთის ხალხთა მართვის უფროსი."

თავად ხევსურეთი ადმინისტრაციულად რამდენიმე თემად (საზოგადოებად) დაიყო: ბარისახოს თემი, ღულის თემი, ბაცალიგოს თემი, როშკის თემი, შატილის თემი, არდოტის თემი, არხოტის თემი. თემებს ხევსური მამასახლისები უძღვებოდნენ, რომელთაც საკუთარი, მრგვალი, რუსულწარწერიანი ბეჭდები ჰქონდათ. ბაცალიგოს თემის ბეჭედი შედარებით დიდი იყო და ცენტრში ევროპული რაინდული ჯვარი ჰქონდა გამოსახული. მამასახლისთა უმეტესობამ წერა-კითხვა არც იცოდა. ხევსურთა თემები და მომიჯნავე რამდენიმე ქისტური თემი იმ დროისთვის თიანეთის უეზდში შედიოდა.

ამ ხანებში თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოკრუგის მილიციის უფროსის მოადგილედ მუშაობს თუში ეთნოგრაფი, მკვლევარი ივანე ცისკარიშვილი.

1844 წლიდან თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოკრუგში ოლქის უფროსის თანაშემწედ და საქმის მწარმოებლად ინიშნება არნოლდ ზისერმანი, რომელიც სწავლობს და ეცნობა მთიელთა ყოფას, მათ ზნე-ჩვეულებებს, წერს წერილებს მათ შესახებ და აქვეყნებს „კავკაზში".

1844-1846 წლებში თუშ-ფშავ-ხევსურეთის საოლქო სამმართველოში თარჯიმნად მუშაობს პოეტი ერისთავი, რომელიც ყველაზე სწორ ცნობებს პირველი გვაწვდის თუშ-ფშავ-ხევსურთა ყოფაზე.

1876 წელს ხევსურეთში მოგზაურობს გუსტავ რადე და შემდეგ გერმანიაში გამოსცემს წიგნს ხევსურებზე.

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან ალ. ყაზბეგი და ვაჟა-ფშაველა აქვეყნებენ წერილებს ხევსურეთზე, სადაც ობიექტურადაა წარმოჩენილი ხევსურთა ყოფა-ცხოვრება და გაკრიტიკებულია სხვადასხვა ავტორთა მცდარი შეხედულებები. ამავე ხანებში პეტრე უმიკაშვილი ხევსურეთში აგროვებს ზეპირსიტყვიერების მასალებს.

სხვადასხვა დროს ხევსურეთზე წერენ ნ. ხიზანიშვილი (ურბნელი), რომელიც თიანეთის მაზრაში გამომძიებლად მუშაობდა და ხევსურნი „გამომჩხრეკელს" ეძახდნენ, ხუდადოვი, მაჩაბელი, კოვალევსკი, უვაროვი, მარცბახერი, ბუში, განი, ნიორაძე, შკლოვსკი, გ. თედორაძე, ს. მაკალათია, ა. ყამარაული, გ. ჩიტაია, ვ. ბარდაველიძე, აკ. შანიძე, ზ. კიკნაძე... თავად ხევსურნი თ. ოჩიაური, დ. გოგოჭური, ა. ჭინჭარაული... ხევსურთა ყოფა-ცხოვრებისა და ისტორიის უნიკალური მასალები შეაგროვეს და აღწერეს ალ. ოჩიაურმა და ნ. ბალაურმა.

ილია ჭავჭავაძე განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა ხევსურთა მიმართ, იწვევდა მათ საგურამოში, იწერდა ხევსურულ ლექსებს და ორჯერ ხევსურეთშიც ყოფილა: „დუშეთში რომ ვმუშაობდი, იმ დროს ორჯერ ვიყავი ფშავ-ხევსურეთში, მაშინ კარგი ლუდის დაყენება და სიმღერები იცოდნენ", — უთქვამს ილიას.

შამილი და ხევსურები. კავკასიაში იწყება შამილის მრავალწლიანი ომი რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ. ამჯერად დააგვიანდათ დიდოელებს, დამპყრობელი უკვე მტკიცედ დგას საქართველოში. ქართველნი, რომელნიც 1804, 1812, 1832 წლის ამბოხება-შეთქმულებებს აწყობენ, უკვე რუსთა სამსახურში დგანან და თავად ებრძვიან მეამბოხე შამილს — ლეკებთან ბრძოლით წინაპართა სისხლს ეძიებენ.

ვოლკონსკი ქართველ მთიელებზე და მათ შორის ხევსურებზე აღნიშნავს: „მთის ხალხი გაურკვეველ მდგომარეობაში იყო... უფრო კი შამილისკენ იწევდა." ხელისუფლებამ ფართო საგიტაციო მუშაობა გასწია, რათა ქართველი მთიელნი შამილს არ მიმხრობოდნენ.

როდესაც შამილმა ხევსურთა მეზობელი ინგუშების გამუსულმანება დაიწყო, ამით ხევსურთა უკმაყოფილება დაიმსახურა. თუ აქამდე ერთი სარწმუნოების მქონე ხევსურებსა და ქისტებს საერთო, მონათესავე სალოცავები ჰყავდათ, ამჯერად მათი რელიგიური დაპირისპირება მოხდა. (თუმცა გვიანობამდე, რო-

·გორც ხევასურებმა ქრისტეს რჯული, ასევე ინგუშებმაც მაჰმადიანობა ბოლომდე ვერ მიიღეს და კვლავ ძველ რწმენაზე დარჩნენ.)

შამილმა ხევსურები თავის სამსახურში რომ ვერ ჩააყენა, მეზობელი ჩეჩნები და დიდოელები აუმხედრ-გადაამტერა. „ქისტები და ხევსურები ერთმანეთთან სრულის თანხმობით სცხოვრობდნენ... დროებამ გაიარა, ხალხი და იმათი მდგომარეობა გამოიცვალა, გამოვიდა შამილი, იმის დროს სხვადასხვა რჯულისა და ქვეყნის ხალხი გამოეკიდა სხვდასხვა ინტერესებს და ამან წაჰკიდა სამწუხაროდ ხევსურები და ქისტები ერთმანეთს და ერთმანეთის მოსისხლე მტრებად აქცია.“ (ალ. ყაზბეგი)

1841 წელს შამილი ქისტებისგან ადგენს სპეციალურ ჯარს, რომელსაც ეკალება თუშ-ფშავ-ხევსურეთში თარეში, მათზე კონტროლის დაწესება, რათა რუსებს არ შეეკრან. მოთარეშე ქისტ-ლეკები ხშირად ესხმიან თავს თუშ-ფშავ-ხევსურეთის განაპირა თემებს, მიჰყავთ ტყვეები და ცხვარ-საქონელი.

შამილი ხევსურეთში აგზავნის შუამავლებს, რათა მხარი დაუჭირონ ლეკებს რუსების წინააღმდეგ ბრძოლაში. ხევსურები უარით ისტუმრებენ შამილის ელჩებს. საპასუხოდ შამილის მარბიელი რაზმები სამჯერ ლაშქრავენ შატილის თემს. მომხვდურისგან შეწუხებული შატილის თემი მთავრობას სთხოვს დახმარებას: „შატილის საფეხვნოშია დიდი დგას საუბარია... უნდა მივსწეროთ ქალალდი, სადაც ჭელმწიფე არია: გთხოვთა, რო გამაგვიგ ზავნოთ სალდათ, ყაზახის ჯარია...“ შატილივნები მოუწოდებენ ფშავ-ხევსურთა, რათა ერთიანი ძალით დალაშქრონ ქისტები და აღკვეთონ მათი თარეში: „ვუბარებთ ფშაველ-ჭევსურთა: ხალხნო გვიჭირეთ მხარია, ჩავიდეთ ჯარეგოშია, საც ქისტის სოფელ არია...“

ანალოგიური მდგომარეობა არხოტის თემშიც. არხოტივნები თოფითა და ხმლით იცავენ თავიანთ მიწას.

შამილი მაინც არ კარგავს იმედს შემოიერთოს ხევსურები და თუშებთან ერთად გამოიყვანოს რუსების წინააღმდეგ და ამათ ხეობებზე უვნებლად გაატაროს ჯარი, რათა შეუერთდეს თურქებსა და ინგლისელებს , რომლებიც რუსეთთან ომის სამზადისში არიან. მოლაპარაკება თუშებმა ჩაშალეს, მათ არ ისურვეს თავიანთ ძველ მტრებთან, ლეკებთან კავშირის შეკვრა, ხევსურებმაც თავი შეიკავეს.

საპასუხოდ შამილი თუშეთში მარბიელ რაზმებს აგზავნის და მოსახლეობას აწიოკებს. ჯერ ხათილ მახამა ესხმის თავს სოფლებს ხისოსა და ქუმელაურთას. შემდეგ ალდამის 10000-იანი ლაშქარი დაეცემა თუშებს და ააოხრებს დიკლოსა და შენაქოს.

თუშების დასახმარებლად გადადიან ფშავ-ხევსურნი, მაგრამ მარცხდებიან და თუშები იძულებულნი ხდებიან ბეგარა, კომლზე ათი შაური აძლიონ შამილს.

შამილი კვლავ აგზავნის კაცებს ხევსურეთში და სთხოვს მისი ჯარი მშვიდობიანად გაატარონ საქართველოსკენ. პირობას აძლევს, რომ ხევსურებისგან არც რაიმეს საზაოს აიღებს და არც ბეგარას. ხევსურები არ ენდობიან ურჯულოს, მაგრამ არც საბოლოო პასუხს აძლევენ.

შამილის ლაშქარი შატილში. 1843 წლის ივნისში შამილი თავის გამორჩეულ სარდალს, სახელიან ახვერდი მახმადს ატანს ხუთათასიან ჯარს და ხევსურეთის გზით საქართველოს ბარისკენ აგზავნის. მანამდე შატილში ფარულად შემოდის მაისტელი ქისტი ჯოყოლა ნაციშვილი-დარქიზანიშვილი თავისი ხალხით და ხევსურების გვერდით დგება.

რადგანაც კავკასიონის ვიწრო ხეობები და ბილიკები რიცხვმრავალი ჯარისთვის ძნელი გასავლელი იქნებოდა, ქისტ-ლეკები სამი მხრიდან — არღუნის ხეობით, მითხულის ხეობითა და ბატეხის გადასასვლელით შემოვიდნენ შატილში და გაერთიანდნენ.

მიუხედავად მშვიდობიანი პირობებისა, შატილივნები ციხე-კოშკებში გამაგრდნენ. ახვერდი მახმადმა ხევსურებთან მოლაპარაკება გამართა. მოლაპარაკება კარგახანს გაგრძელდა. შატილივნებმა უარი შეუთვალეს მეგზურობასა და შუამავლობაზე ფშავ-ხევსურეთის თემ-სოფლებთან. მაშინ ახვერდი მახმადმა შატილიონი შუაკაცები მძევლებად აიყვანა და დაემუქრა ხევსურებს. ამ ამბავმა შატილივნები აღაშფოთა და მოლაპარაკება შეწყვიტეს. ეს უკვე ნიშანი იყო იმისა, რომ მტერს უბრძოლველად არ გაატარებდნენ.

შატილივნებმა კოშკებიდან პირდაპირი დამიზნებით ცეცხლი გაუხსნეს მომხვდურს და სუმბატა სისვაურმა სასიკვდილოდ დაჭრა მოწინააღმდეგის სარდალი ახვერდი მახმადი.

მტერმა რამდენჯერმე იერიშით სცადა შატილის კოშკების აღება, მაგრამ ვერ შეძლო და მესამე დღეს იძულებული გახდა გასცლოდა ხევსურეთს. თან წაიყვანეს ტყვე ხევსურები (ორი კაცი) და დაჭრილი ნაიბი, რომელიც გზაში გარდაიცვალა. ტყვე ხევსურები ურჯულოებმა ნაიბის საფლავზე დაკლეს.

შატილიონთა ამ გამარჯვებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმპერატორისთვის. გახარებულმა მეფისნაცვალმა ხელმწიფის ბრძანებით შატილელებს წმ. გიორგის ჯვარ-მედლები, სამასი ჩარექი პური, ხუთი ფუთი თოფის წამალი და ათი ფუთი ტყვია უბოძა. ამას გარდა, შატილში ეკლესია ააგო და ციხე-სოფელს ქვის გალავანი შემოატარა, რომელშიც ორენოვანი წარწერიანი ქვაც ჩაატანა: „უმაღლესისა ბრძანებისამებრ ჯილდოდ შატილელთად დამარცხებისათვის ახვერდი მაჰმადისა და მისთა შეყრილთა ჯართასა. ჩყმგ (1843) წელსა შინა. აღშენებულ არს განკარგულებითა კნიაზისა ნამესტნიკისა ჩყმთ (1849) წელსა."

ფაქტობრივად რუსებმა შატილში აღადგინეს ის, რაც მისმა ჯარმა 1813 წელს მიწასთან გაასწორა.

ქისტების ბანდასმლა პანკისის ხეობაში. 1850 წელს შამილის წინააღმდეგ ამბოხდა მაისტის თემის ქისტობა. ერთი წლის შემდეგ ამბოხებულ ქისტთა ბელადი ჯოყოლა იძულებული ხდება თანამემამულეებთან ერთად აიყაროს ადგილიდან. იგი ხევსურების თანხლებით გადადის ბორბალოს მთაზე. ხევსურები შუამდგომლობენ თუშეთის მოურავ ციხკარიშვილთან და ხელისუფლება ქისტეთიდან აყრილ მოსახლეობას პანკისის ხეობაში, ძველად მეფეთაგან მთიელებისთვის ბოძებულ ადგილებში ასახლებს, სადაც უკვე იდგა რამდენიმე წლის წინ მაისტიდან გადმოსული ქისტობა დუი ციცხაშვილი-ხანგოშვილის თაოსნობით. პირველ ქისტურ სოფლებს ეწოდა „დუისი“ და „ჯოყოლო“, მათი დამაარსებლების სახელების პატივსაცემად. (თავად ჯოყოლას ტყვედ ჩაიგდებენ და შამილის შვილი თავს მოჰკვეთს.)

ხევსურები ბაასყაზთ რუსის ჯარში. შატილიონთა შამილთან ბრძოლის შემდეგ ხევსურებს „ნამესტნიკმა“ ნდობა გამოუცხადა. დამარცხდა შამილი. ალექსანდრე მეორემ საგანგებო მედლები გამოუშვა წარწერით: „ჩეჩნეთისა და დაღესტნის დამორჩილებისათვის. 1857, 1858, 1859 წ.წ.“ ამ მედლებით ხევსურებიც დააჯილდოვეს.

დაიწყო ხევსურთა მეფის არმიაში გაწვევა. „1853 წლის 4 ნოემბერს ოფიციალურად გამოცხადდა მეფის მანიფესტი ფურქეთთან ომის შესახებ. ამ ცნობამ განსაკუთრებით გამოცოცხლება გამოიწვია თბილისში. ქუჩები ხალხით აივსო. გუგუნებდა სამხედროების დოლი და მუსიკა. მეომართა შორის თვალს იტაცებდა ხევსურების ასეული და მისი მხნე სიმღერა.“ (შ. მეგრელიძე). ხევსურნი რუსთა ჯარის სამსახურში დგებიან და XIX-XX ს.ს-ში რუსეთის მიერ წარმოებულ ყველა ბრძოლაში ღებულობენ მონაწილეობას.

ჯარში (სალდათში) გაწვევას ხევსურნი სხვადასხვანაირად მიუდგნენ. ხევსურ მამასახლისებს ჯარში სამ-სამი წვევამდელი უნდა გაეყვანა წილისყრით. ხევსურთა უმეტესობა ჯარში სამსახურის წინააღმდეგი იყო. მამასახლისებსაც ეძძიმებოდათ ეს საქმე, რადგან ჯარში დაკარგულთა მეპატრონენი მათ სდებდნენ ბრალს. ერთ-ერთ მამასახლისს ჯარში სხვათა მაგივრად, უწილოდ, თავისი შვილებიც კი გაუგზავნია. ზოგი მამასახლისი კი ზედმეტ აქტიურობას იჩენდა და ძალით გაჰყავდა წვევამდელები არმიაში. იყვნენ ხევსურები, რომლებიც მოხალისედ მიდიოდნენ არმიაში.

ხევსურები რუსეთ-თურქეთის ომში. 1854 წელს ჩოლოქთან სელიმ ფაშას წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში თუშ-ფშავ-ხევსურთა ლაშქარი ცალკე იბრძვის და სხვა მოლაშქრეთაგან გამოირჩევა თავისი ნიშნით: შავი ქუდებითა და შავი ფარებით.

1877–1878 წლების რუსეთ–თურქეთის ომში ხევსურები მოხალისეებადაც კი წასულან. განსაკუთრებით გამოირჩევა ლულელი სუმბატა ქისტაური. „სუმბატა არის ხევსური სოფ. ლულიდამ, გვარად ქისტაური, რომელიც წავიდა ვოლონტერად.“ (ვაჟა–ფშაველა). ხევსური მთქმელი ამბობს: „ბარაქელ სუმბატურაო! გუნება გელვა ჩქარიო, ა იქ კი წახვედ ვაჟკაცო, სად სახელობდეს სხვანიო. ზოგთა თქვეს: — მერდალ მაუა, ზოგ–ზოგებმ — სისხლის ჯკვარიო. ზოგებმ ეეგრაც იუბნეს: — ზეპირ დარჩების მკვდარიო.“

რუსეთ–თურქეთის ომის მეისტორიენი განსაკუთრებით აღნიშნავენ თიანეთის რაზმების მამაცობას, რომლებიც თუშ–ფშავ–ხევსურებისგან შედგებოდა.

ხევსური ძველი და ახალი დროის შესახებ. ხევსურები ნელ–ნელა კვლავ უკავშირდებიან ბარს და მკვიდრდებიან კიდეც ერწო–თიანეთსა და კახეთში, მეფეთაგან ოდესღაც ბოძებულ ადგილებში, სხვა მთიელებთან ერთად დღესასწაულობენ ალაერდობასა და მცხეთობას. მონაწილეობენ საგურამოში პოეტის პატივსაცემად გამართულ „ილიაობაზე“. „ას კაცზე მეტი მარტო ხევსურები მოდიოდნენ ხოლმე ილიაობას... ხევსურებთანაც ყოფნა ძალიან უყვარდა, სუფრაზე ხევსურების სიმღერა.“ (დ. გოგოჭური). პოეტი თავის შორეულ ნათესავ ხევსურებს საგანგებოდ იწვევდა საგურამოში და მასპინძლობდა. ერთ–ერთ ჭავჭავაძეს კი თიანეთის სოფელ გონდაურაში, თავის მამულში ჩაუსახლებია კიდეც ხევსურები. ამას გარდა, მას ბისოელი ქეთელაურებისთვის ოქროთი სავსე ქუდიც უსახსოვრებია.

„ძველი დრო ჯობია თუ ახლანდელიო?“ — ჰკითხავს ერთხელ ილია ხევსურებს.

„რა სათქმელია: გარეთ ვერ გამოვდიოდით, სოფელს რომ გავცილებულიყავით ან ლეკი დაგვიხვდებოდა, ან შინაური ავი კაცი, სისხლი იღვრებოდა, მოსვენება არ გვქონდა, შველა არსაიდამ იყო. აი, დალოცოს ღმერთმა რუსის ხელმწიფე: ეხლა არა გვიშავს, აი, თქვენთანაც ჩამოვდივართ სამუშაოდ, ქალაქშიც დავიარებით, თუ რამ გასაყიდი ან საყიდელი გვაქვს, ხელს ვიმართავთ, გზაში ხელს არავინ გვახლებს.“ (ი. მანსვეტაშვილი), ასე მსჯელობს ახალი დროის ხევსური, რომელმაც „ჩვენს კნიაზებს ეწყინებათო“, მეფე ერეკლეს სიკვდილზე ნათქვამი ლექსიდან ამოაგდო სიტყვები: „...ეხლა იმისა გცხვენოდესთ, ვის გერტყათ ჩემი ხმალია, სარუსოდ რაად გახჯადეთ ქალაქის მოედანია.“

საფეხვნო — ხევსურია სიმღერა. „შესანიშნავია მათი სპარტანულად შვილების აღზრდა და მათი სპარტანულივე ცხოვრება.“ (ალ. ყაზბეგი)

„...ბიჭებს კი საკაცო საქმე უნდა ეკეთებინათ — მეურნეობის გაძღოლა, სტუმარ–მასპინძლობის წესი, საბრძოლო მომზადება, მტერ–მოყვრის ცნობადახვედრა, ფარ–ხმლის მოხმარების წესი და სხვა.“ (ც. ბეზარაშვილი, გ. ჯალაბაძე)

8–10 წლის წლის ასაკში ხევსური მოზარდი უკვე ყველა სადიდო საქმიანობას იცნობდა და მხარში ედგა უფროსებს. ვაჟებს სპარტანული სულისკვეთებით ზრდიდნენ. ბავშვობიდანვე ხდებოდა მათი მამაკაცად ჩამოყალიბება.

„აქ ვერ იპოვით ქართლის განათლებას, მაგრამ ბევრს ისეთს რასმე შეხვდებით, რომელსაც განათლებული ქართლელი შურის თვალით დაუწყებს ცქერას. ბუნება, ეს უდიდესი ქარხანა კაცობრიობისა, აქ სრული მფლობელი და მბრძანებელია.“ (ნ. ხიზანიშვილი)

ხევსურეთის პირქუში ბუნება, ხალხის თავისუფლებისმოყვარეობა და ხევსურის პატრიარქალური ყოფა, თავად იყო სკოლა უფროსისთვისაც და უმცროსისთვისაც. გეოგრაფიული მდებარეობა და სოციალური თავისუფლება აიძულებდათ ჰყოლოდათ საკუთარი მეისტორიე–მეანდრეზენი, ხუცეს–დეკანოზნი ჯვარისა და სულისა, რჯულმდებელნი და კითხულნი კაცნი, ქურუმ–ქადაგნი, მესულთანენი და ჭმით მატირალნი–მგოსანნი გლოვის, ვაჟკაცობისა და მუშაკობისა, ოსტატნი ხისა და ვერცხლისა, მჭედელნი „ქაჯისთმიანი“ ხმლებისა, ხურონი ციხე–კოშკთა, ხელოვანნი და მხატვარნი ნაჭრელა–ტალავარისა, მკურნალნი და დასტაქარნი, ოსტატნი თოფისწამლისა და ტყვიისა, მარილისა, ტყავისა და ჯაშარისა და სხვანი და სხვანი. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი, ერთ სახელმძღვანელოდ შეკრული, სოფლის უმაღლეს სკოლაში — „საფეხნოში“ „ჯარზე“ მსხდართ გადაეცემოდა თაობიდან თაობამდე. ხევსური ერთდროულად იყო მასწავლებელიც და მოსწავლეც, მმართველი ბუნების მკაცრი წესრიგისა.

„საფეხნო“ („ფეხონი“) წარმოადგენდა მამაკაცთა საკრებულოს. იგი გამართული იყო სოფლისთვის მოხერხებულ, გამოსაჩენ ადგილას — სოფელზე გამავალ გზაზე, გორაზე, საგანგებოდ მოწყობილ ადგილზე. ფეხონი იმართებოდა თავისუფალ დროს, უქმე დღეებში, გრძელი ზამთრის პერიოდში, უამინდობისას. ფეხონში თავშეყრილი ხევსურები ჰყვებოდნენ გარდასულ ამბებს. მსჯელობდნენ იმ დროის ისტორიული მოვლენების, ომების, ჭრა–ჭრილობების და რჯულ–სამართლის, მზე–მთვარის, ამინდისა და ნადირ–მენადირის შესახებ. ფანდურზე მღეროდნენ ძველ თუ ახალ საგმირო სიმღერებს. პარალელურად ხელსაქმობდნენ. საფეხნო ერთგვარი სახელოსნოც იყო. აქ გრეხდნენ თოკს, ზელდნენ ტყავს, ასხამდნენ ჯღან–ქალბანს, ნაყავდნენ თოფისწამალს, თლიდნენ ულელ–მარხილს, შეაკეთებდნენ და აფსავებდნენ სამეურნეო თუ საბრძოლო იარაღს. სმა და ქეიფი საფეხნოში მიუღებელი იყო.

მოზარდები თვალყურს ადევნებდნენ, ყურს უგდებდნენ, იმახსოვრებდნენ მთხრობელთა საუბარს, რათა თავადაც გამოეყენებინათ და გადაეცათ შთამომავლობისთვის. ეწყობოდა სპორტული შეჯიბრებანი. ყოველ საფეხნოში

იდო საჯილდაო ქვა, რომელიც ზოგჯერ თოფისწამლის სანაყსაც წარმოადგენდა. უფროსთა მეთვალყურეობით მოზარდები ეუფლებოდნენ ფარიკაობასა და მშვილდოსნობას.

„ფეხონში მსხდარი ჭაბუკები აქ სწავლობდნენ თავანთი კუთხის წესსა და ადათს. უფროსებისაგან ისმენდნენ ამბებს წინაპართა საგმირო საქმეებზე, სახელ-სირცხვილზე, მტერსა და მოყვარეზე, ამიტომ იყო, რომ ახალგაზრდობას დავიწყებული არ ჰქონდა თავისი კუთხის ზნე და ადათი, ანდრეზი თუ ლექს-სიმღერები, ყველაფერი ის, რაც მკვლევართათვის ახლა სანთლით საძებარია, განსაკუთრებით ბარის რაინებში.“ (თ. ოჩიაური)

ფეხონში „ჯარზე“ ხდებოდა თემ-სოფლის მოღალატის, უზნეოთა და დამნაშავეთა საჯარო გასამართლება „კალთის მოჭრიდან სამძახის დაკვეთამდე“, რის შემდეგაც კალთამოჭრილი „ჯარზე“, ხალხში ველარ გაერეოდა.

ქალების ყოფნა საფეხვნოში იკრძალებოდა. მათ მამაკაცებთან შედარებით უფრო მკაცრად ჩამოყალიბებული ცხოვრების წესი ჰქონდათ. ქალ-ვაჟთა ერთად ყოფნა მიუღებელი იყო. ჯვარში დღეობების დროს, ჭირ-ლხინში, ტაბლაზე... ქალები ყოველთვის განცალკევებით იდგნენ და ისე შეჰყურებდნენ მამაკაცებს.

წიგნი და „ქაღალდი“ ხევსურეთში. თითქმის XIX ს-ის ბოლომდე სკოლა — განათლება სრულიად უცხო იყო ხევსურისთვის. თავად მთავრობის სამსახურში მდგარ მამასახლისებსაც კი უჭირდათ წერა-კითხვა. წიგნი და ქაღალდი ძნელად საშოვარი იყო ხევსურისთვის და ერთგვარ საკრალურ საგნებსაც კი წარმოადგენდა. (ხევსურთაგან რა გასაკვირია, როცა ევროპაშიც კი გვიანობამდე წიგნი და ქაღალდი ღვთაებრივ რელიქვიად მიაჩნდათ, მისადმი ცრუმორწმუნეობრივი შიშით იმსჭვალებოდნენ და მხოლოდ ღვთისმსახურების დროს ხედავდნენ ეკლესიებში.)

ქაღალდს ხევსურები „ატრატს“ ეძახდნენ. ერთ ამღიონ კაცს ქაღალდი პირველად რომ უნახავს, უთქვამს: „...არაი ყოფილავ ატრატაივ. რუსმა უკენითი ამაისვა, გადააგდო. ავიღე, დავდუენე და გაწმენდაში გაიხივაო.“ (ნ. ბალიაური). მაგრამ სწორედ არხოტმა გაიკაფა პირველმა გზა წიგნისკენ: „შეიძლება ამას ხელს უწყობდა არხოტის სიახლოვე ყაზბეგთანა და კავკავთან.“ (გ. ჩიტაია)

XIX საუკუნის 50-იან წლებში ა. ზისერმანი წერდა: „ხევსურები იმყოფებიან სრულს უვიცობაში და განათლებისკენ იოტისოდენა მიდრეკილებასაც არ ამჟღავნებენ, პირიქით, მათ სძულთ განათლება და საზოგადოდ ყველაფერი, რაც იარაღს, ომს, ნადირობას და მეზობელ მტრებთან ფიცხელ შეხლა-შემოხლას არ ეხება.“

უცხოელ ავტორებს, რომელნიც არ იცნობდნენ ხევსურთა წარსულს, მათ ტრადიციებს, მითოლოგიასა და პოეზიას, მხოლოდ ზედაპირული შეხედულებებით იფარგლებოდნენ და ხევსურები უკულტურო ტომად გამოჰყავდათ.

სკოლა ხევსურეთში. ხევსურეს სურდათ სწავლა, მაგრამ ცხოვრების პირობები ამის საშუალებას არ იძლეოდა. მხოლოდ ბარში ჩასახლებულნი თუ ახერხებდნენ განათლების მიღებას. დუშეთის მაზრაში გახსნილ პირველ სასწავლებელში 1873 წელს უსწავლია 1 ხევსურს. 1876 წელს „სასოფლო გაზეთი" წერს: „სოფელ ხახმატში წიგნის მცოდნე ერთი კაცი ყოფილა ბერდია გამლიკარაული. ორ-სამ წელიწადში ამას კითხვა უსწავლებია თექვსმეტის ყმაწვილისთვის და ამათში ხუთმა წერაც იცისო.. საკითხავი არ ჰქონიათ. ბერდიამ ქალაქიდან რამდენიმე ახლად დაბეჭდილი წიგნები წაიღო. სიბრძნე სიცრუისა წიგნი, ლექსები სახალხო, არსენას ლექსი და სხვა ამგვარები. მცოდნე ყმაწვილებმა რომ ამის კითხვა დაიწყეს, უცოდინარებმა მოსვენება აღარ მისცეს, სანამ იმათაც არ ასწავლა..."

XIX საუკუნის ბოლოს დგება საკითხი ხევსურეთში სკოლის გახსნის თაობაზე. გაზეთი „მოამბე" 1890 წელს წერს: „სკოლებზე და წიგნსაცავზე ხევსურეთში ჯერ-ჯერობით სიტყვა არ ითქმის. იმისათვის, რომ ხალხი უნდა მომზადდეს... რომელნიც უყურებს განათლებას, როგორც მავნე სენს, მისულს არ ენდობიან, თვით ხევსური კი, რომელიც მასწავლებლად გამოდგება, არ არის."

1890 წელს მამა ლეონიდის თაოსნობითა და მონდომებით ბარისახოში იხსნება სკოლა. პირველი მასწავლებელია ბაჩანა. სწავლა რუსულ ენაზე მიმდინარეობს. ხშირად მოწაფეები სკოლაში ჩაფრების საშუალებით მოჰყავთ. (ბაჩანამ პირველმა შემოიტანა ხევსურეთში კომბოსტო, ჭარხალი, მწვანილი, კაკლისა და სხვადასხვა ხილის ნერგები. ასწავლა ხევსურებს მყნობა და ა.შ.)

„გზის მახლობლად დავაკებულ ფერდობს ამშვენებს ქვითკირის კარგა მოზრდილი შენობა. სკოლა კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების მიერ არის აქ დაარსებული. ეს არის ერთადერთი სკოლა მთელს ხევსურეთისათვის და ორი არაგვის ხეობაზე მდებარე ფშაველთა საზოგადოებისათვისაც..." („მოამბე", 1898 წ.)

ბუნებით კონსერვატორი ხევსური ყოველივე ახალს ეჭვის თვალით უყურებს და ბუზღუნებს: „...ჯერ ერთი სკოლის შენობა იყო და ის არ გვეჯდინებოდა, ეხლა მეორეც წამოიჭიმა და ისიც სადა და... დიდის ბერბაადურის გუდანის ჯვრის სახატო მამულზედ!" „...ლამის ბალღები სუ თავისკენ გადაიბიროს და უუნცროსებო დაგვწიროს თავის ბუნაგებში: ან შეშას აღარ

უნდა კარით შინ „შამაღებაი“, ან საქონისად ჭერ ხოდან საჭმლის „ჩამაყრაი“, ან „ნაკერს“ მანაყაიდ მაღებაი...“ (ვაჟა-ფშაველა)

„ჯერ გაგვიმართვენ სკოლასა, მერე წაგვართმენ შვილსაო“, — ამბობს ხევსური მთქმელი.

ღარიბი ხევსურები ჩივიან სკოლის გადასახედზეც

იმავე ხანებში, ვაჟა-ფშაველა უსმენს რა გულგატეხილი ძმის საუბარს, წერს: „...დაიცა ხევსურები სწავლას მოისურვებენ, თვითონ მოსძებნიან სკოლას თუ არაო... დღემდის 7-8 მეტი არც კი ჰყავს ჩაწერილი... სამი ძათგანი მესამე დღესვე გაიყვანეს, ხატი გაჯავრდა, არ მოგვიხდინაო.“ „...ბევრის ხევსურისგან მსმენია: „ნეტავ ვინ ძალით კი წაგვართომდნენ სასკოლადვე შვილებსა: მაშინ ხატისა და ქვეყნის მუნათშიც და პირშიით გამოსულები ვიქნებოდით.“ (ვაჟა-ფშაველა)

„1905-1907 წლების რევოლუციამ ძველ შკოლებს აურია ჟამ-კარი, დაუბნია დავთრები, ორად-ორი შკოლა გვქონდა და ისიც ლამის ხელიდან გამოგვეცალოს. რაღა ლამის, ხევსურეთში ბარისახოს შკოლა მოისპო, რადგან ამ ორის წლის წინათ შენობა დაიწვა და ეს შკოლა სხვაგან (უცხო მხარეს) იქნა გადატანილი.“ (ვაჟა-ფშაველა)

1912 წელს ეპისკოპოსი მამა ანტონი მოგზაურობს ხევსურეთში და წერს: „თავისი სიბნელის შესახებ მე ყველგან შემომჩიოდნენ. ბავშვები მე ერთხმად მთხოვდნენ სკოლაზე...ყოველივე ამასთან ფშავ-ხევსურეთში ამ მუზარადის, ფარისა და შუბის ქვეყანაში არის ერთი სკოლა და საკუთარი ბინის გარეშე.“

„აღარცა რა თქვენმა სწავლამ ქნა, ისწავლეთავ, სუ იმას გვირჩევთ ჩვენაც. რაად გვინდა სწავლაი, რო აღარ გაუდის აღარც ჩვენს ჭკვასა და აღარც სწავლას“, — შესჩივის უსამართლობით, რევოლუციებითა და არეულობებით დაღონებული ხევსური ვაჟა-ფშაველას.

იმ ღროს ხევსურის აზრით: „სწავლით ხევსური ვერ იცხოვრებს და ოჯახს ვერ შეინახავს, ამიტომ ხევსურისთვის საკმაოა ხელის მოწერა და ცოტაოდენი ანგარიშის ცოდნაო.“ (ს. მაკალათია)

ვაჟა მაინც ცდილობს და ილვწის ხევსურთათვის: „ერთი ხევსურის ბალღი წიქა, სწავლის სურვილით გატაცებული... გაზაფხულზე მივიყვანე ქართულ გიმნაზიაში და ვუშუამდგომლე მიეღოთ, გამოეზარდათ უპატრონო ქვეყნის შვილი, ერთადერთი მთის კაცი, მაგრამ სკოლის უფროსისაგან ცივი უარი მივიღე... სასარგებლო არ იქნებოდა ერთი ხევსური გამოგვეზარდა... ქართველ მეფეებს ამალა ხყავდათ ხევსურებისგან შემდგარი... თუ „ხევსურობით“ მეფენი არ იწუნებდნენ ხევსურებს, ჩვენ რატომ არ უნდა შევიგუოთ ისინი? არ დავეხმაროთ, არ გავუხსნათ გზა სინათლისკენ... როგორ არ უნდა

გვესმოდეს, რომ ამით ჩვენს თავს ვარგებთ, ჩვენს ქვეყანას ძალას შეეტატებთ...“ (ვაჟა-ფშაველა)

გასაბჭოებისა და ქაქუცა ჩოლოყაშვილის ხევსურეთში შემოსვლის შემდგომმა მოვლენებმა კვლავ არია სკოლა-მასწავლებელია საქმე. ხელისუფლება სკოლებში აგზავნიდა მასწავლებლებს, რომელთაც პარალელურად სხვა დავალებებსაც ძლევდა. ზოგ სოფელს უკანაც გაუბრუნებია და არ მიუღია მასწავლებელი იმ მიზეზით, რომ იგი შესაძლოა ხელისუფლების მოგზავნილი აგენტი იყოსო.

მაგრამ ხევსურთა სწრაფვა განათლების მიღებისკენ უკვე დიდი იყო, ამიტომ ყოველ ღონეს ხმარობდნენ სკოლის შესანარჩუნებლად: „...ჩვენი მიზანი იყო გახსნილიყო პანსიონის მსგავსი სასწავლებელი. ამ მიზნით წაველ ისევ დედაქალაქს, ბევრჯერ ვესტუმრე ფილიპე მახარაძეს, მთიელთა კულტსაზოგადოებაში ალექსი ყამარაულს, ვიყავი საშა გეგეჭკორთან, ვთხოვე სკოლის გახსნა... ააშენა ღმერთმა, პანსიონი დაგვიმტკიცეს, ფარჩა და მკერავი მოგვცეს, ბავშვებს ტანსაცმელი აქვე შეეუკერეთ, უფასო კვება მივეცით...“ (აძით ჩაჩაურის ნაამბობი. ა. თომაძე)

1925 წელს ბარისახოში აშენდა ორსართულიანი შენობა, რომელშიც განთავსდა ოთხწლიანი ინტერნატი. ამ სკოლაში ხევსურთა გვერდით დგანან დ. პავლიაშვილი, ნ. ჭონქაძე-გალაშვილი, გ. ამერეჯიბი, შ. თვალავაძე... რომელთა სახელი და ღვაწლი დიდხანს გაჰყვება მთიელთა ხსოვნას.

ბარისახოს საშუალო სკოლა-ინტერნატში აღიზარდა დღევანდელი ხევსურეთის ახალგაზრდობა და ძველგაზრდობა. ეს სკოლა იყო „თავის დროზე სახელმწიფოსაგან ხევსურთათვის ბოძებული ყველაზე დიდი ჯილდო, ახალ დროებას ხევსურეთში ფაქტობრივად ამ სკოლამ ჩაუყარა საფუძველი...“ (კ. არაბული, ა. არაბული)

ᲛᲘᲒᲠᲐᲪᲘᲐ. ხევსურთა მიგრაცია მეტად მტკივნეული საკითხია. ისტორიული მოვლენები, სახნავ-სათესი მიწის სიმცირე, მკაცრი ბუნებრივი პირობები, სისხლ-მესისხლეობა და ა. შ. ძველი დროიდანვე აიძულებდა ხევსურებს შედარებით იოლად საცხოვრებელ ადგილებში გადასახლებულიყვნენ. თითქმის ყველა დროს ხდებოდა ხევსურეთის ჭარბი მოსახლეობის ჯგუფური თუ ნაწილობრივი განსახლება საქართველოს მეფეთა მიერ ბოძებულ მამულებში, უფრო კახეთის ბარსა და მთისწინეთში, ვინაიდან ხევსურეთი კახეთის სამეფოში შედიოდა.

ყველაზე ადრეულ ხანაში ფხოველთა მასობრივი გადასახლება საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების საწყის პერიოდში მომხდარა. დიდი მიგრაციები იყო აგრეთვე დემეტრე II, გიორგი V და ლევან II მეფობის დროსაც.

ხევსურთა ბარში დასახლება უმთავრესად ხდებოდა მეფის ან საეკლესიო მიწებზე. როდესაც „საეკლესიო და სახასო მიწები დასახლებული იქნა, მათ დაიწყეს თავადთა მიწებზე დაფუძნება." (რ. ჩოფიკაშვილი)

ბარში ჩასახლება და იქ დამკვიდრება, იქაურ გარემოსთან შეგუება თავისუფლებისმოყვარე და უბატონო ხევსურებს ძლიერ უჭირდათ. ისინი ძალაუნებურად საბატონო უღელში ებმებოდნენ. თუ უკიდურესი გაჭირვება არა, ხევსური იშვიათად აიყრებოდა ადგილიდან. ამიტომ იყო, რომ მათთვის მეფეების მიერ ბოძებული მამულები აუთვისებელი რჩებოდა, რაც კარგად გამოიყენეს ფშავლებმა და თუშებმა. ამის გამო საყვედურობს ხევსური მთქმელი: „ვერ ეპატრონნეს ხევსურნი თავის ალვანის წილსაო."

დიდი გადასახლება მოხდა XVII ს-ში, როცა არაგვის ერისთავები ხევსურეთიდან აყრილ მოსახლეობას ძალდატანებით ასახლებდნენ თავის საერისთაოს მიწებზე. იმ ხანებში სპარსელთაგან აოხრებული, დაცარიელებული ქართლ-კახეთის სოფლების შევსება სწორედ მთიელების ხარჯზე ხდებოდა.

XIX ს-დან შედარებით გაადვილდა და გახშირდა ხევსურთა ბარში ჩასახლება. ამჯერად ხევსურები, რომლებსაც ვაჟა-ფშაველა ეხმარება და მფარველობს, თავად მიისწრაფვიან ბარისკენ. განსაკუთრებით გამწვავდა შირაქის საკითხი, სადაც სახელმწიფო მოხელეებთან ბრძოლაში მთიელები ვაჟამ დაიცვა. რ. სურმანიძის ცნობით, XIX ს-ის ბოლოს ბათუმის სასამართლოში აჭარა-შავშეთის იალაღებზე ფშავ-ხევსური მწყემსების მოსარჩლედაც ვაჟა გამოსულა.

ვაჟა-ფშაველა შუამდგომლობს ჩირდილელ-ბუჩუკურთელ ხევსურებს, რომლებიც აძია გოგოჭურის თაოსნობით სეროდანში (კახეთი) საადგილმამულო მიწის მისაღებად იბრძვიან. ბლოელ გიგაურებს ერწო-თიანეთში საცხოვრებელი ადგილების მოპოვებისთვის ეხმარება ხელისუფლების მოხელე აბა გიგაური.

ხევსურთა ჩასახლება მოხდა 1940-იან წლებში ჩრდილოეთ კავკასიაში, ხელისუფლების მიერ ადგილიდან აყრილი ინგუშების სოფლებში. როდესაც რეაბილიტირებული ინგუშები უკან დაბრუნდნენ, ხევსურებმა დაუბრუნეს ქისტებს მათი ნამოსახლარები, თავად კი ბარის რაიონებში ჩასახლდნენ.

1950-იანი წლებიდან იწყება ხევსურეთის საბოლოო დაცლა. ამის მიზეზი, მიგრაციის გარდა, იყო შემდეგი: ბარისახოს საშუალო სკოლადამთავრებული ახალგაზრდობა სწავლის გასაგრძელებლად ქალაქში მიდიოდა და იქვე იწყებდა სამსახურს, რადგან მათი დასაქმება ხევსურეთში შეუძლებელი იყო.

1950-იანი წლებიდან ხელისუფლების მიერ ხევსურთა ბარში ჩასახლება მათთვის პირობების გაუმჯობესების, ბარში მეურნეობის გამსხვილებისა და

გიგანტური სამრეწველო საწარმოების მშენებლობის მიზნით ხორციელ-დებოდა.

1970-იანი წლებისთვის ხევსურეთი თითქმის დაცარიელდა. „...სადღა იყო ხალხით სავსე სოფელი, მოვლილი სახლ-კარი, სოფლის შუაზე სუფთა შარა-გზა. ჩაქცეულ ნასახლარებს შორის აქა-იქ თუ ამოდიოდა კვამლი... არც მობიბინე ლურჯი ყანები, ჯვარ-ჯვარისკარი შამბით შეჭმული." (თ. ოჩიაური)

ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲘᲚᲘᲡᲬᲘᲠᲘ ᲥᲘᲚᲔᲑᲘ ᲮᲔᲕᲡᲣᲠᲔᲗᲨᲘ. XIX ს-ის ბოლოს ხელისუფლებამ ხევსურეთში მშენებლობები წამოიწყო. გაწარმარ-თებულ ხევსურეთში ჯერ მცირე ეკლესიები ააგეს. „ორ წელ ას სამ საყდარ აშენდ ხევსურეთჩი, დავსწყვიტეთ წელებ ჯორ-ულაყთ მასალაის ზიდვაჩი..." (ვაჟა-ფშაველა)

ამავე ხანებში ფშავ-ხევსურეთში სარკინოგზო მაგისტრალის მშენებ-ლობის დაგეგმვა დაიწყო. ხევსურები ამ მშენებლობებს და სიახლეებს ეჭვის თვალით უყურებდნენ: „მაშ ამაზედაც თუ შამაჩინდების ხევსურეთის გამამ-ცხვირავ „ბარახოტაი" ბაბანით ოდიგრობით?... იმით მაიგონეს ეგ, ხევსუ-რეთის გამაცხვირვა სწადიათო." (ვაჟა-ფშაველა)

ხევსურეთის წიაღისეულით არიან დაინტერესებულნი რუსი და უცხო-ელი მკვლევარები. სხვადასხვა სახის საველე სამუშაოებს აწარმოებენ. ხელ-შეკრულებებს დებენ ხევსურებთან, ივჯარით იღებენ მათ მიწებს, ეძიებენ ვერცხლს, სპილენძს, ოქროს, სწავლობენ მინერალური წყლების შემადგენ-ლობას. „ხმა დავარდა: ოქრო უნდა აღმოაჩინონო და გზის გასაყვანად არ-ხოტის მთა უნდა გახვრიტონო. ხევსურების წარმოდგენით კი ბურღი ვინმე ღონიერ კაცს ხელით უნდა ეტრიალებინა." (ალ. ოჩიაური)

„რად გი რვალი? ეშმაის მაგონილ ას. ქალაქჩი გაიგებენ და ამოვლენ... შიშის მიზეზს უმალვე მივუხვდი: ის ქვეყანა ამ ქვეყანაში შემოიჭრება, გზა გაიკაფება, მავთული გაიბმება, მილიცია მოვა და ხელისუფლება, სამართა-ლი, გადასახადი, მანქანა, ორთქლი, ელექტრონი და ათასი ეშმაკეული გაჩნდება." (მ. ჯავახიშვილი)

„1922 წელს ხევსურეთში, კერძოდ ბარისახოში გაჩნდა პირველი ბორ-ბლებიანი ტრანსპორტი „ტაჭკა", რომელსაც ცხენი ეზიდებოდა. იგი ემსახუ-რებოდა საავადმყოფოს მშენებლობას. ბარისახოს ჭალიდან ქვიშასა და ქვას ეზიდებოდნენ." (გ. ჩიტაია)

1934 წლის მაისში იწყება ჟინვალ-ბარისახოს საავტომობილო გზის მშე-ნებლობა და შვიდ თვეში (!) წერაქვითა და ნიჩბით გაყვანილ იქნა 54 კმ სიგრ-ძის გზა. არაგვზე აიგო 10 ხიდი და ორსართულიანი შენობა ორწყალში. პა-რალელურად ბარისახოში დასრულდა ელექტროსადგურის, საბჭოს, საავად-

მყოფოს და სკოლის კაპიტალური შენობები. 1934 წლის 25 ნოემბერს ბარისახოში შედის პირველი ავტომანქანა, რომელსაც მართავს ლეგენდარული ინჟინერი და მუშაკაცი ვანო გეჯაძე. (სოფელ შატილში პირველი ავტომობილი 1970 წელს შედის.) ამ ღირსშესანიშნავი მოვლენების გამო სოფელ ბარისახოში იმართება დიდი ზეიმი. ზეიმს ესწრება თავად ლ. ბერია.

ხევსურები მაშინ საავტომობილო გზის წინააღმდეგნიც ყოფილან: „გზა რომ მოვა, მას ჩეკა მოჰყვება და ხევსურეთი თავისუფლებას დაჰკარგავსო.“(გ. ჩიტაია)

დროის მსვლელობას წინ ვერავითარი ძალა ვერ დაუდგება, ვერ შეაჩერებს და ყოველივე ახალი ზვავივით უცებ შეიჭრა ხევსურეთში. შეიჭრა ბრმად და მოულოდნელად, შეუმზადებლად, ისე, რომ ხევსურებმა გამოფხიზლებაც ვერ მოასწრეს.

1900-იანი წლების რევოლუციები და ხევსურეთი. (*ვაჟა-ფშაველას მოღვაწეობა*). ვაჟა-ფშაველა, ატყობს რა დროის ცვალებადობასა და მოსალოდნელ გარდაქმნებს, ცდილობს კვლავ გაალვივოს მთიელებში მეომრული სული. მას აღა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის აოხრების ასი წლისთავისთვის გადახდილ პარაკლისზე სამასი აბჯარასხმული ხევსური ჩაჰყავს ღედაქალაქში.

XX საუკუნის პირველივე წლებიდან დაწყებული არეულობისა და რევოლუციების ცეცხლი მთასაც მოედო. კვლავ წამოიმართნენ ერთხანს მიძინებული ხევსურები და ფარ-ხმალი შეაჟღრიალეს. „აჩინდეს ბუნტოვჩიკები... გაჩინდა ერთობის ხალხი, ერთუცის მხრის დამჭერია,“ — ახალი თემა შევიდა ხევსურთა პოეზიაში.

1905-1907 წლების რევოლუციური გამოსვლების დროს „ვაჟას უნდოდა ფშავ-ხევსურთა დახმარებით შეიარაღებული აჯანყება მოეწყო მთიდან, შემდეგ გადაეტანა მთელ საქართველოში... მოვიწვიეთ მთელი ხევსურეთის კრება, მოწოდება ვაჟამ შეადგინა. დანიშნულ დღეს მოვიდნენ ხევსურეთის შვილები, თავით ფეხებამდე შეიარაღებულნი, მოგროვდნენ ბარისახოში და დასდეს ფიცი, რომ უკანასკნელი სისხლის წვეთამდე იბრძოლებდნენ თავისუფლებისათვის. ეს ფიცის ფურცელიც ვაჟამ შეადგინა.“ (ი. ლოლაშვილი)

„...ვაჟავ, — ეუბნებოდნენ ხევსურის შვილები, — ჩვენ დავხავსდით, ჩვენს იარაღს ობი და ჟანგი მოეკიდა, იარაღს გაპრიალება უნდა და სად უნდა გავაპრიალოთ ეს იარაღი, თუ არა თავისუფლებისათვის ბრძოლაში?“ (ს. ყუბანეიშვილი)

„ვაჟა-ფშაველამ გეგმაც კი შეადგინა, რომლის მიხედვით არაგვის ვიწროებში აპირებდა ქვის საგორავების მოწყობას დამსჯელი ჯარის ამოსაწყვეტად.“ (კ. სიხარულიძე)

ვაჟა-ფშაველასა და „ბუნტოშჩიკ“ ნიკო ტლაშაძეს განსაკუთრებულ დახმარებას უწევდნენ ბუჩუკურთელი მამუკა გოგოჭური, ბარისახოელი სადარა არაბული, გოგოთურ ჯინჭარაული, მოწმაველი ბათირა არაბული... „ხალხია აღელვებული, თან რეულობის ფერიო, მოვიდეს ბუნტოშიკები, მოგვაწერიეს ხელიო, რაზიკათ ლუკამ შაყარა საზოგადოი ჩვენიო.“

1905 წლის არეულობების დროს, ნასაკირალთან ბრძოლის შემდეგ, ვაჟა-ფშაველა ილია ჭავჭავაძის შეგულიანებით ცდილობს გურიაში დამსჯელი ჯარის წინააღმდეგ საბრძოველად ორასი შეიარაღებული ხევსურის ჩაყვანას, — გადმოგვცემს რ. სურმანიძე.

1906 წელს ვაჟა-ფშაველა პირდაპირ საქმეზე გადავიდა და ფშავ-ხევსურეთის დეკლარაცია“ შეადგინა, რომელშიც პოლიტიკური და ეკონომიკურ-სამართლებრივი საკითხებია დაყენებული. დეკლარაცია 20 მუხლისგან შედგება და ასახავს ფშავ-ხევსურთა და მათი კუთხის საჭირბოროტო საკითხებს.

„...იმ დროს გაფიცულნი ვიყავით. ვაჟა და ნიკო ტლაშაძე, რომელსაც „ბუნტოვშჩიკს“ ეძახდნენ, ჩვენთან მოვიდნენ და წმინდა გიორგის ეკლესიაში ხალხი დაიბარეს. ყველამ დავიფიცეთ რევოლუციის ერთგულებაზე. მახსოვს, მაშინ მამასახლისებს და სხვა ჩინოსნებს ნიშნები აჰყარეს. მერე ყაზახები დაგვეცნენ და ხალხი ააწიოკეს.“ (ბ. ბადრიშვილის ნაამბობი. ა.თომაძე)

მაგრამ რევოლუციის დამარცხებამ, იმედების არგამართლებამ, ინდივიდუალურმა ყაჩაღურმა ტერორმა, „გამომჟღავნებულმა სიღატაკემ, მოუმზადებლობამ და ხალხის სიბნელემ“ ვაჟა ჩამოაშორა რევოლუციურ ხალხოსნებსა და პოლიტიკას. მაშინ ხევსურმა „ბუნტოვშჩიკებმა“ მთელ ფშავ-ხევსურეთში ერთადერთი ბარისახოს სკოლაც კი დაწვეს, თითქოს ამით ხელისუფლებას ზიანს მიაყენებდნენ.

„ფშავ-ხევსურეთში რევოლუციური მოძრაობა და ... ვაჟა-ფშაველას მოღვაწეობა შესწავლილი ყოფილა სპეციალური დავალებით მოვლინებული კავკასიის რკინიგზის პირველი ბატალიონის კაპიტნის, სემიონოვის მიერ და ამ საკითხზე მას მოხსენება წარუდგენია ჟანდარმერიის პოლკოვნიკ ბაბუშკინისათვის.“ (ვ. ჟვანია)

მეაბზოხე ფშავ-ხევსურეს ხელისუფლებამ დაუწყო დევნა. სოფლებში ჩააყენეს საეგზეკუციო რაზმები. დევნილები იძულებულნი გახდნენ ყაჩაღად გასულიყვნენ ტყეში. უმეტესობამ ტრაგიკულად დაასრულა სიცოცხლე. მოტყუებით შეიპყრეს შემოსარიგებლად წასული სადარა არაბული და საჯაროდ ჩამოახრჩეს, ხოლო მამუკა გოგოჭური იძულებული გახდა იმ დროს სახელიან აბრაგ ქისტთან, ზელიმხან გუშმაზუკოსთან გადასულიყო, მაგრამ

ისიც, თერგის ხეობაში მიმავალი, მოღალატემ გასცა და ყაზახებმა საგუშაგოზე მოკლეს.

„პოლიციის რაზმები გამუდმებით იგზავნებოდნენ ხევსურეთში ყაჩაღების შესაპყრობად. არბევდნენ მერცხლების ბუდესავით კლდეებში მიმალულ სოფლებს... „ვაინი მამასახლისის“ – სამსონ ლუხუმიშვილის ხელმძღვანელობით მრავალი ხევსური დააპატიმრეს...“ (ალ. სანადირაძე)

ახალი დროება ხევსურეთში. ხევსურეთს თუ აქამდე სახელი და დიდება არ აკლდა, XIX ს-დან იგი აღარავის სჭირდება. თავად ხევსური კი თავისი გარეგნობითა (შუა საუკუნეების აღჭურვილობა და ჩაცმულობა) და ყოფით დაცინვის საგანი ხდება. „კარებში შემოყუდებულიყო მაღალ-მაღალი, წითლად და ყვითლად აყვავებული ხევსური. ხომ კარგად იცით, უფარუხმლოდ არ იქნებოდა, ცალ მხარზედ ეკიდა შეჭვარტლული, გაშავებული ფარი, მეორეზედ თითბრით შემოსალტული ხმალი“, – წერდა ირონიულად 1881 წელს „დროება“. ქალაქი უკვე აშინებს („ცდის“, „აავადებს“) ხევსურს. ხელისუფლების მოხელე ნაჩალნიკ-პრისტავი, ჩაფარ-აბეშიკი, სავაჭრო კაპიტალიზმს თან მოყოლილი ათასი ჯურის ჩარჩ-ვაჭარი და კინტო-თაღლითი აბუჩად იგდებს და ატყუებს ხევსურს. ხდება ხევსურის გაუცხოება, მისი დრო წასულა. ხევსურეთი კარგავს თავისუფლებას, რაც იწვევს სრულ უწესრიგობას მთაში.

აღარ „გაუდის“ ხევსურის ფარ-ხმალს, სხვა ხელისუფლება და კანონი გამეფებულა. თუ აქამდე მეფის გვერდით იდგნენ და ხმის უფლებაც ჰქონდათ („ორი შენ ბრძანე მეფეო, მესამე მე გამიგონეო“), დღეს თიანეთის მაზრის უფროსს, ვინმე ოზიაშვილს („ოზიო პრისტავი“) მორჩილებენ ხევსურნი. ზოგს მისი მწვავე სილა – „პრიშტაულიც“ უწვნევია. მართალია, ძვლებურად მზირ-მეკოპარის და მტრის შიში აღარ აქვთ, მაგრამ ქალაქში მგზავრობა აღარ სწადიათ. „პაპაჩვენს კი ქაჯი ჰყოლია დაჭერილი და როცა თბილისს ქალაქს მიდენილა, ის უელევია თან. მომკვდარა ისიც, ქაჯიც სადღაც გადაქაჯულა და ჩვენ კი დღეს ქალაქს აღარ ჩაგვესვლება.“ (ვაჟა-ფშაველა)

ხევსურებს, რომლებისთვისაც ფული უცხო იყო, სხვადასხვა ხასიათის კანონიერი თუ უკანონო გადასახადები დააკისრეს და პოლიციის თანხლებით მოედვნენ ხევსურეთის სოფლებს „ნალოგის“ ამკრეფნი. „...ფშავ-ხევსურნი უიმისოდაც შეწუხებულნი არიან სხვადასხვა...გადასახადისგან... განა სამძიმო არ არის ხალხისთვის, რომ რამდენმა ჩაფარმა და მოხელემ უნდა გაიაროს, ყველამ უფასოდ დღეში თითო საკლავი მოითხოვოს?..“ – წერდა ვაჟა-ფშაველა. „ეს „ბწკლიანნი ვეფხვნი“ კმაყოფილებითა და უშფოთველობით რომ ცხოვრობდნენ“... აფორიაქდნენ. ჯერ ქორწინებამ გამოჰყო ხევსურების ნიადაგზედ თავი: მას აქეთ აქციზმა, ქვაბების საქმემ, რაც იმათ დააკლეს, ის სალდათობამ მოუსართა.“ (ვაჟა-ფშაველა)

ახლად მოვლენილი ბატონები, რომელთაც უიარაღოდ დაიპყრეს ხევსურეთი, არც ბარში ასვენებენ მათ თანამოძმეთ, რომელთაც მიწა თავის დროზე მეფეებისგან ჰქონდათ ბოძებული. „ბოლო დროს ხიმშიაშვილს, ორმოცი ვერსის სიშორეზე დუშეთში სუნი სცემია იმ ადგილებისა... რასაკვირველია, ამგვარ ხალხს, როგორიც ხევსურებია, ბრწყინვალე თავადი, გინდ აღმა უზამდა თავს, გინდ დაღმა.“ (ვაჟა-ფშაველა)

საქმე ის გახლავთ, რომ ერწოს გამოღმა მხარე, საეკლესიო მამულები ხევსურებს ჰქონდათ დაკავებული და საეკლესიო ბეგარასაც იხდიდნენ. შემდგომ ეს ადგილები არაგვისპირელმა თავადმა ხიმშიაშვილმა მიითვისა და ხევსურები შეავიწროვა. ამ ხიმშიაშვილის ცხვარს ხევსური მწყემსები აჭარაში (ბეშუმი, არსიანი, ჩირუხი), აჭარის მმართველი ბეგების (აბდულ, სელიმ, ახმედ) სამფლობელოებში აბალახებდნენ. ვაჟა-ფშაველა ცდილობს ერწოელი ხევსურების დაცვას და სამართლიანობის აღდგენას. ვაჟა აჭარაშიც კი ჩადის და იქაც ცდილობს გამოექომაგოს ხევსურებს, რომელთაც ადგილობრივი ხემშილები უჩივიან. ხულოს მაზრის გამომძიებელი ვ.ნ. სტრუვე, შეიტყობს რა, რომ მის წინაშე მდგომი „მწყემსი“ ვაჟა-ფშაველაა, საქმეს ყოველგვარი ძიების გარეშე შეწყვეტს ხევსურების სასარგებლოდ. (რ. სურმანიძე)

ერთი მხრივ მემამულეები ავიწროვებდნენ ხევსურებს, მეორე მხრივ ვაჭრები და გადამყიდველები ატყავებდნენ: „გარმოგვესივა სომეხი ჩვენ ოფლის წყალში მყრელია. თავადებ გვეუბნებიან: თქვენ ადგილებ ხო ჩვენია.“

რევოლუციებმა და არეულობებმა ხომ სულ ამოაგდო ხევსურეთი: „ნელ-ნელა ჩვენს ხეობაში შემოჰყვეს ცხვირი ბოქაულ-სტრაჟნიკებმა. ბოქაულმა...შემოიარა მთელი ფშავ-ხევსურეთი და შემდეგ დაბრუნდა... თიანეთში. ის დღე იყო და დაიწყო კიდეც ავმა ქარმა ქროლვა. შიგდაშიგ კაცებმაც იწყეს დენა თიანეთში ბოქაულთან, მაზრის უფროსთან და სხვა მოხელეებთან. აირია მონასტერი...“ (ვაჟა-ფშაველა)

„... ეეხლა კიდევ ტყეებ შაგვეკრ: ჩვენ ადგილ ღნახას კაცმა, ჩვენებ ტყეებ. იმათ სალესნიშნიჩოდ გაჯდ. განა შენ თავად არ იცი, კომლეურად გვაქვის და გვქონდ გაყოფილ ტყეები, თითო კომლს ოც ძირ ხე არ შახვდების, აიმით გვედგ სული კაცსა და საქონელსაც, აისიც წაგვივიდ ხელით, რამაღ შაგვინახას, რამაღ გვაცსოვრას? არ გიკვირსა, ეს რა ამბავ ჩვენს თავს?! ბეჯითად გამაცხვირვას უპირებენ ხევსურეთს...“ შესჩივის ხევსური თავიანთ ქომაგს ვაჟა-ფშაველას, რომელთანაც ხმალი მიუტანია დასაგირავებლად, მაგრამ ხედავს რა პოეტის მასაკით სილარიბეს და უმწეობას, დანაღვლიანებული ბრუნდება უკან.

„სალდათობა“ და ომი. პირველ მსოფლიო ომში ხევსურები მობილიზაციის წესით იქნენ გაწვეული. „ქუდზე გალალეს სალდათი, ყანას დედანი მკიანო...“ „ნუ გასტყდებით! ომში წასვლა ვაჟკაცს ქორწილ უნდა ეგონას.“ — ასე არიგებენ ბებერი ხევსურები ახალწვეულებს. გაგახსენდებათ მემატიანის სიტყვები: „ასრე სიხარულით მივდიოდით, ვითარცა ქორწილს შინა წვეულ ვყოფილიყავთ...“

ძნელი იყო შეგუებოდა მთიელი კაცი „სალდათის“ რეჟიმს. ხევსურები ქმნიან სიმღერების პოეტურ ციკლს, რომელიც ხევსური ჯარისკაცის მდგომარეობას ასახავს. „მსოფლიო ომის საშინელებანი ისეთი სიმკვეთრითაა გადმოცემული, რომ მსგავსი რამ მე არაფერი ვიცი ქართულ ლიტერატურაში. არც გასაკვირია: ლექსების ავტორები უშუალო მონაწილენი იყვნენ ომისა და თავისი თვალით ხედავენ ომის მიერ თავს დატეხილ უბედურებას და განადგურებას...“ (აკ. შანიძე)

ბევრი ხევსური დაიკარგა პირველ მსოფლიო ომში. განსაკუთრებული ტკივილი გამოიწვია პირველი ხევსური ოფიცრის კობა ცისკარაულის სიკვდილმა, რომელიც ოცი წლისა გერმანიის ფრონტზე მოკლეს.

იცის ხევსურმა, რომ „რუსის მამრევი“ არავინ არის, „ნიკალას ფათოლ-თოდენი“ ჯარი ჰყავს, მაგრამ ეს „რაღაც იაპონია...საკვირველ საქმეს შვრების“. „ღრუბლით ომობს...“, „სასწაულობით, მახერხებით“ სჭარბობს რუსებს. „ილუპების, ილევის რუსის ჯარი... ყველაიც კი ვადით ას: ვაჟკაცობაი, სიმდიდრეი, გაუვ ყავლი — ერთიც მარჩების, მეორეიც. რუსს ყავლ გაუვიდ სადამ. იაპონიაჩი ერთს ერეკლეთასაც ბაგრატიონს ამბობენ გადასულს... შამაუთვლავ ჩვენის ჭემწიფისად, ქართველს ნუ მაომებავ... აქამდი ვაძლევდით სალდათს, ეხლა აღარ მივცემთ... იქ რა უნდა იაპონიაჩი ჩვენს შვილებს, აქ ღღეს თუ ხვალ ლეკი, ქისტი, ჩაჩანი მზას არიან ჩვენს ასაკლებად. მეომარ უფრო აქ გვიჭირს. არ გვაქონებიებს იარაღს. რაით შაუქციოთ მტერს ხელი... ნეტარ ჩვენ რუსის ხელჩი დავრჩებითა თუ იაპონიისა?“ (ვაჟა-ფშაველა). ასე მსჯელობდა ხევსური საუკუნის დასაწყისში, მას შემდეგ ბეკრი წყალი ჩაივლის და საუკუნის დასასრულს კიდევ იკითხავს ხევსური: — ნეტა ჩვენ რუსის ხელჩი დავრჩებითა თუ ამერიკისა?

ნიკოლოზ II-ს ტახტიდან ჩამოგდება. 1900-იანი წლების დასაწყისის არეულობებმა და მსოფლიო ომმა ხევსურები მიახვედრა, რომ თვითმპყრობელობას ბოლო ელებოდა. იმ ხანებში ხევსურები საქართველოში რუსის შემოსვლიდან ასი წლისა და მათი საქართველოში ყოფნა-არყოფნის საკითხზედაც მსჯელობდნენ, მთავრობაში თავისი დეპუტატებიც კი ჰყოლიათ გაგზავნილი და სიტყვითაც გამოსულან.

ხელისუფლების სამსახურში მდგარი მამასახლისები ცდილობენ მოსახლეობის დამშვიდებას და რუსეთის იმპერიის ძლიერებას ქადაგებენ. ეს საუბრები და მსჯელობა-კამათი ჩვეულებრივ საფეხვნოებში მიმდინარეობს. და რაც მთავარია, მსჯელობენ იმ დროის ქურუმ-ქადაგისა და წინასწარმეტყველის, ბუჩუკურთელი თარხანათ გაგას ნამახინრებზე, რომელიც აცხადებს, „რუსთ ხელმწიფეს ყავლი გაუვიდაო." „არ დაიჯეროთ, რუსთ ხელმწიფეს რა მოერევა, ფათოლთოდენი ჯარი ჰყავსო," — ამბობს გაგას მეზობელი, მამასახლისი შაბურათ აფშინა. „მე მჯერა მაგ კაცისა," — ეპასუხება ბაჭალათ ბაღათერა და ოქროს თუმნიანზე ენიძლავება მამასახლისს. გამოხდება ხანი და ბაღათერა თურმე ხშირად შეასსენებდა წაგებულ თუმნიანს შაბურათ აფშინას... მელექსე მინდიათ ახლა კი ალექსებს იმპერატორს და ქალის ხელს სთხოვს, რის გამოც „დასაჭერად სდევნიდნენ ხელმწიფის შეურაცხყოფისათვისო." (აკ. შანიძე)

ნიკოლოზ II-ს ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ ხევსურები აქტიურად მონაწილეობენ თბილისში და საქართველოში მიმდინარე პროცესებში. ოთხმოცი ხევსური გოგოთურ ჯინჭარაულის ხელმძღვანელობით დგება დროებითი მთავრობის სამსახურში, რომელთაც აიღეს უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პუნქტი — არსენალი, შემდეგ დაიკავეს რკინიგზის მაგისტრალი ავჭალიდან ნავთლუღამდე და თავადვე დააწესეს კონტროლი. (დ. ვაჩნაძე)

ვ. ჯუღელმა და ა. დგებუაძემ არსენალის აღება ვ. გოგუაძეს დაავალეს. მან 50-მდე თბილისელ მოხალისეს მოუყარა თავი. ამათ შეუერთდა თბილისში საგანგებოდ ჩამოსული ხევსურთა ოთხმოცკაციანი რაზმი და 130-მა კაცმა თოფხანას ალყა შემოარტყეს. „...მთელი ქალაქი გულისფანცქალით ელოდა, რა მოხდებოდა. ერთი დღე-ღამის გახურებული ბრძოლის შემდეგ გვარდიამ მთელი თოფხანა აიღო. ეს იყო სამშობლოს გათავისუფლებისა და დემოკრატიისათვის აშკარა ბრძოლის დასაწყისი." — წერდა იმ დღეებში პრესა.

„...თუშნო, ჴევსურნო, ქართველნო გავლა გმართებდეთ გზისაო, წავიდეო ქალაქისაკენ, შველა იქ უნდა ძმებსაო... საზღვრით მუქარა მოვიდა: ოსმალ აგროვებს ჯარსაო..." და ხევსურები მონაწილეობენ ახალი საქართველოს პირველი მტრების — ოსმალებისა და სომსების წინააღმდეგ გამართულ ბრძოლებში. ამ ხანებში ფშავ-ხევსურეთის კომისრად მუშაობს თომა ბალიაური.

იმპერატორის ტახტიდან ჩამოგდებამ ხევსურეთში დიდი არეულობა შეიტანა. ერთმანეთს გაუსსენეს ძველი მტრობა-ვალი, ხელისუფლების წარმომადგენლები და საეკლესიო პირები გაყარეს ხევსურეთიდან, დაარბიეს ეკლესიები და მეზობელ კუთხეებსაც გადასწვდნენ: „აღელდეს ერეკლეს ყმა-

ნი, დუნია დააღონესა, გასცილდეს საქართველოსა, სათათრეთ ააყროლესა, დაჭოცეს ბოლშევიკები, ძაღლებს აჭმევდეს მზორებსა, ღმერთთან მეენე სჭირდების, მღდელიც ზედ მიაყოლესა...“

კომისრები ხევსურეთის გავლით ჩადიან თბილისში. 1919 წლის ზამთარში საქართველოში ფარულად შემოსვლას ცდილობენ „თერგის საბჭოთა რესპუბლიკის“ წარმომადგენლები და წითელი კომისრები. საქართველოში შემომავალი გზები საიმედოდ არის შეკრული. დარიალის ხეობაში საზღვარს იცავს პოლკოვნიკი წერეთელი. რჩება ერთადერთი, მაგრამ იმ დროისათვის გაუკალი და თოვლით დაფარული ხევსურეთის უღელტეხილები და ხეობები, სადაც ჩიტიც კი ვერ გადაფრინდება. ს. ორჯონიკიძის დავალებით ბოლშევიკების ერთი ჯგუფი (ფ. მახარაძე, მ. ორახელაშვილი, ს. გეგეჭკორის მეუღლე...) ჩეჩნეთიდან არღუნის ხეობის გავლით სოფელ შატილში შემოდიან. ისინი ერთსანს შატილში ჩერდებიან, სადაც ტიფით ავადმყოფ ფ. მახარაძეს ხევსურები უვლიან.

ს. ორჯონიკიძე და სხვა კომისრები კი ცდილობენ ინგუშეთიდან ასას ხეობის გამოვლით არხოტში შემოსვლას, მაგრამ ქართველი მესაზღვრეები მათ შეიპყრობენ და თერგის რესპუბლიკაში შემოსულ დენიკინელებს გადასცემენ. ს. ორჯონიკიძე, კიროვი, დიაკოვი და ბუტირინი გაქცევას ახერხებენ და „ეშმაკის ხიდიდან“ მდინარე თერგში გადახტებიან. გაქცეულები ტყვიების წვიმას თავს კლდეებს აფარებენ და სამშვიდობოს გადიან. მძიმედ არის დაჭრილი „დიდი კომისარი“ ბუტირინი, მაგრამ გზას მაინც განაგრძობს. კომისრები არხოტში შედიან, სადაც დაჭრილი ბუტირინი კვდება. ორჯონიკიძე ერთხანს არხოტში რჩება.

მახარაძესა და ორჯონიკიძეს ხევსურები პატრონობენ და უვლიან, მათთვის ისინი რიგითი სტუმრები და მგზავრები არიან. გაიხსნება თუ არ გზები, ხევსურებივე მეგზურობენ და აცილებენ მათ დედაქალაქამდე. „...ალბათ ესეც იყო მთავარი მიზეზი იმისა, რომ ფილიპე მახარაძე კეთილად იხსენებდა ხევსურებს და სიკვდილამდე მათთვის ყურადღება არ მოუკლია, ასევე გულთბილად იგონებდა ხევსურებს სერგო ორჯონიკიძე.“ (ს. დოლიძე)

ქისტი მოთარეშენი. რუსეთის რევოლუციისა და მომდევნო წლებში შექმნილი არეულობითა და იმითაც, რომ ხევსური ახალგაზრდობა მსოფლიო ომში გაიწვიეს, საქართველოს ჩრდილოეთი საზღვარი დაუცველი რჩება. ამით სარგებლობენ ქისტები და ფშავ-ხევსურეთში ქურდობა-ავაზაკობას მიჰყოფენ ხელს. „ქუდზე გალალეს სალდათი, ყანას დედანი მკიანო, გაუგავ ქისტის შვილებსა — ხევსურეთ გადმადიანო, მანდით გალალეს ხარები, მიუდის, არ იშლიანო...“ განსაკუთრებით გამოირჩევიან მითხოელი ქისტები — ბაგი და ანდარუყო თავისი მოთარეშე რაზმებით. ამ ქისტებმა ფშავლებს

კაცი მიუგზავნეს და მოსთხოვეს თორღვა ძაგანისძის დროინდელი ბეგარის განახლება, ოღონდ საისრე „ბორაის მხრის“ ნაცვლად ცხვარი უნდა ეძლიათ.

მოთარეშე ქისტების წინააღმდეგ ბრძოლას სათავეში ჩაუდგნენ თიანეთის მაზრის ხელისუფლების წარმომადგენელი, გიორგის ჯვრის კავალრები, ხევსური ოფიცრები აბა გიგაური და აბულეთ ალუდაური. და გაერთიანებული ძალებით ფშავ-ხევსურნი, რომლებთანაც არის ქართული მილიციის ოფიცერი, ვაჟა-ფშაველას შვილი ლევანი, ბოლოს ულებენ ქისტების თარეშს.

იმავე წლებში მილიციის ფორმაში გადაცმული ქისტების რაზმი ელიმარძის წინამძღოლობით თავს ესხმის არხოტის თემს. „..გამოწვეული ყოფილა იმით, რომ ამღელებს ქისტების ცხვარი გადმოურეკიათ იმაზე წინად და ქისტებს სამაგიეროს გადახდა მოუნდომებიათ... გაურეკავთ თავისი ცხვარი, მიუყოლებიათ არხოტელების საქონელი და ნივთებიც... ამღას მოუკლავთ ოთხი პირი და წასულან.“ (აკ. შანიძე)

როგორც ჩანს, თარეშში არც ხევსურები ჩამორჩებოდნენ მეზობლებს. რამდენადმე გამწვავდა ურთიერთობა ფშავლებსა და ხევსურებს შორისაც. ხევსურები ფშავლებს „ადგილის ბეგარს“ სთხოვენ და ედავებიან ჩარგლისა და მაშარა-უბისთავის მამულებს. ჭადუელმა შიშია ქერაულმა ამ მიზეზით ჩარგლელების საქონელი გამორეკა კიდეც, ხოლო როშკის მამასახლისმა თათარა წიკლაურმა მაშარაზე დავის გამო მოკლა ფშაველი ხევსურა ქისტაური, რასაც მეორე მკვლელობაც მოჰყვა. უძილაურთის ფშავლები თავის მხრივ სოფელ აკუშოს მამულებს ითხოვდნენ.

შეტაკება ჯარეგოში. 1918 წელს მენშევიკური საქართველოს წარმომადგენლები, სხვადასხვა პოლიტიკური საკითხების მოსაგვარებლად, ხევსურეთის გზით ქისტეთში გადადიან. მათ თან გაჰყვნენ თუშ-ფშავ-ხევსური მეგზურები და მოხალისენი. ჯარეგოსთან ქისტებსა და ქართველებს შორის მოხდა შეტაკება, რის დროსაც სამოცზე მეტი კაცი დაიღუპა. მათ შორის უმეტესობა თუში და ფშაველი იყო. „არ ვის გაჭსონთა ვაჟებო, ჯარეგოს რა ღლე გათენდა, ჩაჭოცეს თუში, მშაველი, მკვდარი შაყარეს მკვდარზედა.“ ქისტების ნასროლი ტყვია მარტო ხევსურულ ჩოხიანებს არ ხვდებოდა. თუშებს, ფშავლებსა და ხელისუფლების წარმომადგენლებს კი ერთნაირი ტალავარი ეცვათ და მათი გამორჩევა ძნელი იყო. შეტაკების დროს სამი ხევსურიც მოკლეს პირადი მტრობის საფუძველზე. ქისტებმა დახოცილთა გვამები არღუნის ხეობაში ჩაყარეს და ჭირისუფლებს მათ გადასვენებაში გამოსასყიდს ართმევდნენ.

ხევსურების ბრძოლა წითელი არმიის წინააღმდეგ. ბოლშევიკებისა და წითელი არმიის აგრესიის მოლოდინში დამფუძნებელი კრების წევრს შალვა ქარუმიძეს იარაღი შეაქვს ხევსურეთში და ხევსურების ერთი ჯგუფი

თბილისშიც ჩაჰყავს. მათ საგანგებო დავალებას აძლევს: იმ შემთხვევაში თუ მთავრობამ საქართველოს განძის გატანა ვერ მოახერხა, წაილონ ის ხევსურებმა და მთებში გადამალონ.

მალე სხვა ხევსურებიც ჩადიან თბილისში თხოვნით, ჩარიცხონ ისინი ეროვნულ გვარდიაში. მაგრამ მთავრობის მოხელეებმა კარგახანს ალოდინეს, ატარეს აქთ-იქით დაპირებებით და ქართულ ჯარში მაინც არ ჩარიცხეს. მოხალისე ხევსურებს საგზალი რომ გამოელიათ და დაიმშნენ, უკან გაბრუნდნენ. ზოგს ქუნთრუშა შეყრია და ლაზარეთში მოხვედრილა.

1921 წლის თებერვალში ცხენოსან ხევსურთა ერთი რაზმი, რომელსაც შალვა ქარუმიძე მეთაურობს, კოჯრის მიდამოებში წითელი არმიის ნაწილებს ებრძვის.

„...ყველანი აივანზე ვიყავით, როცა ხევსურებმა ჩაიარეს, ოცამდე კაცი იქნებოდა, ჯვრებამოქარგულ ტანსაცმელში იყვნენ გამოწყობილი, ზოგ მათგანს კაჟიანი თოფი ეკიდა, სხვებს ხმალ-ხანჯალი და შუა საუკუნეების დროინდელი ფარი აესხა.“ (ო. ჩიჯავაძე)

ხიბსურიები და ფშავლები არეულობის დროს. ჯერ კიდევ 1900-იანი წლების დასაწყისში, როდესაც რუსეთის იმპერიაში დაწყებული არეულობანი საქართველოსაც მოედო, მთიელებმა იარაღს მოჰკიდეს ხელი. ხელისუფლებამ მათ დასაშოშმინებლად ნაცად ხერხს მიმართა: მთიელები ერთმანეთს მიუსია და თემებს შორის შუღლი გააჩაღა, რათა შემდეგ იქ რეპრესიები განეხორციელებინა.

მთიელი თემების ცალკეულ გვარებს შორის შუღლი ყოველთვის იყო, მაგრამ იგი მუდამ ადათობრივი სამართლით რეგულირდებოდა და სხვა გვარებზე არ ვრცელდებოდა. ვაჟა-ფშაველა, ხედავდა რა ხელისულების მზაკვრულ მიზან-გეგმებს, სინანულით წერდა: „საკვირველი ის არის, რომ წინათ ეს ამბები არ მომხდარა არას დროს. ეს ერთი. მეორე, თემთა შორის ითესება სისხლის ძიების ღვარძლი... საგულისხმო ის არის, რომ ეს მკვლელობები გარკვეული გეგმით ხდება, — თვითეულ ფშავლის საზოგადოების დაპირისპირებით ხევსურეთის საზოგადოებასთან, რათა ერთი-მეორესთან ჰქონდეს საბუთი დაჯახებისა. ბოქაულ-სტრაჟნიკების მოსვლის შემდეგ ხევსურებმა დაიწყეს ფშაკში თარეში, იმათ ფეხის ხმას აჰყვნენ ქისტები...“

ფშალსიქითელნი და შუაფხოელნი. ფშავ-ხევსურთა მტრობა იმდენად ხელოვნური იყო, რომ მასზე ანეკდოტური ანდრეზიც კი შეითხზა: ერთხელ ხევსურებს ცხენ-ჯორებით მიჰქონდათ მარილი, ორწყალში ამ „ქარავანს“ ხიდი ჩაუტყდა და წყალში ჩაცვივდა. დაილუპა ძვირფასი მარილი, დაზარალდნენ ხევსურები, მაგრამ მოიგეს ფშავლებმა: მათი ნახირი ხევსურების მარილით შეზავებულ წყალს სვამდა და სუქდებოდა. ხევსურები ფშავ-

ლებს ამ სარგებლიდან წილს სთხოვდნენ, სამართალშიც უჩიოდნენ და მათი მტრობაც აქედან იღებს სათავეს. (ალ. ჭინჭარაული)

ძველი გადმოცემებით ხევსურეთის სოფ. როშკის მკვიდრთა ნაწილი ოდ-ესღაც ფშავში, მაშარას და უბისთავს მდგარა, სადაც გვიანობამდე ბოსლებიც კი ჰქონიათ. იმჟამად ის მამულები უკვე ფშავლების საკუთრებას წარ-მოადგენდა. ეს ძოიმიზეზეს ხევსურებმა და აუხირდნენ ფშავლებს. როშკის მამასახლისმა თათარა ბურდულმა ხანჯლით მოკლა შუაფხოელი ხევსურა ქისტაური და აჰყარა თოფ-იარაღი. თათარა არ დაუსჯიათ. ვაჟა-ფშაველა წერს ამის შესახებ და აქვეყნებს ლექსს, რომელიც ხევსურა ქისტაურის სიკვდილზეა ნათქვამი: „...გლოვით აცხადებს არაგვი უბედობასა მთისასა, ფშავლების დამარცხებასა, გამარჯვებასა მტრისასა, ჩამდინარ მგზავრებს უ-ამბობს სიკვდილსა კაის ყმისასა...“ თავად ხევსური კი ცინიკურად ამბობს: „...გამამძიებელ მკითხავდა: — ეს ხანჯარ იყო, თათარა? — ეს ის არ არის, უფროსო, ის სულ სხვა იყო, შავტარა.“

სამწუხარო კიდევ ის იყო, რომ იმ ამბავმა ხევსურეთის სოფ. ღულის მკვიდრ ქისტაურებსაც მისცა ხმლის ტრიალის საბაბი. ქმოსტელ-როშკი-ნებს მოსდეს შარი: — ჩვენი მოძმე ფშაველი რატომ მოჰკალითო და გა-დაემტერნენ.

პადუელნი და ჩარგლელნი. ხადუელმა შიშია ქერაულმა ჩარგლელ ფშავლებს მოუდო შარი: „...ჩარგალში მაქვს მამული, სამოცდასამი ჭარისა“-ო. და ამ მამულების სანაცვლოდ 60 ძროხა მოითხოვა. ფშავლები, რა თქმა უნდა, არაფრის მიმცემი არ იყვნენ. მაშინ ქერაულები თავს დაესხნენ ჩარგლელ მწყემსებს, მოკლეს გორმაზაული და გარეკეს საქონელი, მაგრამ პოლიცია დაედევნა და ხევსურებმა მხოლოდ სამი ცხენის გატაცება შეძლეს.

ფშავლებმა არაგვის ხეობაზე გზები შეკრეს და დაიწყეს მგზავრ ხევ-სურებზე ნადირობა. ვაჟა-ფშაველა წერდა: მოხდა რამდენიმე მკვლელობა, მაგრამ ამ მკვლელობებს არავითარი საერთო არ აქვს ჩარგლელთა და ჭადუ-ელთა მტრობისათვის, მას მხოლოდ საბაბად იყენებენო. მტრობა დაახლო-ებით 20 წელი გრძელდებოდა და ნიკოლოზ II ტახტიდან ჩამოგდების შემ-დეგ კიდევ უფრო გამწვავდა. 1922 წელს ხევსურები თავს დაესხნენ ჩარგ-ლელებს, შემოარტყეს ალყა და სროლა აუტეხეს, შემდეგ შევიდნენ სოფელში და ფშავლებს თივა-ძნები დაუშალეს.

ფშავლებმა ხელისუფლებას მოსთხოვეს წესრიგის აღდგენა. თიანეთის მაზრის ხელმძღვანელობამ ფშავ-ხევსურეთში მიმდინარე მოვლენები კიდევ უფრო გააზვიადა და მთავრობას მოსთხოვა ხევსურეთში შეიარაღებული ძა-ლის შეყვანა: „ხევსურთა წინააღმდეგ მათი აღვირახსნილობის ასალაგ-

მავად.“ ეს იმ ხანებში ხდება, როდესაც ხევსურეთში ქაქუცა ჩოლოყაშვილი შედის და მთიელთა ამბოხი მზადდება.

თიანეთის მაზრის მილიციის უფროსი მოხსენებით ბარათში წერდა: „...განსაკუთრებით დიდ ზიანს აყენებს ფშაველებს სოფ. ხადუს მცხოვრები ხევსურები... გარდა ამისა, თუ კი ოდესმე ფშაველს ხევსურეთისთვის ერთი ქათამი მაინც მოუკლავს, ახლა ხევსურები ამის შურსაც კი იძიებენ და მთელს ჯოგებს სტაცებენ ფშავლებს. აგრეთვე თუ კი დრო იშოვეს, მუდამ მიუდით არა მარტო ჯოგები, არამედ თვით ხალხიც კი და მერმე ფშავლებს ამ ხალხის გამოსყიდვა დიდ ფასად უჯდებათ. მაგალითად ამ ერთი თვის წინათ ხევსურებმა შეიპყრეს უმიზეზოდ ფშაველი მწარია სარკიაშვილი და თხოულობდნენ იმის გამოსყიდვას, რის გამოც მთელი სოფელი იძულებული იყო შეესრულებინათ ეს მოთხოვნილება და ძროხებითა და ცხენებით გამოესყიდათ მოტაცებული სარკიაშვილი.

დღესაც ყავთ მათ მოტაცებული ძროხები, ცხვრები, ცხენები და უკან არ იძლევიან. ამისთანა მდგომარეობის გამო ფშავლები გამწარებული არიან ხევსურების წინააღმდეგ და ამ ორთა თემთა შორის დიდი სისხლისღვრა და შეტაკება მოხდება. ამასთან ფშავლები და ხევსურები, როგორც ერთი კაცი საუკეთესო იარაღში სხედან და ხევსურებს აქვთ ტყვიამფრქვევებიც კი.“

მოხსენებითი ბარათის უმთავრესი მიზანია არა კონკრეტულ დამნაშავეთა მხილება და დასჯა, არამედ მთელ ფშავ-ხევსურეთში სადამსჯელო აქციების ჩატარება. ეს არცაა გასაკვირი, საბჭოთა ხელისუფლება ახალი დამყარებულია, ხევსურები კი ჩოლოყაშვილის მხარეს დგანან.

ᲮᲔᲕᲡᲣᲠᲔᲗᲘᲡ ᲐᲯᲐᲜᲧᲔᲑᲐ. „ᲯᲐᲠᲝᲪᲐ ᲕᲔᲚᲘ“. 1922-1924 წლებში, როდესაც საქართველოში საყოველთაო აჯანყება იგეგმება, ხევსურები აქტიურად მონაწილეობენ მის მომზადებაში. საერთო გეგმით, თავიდან აჯანყება ხევსურეთში უნდა დაწყებულიყო 1922 წელს, რომელსაც დააგვირგვინებდა 1924 წლის აგვისტო. ამბოხებულ მთიელებს და კახელებს კათალიკოსი ამბროსი გამოუძღვებოდა ჯვრით ხელში, რომელიც ამ მისიის შესასრულებლად უკვე კახეთში იყო გამგზავრებული.

ქაქუცა ჩოლოყაშვილი კახეთიდან თავისი რაზმით ხევსურეთში გადადის და დიმიტრი ცისკარაულის, თომა ბალიაურის, აბიკა გიგაურის, გოგოთურ და აბიკა ჯინჭარაულების დახმარებით კავშირს ამყარებს როგორც ბარის, ასევე მთის ხევსურებთან. ა. ჭინჭარაული (ხოსროთ აბიკა), როგორც ჩოლოყაშვილის მრჩეველი, მის წარმომადგენლებს ქისტეთის თემებში მიჰყვება შუამავლად.

„ჩოლოყაშვილის ხევსურეთში გამოჩენისთანავე ხალხის ძარღვებში დაიძრა მამაპაპისეული სისხლი ბრძოლის მამაცური შემართებისა. მაშინათვე

აისხეს იარაღი და ძველი ჩვეულებისდა მიხედვით — ბერმა ჭინჭარაულმა ფიცი დაადებინა სამშობლოსათვის თავდასადებად.“ (მ. ლაშქარაშვილი)

ამავე დროს ხევსურეთში შემოდის ნიკოლოზ ზანდუკელის რაზმი, რომელიც ჩოლოყაშვილს უერთდება. „დუშეთის მაზრაში, კერძოდ ფშავ-ხევსურეთში მოქმედებს ნიკოლოზ ზანდუკელის ბანდა, რომელიც ეწევა ანტისაბჭოთა აგიტაცია-პროპაგანდას და ემზადება შეიარაღებული გამოსვლებისათვის“, — იუწყებიან შინსახკომის აგენტები.

ხელისუფლება მაშინვე შეუდგა ამბოხებულ ხევსურთა წინააღმდეგ ოპერაციების განხორციელებას. კავკასიის წითელი არმიის სარდალმა ეგოროვმა, შტაბის უფროსმა პუგაჩოვმა და ორჯონიკიძემ მიიწვიეს საქართველოში საბჭოთა ჯარების შტაბის უფროსი რ. მუსხელიშვილი და დასახეს ხევსურეთში მსხვილი საომხედრო შენაერთებით შეჭრის, აჯანყების უმოკლეს ვადაში ჩახშობისა და მისი აღმოსავლეთით გავრცელების შესაძლებლობის აღკვეთის გზები.

ხევსურეთზე საიერიშოდ გამოიყო სამი კოლონა — 2000-მდე ჯარისკაცი, ოთხი ზარბაზანი, კავკასიის კავალერიის ნაკრები ესკადრონი, დამოუკიდებელ მსროლელთა და საინჟინრო ოცეულები. ამას გარდა, ყაზბეგსა და კარკუჩაში იდგნენ სამხედრო დანაყოფები ჯავშნიანი ავტომობილებით ჩეჩნების მხრიდან აჯანყებულებისადმი მოსალოდნელი დახმარების მოსაგერიებლად. ხევსურეთის ცაზე დაფრინავდნენ თვითმფრინავები, რომლებიც აკონტროლებდნენ აჯანყებულთა და საბჭოთ ჯარების დაჯგუფება-გადაადგილებას. ხევსურების აზრით კი ეს თვითმფრინავები „საზღვარგარეთიდან ქარუმიძე შალვაის გამოგზავნილი იყო“ მათ დასახმარებლად.

გენერალ დ. ვაჩნაძის მიხედვით, 1922 წლის აჯანყება, რომელიც როსტომ მუსხელიშვილმა დაგეგმა, უნდა დაყრდნობოდა თავის „ისტორიულ ბაზას — ხევსურეთის მთებს.“ გენერალი აღნიშნავს: ხევსურეთს ეკავა შუაგული კავკასიისა და იჭერდა კავკასიის უღელტეხილს. იგი საქართველო-ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა შორის საკავშირო ხიდად იყო გადებული. უძველესი დროიდან ხევსურეთის მდებარეობა იშვიათ, მომგებიან ციტადელად ითვლებოდა და ამიტოს საქართველოს მეფენი მუდამ თავის მთავარ ბურჯად სთვლიდნენ. ჯერ კიდევ მეფის რუსეთის შემოსვლის ხანაში ყველაზე დიდი წინააღმდეგობა ხევსურებმა და აქ ქართლ-კახეთიდან თავმოყრილმა აჯანყებულებმა გაუწიეს. „სანამ ხევსურეთის ციხეს არ დავანგრევთ, თბილისში არხეინად ვერ დავიძინებთო“, — სწერდა იმ დროის გენერალი პეტერბურგში. ქართველ მეფეებს ხევსურები ყოველთვის თან ახლდნენ და ისინი გამოირჩეოდნენ არა მხოლოდ მამაცობით, არამედ იმითაც, რომ დაძახებისთანავე ჩამორბოდნენ მთებიდან და თბილისის კარიბჭეებს იჭერდნენ და ამაგრებდნენ.

მუსხელიშვილის გეგმით, ხევსურეთის ასაღებად არაგვის ხეობაში შესული ბოლშევიკებისთვის ჯერ ზურგიდან უნდა დაერტყათ და ამოეხოცათ, შემდეგ კი ხევსურეთიდან დაეშვებოდნენ და კ. აბხაზისა და ალ. ანდრონიკაშვილის სარდლობით თბილისს აიღებდნენ. ამას გარდა, ჩოლოყაშვილს ფშავის მილიციის უფროსისთვის ლევან რაზიკაშვილისთვის დავალებული ჰქონდა, როდესაც წითელი ჯარი ხევსურეთში შევიდოდა, უკნიდან ფშავლებს დაერტყათ და უკან დასახევი გზებიც შეეკრათ. მაგრამ ლევანი მიხვდა, რომ აჯანყება განწირული იყო და ფშავლები ამბოხებაში არ ჩაბა.

წარმატების შემთხვევაში ხევსურეთიდან ამბოხებულებს გამოუძღვებოდნენ ჩოლოყაშვილი, ფალავანდიშვილი და ლაშქარაშვილი. ამ დროს შალვა ქარუმიძე მოლაპარაკებას აწარმოებს ოსმალეთთან. ოსმალეთის მთავრობა დათანხმდა იარაღითა და ჯარით დახმარებას, ოღონდ თავისი პირობები წამოაყენა, რაც ქართველებმა არ მიიღეს და საკუთარი ძალებით ბრძოლა ამჯობინეს.

წთელი არმიის მოლოდინში ხევსურებმა ჩაკეტეს უმთავრესი გზები „ლამიანაის ხიდთან", „გიგაურთის ველში" და ფხიტუს უღელტეხილზე. „ლამიანაის ხიდთან" დგანან გორშეღმის ხევსურნი, იკურაისშვილნი სულხანაურ და ბეწი, რომელთაც სხვა ფშავ-ხევსურნიც უერთდებიან. გიგაურთის ველში დგანან საგაღმოს ხევსურნი და ლიქოკელნი. ფხიტუს უღელტეხილს იცავს ბუჩუკურთელი შაბურათ აფინა თანასოფლელებითა და ჩირდილელ-უკანახოვლებით, რომელთაც უერთდებიან რომკიონი, არხოტელი და მთასიქითელი ხევსურები.

ქაქუცა ჩოლოყაშვილი 70 კაცით მაღაროსკარში დგას. მას უერთდებიან ხევსურეთიდან ჩასული მიხა ხელაშვილი, დათვია ლიქოკელი, თომა ბალიაური, მგელიკა არაბული, ტუჩა ჭინჭარაული, მიხა ქერაული და იმედა გოგოჭური. ამავე დროს, ქაქუცას მხარეს გადადის ხევსურეთის მილიციის რაზმი. ამბოხებულებმა იციან, რომ ჯარი ფშავის არაგვის ხეობით შევა და მთელი ყურადღება იქით აქვთ გადატანილი. პირველი შეტაკება ჯერ ჟინვალიან, შემდეგ მაღაროსკარში ხდება.

მაღაროსკარში ამბოხებულთა წინააღმდეგ იბრძვის საშა გეგეჭკორი. ამბოხებულებმა 250 კაცი განაიარაღეს, მათ შორის 40-ზე მეტი მოკლეს.

აჯანყებულთა წინააღმდეგ თიანეთიდან გადმოდის მაზრის უფროსი სურგულაძე, რომელიც ორწყალში დაბანაკდება და ფშავის მილიციის უფროსს ლევან რაზიკაშვილს უბარებს, თავისი რაზმით მთის ბილიკებით მასთან გამოცხადდეს. რაზიკაშვილი არა შემოვლით, არამედ არაგვის ხეობით მიემართება და სოფელ ხომში ჩოლოყაშვილთან მიდის, სურგულაძეს კი ატყობინებს, რომ იგი ჩოლოყაშვილმა დაატყვევა.

ამბოხებულებს 150 კაცით უერთდება გვერდწითელი, რომელიც ცდილობდა დუშეთის მაზრის დაკავებას, მაგრამ წითელი არმიის ნაწილებმა დაასწრეს და თავად დაიკავეს დუშეთი.

ამბოხებულთა გასანადგურებლად დამატებით სასწრაფოდ გამოემართნენ გროზნოში მდგარი წითელი არმიის ნაწილები.

ამბოხებულები სამი დღე უმკლავდებიან არაგვის ხეობაში შემოსულ მტერს. გეგეჭკორისა და სურგულაძის მებრძოლების განადგურების შემდეგ ნელ-ნელა უკან იხევენ. მათ უკან მიჰყვება წითელი ჯარი, რომელსაც მეთაურობს ამბოხებულთ ფარული თავკაცი და ორგანიზატორი, იმჟამად წითელი დივიზიის მეთაური როსტომ მუსხელიშვილი.

არ გამართლდა ავჯანყების ხელმძღვანელთა გეგმა: არაგვის ხეობაში შემოსული ჯარს უკნიდან არ დაარტყეს ხანდაკის ხეობაში თავმოყრილმა მეამბოხეებმა. აღმოჩნდა, რომ „ხევსურეთის ავჯანყება" სხვადასხვა პარტიათა ხელმძღვანელების შეუთანხმებლობის გამო გაუმართლებლად და ნაჩქარევად იქნა მიჩნეული. „მიღებულ იქნას ყველა ზომები, რომ ნადრევი გამოსვლები არ მოხდეს. ეს დადგენილება პარტიამ ყველა პროვინციებს აცნობა." (ს. ზადლასტანიშვილი). ი. ცინცაძემ მუსხელიშვილს წინადადება მისცა, მთელი შესაძლებლობებით დაეცვა ხევსურები და თავიდან აეცილებინა მსხვერპლი.

ამბოხებულთა ხელმძღვანელები ბარისახოში შევიდნენ. ჩოლოყაშვილმა უჭკუათ გოგოთურის სახლში გამართა შტაბი. ხევსურებმა ბრძოლა გააგრძელეს.

მუსხელიშვილმა შეცვალა ავჯანყების გეგმა, რათა ხევსურების ნაადრევი გამოსვლის გამო ბარში პარტიზანული მოძრაობა არ დაქსაქსულიყო და რუსის ჯარი თავის თოფ-ზარბაზნებით არაგვის გაუვალ ხეობებში შეიყვანა, სადაც ჩასაფრებული ხევსურები მუსრს ავლებდნენ. ხევსურეთიდან მღვდელმა მარიამისძემ საგანგებო დავალებით გააპარა ფავლენიშვილი, რომელიც საშაბუროში ჩავიდა და იქიდან შეუდგა ამბოხებულთა მობილიზაციას.

ფავლენიშვილი ქართლში ძმებს ჩივაძეებს დაუკავშირდა და ლაშქარაშვილს აცნობა: „მუსხელიშვილმა რუსების ჯარი მთლიანად სულ 6000 ჯარისკაცი სტრატეგიული მოსაზრებით შეგზავნა არაგვის ხეობაში. ჩოლოყაშვილი თავისი რაზმით და ხევსურებით პირისპირ ებრძვიან. ჩვენი ამოცანა არის, ზურგიდან დავარტყათ რუსის ჯარს... მე და საშა ხიმშიაშვილი გელოდებით დუშეთის გვერდით ტყეში... დაიძარ შენი რაზმით, იჩქარე, იჩქარე, დრო არ ითმენს. რუსები წინ მიიწევენ ხევსურეთისაკენ."

ლაშქარაშვილმა, რომელსაც შეუერთდნენ ფარნაოზ ყარალაშვილი და ალექსანდრე მდივანი, ჯარი შეკრიბა, მაგრამ შტაბიდან სხვა ბრძანება მო-

ვიდა. როგორც აღვნიშნეთ, დამკომმა და ზოგიერთმა პარტიამ უარყო ნაადრევ მოძრაობაში მონაწილეობის მიღება და ეს შეხედულებანი თავიანთ რაზმელებს შეატყობინეს. დუშეთში მიახლოვებული რაზმები შ. ფალავანდიშვილის, მ. ლაშქარაშვილისა და როტმისტრ ბაგრატიონ-მუხრანელის მეთაურობით დაიშალნენ და სახლში დაბრუნდნენ.

ხევსურები მარტონი აღმოჩნდნენ მტრის წინაშე. არაგვის ხეობიდან ხევსურეთის სოფლებს რიცხვმრავალი, დაშეული ჯარი შეესია. ამავე დროს, გუდამაყრის ხეობის გამოვლით, ფხიტუს უღელტეხილზე გადმოვიდნენ დამხმარე წითელი ჯარისკაცები სამთო ზარბაზნებით და ზურგიდან დაჰკრეს ხევსურებს. (ასრულდა უსინათლო ქურუმის თარხანთ გაგას ნაძახინარი: ჯარი ფხიტუდან გადმოვა, მე კი ცეცხლში ვიწვებიო.) „მაღლა შაკრეს ფხიტუს თავი, დაბლა- — ორწყლით მაღალიო. ქუხდა რუსის ზარბაზანი, სრუ იძროდა მთა-ბარიო...“

მოსახლეობა ტყე-ღრეში გაიხიზნა. „ბარმა გვიღალატა, ზურგში რომ უნდა დაერტყათ რუსებისთვის, აღარ დაარტყეს.“ (ალ. სულხანიშვილი)

ფხიტუს უღელტეხილიდან სეტყვასავით წამოსული ტყვიისა და ზარბაზნის ორი-სამი გასროლის შემდეგ, ხევსურებმა უკან დაიხიეს. წითლებმა დაიკავეს სოფელი უკანახო, გამართეს იქ შტაბი და სატელეფონო მავთული გააბეს ბარისახოში შემოსულ ბოლშევიკებთან, გაძარცვეს და გადაწვეს ხევსურთა სოფლები. განსაკუთრებულ სისასტიკეს იჩენს ცნობილი წითელი ტერორისტი ობოლაძე.

წითელი არმიის ნაწილებს თან შემოჰყვნენ მოხალისე მთიულ-გუდამაყრელნი და ფშაველნი, რომელნიც ჯარისკაცებთან ერთად შეესივნენ ხევსურთა დაცარიელებულ სოფლებს და პირწმინდად გაძარცვეს. „ცეცხლის ალში გაგვახვიეს, შამაგვინთეს ხანძარიო: გაგვილაღეს საქონელი, არ გადურჩათ ქვაბ-რვალიო...“

ხევსურ ამბოხებულთა წინააღმდეგ წითელ ჯართან ერთად იბრძვის და იწრთობა „ქართული გაერთიანებული სამხედრო სკოლის“ ჯარი, რომლის უფროსი იყო ტალახაძე, პოლიტკომისარი ბ. ძნელაძე.

ქართველმა კურსანტებმა ქვედანაყოფის მეთაურის კ. ლესელიძის მეთაურობით შეუტიეს ხევსურთა უკანასკნელ გამაგრებულ პუნქტს — სოფელ აკუშოს. (ამავე რაზმში იმყოფება მომავალი ქართველი გენერალი პ. ჩანჩიბაძე)

ხევსურები „განუწყვეტლივ უშენდნენ ტყვიას შეტევაზე გადასულ საბჭოთა დანაყოფებს... გაჭირვებიდან ლესელიძემ ჰპოვა გამოსავალი. მან დაშალა სამთო ქვემეხი და გადააზიდინა მებრძოლებს ზოგი ნაწილი ზურგით, ზოგიც თრევით... ზარბაზანი ტაქტიკურად ხელსაყრელ ადგილას გადაიტანეს და ცეცხლის საფარქვეშ სამხედრო სკოლის კურსანტები შეტევაზე გადავიდნენ...“

აკუშო აღებულ იქნა, მაგრამ არმიელები აკუშოში რომ შევიდნენ, იქ არცერთი კაცი აღარ დახვდათ, ყველამ მოასწრო გასვლა და მიუვალ ხევებს შეაფარა თავი.

ჩოლოყაშვილმა იარაღი დაყარა: „ჩვენი საქმე წასულიაო.“ ღულისთავიდან ორწყლამდე ღამით მიაცილეს ხევსურებმა იგი, სადაც ლევან რაზიკაშვილი დახვდა. ლევანმა ჩარგალზე გავლით არტანის თემის სოფ. სოფლიონში გადაიყვანა და პანკისის ხეობაში დაშორდა, მიუხედავად იმისა, რომ მას ჩოლოყაშვილის დატყვევება ან მოკვლა ჰქონდა ნაბრძანები.

„ხევსურეთის აჯანყების“ ჩახშობისთვის მთავრობამ წითელი დროშის ორდენებით დააჯილდოვა საექსპედიციო ჯარის მეთაური ს. ლევქთაძე, სამხედრო სკოლის უფროსი ი. ტალახაძე ამავე სკოლის კომისარი ბ. ძნელაძე.

ხევსურთა აჯანყების შედეგ. ხევსურთა აჯანყების წელი — 1922 ხევსურთა ხსოვნაში ცნობილია „ჯაროვა წლის“ სახელწოდებით. იგი იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ ხევსურები რომელიმე ისტორიულ მოვლენას თუ თავიანთ ასაკს 1922 წლიდან აითვლიდნენ: „ჯაროვა წელს დავბადებულვარ“, „ჯაროვა წელს ათი წლისა ვიყავი...“

ხევსურეთის აჯანყების ჩახშობის შემდეგ დაიწყო მეამბოხეთა თავკაცების დევნა. ბევრი დააპატიმრეს კიდეც. რამდენიმე დახვრიტეს, ნაწილი კი ორჯონიკიძემ და მახარაძემ შეიწყალეს.

ხევსურეთში რთული სიტუაცია შეიქმნა. ხალხი ორ ბანაკად გაიყო — ძველი და ახალი მთავრობის მომხრეებად. ბევრი ყაჩაღად გავიდა. დაიწყო ხელისუფლების მოხელეების მიერ ხევსურთა რეპრესიები და ერთმანეთისთვის გადამტერება, რასაც სისხლ-მესისხლეობა მოჰყვა და კარგა ხანს გაგრძელდა. „აბიკა, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ხევსურეთში ყოფნის დროს, მისი ხელშემწყობი, საბჭოს წევრი და მრჩეველი იყო. დაბეზღა იდიათ იდიამ დათვისელმა, დაჭერინა ბოლშევიკებს და მეტეხის ციხეში მოკვდა. გადუამ ჰკრა თოფი იდიას და მოკლა. იმის სახლის კაცი იყო ჯუთელი შიშიათ გიორგი, იმან კიდევ გადუა დაჭრა.“ (ნ. ბალიაური). ასეთი ამბები ძლიერ გახშირდა.

„ბოლშევიკები რომ შემოვიდნენ, თავისი კანონები შემოიტანეს, მაგრამ ხევსურები ყურს არ უგდებდნენ არც ხელისუფლების მიერ დანიშნულ აქაურებს და არც მოსულებს. თუ გაიგებდნენ რომელიმე ხევსურზე — ბოლშევიკების „შპიონიაო“, ისინი, ვის გვარსაც ბოლშევიკების საწინააღმდეგო რამე ჰქონოდა ჩადენილი (აკრძალულ იარაღს ატარებდა ან ბოლშევიკი ჰყავდა მოკლული), კაცს მიუგზავნიდნენ „შპიონის “ გვარს: — თუ ჩვენ თქვენი ენით რამე მოგვივიდა, თავს არ აგაცილებთო... ხუთი, საქადაგებლად მოსული კომუნისტი ახოს მოკლეს. აიშალნენ ხევსურნი და რაც უნდოდათ, იმას აკეთებდნენ...“ (ნ. ბალიაური)

ახალი კადრები. გასაბჭოების შემდეგ ხევსურეთი დუშეთის რაიონში შევიდა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში თიანეთში, დუშეთსა და საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოს რაიონების სამაზრო ორგანოებში უნდობლობას უცხადებდნენ ადგილობრივ კადრებს და სხვა რეგიონებიდან მოჰყავდათ მორჩილი და ტლანქი შემსრულებლები. მაგ., თიანეთში — სურგულაძე, რუდოფანოვი, შავიშვილი, ჭურღულია, დუშეთში — ბ. ძნელაძე, ხუხუა, ხეცურიანი, ჩიქოვანი, თელავში — ცინცაბაძე, მხეიძე, თოდუა და ა.შ.

მკაცრმა რეჟიმმა თანდათან ყველაფერი კალაპოტში ჩააყენა. აირჩიეს ადგილობრივი თემ-აღმასკომები, რომელთა თავმჯდომარეებად დანიშნეს მცირედ წერა-კითხვის მცოდნე ხევსურები, რომელნიც ასეთ ცნობას აძლევდნენ ხევსურეთიდან სავაჭროდ თუ სხვა პირად საქმეზე გასულ ხევსურებს: ესა და ეს კაცი პატიოსანი და სვინდის-ნამუსიანი მიდის ქალაქში საქმეზე. ხელი არაკინ ახლოს. — დაარტყამდნენ ბეჭედს და ეს ქაღალდი იყო პასპორტიც, პირადობის მოწმობაც და მგზავრობის საბუთიც. (პასპორტი ხევსურებს 60-იან წლებამდე არც ჰქონიათ და არც სჭირდებოდათ.)

**ი

რეპრესიები ხევსურეთში. 1937 წელს ხევსურეთში საგანგებოდ შეგზავნილმა პროვოკატორმა, ვინმე ქვლივიძემ, რომელსაც ერთი ქალიც ახლდა, მოსახლეობას თავი „დამკომის“ წევრებად გააცნეს, რომლებიც თითქოს ამერიკიდან ჩამოვიდნენ ხევსურეთში გეოლოგიური სამუშაოების ჩასატარებლად. მათ თარჯიმნად აიყვანეს ნასალდათარი ღერენა ბეენასძე ლიქოკელი, დაიარეს სოფლები, ჩაატარეს კრებები და ხევსურებს საიდუმლოდ გაუმხილეს: „საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად უცხოეთიდან დასახმარებლად მოდიან, კვლავ ბაგრატიონები გამეფდებიან და ხევსურეთიც თავისუფალი იქნებაო“. ხევსურებმა დაწერეს წერილები ამერიკის, საფრანგეთის და გაერმანიის მთავრობების სახელზე, რომელშიც დახმარებას სთხოვდნენ. პროვოკატორებმა შეადგინეს ხევსურ თავკაცთა სიები და მათი წარმომადგენლები ქალაქში „იარაღის მისაღებადაც“ დაიბარეს. იარაღის მოყვარული ხევსურები მართლაც ჩავიდნენ ქალაქში, მაგრამ იქიდან აღარ დაბრუნებულან.

ცოტა ხანში ხევსურეთს მილიციის რაზმები შეესია და დააპატიმრეს დანარჩენი მეამბოხე ხევსურებიც, რომელთაც მათი ახლო ნათესავებიც ზედ მიაყოლეს. თუმცა ეს უკანასკნელნი მალე გაათავისუფლეს.

ხევსურეთი მეამბოხეებისგან რომ გაწმინდეს, მერე დანარჩენ მოსახლეობას მიადგნენ და თუ ხევსურეთში რაიმე იარაღი იყო, ტრადიციული ხმალ-ხანჯალიც კი, ერთიანად წამოკრიფეს და საბარგო მანქანებით ქალაქში წაიღეს.

ხევსურთა რეპრესიები 1940-იან წლებშიც გრძელდებოდა. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში დააპატიმრეს და გადაასახლეს უნივერსიტეტის სტუდენტები: ლადო ბალიაური, მამუკა წიკლაური, ირაკლი გიგაური. ომის დამთავრების შემდეგ ტყეში გასული ხევსურები მთავრობამ შემოირიგა და აპატია დანაშაული.

დაახლოებით 30 ხევსურის სიცოცხლე შეეწირა რეპრესიებს. მათგან ზოგი დახვრიტეს, ზოგი გადასახლებაში დაიღუპა. ვინც ვერ შეიპყრეს, ერთმანეთი დაახოცინეს.

ჟეორე ესოფლიო ომი და ხევსურეთი. მეორე მსოფლიო ომმა ხევსურეთისთვის თითქმის უმტკივნეულოდ ჩაიარა. „მაშინ რადიოებ იყვის გუდელას, სრუ ომისას ამბობდიან, არცა იქნ აი ომ ქვე?“

მიუხედავად იმისა, რომ ხევსურებზე სპეციალური ბრძანება გამოიცა, რომ ისინი ჯარში არ გაეწვიათ და მათი დახმარებით კავკასიონის უღელტეხილები გაემაგრებინათ, ბევრი ხევსური მოხალისედ წავიდა ფრონტზე, ზოგს ჯარში სამსახურისას მოუსწრო ომმა და შინ ველარ დაბრუნდა.

ხევსურები ომის დროს ხელისუფლებას „ბეგარაზე გაჰყავდა“. მათ

ჩრდილოეთ კავკასიაში მდგარი სამხედრო ნაწილებისთვის უღელტეხილებზე ტყვია-წამალი და სურსათი გადაჰქონდათ.

ხევსურეთის მეორედ აღმოჩენა. ჩოლოყაშვილის გამოსვლების შემდეგ, მიწყნარდა რა მეამბოხე ხევსურეთი, მთისკენ გზა გაეხსნა კულტურის მუშაკებსა ინტელიგენციის წარმომადგენლებს, რომელთაც ჯერ კიდევ ვაჟა-ფშაველამ, ალ. ყაზბეგმა, პეტრე უმიკაშვილმა, აკ. შანიძემ და სხვა ენთუზიასტმა ერისკაცებმა გაუკვალეს გზა. 1900-იანი წლების დასაწყისში ახალგაზრდა აკ. შანიძე ხევსურეთიდან პეტერბურგში ნიკო მარს წერდა: „თამამად შეიძლება ითქვას, რომ აქ პოეზიის სამეფოა."

ყველაზე პირველნი, ვინც გასაბჭოების შემდეგ ხევსურეთისკენ მოუწოდეს ინტელიგენციას და ხელისუფლებას აგრძნობინეს, რომ მთიელებში „წითელი ეშმას", მილიციის რაზმებისა და ხიშტის შეტანის ნაცვლად წიგნისა და განათლების შეტანა იყო აუცილებელი, ხოლო მთიელებიდან და მთის სიღრმეებიდან იქ საუკუნეების მანძილზე დალექილი და ჩათვლემილი უძველესი ცივილიზაციისა და კულტურული ფენების საქვეყნოდ გამომზეურება იყო საჭირო, იყვნენ გრ. რობაქიძე, მ. ჯავახიშვილი და კ. გამსახურდია.

და დაიძრნენ ხევსურეთისკენ ათასგვარი მაძიებელნი, ზოგი სულიერი ფასეულობის, ზოგიც ეგზოტიკის. მათ შორის ქვაბ-ავაზაკნიც იყვნენ. ხევსურთა გაბრიყვებით გამოჰქონდათ მატერიალური ფასეულობანი: ვერცხლი, იარაღი, ტალავარი. უმრავლესობამ კი მართლაც ბევრი სასიკეთო რამ გააკეთა ხევსურეთისთვის: დაინახა, წარმოაჩინა, დაწერა და ხელიც გაუმართა ხევსურებს. იყვნენ ისეთებიც, რომელთაც არც არა შეუტანიათ, არც არა გამოუტანიათ და არც არა დაუნახავთ მთიელებში სიღარიბის, მჭვარტლისა და ნაკელის მეტი. (მაშინ ახალგაზრდა, შემდგომში ერთმა სახელოვანმა პოეტმა ფშავ-ხევსურეთში „დამპალი ყველი", „ერბოში გაბანილი ხევსური", „მყრალი პურ-არაყი" დაინახა და ხევსურული სოფელი „კლდეზე ჩამოსკინტულს" შეადარა.)

იქმნება „საქართველოს მთიელთა კულტურული საზოგადოება", რომლის თავმჯდომარეა სანდრო ყამარაული. იგი ქართულ და რუსულ ენებზე გამოსცემს წიგნებს ხევსურეთზე. საზოგადოება სხვადასხვა სახის ექსპედიციებს აგზავნის ხევსურეთში, აარსებს ქოხ-სამკითხველოებს, დაწყებით სკოლებს, სამედიცინო პუნქტებს. 1925 წელს ბარისახოში შენდება საავადმყოფოს შენობა, სადაც მუშაობას იწყებს პირველი ხევსური ექიმი ერასტი ბალიაური. საზოგადოება ხელშეკრულებას დებს მოსკოვის „კინოფილმ"-ის არტელთან და 1928 წელს ეწყობა პირველი კინო-ექსპედიცია კავკასიაში, რომლის დროსაც პოლონელი კინორეჟისორი კაზიმეჟ ჰერტელი კინოფორზე აღბეჭდავს ხევსურეთს.

1929 წელს მთიელთა საზოგადოება ხევსურეთში აწყობს კულტურულ ლაშქრობებს ნიკო ხეთაგურის ხელმძღვანელობით.

1933 წელს საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება ხევსურეთში გზავნის ექსპედიციას ს. მაკალათიას ხელმძღვანელობით. (ს. მაკალათია გამოსცემს წიგნს ხევსურეთზე)

ხევსურეთზე თავის მოგონებებში წერენ ყველა იქ მოგზაური, მომსახურე, მასწავლებელი, ექიმი, კინომოღვაწე, მხატვარი... რომელთა შორის აღსანიშნავია ექიმ გ. თედორაძის ორი წიგნი: „ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში“.

1947 წელს ხევსურეთზე დოკუმენტურ ფილმს იღებს ლენინგრადელი სობოლი, რომელსაც ფილმის ნაწყვეტები 1974 წელს ხევსურეთშიც ჩამოაქვს.

ხევსურეთსა და ხევსურებზე მხატვრულ ნაწარმოებებს ქმნიან: გრ. რობაქიძე — „ენგადი“; მ. ჯავახიშვილი — „თეთრი საყელო“; კ. გამსახურდია — „ხოგაის მინდი“; ჰელენა ბობინსკა — „ქაბუნაურთა შთამომავლის შურისძიება“; ა. ბელიაშვილი — „ვეფხია ხალიბაური“; მ. ჩიქოვანი — „დათვია არაბული“; ს. მანველიანი — „ლიქოკელი“; გ. რჩეულიშვილი — „ბათარეკა ჭინჭარაული“; თ. ნატროშვილი — „ხვალ დღი იქნება ხეობაში“... პოეტები ს. ჩიქოვანი, გ. ლეონიძე, ა. გომიაშვილი, ა. კალანდაძე, შ. ნიშნიანიძე.... კინორეჟისორები ს. დოლიძე — „უკანასკნელი ჯვაროსნები“; შ. მანაგაძე — „ხევსურული ბალადა“; თ. აბულაძე — „ვედრება“... მხატვრები გ. გაბაშვილი, შ. ქიქოძე, ვ. სიდამონ-ერისთავი, კ. სანაძე...

მნიშვნელოვანი ნაშრომები აქვთ გამოცემული ხევსურეთზე გ. ჩიტაიას, ვ. ბარდაველიძეს, რ. ხარაძეს, უ. ერიაშვილს, ც. ბეზარაშვილს, თ. ოჩიაურს, ზ. კიკნაძეს, დ. გოგოჭურს, ალ. ჭინჭარაულს, მ. მაკალათიას, ბ. გამყრელიძეს, ა. ქალდანს, რ. თოფჩიშვილს...

1960-1990-იან წლებში ხევსურეთში მუშაობს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიცია მ. ხუციშვილისა და გ. ჯალაბაძის ხელმძღვანელობით, რომელიც იღებს ხევსურულ რელიგიურ ღღესასწაულებსა და ხევსურთა ყოფის სხვა დეტალებს. ამ მასალების მიხედვით რეჟისორები ვ. ზუბაშვილი და კ. მელითაური 1997 წელს იღებენ დოკუმენტურ ფილმს „ხევსურები“.

1930-იანი წლებიდან საზოგადოებრივ და კულტურულ ასპარეზზე გამოდიან ხევსური ინტელიგენციის წარმომადგენლები. (მხატვარი ვ. სიდამონ-ერისთავი თავის მოგონებებში წერს იმ წლებში ხარკოვის უნივერსიტეტში მოღვაწე პროფესორ ლიქოკელის შესახებ.) იმ პერიოდის ქართულ ლიტერატურაზე თავის სიტყვა სთქვეს ლადო ბალიაურმა (ჯერ კიდევ ახალგაზრდა გადასახლებაში დაიღუპა) და გაბრიელ ჯაბუშანურმა, რომელიც არეულმა ცხოვრებამ და ბედის უკუღმართობამ აღმა-დაღმა ატარა.

ამ ხანებიდან ცოდნის მაძიებელ ხევსურ ახალგაზრდებს დიდად ეხმარებიან და ქომაგობენ მ. ზანდუკელი, ნ. კეცხოველი და გ. ლეონიძე.

ბრძოლა ძველსა და ახალს შორის. გასაბჭოების შემდეგ მთიელმა აქტივისტებმა ხელისუფლებას აუბეს მხარი და მათ საამებლად მუშაობა გააჩაღეს ხევსურეთში. თავდაპირველად ჩოლოყაშვილის თანამებრძოლების დაბეზღებით დაიწყეს, შემდეგ ბრძოლა რელიგიურ გადმონაშთებსა და ცრურწმენებს გამოუცხადეს. თავად ხელისუფლების მიერ ხევსურეთში გაგზავნილი მოხელეების უმთავრესი ყურადღება ხევსურთა ანტისაბჭოურ განწყობილებასა და სისხლის სამართლის დანაშაულზე (ჭრა-ჭრილობა, ქურდობა, იარაღის ტარება) იყო მიპყრობილი, დანარჩენი „საქმეები" ხევსურ აქტივისტებს მიანდეს.

ხელისუფლების მოხელეებისა და თვით ხელისუფლებისთვის იმდენად უცნობი იყო ხევსურეთი, რომ შეცდომას შეცდომაზე უშვებდნენ, ანგრევდნენ მთას და ხშირად თავსაც იმასხარავებდნენ. „ახალი მთავრობა ხშირად შეცდომებს უშვებდა ხევსურების მიმართ. მაგალითად, ხევსურებს შეაწერეს რამდენიმე ტონა ღორის ხორცი, მაშინ, როცა ისინი მელორეობას არ მისდევენ და ღორის ხორცს საერთოდ არ ეკარებიან." (გ. ჩიტაია)

როდესაც ქალაქიდან ხევსურეთში ავიდნენ ათეისტი პროპაგანდისტები, რომელთაც ხევსურთა რწმენა-წარმოდგენების არაფერი გაეგებოდათ და იქ არცერთი ეკლესია არ დახვდათ, რელიგიური გადმონაშთები ასი პროცენტით აღმოფხვრილად ჩათვალეს და კმაყოფილები გაბრუნდნენ უკან. ხევსურმა აქტივისტებმა კი, ავალებდა ვინმე თუ არ ავალებდა, ბრძოლა ხევსურთა ჯვარსალოცავებსა და მათ მსახურებს გამოუცხადეს. კრძალავდნენ ჯვარიონთა მსვლელობებს, უკრავდნენ მათ გზას, ჭრიდნენ ჯვრის წმინდა ხეებს, მოსახლეობას აიძულებდნენ ემუშავათ უქმე დღეებში, არ ელოცათ ჯვარი და ა.შ.

შემდეგ ქალის მამაკაცთან გათანაბრების კამპანია გააჩაღეს და სამრევლოების ნგრევა დაიწყეს. 1939 წელს გაზეთი „სტალინური გზით" წერდა: „...კრებაზე ახსნა-განმარტება იქნა ჩატარებული თუ როგორ უნდა ვებრძოლოთ ძველ ზნე-ჩვეულებებს და ამასთან ერთად წაკითხულ იქნა ახალგაზრდა ქალების განცხადება. ხალხი კომკავშირელებისა და კავშირგარეშე ახალგაზრდა ქალების საერთო განცხადებას აღტაცებული შეხვდა. კრებაზე შემოიყვანეს სამრევლოში ნამყოფი კომკავშირელი ქალი მარიამ ბურდული. სამრევლოში მყოფი ქალის კრებაზე გამოჩენას დამსწრენი ტაშისცემით შეხვდნენ. როშკის კომკავშირის ორგანიზაციის სახელით ძილა წიკლაურმა ითხოვა, რომ სოფელ როშკაშიც ჩატარებულიყო ასეთი კრება სათანადო ახსნა-განმარტებით. ამ საქმეში ენერგიულ მუშაობას და საჭირო ახსნა-

განმარტებას ატარებდა ლენინური კომკავშირის წევრი, ქმოსტის მოზარდთა სკოლის მასწავლებელი თამარა გაგნიძე."

იმ ხანებში ხევსურეთის სოფლების დაწყებით სკოლებში, სამედიცინო პუნქტებსა და სამკითხველოებში მოვიდნენ სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულების ადამიანები, რომელთაგან ბევრი გამოერიდა ქალაქს და ხევსურებს შეალია სიცოცხლე. ბევრს კი თავად ხელისუფლება აგზავნიდა და ძირითადი საქმიანობის გარდა სხვადასხვა სახის დავალებებსაც აძლევდა. ზოგმა სოფელმა მისული მასწავლებელი არც მიიღო: — აგენტი იქნებაო.

ამ ურთიერთჭიდილსა და ხელოვნურ გარემოში ყალიბდებოდა დღევანდელი ხევსურის ყოფა და ხასიათი, განუკითხავად ინგრეოდა ძველი, ავიც და კარგიც, თუმცა „ბრძოლის ამგვარ მეთოდებს მიმბაძველი არ აღმოაჩნდა და საერთოდ მას არავითარი ნაყოფი არ გამოულია." (თ. ოჩიაური). ძნელი აღმოჩნდა საუკუნეებით დამკვიდრებული ტრადიციებისა და ჩვეულებების რღვევა ხელის ერთი მოსმით, ძალადობითა და კრებებით. გამოხდა ხანი და ბევრი რამ დრომ თავად უარყო.

ომის წლებში ხევსურებისთვის არავის ეცალა. 1950-იანი წლებიდან მთავრობაში კვლავ დღის წესრიგში დადგა ხევსურეთის საკითხი და დაიწყო ხევსურთა მასობრივი ჩასახლება შირაქსა და სამგორში. ძნელი იყო ლაღი მთიელისთვის მზით გადახრუკულ ბარის მიწასთან შეგუება, ზოგი უკანვე გაბრუნდა. ხევსური დამქაშებით ზურგმომაგრებული მილიცია და სატყეო ყველანაირად ავიწროვებდა მამა-პაპის კერიაზე დარჩენილ მოსახლეობას. თვითნებური „ობისკებით" ძარცვავდნენ ხევსურებს, „აბეშიკები" კი სახნავებში ნაძვნარის გამალებულ გაშენებას აწარმოებდნენ და ტყიდან ჯოხის გამოტანასაც კი კრძალავდნენ. ყველაფერ ამას თავკაცობდნენ მილიციონერი ვ. კუცია და მეტყევე ტ. ფშეშინი. ხევსურთა მამულები სხვადასხვა კოლმეურნეობათა ცხვარმა და საქონელმა დაიკავა. თავად ხევსურებს კი განსაზღვრულ რაოდენობაზე მეტი საქონლის ყოლა ეკრძალებოდათ.

ხევსურების მეზობელი ქისტების გასახლება. 1944 წელს ხევსურეთის მომიჯნავე ტერიტორიებზე განსახლებული ქისტები სპეციალური ბრძანებით „ოცდაოთხ საათში" აჰყარეს და შუა აზიაში გადაასახლეს. გაუკაცრიელებულ სოფლებში მეორე დღეს მხოლოდ ძაღლებიღა ყმუოდნენ. ქისტების ნაწილი ყაჩაღად გავიდა და კავშირი შეკრა გერმანელებთან.

ქისტების დაცარიელებული სოფლები დროებით დაიკავეს ხევსურებმა და სხვა მეზობელმა მთიელებმა. 1956 წელს ქისტების ნაწილი კვლავ თავის სამშობლოში დაბრუნდა. ხევსურებმა მათ მოვლილი სახლ-კარი დაუბრუნეს, მადლობის ნიშნად თითო სული ძროხა და რამდენიმე ხნის სამყოფი სურსათ-სანოვაგე დაუტოვეს და საქართველოს ბარს მიაშურეს.

ომის დამთავრების შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მოქმედებს 1944 წელს ტყეში გასული ქისტების რამდენიმე შეიარაღებული რაზმი. მათ სალიკვიდაციოდ იგზავნება ოპერატიული ჯგუფები, რომლებიც ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ ხევსურეთში, შუაგულ ზამთარში ანადგურებენ ყაჩაღებს.

ახალი მშენებლობანი ხევსურეთში. 1970 წელს დასრულდა ბარისახო-შატილის საავტომობილო გზის მშენებლობა. ბებერმა პირიქითელმა ხევსურებმა მაშინ პირველად ნახეს „მაშინა“.

სწაფი ტემპებით დაიწყო დროის შემობრუნება. თუ მანამდე მთიელთა ბარში დაბინავებას უკრავდნენ ტაშს, ახლა „მთას დაუბრუნდა მთიელის“ კამპანია გაჩაღდა. მაგრამ ამაოდ... უკვე ბარს შეგუებული ხევსურისთვის ძნელი აღმოჩნდა კლდე-ჭიუხებთან, ხარ-გუთანთან და მამა-პაპურ თიბვა-მკასთან დაბრუნება.

1970-იანი წლებიდან ხევსურეთში არქიტექტორ ი. მარგიშვილის პროექტით შენდება სოფლები გუდანი და შატილი. პარალელურად მიმდინარეობს შატილის დაქცეული კოშკების რესტავრაცია.

ხევსურეთში ხევსურთა დამაგრებისა და მოსახლეობის კვლავ უკან დაბრუნების მიზნით ტარდება სხვადასხვა უთავბოლო ექსპერიმენტი. ბარისახოსა და შატილში ყალიბდება კოოპერატიული, უსაქონლო მეურნეობები. ხახმატში, გიგაურთის ველზე, ჩირდილის ჭალაში, გიორგწმიდის ჭალაში, შატილში შენდება სხვადასხვა სახის კაპიტალური ნაგებობები და პავილიონები, რომლებიც მალევე ინგრევა და პარტახდება.

და, რაც მთავარია, ე. შევარდნაძის თაოსნობით ტარდება ყოველწლიური სამთავრობო დღესასწაული „შატილობა“, რომელზეც უფრო მოსული, ბარელი სტუმრები მოილხენენ, ვიდრე თავად ხევსურები. „შატილობას“ აქვს შეფარული მიზანი: ახლოვდება საბჭოთა იმპერიის რღვევა, „შატილობა“ კი აჩვენებს, რომ აქ, საქართველოს უკიდურეს ჩრდილოეთში, კავკასიონის გადმოღმა ქართველები კვლავ დგანან.

1982 წელს ხევსურეთში დაიდგა სატელევიზიო ანძა.

იწყება ხევსურეთზე გამავალი ტრანსკავკასიის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობა, რამაც ხევსურეთში უამრავ ხალხს მოუყარა თავი. მიმდინარეობს სხვა დიდი მშენებლობებიც, მაგრამ 1985 წელს დაწყებულმა „პერესტროიკამ“, შემდგომ კი საბჭოთა იმპერიის დანგრევამ კვლავ შეაჩერა ეს მშენებლობები.

ეროვნული მოძრაობა და ხევსურეთი. საქართველოში ეროვნული მოძრაობისა და გამოსვლების დროს ხევსურეთში რაიმე მნიშვნელოვანი არ

მომხდარა. ხევსურები არ მიმხრობიან რომელიმე პარტიას და არც სამოქალაქო ომში მიუღიათ მონაწილეობა. თუმცა იყო და ახლაც ხდება, რომ ესა თუ ის მმართველი და ოპოზიციური პარტები ცდილობენ თავიანთ სასარგებლოდ გადაიბირონ ხევსურეთის მოსახლეობა.

1990 წელს ხევსურეთში ექსპერიმენტის სახით ჩამოყალიბდა „ხევსურეთის თემთა საბჭო", რომელმაც გააუქმა ბარისახოს, გუდანისა და შატილის სასოფლო საბჭოები. კომუნისტურ პარტიას ხევსურეთისთვის აღარ ეცალა და ხევსურები თავის ნებაზე მიუშვა. ჩატარდა „ხევსურეთის თემთა საბჭოს" არჩევნები. აირჩიეს თავმჯდომარე და გამგეობა. მაგრამ ზ. გამსახურდიას ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, ჩატარდა თუ არა ახალი საკრებულოს არჩევნები, „ხევსურეთის თემთა საბჭო" ფაქტობრივად გაუქმებული აღმოჩნდა, ანუ რიგით საკრებულოდ იქცა.

სურვილი იმისა, რომ მთიან მხარეებს (თუშეთი, ფშავ-ხევსურეთი, მთიულეთ-გუდამაყარი) პარლამენტში ჰყოლოდა თავისი დეპუტატი, ხელისუფლების მიერ მიღებული არ იქნა.

1996 წელს საქართველოს ჩრდილოეთ საზღვარზე, ხევსურეთის მონაკვეთზე, დგება სასაზღვრო ჯარი. ხევსურეთს თითქოს უბრუნდება თავისი ძველთაძველი ფუნქცია საზღვრის დამცველისა.

1997 წელს დგება საკითხი ხევსურეთზე ჩეჩნეთ-საქართველოს საავტომობილო გზის მშენებლობისა და ჩეჩნები შემოდიან კიდეც შატილში.

ბოლო წლებში ხევსურეთი მიტოვებულ-მივიწყებულ იქნა. არჩევნების დროს თუ გაახსენდებათ იგი.

„სხვად ხევსურეთი ისევ ისეა, როგორც უწინ გინახავთ, უფრო ჩამობღარულ-ჩამოკაწრული და ჩასაცოდავებული..." (ვაჟა-ფშაველა)

სარჩევი

წინათქმა 5
რა ვიცით ფხოველთა შესახებ 8
ფხოველთა სოციალური წყობა 10
ვინ მართავდა ფხოვს 10
მთის როლი სახელმწიფოსთვის 11
ძველი ცნობები იბერიის მთიელების შესახებ 11
ვინ იყვნენ ფხოველნი 12
ფხოვის საზღვრები 12
ხევსურთა ნათესავ-წინაპარნი 13
ხთიშვილნი და დევ-კერპნი 14
ხევსურეთის აღმოჩენა XIX საუკუნეში 15
ხევსური — „ხევის ურია“ 16
ანდრეზი ხევსურეთის დაარსების შესახებ. გუდანი 16
სახელწოდება „ხევსურეთი“ 16
რატომ არ მოიხსენიება „ხევსურეთი“ ძველ წყაროებში 17
ხევსურეთი და ხევსურები 17
სამაგანძუროს ხევსურნი 17
საათაბაკურო 18
მაგანძურთა მოძმე გვარები 18
ხევსურული გვარები 19
ჯიშიანი და უჯიშო გვარები 19
როგორ გაძლიერდა გუდანის ჯვარი 20
ხევსურეთის თემები 20
გორშელმა 21
საარაგვო 22
ლიქოკი 22
ღულელნი 23
წყალსიქითი 23
ბისოელ-ხახმატელნი და ჭორმეშიონნი 24
მთასიქითი 24
მიღმახევი 25
არხოტი 26
ბაკურხევი 26
ჯუთა და ართხმო 26
ურთიერთდამოკიდებულება ხევსურეთის თემებს შორის 26
როგორ ყალიბდებოდა ხევსურეთი და ფშავი 27
ფხოველნი ჯვარის მსახურნი 28
ხევსურების ჯვარი და ფშაველების ხატი 29

ფხოველთა უმთავრესი სალოცავი 29
ხთისკარი 30
მორიგე 31
კვირაე 31
„ადგილის დედა“, ანუ ხთიშობელი 31
წმინდა გიორგი 32
ხევსურთა ზიგიერთი რელიგიური წარმოდგენები 32
დევ-კერპთა წინააღმდეგ მებრძოლი ხთიშვილნი 33
ხევსურთა უქმეები 35
ბუნება ხევსურეთისა 36
სახლ-კარი ხევსურისა 38
ტალავარი ხევსურისა 41
საომარი აღჭურვილობა ხევსურისა 43
თავად ხევსური (პორტრეტი) 45
ხევსურის ქონება და სიმდიდრე 50
პოეზია და სიმღერე ხევსურისა 52
ხევსურული დიალექტი 54
სწორფრობა 54
მიჯნურობა 55
ჭრა-ჭრილობანი და მკვლელობა 55
„კარასტინი“ 57
შემწყნარებლობა ხევსურისა 57
მტრისთვის მარჯვენას მოჭრაზე 58
ვაჟიშვილის (მემკვიდრის) შესახებ 58
ხევსურული ლუდი 58
„დიდი ლუდი“ 59
მკვდრის კულტი ხევსურეთში 59
დამარხვის წესი 60
ხევსურები და მათი მეზობლები 61
ხევსურები და ქისტები 62
ხევსურები და თუშები 64
ხევსურები და გუდამაყრელნი 65
ხევსურები და მოხევეები 65
ხევსურები და ფშავლები 66
ხევსურები მორჩილებენ მხოლოდ მეფეს 66
ხევსურთა ლაშქრის წინამძღვარი 67
ქადაგი — შუამავალი ღვთაებასა და საძმოს შორის 68
მისნობა ცხოველთა ორგანოებზე 69
ხევსურთა დროშა 69
ლაშქრობა-მეკოპრობა 70

ნადავლის განაწილება და ჯილდოები 71
სახელმწიფო ბეგარა-გადასახადი 72
მეფე თარნავაზი და ფხოველნი 73
ფარნავაზის დროის ღვთაებანი ფხოვში 74
ფხოველთა ლაშქრობანი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში („ქაჯაეთის ლაშქრობა“) 75
ქაჯაეთური განძი 76
მეფე საურმაგი და ფხოველნი (კავკასიანების ჩამოსახლება) 76
მირვან მეფე დევნის კავკასიანებს და იმორჩილებს კავკასიის მთიელებს 77
ფხოვი ექცევა მეფის გავლენის ქვეშ 78
ფხოველნი — კავკასიის კარის მცველნი 78
ფხოველები და პომპეუსი 79
ქრისტიანობის გავრცელება ფხოვში 79
ხთიშვილნი და დევ-კერპნი ქრისტიანობის გავრცელების ხანაში 81
ქრისტიანული მშენებლობა ფხოვში 82
მაზდეიზმი ფხოვში 84
ტოტემიზმი ფხოვში 85
ვახტანგ გორგასალი და ფხოველები 85
სპარსელები და ფხოვი 86
ჰერაკლე კეისარი, ხაზარები და ფხოვი 87
არაბობა და ფხოვის წანარები 87
ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის 89
„დიდი თურქობა“ და ფხოვი 89
დავით აღმაშენებელი და ფხოველნი 90
მჭედლობის მესაიდუმლე გვარების (დევ-კერპთა) აყრა ფხოვიდან 91
განძის მოტანის ანდრეზი 92
ორბელთა ამბოხი და ფხოველნი 92
ჯვაროსნები და ფხოველნი 93
ფხოველთა ამბოხება თამარ მეფის დროს 94
წმინდა ხეთა კულტი ფხოვში 96
ფხოველთა ამბოხის შემდეგ 97
თამარ მეფე ხევსურთა გადმოცემებში 98
შინაომები ფხოვში 99
ხვარაზმელები და მონღოლები 100
თორღუა პანკელი და ფხოველთა ამბოხი 100
მონღოლები და ფხოველნი 102
გუდანის ჯვარი — „ბერი ბაადური 102
მონღოლთა ბატონობის შემდეგ 103
არეულობანი მთიანეთში. „ძეგლის დადება“ 103

გიორგი V ბრწყინვალე და ხევსურები 104
ხევსურეთი თორღვა ძაგანისძის დროს 105
„ეამნი“ ხევსურეთში 106
ხევსური აქიმ-მკურნალნი 107
თემურ-ლენგი და მთიელები 108
მეფე გიორგი VIII რეფორმები და ხევსურები 109
ფხოველთა ამბოხი და განდგომა 110
ფხოველნი ლაშქრავენ მუსრანბატონებს 110
კახეთის მეფე იმორჩილებს ხევსურებს 112
კახეთის მეფეები ხევსურეთის გავლით გადიან რუსეთში 113
შაჰ-აბასი აგზავნის ჯარს ფშავ-ხევსურთა მოსაოხრებლად 114
ერისთაობა ხევსურეთში 114
ხევსურთა მიგრაცია 116
კმალას ჯვრის დაცემა 116
ერისთავის წინააღმდეგ მებრძოლი ხევსურნი 116
თეიმურაზ მეფე და ხევსურები 118
ბახტრიონი 119
ერეკლე I და ხევსურები 121
ატენის ომი 122
გორის ბრძოლა. პატარა კახი და გუდანის ჯვარი 123
არაგვის საერისთაოს გაუქმება 125
ხევსურული რჯული 125
ლევან ბატონიშვილის სიკვდილი 127
თრუსოს ლაშქრობა 127
ხევსურთა ამბოხი ერეკლე მეფის დროს 127
სჯულზედ წამკდარი ხევსურები და ერეკლე მეფე 128
ხევსურები მეფე ერეკლეს კარზე 129
ხევსურები მეფე ერეკლეს დავალებით ეხმარებიან კახთა და
თუშებს მოთარეშე ლეკების წინააღმდეგ ბრძოლებში 130
ხევსურები ერეკლე მეფის ბრძოლებში 131
ასპინძის ომი 132
„შვიდი ხევსური“ 135
მეფე ერეკლე აჯილდოვებს ხევსურებს 135
კრწანისის ომი 136
სამასი ხევსური ჟინვალში ებრძვის სპარსელთა ჯარს 139
მეფე ერეკლეს სიკვდილი 140
მეფე ერეკლეს დროის ხევსურეთი 141
გუდანის ჯვრის დროშის ქვეშ
ხევსურთა გაერთიანების პრობლემები 142
„ქალაქის არევა“. ნიახურას ომი 145

რუსების შემოსვლა საქართველოში და ხევსურეთი 144
1804 წლის ამბოხება და ხევსურები 145
1812 წლის კახეთის ამბოხება და ხევსურები 148
1813 წლის ხევსურეთის ამბოხება 150
აკუშოს ბრძოლა 154
ხევსურთა ამბოხების შემდეგ 155
რუსთა ხელისუფალნი ხევსურეთს იზოლაციაში აქცევენ 156
ხევსური ბუნებას და ხასიათს იცვლის 157
ხევსურეთს ეცნობა საზოგადოება, ანუ მისი აღმოჩენა 158
შამილი და ხევსურები 159
შამილის ლაშქრობა რუსეთში 161
ქისტების გადასვლა პანკისის ხეობაში 162
ხევსურები გაჰყავთ რუსის ჯარში 162
ხევსურები რუსეთ-თურქეთის ომში 162
ხევსური ძველი და ახალი დროის შესახებ 163
საფეხვნო — ხევსურთა სკოლა 163
წიგნი და „ქაღალდი“ ხევსურეთში 165
სკოლა ხევსურეთში 166
მიგრაცია 168
მშენებლობანი და გეოლოგიური ძიებანი ხევსურეთში 170
1900-იანი წლების რევოლუციები და ხევსურეთი 171
ახალი დროება ხევსურეთში 173
„სალდათობა“ და ომი 175
ნიკოლოზ II-ს ტახტიდან ჩამოგდება 175
კომისრები ხევსურეთის გავლით ჩადიან თბილისში 177
ქისტი მოთარეშენი 177
შეტაკება ჯარეგოში 178
ხევსურების ბრძოლა წითელი არმიის წინააღმდეგ 178
ხევსურები და ფშავლები არეულობის დროს 179
წყალსიქითელნი და შუაფხოელნი 179
კადუელნი და ჩარგლელნი 180
ხევსურეთის აჯანყება. „ჯაროვა წელი“ 181
ხევსურეთი აჯანყების შემდეგ 186
იმედი ბაგრატიონთა დაბრუნებისა 187
რეპრესიები ხევსურეთში 188
მეორე მსოფლიო ომი და ხევსურეთი 188
ხევსურეთის მეორედ აღმოჩენა 189
ბრძოლა ძველსა და ახალს შორის 191
ხევსურების მეზობელი ქისტების გასახლება 192
მშენებლობანი ხევსურეთში 193
ეროვნული მოძრაობა და ხევსურეთი 193

შოთა არაბული

ისტორიული თავგადასავალი ხევსურთა

თბილისი
2005

აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „ცოდნა“-ში
რედაქტორი შანანა უკლება,
კომპიუტერული უზრუნველყოფა თაქარ ბუჯიაშვილის